


რუდოლფ უგაინერი



გუნებისმეტყველება და
მსოფლიო ისტორიული
განვითარება

რედოლფ შტაინერი

ბუნებისმეტყველება და
კაცობრიობის მსოფლიო
ისტორიული განვითარება
შეკველესი დროიდან

ორი საჯარო ლექცია, წაკითხული დორნახში
1921 წლის 15-16 მაისს
და ოთხი საჯარო ლექცია, წაკითხული
შტუტგარტში 1921 წლის 21-24 მაისს.

ბიბლიოგრაფია № GA 325

RUDOLF STEINER

Die Naturwissenschaft und die
weltgeschichtliche Entwicklung
der Menschheit seit dem Altertum

Zwei öffentliche Vorträge, gehalten in Dornach
am 15. und 16. Mai 1921
und vier öffentliche Vorträge, gehalten in Stuttgart
vom 21. bis 24. Mai 1921

Bibliographie Nr. 325

1989
RUDOLF STEINER VERLAG
DORNACH/SCHWEIZ
Tbilisi - 2016

მკითხველის წინაშეა რუდოლფ შტაინერის თხზულებათა სრული კრებულის GA 325 ტომის პირველი ქართული გამოცემა. მასში გაერთიანებულია, თემატურად ერთმანეთთან დაკავშირებული ღია ლექციების ორი კურსი. რუდოლფ შტაინერი ამ ციკლში ეხება ბუნებისმეტყველების წინაპირობებსა და სულიერ საფუძვლებს, ევროპული სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებას, კაცობრიობის მსოფლიო ისტორიულ განვითარებას უძველესი დროიდან. განხილულია თემები: ავგუსტინე და მანიქეველობა, კონსტანტინე და იულიანე აპოსტასი, გონდიშაპურის გაგლენა, ნომინალიზმი და რეალიზმი, ცნობიერების გარდატეხა XV საუკუნეში, დოგმარომის პაპის უცოდველობაზე, ინტელექტუალიზმის წარმოქმნა, ატომისტიკა და სხვ.

მთარგმნელი: **ა. კვარაცხელია**
მთ. რედაქტორი: **ლ. მესხია**
რედაქტორი: **ხ. ნაჭყეაბია**

Übersetzt ins Georgisch von: **A. Kvaratskhelia**
Redaktion: **L. Mesxia, X. Natskhebia**

ასოციაცია „კოგიტო“
თარგმანი შესრულებულია 1989 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

Assoziation „Cogito“
GA 325

გარეკანზე მარგარიტა საბაშნიკოვას ნახატი:
მთავარანგელოზი ბაბრიელი

**ევროპული სულიერი ცხოვრება XIX საუკუნეში, მის
ამოსავალ პუნქტთან კავშირით IV საუკუნეში**

პირველი ლექცია 8
დორნახი, 1921 წ. 15 მაისი

ისტორიის მეცნიერების ამოცანა და კრიზისი. XIX საუკუნის შუა პერიოდი, როგორც სულიერი ცხოვრების შემობრუნების მომენტი. სენ-სიმონი, დე მეესტრი და კონტი, როგორც XIX საუკუნის პირველი ნახევრის აზრობრივი შეხედულებების წარმომადგენლები, რომლებიც ჯერ კიდევ ისწრაფოდნენ გარკვეული რწმენიდან ადამიანური იდეებისკენ. გარდატეხის მომზადება XIX საუკუნეში, დაწყებული XV საუკუნიდან. XV საუკუნის წინარე პერიოდის აზროვნების მეთოდზე, გამოსატული თანდაყოლილი ცოდვის წარმოდგენაში. ბუნებისმეტყველებისა და მორალის კავშირი დე მესტრთან. IV საუკუნის მნიშვნელობა ევროპის განვითარებისთვის. IV საუკუნის წარმომადგენლები: კონსტანტინე, იულიანე აპოსტასი, ავგუსტინე. ავგუსტინე და მანიქველობა. ვულფილის მიერ ბიბლიის თარგმნა და „მამაო ჩვენო“.

მეორე ლექცია. 41
დორნახი, 1921 წ. 16 მაისი

სულიერი ცხოვრების განვითარება ხალხთა უდიდეს გადასახლებამდე და შემდგომ პერიოდში, როგორც მოსახლეობის ზედა ფენების შიგნით, ისე ფართო წრეებში. რელიგიური შეხედულებები ხალხთა უდიდეს გადასახლებამდე და ახალი სულიერი ცხოვრების განვითარება შემდგომ პერიოდში. სიმბოლურ-საკულტო წეს-ჩვეულებების განვითარება. არიანული ქრისტიანობის განმასხვავებელი ნიშნები. გრამატიკისა და რიტორიკის მნიშვნელობა კულტურული განვითარებისთვის, წარმოდგენილი ავგუსტინეს ჩამოყალიბებაში. რელიგიური შინაარსის ინსტიტუციონალიზაცია და მისი შედეგები. ქრისტიანობის კონსპირატიულობაზე. სულიერი ცხოვრების განსხვავებული განვითარება და საზრუნავი სოფლებსა და ქალაქებში. ვაჭრობის მნიშვნელობა სულიერი ცხოვრების განვითარებისთვის. გონდიშაპურის გავლენა

ლათინურ-ქრისტიანულ ცხოვრებაზე ევროპაში. „აქტიური აზრის“ დაბადება XV საუკუნეში. რომაულ-სამართლებრივი ცხოვრების განვითარებაზე. ნომინალიზმი და რეალიზმი. ხელოვნებაზე. აზროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ბუნებისმეტყველება და კაცობრიობის მსოფლიო ისტორიული განვითარება უძველესი დროიდან

პირველი ლექცია. 69

შტუტგარტი, 1921 წლის 21 მაისი

აზრობრივი მიმართულებების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, დაპირისპირებულნი ერთმანეთთან თანამედროვეობაში, სულიერ-იდეალურსა და მატერიალურში, ორიენტირებულნი ეკონომიკურ ფაქტებზე. კაცობრიობის ისტორია ვილჰელმ ვუნდტისა და ჰერმან გრიმის შრომებში. კაცობრიობის ისტორიაში ადრინდელი ეპოქების გაგებისა და განსჯის სირთულეზე თანამედროვე ცნებების დახმარებით. იმაგინაციური და ინსპირაციული შემეცნებანი და მათი ზემოქმედება ადამიანის მშენებელ განწყობაზე. გოეთესა და ჰერდერის დამოკიდებულება სპინოზას აზროვნებასთან, როგორც იმაგინაციითა და ინსპირაციით გამოწვეული მშენებელი განწყობის მეტამორფოზის მაგალითი. ისტორიის გაგების აუცილებლობაზე არა მარტო დოკუმენტებიდან, არამედ ადამიანისა და ხალხის შინაგანი მშენებელი განწყობიდან.

მეორე ლექცია. 92

შტუტგარტი, 1921 წ. 22 მაისი

მითითება მეთოდისაზე, რომლის გამოყენებაც აუცილებელია ისტორიის კვლევისას, რომელიც უძველესი კულტურების დრმა გაგების შესაძლებლობას იძლევა. ინდური და წინარე ინდური კულტურა: ვედების პოეზია და იოგას ფილოსოფია. ინსტინქტური ინსპირაციის მოშლა ქრისტიანობაში. ინი, იანი და ტაო, როგორც სამწვერა ადამიანის არსის გამოხატულება. ქრისტიანობამდე VII-VI ათასწლეულებიდან მომხდარი გარდატეხა, გამოწვეული ადამიანის მიერ ბუნების გადამუშავების მეშვეობით. ეგვიპტელების ცნობიერების დონის ცვლილებასთან დაკავშირებული გარდატეხა ქრისტიანობამდე III ათასწლეულში. ეგვიპტელების მედიცინა. მებ-

რძოლ ელემენტზე სპარსელებთან. ბერძნული და რომაული კულტურების განმასხვავებელი ნიშნები. XV საუკუნე, როგორც საბუნებისმეტყველო ეპოქის ამოსავალი წერტილი.

მესამე ლექცია. 117

შტუტგარტი, 1921 წ. 23 მაისი

იმაგინაცია და ინსპირაცია ადამიანისა და გარეგანი ბუნების უფრო ფართო გაგებასთან კავშირში. ატომისტიკის კრიტიკული შენიშვნები. სულიერი მდგომარეობა უძველეს ხალხებში: ტადრის ძილი ეგვიპტელებთან, ხატოვანი ცნობიერება. ინტელექტუალიზმის წარმოქმნა. ბუნებრივი აუცილებლობის გამიჯვნა მორალური აუცილებლობისაგან. იუდეველი ხალხის მშვიინვიერი განწყობა და რითი განსხვავდებოდა იგი სხვა ხალხებისაგან. წარსულის ელემენტების შეერთება მომავლის ელემენტებთან იმპერატორ კონსტანტინეს მეშვეობით. ნომინალიზმი და რეალიზმი. ცნობიერების გარდატეხა XV საუკუნეში. ფრანც ბრენტანო.

მეოთხე ლექცია. 141

შტუტგარტი, 1921 წ. 23 მაისი

ავგუსტინეს გზა. სულისმეცნიერება და მისი კავშირი ფიზიკურ-მატერიალურთან, გამოხატული იპოქონდრიის მიზეზის მაგალითზე. დვიძლი, როგორც ენოსვის ორგანოს მეტამორფოზა. ცნობიერების შეცვლა ქრისტიანობის შემდგომ IV საუკუნეში სამხრეთ ევროპელ, ჩრდილო აფრიკელ და წინა აზიის ხალხებში. აღმოსავლეთ ევროპელი ხალხების ზეგავლენა. ხალხთა კულტურაში სოფლის თემებზე. ცნობიერი სამშვიინველის ეპოქაში ჩრდილოვანი განსჯის მეშვეობით ბუნების დაუფლება. სულიერი ჭვრეტის გზაზე წამოჭრილი წინააღმდეგობები: ატომისტიკა, ენერჯის შენახვის კანონი და დოგმა რომის პაპის უცოდველობაზე. მაგალითები ანთროპოსოფიის წინააღმდეგ მიმართული ლიტერატურიდან, კერძოდ ტრაუბესა და ლაუნზე.

შენიშვნები. 165

I

ევროპული სულიერი ცხოვრება
XIX საუკუნეში,
მის ამოსავალ პუნქტთან კავშირით
IV საუკუნეში

ორი ლექცია
დორნახი
1921 წ. 15 და 16 მაისი

გოეთანუმში*, ლექციების ბოლო კურსის მსვლელობისას სულ უფრო ხშირად ჟღერდა, რომ სულსმეცნიერება, როგორც მას სწავლობენ აქ, უნდა მოქმედებდეს გამანაყოფიერებლად თანამედროვე მეცნიერების მთელ სულზე და ცალკეულ სპეციალურ მეცნიერებაზე. შესაძლოა ამის გასაგებად ყველაზე თვალსაჩინო აღმოჩნდეს, უპირველეს ყოვლისა, სულსმეცნიერების სურვილი, რომ ეძიოს და ამოხსნას ისტორიული გამოცანები, რამდენადაც ეს შესაძლებელია ადამიანისთვის; ამ შემთხვევაში უნდა შევეცადოთ, დავინტერესდეთ ისტორიის თემით, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ორი მოკლე მოხსენება მოგვცემს.

დღეს უკვე სხვადასხვა მხრიდან შეიძლება მოვისმინოთ, რომ ისტორიული მეცნიერება თავისებურ კრიზისს განიცდის. ჯერ კიდევ არც ისე ბევრი დროა გასული მას შემდეგ, როცა ზოგიერთი წრე ცდილობდა ისტორიული მეცნიერებისგან შეექმნა რაღაც იდეალის მსგავსი. ეს იყო დრო, როცა მოღვაწეობდა, მაგ., ისტორიკოსი რანკე*, როცა ისწრაფოდნენ იდეალისკენ, ისტორია ექციათ გარკვეული სახის ზუსტ მეცნიერებად, ზუსტი იმ თვალსაზრისით, როგორც გამოიყენება ეს გამოთქმა, გამომდინარე საბუნებისმეტყველო მეცნიერული კვლევის ჩვევებისგან. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი კვლევის ამგვარი ცნების საფუძველი სხვა არაფერია, გარდა იმისა, რაც გამომდინარეობს ჩვეულებრივი გარგნული ბუნებისმეტყველებიდან, არაერთხელ ამტკიცებდნენ, რომ ისტორია ასეთი ზუსტი მეცნიერების სახით ზოგადად შეუძლებელია, რომ ყოველივეს, რაც ვლინდება, როგორც ისტორია, დაჰკრავს ელფერი ისტორიკოსის ტემპერამენტის, ნაციონალურობისა და სხვა სუბიექტური თვალსაზრისის, ამასთან მას შეიძლება დაჰკრავდეს თვით ფანტაზიების ელემენტის ელფერი, რომელიც აერთიანებს ფაქტებს, ასევე შეფერილი იყოს ინტუიციური უნარების წყალობით და ა.შ. და როდესაც ნამდვილად უღრმავლები იმას, რასაც მიაღწია ისტორიოგრაფიამ სწორედ უახლოეს დროში, ადვილად შეამჩნევ, რომ ისტორიული ფაქტების ობიექტურად გადმოცემისთვის აუცილებელ ფაქტობრივ მოთხოვნებს სრულიად განსხვავებულად გა-

ნიხილავენ, გამომდინარე იქიდან, ისტორიკოსი რომელ ერს ეკუთვნის, რამდენად გააჩნია მას უმნიშვნელო ან მაღალი აზრით სინთეზური ფანტაზია და ასევე იმისგან, რომ აქედან ისტორიკოსისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია სუბიექტური მომენტები.

ამ ორი ლექციის თემიდან გამომდინარე ერთი მაგალითის მოყვანის წყალობით, სულისმეცნიერებას შეუძლია, გარკვეული თვალსაზრისით მაინც მიგვაახლოოს რაღაც სახის ობიექტურობასთან ისტორიის განხილვისას. ცხადია, აუცილებელია, გავითვალისწინოთ იმ შესაძლებლობის დონე, რომელსაც ფლობს ცალკეული ისტორიკოსი, ისტორიის ცალკეული დამკვირვებელი. ამ ისტორიულ განხილვასთან მიმართებით შესაძლოა დიდი ღირებულება გააჩნდეს სწორედ იმას, რასაც დღეს მისი მოწინააღმდეგენი, ცხადია, მთლიანად გვერდს უვლიან. სულისმეცნიერება უნდა დაეყრდნოს ადამიანის სუბიექტურ შინაგან განვითარებას. საჭიროა სამშენველში დამატებული ძალების გამოღვიძება და გარდაქმნა კვლევის საკუთარ ძალებად. ამდენად, ეს უნდა გაკეთდეს სუბიექტურობაზე დაყრდნობით. ამავე დროს ამ სულიერმა კვლევამ თანდათანობით მთლიანად უნდა გადალახოს სუბიექტური და გამოიწვიოს ადამიანის სამშენველში ისეთი სიღრმეები, რომ უკვე აღარ გამოითქმება სუბიექტური, მიუხედავად იმისა, რომ ვლინდება სუბიექტურად, წარმოადგენს რა ობიექტურს, ზუსტად ისევე, როგორც ობიექტური ვლინდება მათემატიკაში, მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკაში ჭეშმარიტებებს და შემეცნებებს სუბიექტური მეთოდით პოულობენ. ისტორიული თვალსაზრისით მე მსურს, თქვენ წინაშე წარმოვადგინო ისტორიული ჩამოყალიბების ერთი ეპიზოდი, რომელიც ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის ყველაზე ახლობელი უნდა იყოს და ისტორიული ფაქტების უნივერსალური სფეროდან გამოვეყო XIX ს-ის შედარებით უფრო ღრმა სულიერი განცდები, მათი ფესვები და სწორედ ისტორიულად განვიხილო ისინი იმ თვალსაზრისით, როგორც ხდება სულისმეცნიერების მეშვეობით. მინდა, ჩვენი საუბრის თემა ისე ავაგო, რომ დღეს, – თუ შეიძლება გამოვიყენოთ გამოხატვის ეს უძველესი ფორმა, – ეგზოთერულად, უფრო გარეგნულად წარმოვიდგინოთ ის ფაქტები, რომელთაც ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ჩვენი განხილვებისთვის, რომ

ხვალ შევძლო და გადავიდე ეზოთერულზე, ანუ განვიხილო შინაგანი კავშირები და უფრო ღრმა მიზეზები, რომლებიც საფუძვლად უდევს სულიერი ცხოვრების ფაქტებს. სწორედ ეს სულიერი ცხოვრებაა დღეს ჩვენი ინტერესის საგანი.

თვალს თუ გადავაგვლებთ XIX ს. – რომელთანაც ჯერ კიდევ მჭიდროდ ვართ დაკავშირებული, მას შემდეგ ხომ მხოლოდ ორი ათწლეულია გასული, რომლებიც ჯერ კიდევ ძალიან ჰგავს XIX საუკუნის ზოგად ხასიათს, – და გადავხედავთ ფაქტებს, პირველ ნაბიჯებს, მაშინ ჩვეულებრივ წარმოგვიდგება ის, რომ XIX საუკუნის ეს მშვენიერი ცხოვრება თამაშდებოდა, როგორც თანაბრად უწყვეტი პროგრესი. ვინც შედარებით ღრმად იჭრება ფაქტების ნამდვილ სტრუქტურაში, მისთვის ვლინდება, რომ ეს საერთოდ არ მომხდარა. შეიძლება ითქვას: სწორედ XIX ს. შუა პერიოდში ხდება ძირეული გარდატეხის მომენტი განვითარებისას. აზრთა განხილვა, ადამიანთა მშვენიერი განწყობა XIX ს. შუა პერიოდში დაექვემდებარა მეტამორფოზას. ის, რაც ადრე ადამიანთა თანაცხოვრების იმპულსს წარმოადგენდა, ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. XIX ს. მეორე ნახევარში ვლინდება გრძნობადობის სხვა სახე იმასთან შედარებით, რასაც ადგილი ჰქონდა პირველ ნახევარში და ინერგება აზროვნების განსხვავებული ჩვევები. ცხადია, დღეს შეგვიძლია მხოლოდ, მე ვიტყვოდი, მივუთითოთ რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხით ამ მოვლენებზე. ჩვენც სწორედ ამას გავაკეთებთ.

თუ დავაკვირდებით XIX ს. პირველი ნახევრის მოწინავე სულიერ პიროვნებებს, მაშინ მათ თავიანთი არსით ჯერ კიდევ აქვთ ლტოლვა, ასე ვთქვათ, მისწრაფება სულიერისკენ, იდეალისტურისკენ, თუმცა უკვე ახალი დროის საბუნებისმეტყველო მეცნიერულ აზრობრივ ჩვევებს სრულად ეზრდებიან და იზიარებენ. ისინი თავს გრძნობენ დამოკიდებულად იმაზე, რა მიმართულებას კარნახობს მათ თავიანთი სამშენველი. ეს სრულიად სხვა სახეს იძენს XIX ს. მეორე ნახევარში. საკმარისია მხოლოდ განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები და ამას მაშინვე გავარკვევთ. ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია მეცნიერების ან თუნდაც ხელოვნების მოღვაწე შევაფასოთ ვიწრო თვალსაზრისით განვითარების მხოლოდ ამ ხაზის განხილვით, მაგრამ საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ კაცობრიობის ამ ავტორიტეტულ მოაზროვნებებზე, რომლებიც

ახალი დროის საბუნებისმეტყველო მეცნიერულ აზროვნებასა და მხატვრულ შეგრძნებებზე დაყრდნობით საკუთარი თავის წინაშე აყენებენ დიად მსოფლიო ამოცანებს, უპირველეს ყოვლისა, ისეთ მსოფლიო ამოცანებს, რომლებმაც სოციალური ამოცანებიც უნდა მოიცვან. ვინაიდან, სოციალური პრობლემა, სოციალური გამოცანები XIX ს. ცხოვრებაში სულ უფრო ამოტივტივდა და მოწინავე მოაზროვნენი, დიდი სოციალური პრობლემებისა და გამოცანების გასააზრებლად იძულებულნი იყვნენ, ესარგებლათ იმით, რასაც გამოთქვამდნენ მეცნიერები და რაც კაცობრიობის საერთო ცნობიერებაში ჩნდებოდა როგორც რაღაც სახის მშვინვიერება.

XIX ს. პირველ ნახევარზე ყურადღების მიპყრობით, ჩვენ ვპოულობთ ასეთ ავტორიტეტულ პიროვნებას და, უპირველეს ყოვლისა, ეს არის საფრანგეთის რევოლუციის სულისჩამდგმელი – *სენ-სიმონი**, რომელმაც, ცხადია, აღიქვა თავისი დროის მეცნიერული აზროვნების ხასიათი და ვინც XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში საკუთარ სამშვინველში ჯერ კიდევ უეჭველად ატარებდა იმ მშვინვიერ წყობას, რომელსაც, როგორც მეცნიერული სულისკვეთების შედეგს, არსებობა სწორედ XVIII-XIX სს. მიჯნაზე შეეძლო. საერთოდ ამ პერიოდში სენ-სიმონი იმყოფება საერთო სამყაროსეული ცნობიერების, სოციალური ცხოვრების ფორმებისა და ცხოვრების მოთხოვნილებათა შიგნით. მან განიცადა საფრანგეთის რევოლუციის ზემოქმედება, ადამიანის სამშვინველის სიღრმიდან მომდინარე მოწოდება თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობისკენ. მას ასევე უნდა განეცადა ის ყველაფერი, რაც შემდეგ მოჰყვა რევოლუციას, როგორც ევროპული ცხოვრების იმედგაცრუებები. ის უკვე ხედავდა იმის გამოვლინებას, რაც მოგვიანებით სულ უფრო მეტად და მეტად გარდაიქმნებოდა მგზნებარე სოციალურ საკითხში. სენ-სიმონის მთელ მშვინვიერ წყობას ყურადღებით თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ: ის უდავოდ დგას იმ თვალსაზრისზე, როცა ადამიანს მტკიცედ სჯერა, რომ ცოდნისკენ ადამიანის სწრაფვის მეშვეობით შესაძლებელია იმ იდეების მიღწევა, რომლებსაც შემდეგ შეუძლიათ სოციალური ცხოვრების განაყოფიერება; საჭიროა მხოლოდ მართებულად გავიგოთ, რა ამოტივტივდა ახალი დროის მეცნიერული სულისკვეთების მეშვეობით და სწორად დავაკავშიროთ ეს დროის ყველა

მოთხოვნასთან. მაშინ შევძლებდით, დაკვირვების გზით, ცოდნის, შემეცნებისა და გულის მსურვალე სიყვარულის მეშვეობით გვეპოვა სოციალური ამოცანებისთვის რაღაც, რაც შეიძლება ეუწყოს ადამიანებს, მაშინ გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც გაიგებდნენ იმას, სინამდვილეში რა უნდა თქვან მათ თანამედროვე ცოდნითა და მსურვალედ მოსიყვარულე, სოციალურად მგრძობიარე გულით. ასეთი ადამიანების ერთობლივი მოქმედებიდან, რომელთაც ეს ესმით და ავითარებენ მისი გაგების შესაბამის ნებელობას, შესაძლებელი იქნებოდა ევროპის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება და ასევე იმისა, რაც ამას ეხება. სენ-სიმონში ცხოვრობდა აზრის ძალა, რწმენის ძალა, რომ ადამიანებს შორის შეიძლება იმოქმედო დამაჯერებლად, თუ მართებულს სწვდები შენს საკუთარ სამშენებელში და ამ მართებულს მიაკუთვნებ მათ, მათი ნამდვილად მეცნიერული და ლიტერატურული სწავლებით.

სენ-სიმონიც ცდილობდა, დროის მთელი სულიერი ხასიათიდან გამომდინარე, სწორედ ამ განწყობით ემოქმედა. ამ განწყობით უყურებდა ის უკან იმ ეპოქებს, რომლებმაც მისთვის უკვე შეასრულეს თავიანთი ამოცანა, რომელშიც ტონის მიმცემნი იყვნენ არისტოკრატებისა და სამხედროების წრიდან მოსული ძალები. სენ-სიმონმა თავის თავს უთხრა: უძველეს ეპოქებში არისტოკრატებსა და სამხედროებს მნიშვნელობა ჰქონდათ. არისტოკრატებს გამოჰყავდა სამხედრო ძალები, რომლებიც იცავდნენ თვით იმ ადამიანებს, საკუთარი თავი რომ ე.წ. მშვიდობის ხელოვნებას მიუძღვნეს. მაგრამ ძველ დროში ჯერ კიდევ ჰქონდა მნიშვნელობა სხვა ფენასაც და ეს იყო სასულიერო ფენა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასე ამბობდა სენ-სიმონი, სასულიერო ფენა იყო ნამდვილად განმანათლებელი ფენა, სულიერი ცხოვრების მატარებელი, განმანათლებლობის მატარებელი. ეს სასულიერო ფენა უკვე დიდი ხანია აღარ არის ასეთი. ისევე, როგორც არისტოკრატებისა და სამხედროების ფენამ დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, ასევე დაკარგა ის სასულიერო ფენამაც. სამაგიეროდ, განვითარდა სრულიად ახალი ელემენტი. სენ-სიმონს ჰქონდა ზუსტი შეხედულება იმაზე, რას ნიშნავს თანამედროვე კაცობრიობის განვითარებისთვის სულ უფრო მზარდი მრეწველობა და მასთან დაკავშირებული ბუ-

ნებისმეტყველება. ის თავის თავს ეუბნებოდა: თუ განვიხილავთ მრეწველობის ამ განვითარებას, მაშინ ის, თავის მხრივ, აღზრდის სულიერ ცხოვრებას, რომელიც უკვე განვითარდა ბუნებისმეტყველებაში, გამოკვეთს აზრთა გარკვეულ სახეს, რომელმაც უკვე ამოწურა თავისი თავი ფიზიკაში, ქიმიკაში, ასევე ბიოლოგიაში, აზროვნების სახე, რომელმაც უნდა მოიცვას სხვებიც, ზოგადსაკაცობრიო სულიერი ცხოვრების უფრო მაღალი მეცნიერული ელემენტები. თუმცა აქამდე, – ასე ეუბნებოდა თავის დროზე სენ-სიმონი საკუთარ თავს, – მხოლოდ ასტრონომიამ, ქიმიამ, ფიზიკამ და ფიზიოლოგიამ შეიძინეს ახალი დროის თვისებები. ჩვენ ასევე უნდა დავაფუძნოთ მეცნიერება ადამიანზე, ადამიანის ფსიქოლოგია, დავაფუძნოთ სოციოლოგია და საჭიროა, მივაღწიოთ პოლიტიკური ფიზიკის რაღაც სახეს; მაშინ შევძლებთ ვიმოქმედოთ და ჩავეერთოთ სოციალურ ცხოვრებაში. ჩვენ გეჭირდება, – ასე ამბობდა სენ-სიმონი, – პოლიტიკური ფიზიკა და მას სურდა, შეექმნა რაღაც სახის მეცნიერება ადამიანურ სოციალურ ქცევაზე იმ მეცნიერულობის მიხედვით, რომელიც ჩამოყალიბდა ქიმიკაში, ფიზიკასა და ფიზიოლოგიაში. ის, რომ ამისკენ მსწრაფი განწყობა ფლობს ეპოქის სულს, სენ-სიმონმა აღიქვა სწორედ იმ გარემოებაში, რომ ახალ დროში სამრეწველო მოქმედებამ შეინარჩუნა ასეთი უპირატესობა. შეუძლებელია, ძველი სამხედრო-ქურუმული ცხოვრების ფორმაში იპოვო წარსულის განვითარება იმ ეპოქაში, რომელშიც ასე ინტენსიურად მოქმედებს, უპირველეს ყოვლისა, ის, რასაც ასეთი ფართო გაგებით, შეიძლება სამრეწველო ეწოდოს.

ამავე დროს სენ-სიმონმა მიუთითა, რომ ყველა ეს მოვლენა დროის მსგავსეობისას, არსებითად, შეიძლება იყოს მხოლოდ პირობითი. უძველეს ეპოქებში თავისი მნიშვნელობა ჰქონდათ სამღვდელეობას და დიდგვაროვან სამხედროებს, ჩვენს დროში კი, ასეთივე მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე მეცნიერებსა და ფაბრიკანტებს. და მაშინ, როცა, – ასე ეუბნებოდა სენ-სიმონი საკუთარ თავს, – სამღვდელეობასა და სამხედროებს, ძველი დროის სამხედროებს გააჩნდათ მსოფლმხედველობისა და სულიერი განწყობის გარკვეული მიმართულება, ახალ დროში ადგილი აქვს სულიერი განწყობის სხვა მიმართულებას. თუმცა ძველი დროიდან მაინც დარჩა რაღაც. უძველეს ზეგრძნობად ქურუმულ კულტურას, რომე-

ლიც არსებითად საფუძვლად ედო ე. წ. სამხედრო ორგანიზაციებს, სენ-სიმონი უარყოფდა იმ თვალსაზრისით, რასაც იწვევდა მისი ეპოქის ინდუსტრიული შეხედულება. მან ამას უწოდა ილუზორული, შეუძლებელი მეტაფიზიკა, მაშინ, როცა ახალი დრო უნდა ისწრაფოდეს პოლიტიკისკენ, პოზიტიური ფილოსოფიისკენ, რომელიც ფაქტებს მისდევს ზუსტად ისე, როგორც მისდევს ინდუსტრიული მოქმედება გარეგნულ ფაქტებს. იმ უძველესი დროებიდან დარჩა მხოლოდ ის, – ასე ამბობდა სენ-სიმონი, – რაც გამოვლინდა, როგორც ტრადიციული მეტაფიზიკა, ისეთი მეტაფიზიკა, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ მას უკვე არ გააჩნია ის რეალური სიცოცხლე, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ წარმოიშობა. მისი თქმით ეს მეტაფიზიკა წარმოადგენს იმას, რასაც პოულობენ განსაკუთრებით ახალ იურისპრუდენციაში და იმ ყველაფერში, რაც შემოვლითი გზით იურისპრუდენციის მეშვეობით შეიჭრა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. არსებითად, სენ-სიმონისთვის იურისპრუდენცია და მის საფუძველში ჩადებული აბსტრაქტულობა წარმოადგენს იმას, რაც დარჩა მხოლოდ, როგორც ნარჩენი, როგორც რაღაც ჩრდილი ჯერ კიდევ იმ დროებიდან, რომელსაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა ქურუმებისა და მეომართა ბატონობისას.

ხედავთ, არსებითად, რა არსებობს აქ, როცა სული შეიძლება წარმოიქმნას ამგვარი მშვინვიერი განწყობით. ერთი მხრივ, არსებობს ის, რაც მოქმედებდა უკვე XVIII ს. და უფრო ადრეც და ესაა აზროვნების საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდი, რომელიც ყველანაირი ადამიანური მშვინვიერი განხილვისას ესწრაფვის, მიუთითოს გარეგნულ გრძნობად ფაქტზე და აქედან აითვისოს აზრობრივი ჩვევები. თუმცა ისეთ სულზე, როგორიცაა სენ-სიმონი, აქ ზემოქმედებს კიდევ რაღაც სხვა. ამავე დროს, არსებობს ადამიანური არსების სიღრმიდან ამოზიდული მოთხოვნილება ადამიანის ინდივიდუალურ თავისუფლებაზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერულ კანონზომიერებას პოულობენ ყველგან, გარდა სამეცნიეროსი, – არაფერი ფასდება, თუ არ წარმოადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიერულ კანონზომიერებას, – ეს კი ერთ მხარეს დგას; მეორე მხარეს დგას მოთხოვნილება: ადამიანი უნდა იქცეს საკუთარი თავის ბატონად. როგორც ცალკეული ინდივიდუალობა, მას უნდა შეეძლოს თავ-

ვისუფლებაში ეძიოს თავისი ადამიანური ღირსება. შეიძლება ითქვას, რომ ორივე მოთხოვნა დიამეტრულად უპირისპირდება ერთმანეთს. და როცა უღრმავდები XIX საუკუნის სულიერი ცხოვრების მოწყობას, ხედავ, სენ-სიმონის სულიერი ცხოვრების წყობას, ხედავ, რომ სენ-სიმონის მსგავსი სული იდგა სწორედ ამ უდიდესი ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე: ერთი მხრივ, როგორ მოვეპყრო მე წესების მიხედვით ამ საყოველთაო ბუნებრივ კანონზომიერებას, რომელიც ასევე უნდა ეკუთვნოდეს ადამიანს და, მეორე მხრივ, – მოთხოვნილებას, განვახორციელო ადამიანური ინდივიდუალობა, ადამიანური თავისუფლება?

საფრანგეთის რევოლუციაში სამყაროს მთლიანობის მატერიალისტურ განხილვასთან ერთად მოქმედებდა ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების მოთხოვნილებაც. საფრანგეთის რევოლუციის ხმა კი იყო ის ხმა, რომელმაც გაიჟღერა XIX საუკუნეში და სენ-სიმონის მსგავსი ადამიანი დააყენა შემეცნების იმ შინაგანი კონფლიქტის წინაშე, რომელიც ისე ტრაგიკულად გამოვლინდა, რომ საფრანგეთის რევოლუციის შედეგის სახით მეტ-ნაკლებად წამოაყენა ასეთი მოთხოვნილება. შემდეგ აღმოჩნდა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ კანონზომიერებას გააჩნია ძალა, ამიტომაც ის უნდა გავრცელებულიყო ყველაფერზე, შესაბამისად, თვით ადამიანზეც, მაგრამ ადამიანს, არსებითად, არ სურს ეს, რამდენადაც მას ამ საბუნებისმეტყველო მეცნიერული კანონზომიერების წიაღში არ შეუძლია, იპოვოს საკუთარი კანონზომიერება.

ამდენად, ახალი დროის სულიერი განწყობა XIX საუკუნის დასაწყისიდან სენ-სიმონის მსგავს მნიშვნელოვან ფიგურებში ნამდვილად არის დავანებული, შეიძლება, ითქვას, მყარი საფუძვლის გარეშე ორი მოთხოვნილებისადმი, რომელთა კარმონიაში მოყვანაც შესაძლებელია, მაგრამ, ცხადია, არა იმ საშუალებებით, რომლებსაც ეს მოაზროვნენი გვთავაზობენ. სწორედ ამ უთანხმოებით მოგვიწევს, შევუდგეთ სოციალური ცხოვრების განხილვას. ერთი მხრივ, საჭიროა, ვეძიოთ მეცნიერული გზა, მეორე მხრივ კი, სოციალური მოწყობა, რომელშიც ადამიანს შეუძლია, იპოვოს თავისი ადამიანური ღირსება.

ყველა შესაძლო წარმოდგენის განხილვისას სენ-სიმონი ცდილობდა, ეპოვა ინსტიტუტები, ინდუსტრიული ცხოვრების

დაწესებულებები, ზოგადად ადამიანთა საყოველთაო ცხოვრების მაგალითები, რომლებიც მას დააკმაყოფილებდა. თუმცა აშკარად ჩანს, რომ ის, ახალი ისტორიის ამ ორი მოთხოვნის შეუთავსებლობის გამო, ყველგან მარცხდება. ახალი სულიერი ცხოვრების ეს ორი მოთხოვნა სახეზეა არა მარტო ადამიანის სამშენებლის სიღრმეში. უთანხმოება მხოლოდ მაშინ კი არ ვლინდება, როცა ადამიანი განსაზღვრული სახით, როგორც კერძო დამკვირვებელი, იმზირება თავის თავში, არამედ, შეიძლება ითქვას, ამ უთანხმოების ნიშნის ქვეშ იმყოფება მთელი სულიერი ცხოვრება, ხოლო შემდგომში – XIX ს. პირველი ნახევრის სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ცხოვრებაც. ამდენად, ისტორიული მოვლენის სახით გათამაშებულში ცხოვრობს სწრაფვა მკაცრი კანონებისკენ სოციალურ ცხოვრებაში და ამავე დროს, – მოწოდება ინდივიდუალური თავისუფლებისკენ. საჭიროა ვიპოვოთ რაღაც სოციალური წყობა, გარკვეული თვალსაზრისით სოციალური ორგანიზმი, რომელიც, ჯერ ერთი კანონზომიერია, როგორც არის კანონზომიერი ბუნება, მეორე მხრივ, კი, ადამიანებს სთავაზობს თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობას. ასე ხატავს სენ-სიმონი ბუნებისმეტყველების აზრობრივი ჩვევების შესაბამისად სოციალურ სისტემას, მაგრამ არ ასრულებს მეორე მოთხოვნის დასრულებას: მიადვიოს თავისუფალ ადამიანურ ღირსებას. ეს კი ხდება ძირითადი მოთხოვნა, რომელიც ვლინდება თანამედროვე ცხოვრებაში და თამაშდება სულიერი ცხოვრების ყველა უთანხმოებაში. მოთხოვნა წარმოიქმნება, რამდენადაც ახლა საერთოდ არ შეუძლიათ ამის შევლა, ვინაიდან თანამედროვე ცხოვრების ის მოაზროვნენი, რომლებიც, როგორც ოდესღაც გოეთე, ისწრაფოდნენ ამ წინააღმდეგობის გამოსწორებისკენ, თავის მხრივ, საკუთარ თავს, ხანდაზმულ ასაკში, ხედავდნენ განმარტებულნი, წმინდა შინაგანი ცხოვრებისთვის განწირულს.

მაშინ, XIX საუკუნის დასაწყისში საერთო სოციალურ ცხოვრებაში ჩნდება რაღაც, რასაც შეიძლება ეწოდოს, გარკვეულწილად, სასოწარკვეთილება იმ ფაქტთან მიმართებით, რომ, როგორც არ უნდა ესწრაფოდეს ეს ადამიანური აზროვნება, როგორც არ უნდა ცდილობდეს, შეაგროვოს ყოველივე ის, რაც ადამიანურ შინაგანში შეიძლება ამ გამომგონებლობიდან აზრებში გადაიტანონ, ამგვარი მეთოდით მა-

ინც არ მიიღწევა შესაძლო სოციალური ორგანიზმის ჭკრეტა. აქ მიეახლებიან იმას, რაც, არსებითად, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ამ მოაზროვნეებზე, ცხადია, არა საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების წარმომადგენლებზე, არამედ იმათზე, რომლებიც აფასებენ საფრანგეთის რევოლუციის აბსტრაქტულ მოთხოვნილებებს, და მეტიც, სურთ, რევოლუციითა და ნაპოლეონით შერყეულ ევროპაში შექმნან რაღაც სოციალური წესრიგი, რაღაც მტკიცე. ამ ადამიანებში გამოძახილს პოულობს სული, რომელიც *დე მეესტრიზი** (De Maistre) მსგავსად, მიუთითებს ყველაზე ადრეული ადამიანური ეპოქებისკენ, ევროპის ქრისტიანული განვითარების პირველი ასწლეულებისკენ.

დე მეესტრმა, წარმოშობით სამხრეთ რომანიის რეგიონიდან, XVIII საუკუნის ოთხმოდგაათიან წლებში უკვე გამოაქვეყნა ფრანგი ხალხისადმი საკუთარი მოწოდება, შემდეგ დაწერა თავისი მნიშვნელოვანი ნაწარმოები პაპებზე, რასაც მოჰყვა გამომხატველობითი „ღამის საათები სანკტ-პეტერბურგში“. მე ვიტყვდი დე მეესტრი წარმოდგენს ევროპული რეაქციის ყველაზე უნივერსალურ სულს XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ის გამჭრიახი მოაზროვნეა, გენიალური ტვინი – ეს დე მეესტრი. ამით მან მოსმენის მსურველებს მიუთითა ქაოსზე, რომელიც თანდათანობით წარმოიქმნება, თუ ვერ შეძლებენ მივიდნენ აზრამდე, – ააგონ სოციალური ორგანიზმი. ამ თვალსაზრისით ის მკაცრად ამოწმებდა იმ მოაზროვნეებს, რომლებმაც მისი აზრით ახალი დრო სწორედ ქაოსამდე მიიყვანეს, მოაზროვნეებს, რომლებიც იღვწოდნენ სოციალური ქაოსისთვის, რამაც ასე მოიკიდა ფეხი ახალ დროში. მაგ., ის მწვავედ აკრიტიკებს *ლოკს** და უეჭველ, უდავო ჭეშმარიტებად წარმოაჩენს იმას, რომ სოციალური წესრიგი ვერ იარსებებს, თუ თავის მხრივ ევროპულ ცივილიზაციას, ძველი ქრისტიანულ-კათოლიკური მნიშვნელობით, არ მივაწვდით იმას, რაც იყო რელიგიური სული ევროპაში პირველ ქრისტიანულ ასწლეულებში.

როგორც ჩანს, თუ სურთ, გაუმკლავდნენ ასეთ მოვლენებს, აუცილებელია, გამოიჩინონ ცოტაოდენი ობიექტურობა, საჭიროა, საკუთარი თავი დააყენონ ისეთი პიროვნების ადგილას, როგორიცაა დე მეესტრი, როგორებიც იყვნენ და არსებობენ ჯერ კიდევ დღესაც, ისინი, რომლებიც საკუთარ თავს

აცნობიერებენ ამ სულისკვეთების თანახმად. საჭიროა, შეძლო, საკუთარი თავი დააყენო რაღაც სულის ადგილზე, რომელიც ხედავს, რამდენად შეუძლებელია, აქ წარმოიქმნას რაიმენაირი სოციოლოგია მთელი თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნებისგან, როგორ უნდა წარმოიქმნას სულ უფრო მეტად ქაოსი, თუ სოციალურ წესრიგში არ შევა სულიერი იმპულსი. ცხადია, დე მეესტრი ვერ ხედავდა მსგავს ახალ სულიერ იმპულსს, მას ვერ ხედავდა ასევე ყველა, ვინც იზიარებდა იმას, რასაც ის წერდა დამაჯერებელი სიტყვებით. მაგრამ ის მიუთითებდა უძველეს დროებზე, როცა ადამიანებს ჰქონდათ სწორედ შესაძლებლობაც და ძალაუფლებაც, წარმოექმნათ სოციალური მოწყობა. დღეს მეცნიერებით დაკავებული ადამიანებისთვის დე მეესტრის ხმა თითქმის მიწყდა. მაგრამ ის მიწყდა მხოლოდ ზედაპირზე. დღეს ვინც ხედავს, რა ხდება სინამდვილეში ჩვენი ცივილიზაციის ცხოვრების ზედაპირის ქვეშ, როგორ გამოყვეს თავიანთი საცეცები ხელახლა ტრადიციულმა რელიგიურმა საზოგადოებებმა, როგორ ისწრაფვიან ისინი იმისკენ, რომ მოახდინონ საკუთარი თავის მოდერნიზება, მან იცის, რამდენად ბევრი რამ ცხოვრობს ჟოზეფ დე მეესტრის სულიდან სწორედ იმ წრეებში, რომლებიც ცხადია, როგორც რეაქციული წრეები სულ უფრო მეტად ვრცელდება, მეტიც, თუ მათ არ შეუქმნიან საპირისპირო პოლუსს, ისინი სულ უფრო მეტად და მეტად მისცემენ ტონს ახალ დადმავალ ცივილიზაციას. თუ ობიექტურად დავაკვირდებით დე მეესტრს, შეიძლება ითქვას: არანაირი გამონათება არ არის ახალი სულისა, თუმცა ის იყო გენიალური სპეციალისტი ძველი რომაულ-კათოლიკური იდეებისა, გენიალური სპეციალისტი სოციალური ორგანიზმისა, რომელსაც საეკლესიო-ქრისტიანული იმპულსების გამოკვეთით შეეძლო მოაზროვნეებში გამოეწვია, ცხადია, ჩვენი დროისთვის არასასურველი რამ, მაგრამ თავისთავად შესაძლო სოციალური წესრიგი. ამავე დროს ჩვენ წინაშე ახალ სულიერ ცხოვრებაში დგას ერთი გასაოცარი ფაქტი.

გარკვეული თვალსაზრისით, არის ერთი ადამიანი, რომელიც ახალი სულიერი ცხოვრებისთვის კვლავ იქცა დე მეესტრის აქტიურ მოწაფედ, რომელმაც მისი იდეა ჩამოაყალიბა სრულიად სხვა აზრით. დიახ, სხვას წარმოადგენს აზროვნე-

ბის შინაარსი, აზროვნების სხვა სახე, და შეიძლება ითქვას: დე მეესტრის აზროვნების რეაქციული სახე, სამშენველის რეაქციული განწყობა აგრძელებს სიცოცხლეს, როგორც არაკანონიერი ბავშვი თანამედროვე ცივილიზაციის რაღაც სფეროში, რომელშიც მის მოძებნას არც ეცდებოდნენ. და მაინც, არა შინაარსის, არამედ აზრობრივი წყობის მიხედვით დე მეესტრის ჭეშმარიტი მოწაფეა მისი ერთ-ერთი სულიერი თაყვანისმცემელთაგანი – სოციოლოგი *აუგუსტე კომტე** (*Auguste Comte*). უშუალოდ აუგუსტე კომტეს მიიხნევენ ახალი სოციოლოგიის მამად. ერთი მხრივ, ის არის სენ-სიმონის მოწაფე, მეორე მხრივ, ის უდავოდ დე მეესტრის მოწაფეცაა. ამის დანახვა ძნელია მათთვის, ვინც აკვირდება მხოლოდ შინაარსს და არა მთელ კონფიგურაციას, აზრთა მთელ წარმართვას, მშენივიერი ცხოვრების მთელ მსვლელობას. კომტესთან ჩანს, როგორ ეყრდნობა იგი კაცობრიობის განვითარების სამ სტადიას. იგი მიუთითებს მითების წარმოქმნის უძველეს პერიოდსა და ქურუმთა ბატონობის პერიოდზე. იგი განიხილავს მათ, როგორც წარსულ დროს და, მისი აზრით, მათ შემცვლელად მოვიდა მეტაფიზიკური დრო, დრო, როცა ზეგრძნობადზე წარმოიქმნა აზრობრივი სისტემა. იმ დრომაც ასევე ჩაიარა. სენ-სიმონის აზრით აუცილებელია გადასვლა პოლიტიკური ფიზიკის რაღაც სახეზე. ფასეული შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც წარმოადგენს მეცნიერებას პოზიტიურ ფაქტებზე. ამდენად, აუცილებელია ამაღლება იმისგან, რაც წარმოადგენს ფიზიკას, ქიმიას, ფიზიოლოგიას, – ე. ი. ამაღლება განხილვის სოციოლოგიური მეთოდისკენ, რომ სწორედ მსგავსი მეთოდებით მივაღწიოთ რაღაც სახის პოლიტიკურ ფიზიკას.

ამდენად, კომტე აღწერს საკაცობრიო ერთობის სახეს, საზოგადოების სახეს, რომელშიც გაბატონებულია მხოლოდ პოზიტიური, გარეგნულ გრძნობად ფაქტებზე დაფუძნებული აზროვნების მეთოდი და რომელიც სინამდვილეში იწვევს მხოლოდ იმას, რაც მიიღება ასეთი სახის აზროვნებისგან. ცხადია, ასეთ საზოგადოებაში, ამ სოციალურ ორგანიზმში შეუძლებელია გამოვავლინოთ რელიგიური კათოლიციზმის რაიმე კვალი. მეთოდი, როგორითაც კომტე აყალიბებს და ამკვიდრებს ზეგრძნობადი ეკლესიის ადგილზე, მე ვიტყვოდი, გრძნობად ეკლესიას, როგორ აყენებს იგი, მაგ., ღმერთის

ადგილას მთელ კაცობრიობას, როგორ გამოთქვამს ის პირველად: ადამიანი მოქმედებს, მაგრამ კაცობრიობა წარმართავს მას, იგი კაცობრიობას მიჰყავს; ეს ხომ მხოლოდ გამეორებაა გამოთქმისა: ადამიანი ვარაუდობს, ხოლო ღმერთი განაგებს. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ დე მეესტრის სული, პირველადი რეაქციული, კათოლიკური სული ცხოვრობს აუგუსტე კომტეს პოზიტივისტურ სულში, ოღონდ ორიენტირებული გრძნობადზე. ამდენად, შეიძლება ითქვას: ამავე დროს კათოლიციზმი აგრძელებს ცხოვრებას ყველაფერში, რაც გადავიდა ამ სოციოლოგიაში. და მაინც, ჩვენ თუ შევხედავთ აუგუსტე კომტეს, მაშინ უნდა ვთქვათ: მასში იდეალისტური მისწრაფების თვალსაზრისით ჯერ კიდევ ცხოვრობს, მისი აზრით, ასევე ისიც, რაში შეჭრაც მას შეუძლია, თუ ის ფიქრობს მხოლოდ დროის ჭეშმარიტ სულზე, იმის არსზე, რაც სასიკეთო უნდა იყოს ადამიანისათვის სოციალურ მოწყობაში; ამ შემთხვევაში ეს შეიძლებოდა ეუწყებინათ ადამიანისთვის, რათა გადაერწმუნებინათ იგი და ამ უწყების მეშვეობით, რწმენის ამ წარმოშობის მეშვეობით მომხდარიყო, სასურველი ერთობლივი ცხოვრების წარმოქმნა. უნდა ითქვას, რომ ყველაფერში, XIX საუკუნის პირველი ნახევრის აზროვნების მთელ კონფიგურაციაში ჯერ კიდევ შეიძლება, იპოვო ნდობა ადამიანური იდეისადმი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია, დაარწმუნო საკუთარი გარემოცვა, რომ შეიძლება რაღაცა გადაიზარდოს ადამიანურ ქცევებში, ადამიანურ დაწესებულებებში, თავდაჯერებულ ადამიანთა ინტელექტის მიერ წარმართული ნებელობის წყალობით. ასეთ შემთხვევაში ეს გამოითქმება სხვადასხვანაირად. არსებითად რომ ვთქვათ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ყველა მოაზროვნე სამყაროს სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს. მართალია, განხილვის მეთოდი ნაწილობრივ დამოკიდებულია მათ ნაციონალურ პოზიციაზე, დამოკიდებულია სხვა გარემოებაზეც, მაგრამ სამყაროს ისინი ამ თვალსაზრისით განიხილავენ.

მოდით გავარკვიოთ, როგორ განიხილავენ სოციალურ წესრიგს სენ-სიმონი, აუგუსტე კომტე ან *ჟეეტლე** (*Quetelet*), როგორ მოქმედებს აქ სისტემატიზებული ცარიელი ინტელექტი, ცარიელი განცდა, რომელიც ყერდნობა მხოლოდ მათემატიკურ გამოთვლებს, რომელსაც ყოველთვის სურს, იმოქმე-

დოს სტატისტიკურად, სურს ყველაფრის მოწესრიგება და სისტემის აგება გარკვეული სინატიფით. მოდით შევხედოთ, დაახლოებით როგორ მოქმედებდა ინგლისში, ვთქვათ, *ჰერბერტ სპენსერი** – გამოჩენილი მოაზროვნე, რომელიც ცხოვრობდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ის მთლიანად ატარებდა თავის თავში ინგლისურ მშენებელ განწყობას. ის არ მოქმედებდა სისტემატიზაციის მეშვეობით, დაახლოებით იმავე სულისკვეთებით, როგორც სენ-სიმონი ან აუგუსტე კომტე, ის არ მოქმედებდა არც სტატისტიკის მეშვეობით, მაგრამ ჩანს: ის, რასაც იგი გულისხმობდა ეკონომიკურ აზროვნებაში, სამეურნეო აზროვნებაში იმასთან დაკავშირებით, რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ცალკეული ეკონომიკური პრობლემები – ეს მას ღირებულად მიაჩნდა სოციოლოგიისთვის. საბუნებისმეტყველო და ეკონომიკური აზროვნების საფუძველზე ჰერბერტ სპენსერმა მოიფიქრა ზეორგანიზმის რაღაც სახე. ეს გამოთქმა გამოიყენეს სხვებმა და არა მან. საერთოდ, XIX საუკუნეში გაჩნდა ჩვევა, რომ იმის დასაწყისში, რისი კონკრეტულად გაგებაც შეუძლებელია, დაესვათ სიტყვა „ზე“ და თქვენ ხედავთ, რომ სანამ ეს რჩება ღირიკული, როგორც მოგვიანებით *ნიცშეს** „ზეადამიანი“, ეს ცხადია, დაფასებულია; ხოლო, როცა სურთ რაღაც კონკრეტულის უბრალოდ მოცილება იმით, რომ მის წინ სვამენ ნაწილაკს „ზე“-ს, როგორც ამას არაერთხელ აკეთებდნენ, მაგალითად, როცა მოიფიქრეს სიტყვა „ზეორგანიზმი“, აქ უკვე მათი სიტყვა ბუტბუტია, გაზავებული უთავბოლო ცნებებით – და მეტი არაფერი. როგორც ითქვა, ეს ტონის მიმცემი სამშენველები ცხოვრობენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რომ სულის მეშვეობით იპოვონ სწორი მიმართულება, რაღაც სახის იდეალურობაში, მისდამი რაღაც სახის ნდობაში.

ეს შეიცვალა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ბევრი კუთხით შეიძლება განვიხილოთ, მაგ., *კარლ მარქსი**, როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტონის მიმცემი სამშენველი. ისიც თავის დარგში საკუთარ თავში აერთიანებდა ახალი დროის მეცნიერულობას და აქედან ცდილობდა, მიეცა სოციალური მიმართულება. მაგრამ სენ-სიმონთან ან აუგუსტე კომტესთან, ანდა ჰერბერტ სპენსერთან შედარებით, აქ კარლ მარქსი სხვაგვარად დგას! კარლ მარქსის მიმართება ისეთია, რომ შეიძლება ითქვას: მას, არსებითად, უკვე აღარ

სჯერა, რომ შეიძლება რაიმე შეიმეცნო, რომ ვინმეში შეიძლება გამოიწვიო რწმენა, – ხოლო ეს თუ ასეა, მაშინ ამ ახალ სამყაროში მომხდარიც შეიძლება სწორედ ადამიანის მტკიცე ნების მეშვეობით მოხდეს. არა, სენ-სიმონს, აუგუსტე კომტეს, ჰერბერტ სპენსერს, ბაკლუს* (*Buckle*), ყველა იმათ, ვინც გვსურს, აქ დავასახელოთ და ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი პიროვნებები – XIX საუკუნის პირველი ნახევრის ყველა ამ სამშენიველს ჯერ კიდევ გააჩნდა ეს შინაგანი რწმენა. სამაგიეროდ, ასწლეულის მეორე ნახევრის სამშენიველებს უკვე აღარ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ის ჰქონოდათ. უბრალოდ, მარქსი ამ მხრივ ყველაზე რადიკალურია; დანარჩენთანაც იგივეა; არც ერთ მათგანს სულისადმი რწმენა უკვე აღარ აქვს.

რას აკეთებს კარლ მარქსი? ის არ მოქმედებს ცნობიერებით, რომ შეიძლება რაღაც ასწავლო ან გამოიწვიო რწმენა. არა, ის ამბობს: არსებობს პროლეტარიატის უზარმაზარი მასა, მას აქვს ის ინსტინქტები, რომლებიც ვლინდება სრული სისავსით, როგორც კლასობრივი ინსტინქტები. თუ მე მოვუწოდებ და შევძლებ მათ ორგანიზებას, თუკი ვეტყვი, რა გამოიხატება ამ კლასობრივ ინსტინქტებში, მაშინ შევძლებ მათთან რაღაც ჩანაფიქრის განხორციელებას და მათ წარმართვას ისე, რომ დადგება ახალი დრო. შეიძლება ითქვას, რომ სენ-სიმონი და კომტე მოქმედებდნენ, როგორც ახალ დროში გადაყვანილი მღვდლები, რომლებსაც ყოველ შემთხვევაში, სჯეროდათ, რომ ადამიანურ გულებს შეიძლება ჩაუნერგო რწმენა; მათ შეეძლოთ ამის გაკეთება XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მარქსი მოქმედებდა, როგორც სტრატეგი, როგორც მხედართმთავარი, რომელიც არ ეყრდნობა რწმენას, არამედ ახდენს მასების ორგანიზებას. სულერთია, წვრთნი თუ არა ჯარისკაცებს, შემდეგ კი წვრთნის დახმარებით ახდენ მასების ორგანიზებას, რომ მათთან ერთად წახვიდე ომში, თუ იმედი გაქვს უკვე არსებული ინსტინქტების, კლასობრივი ინსტინქტების და საომრად მიგყავს ისინი. შეიძლება ითქვას: მღვდლის ხელწერა აგრძელებს ცხოვრებას ისეთ ადამიანებში, როგორიცაა სენ-სიმონი და აუგუსტე კომტე, – თვით ჰერბერტ სპენსერშიც და მათ მსგავს სამშენიველებში; ისეთ სამშენიველებში, როგორიცაა კარლ მარქსი, ბატონობს სამხედრო ხელწერა, სტრატეგიული სწავლების სული, რო-

მელსაც უკვე არ სწამს ის, რომ რაიმე შეიძლება იპოვო და გამოხატო ისე, რომ ამან დაარწმუნოს სხვები და რწმენის სახელით აქედან წარმოიქმნას ის, რაც იმოქმედებს კიდევ ახლა. მაგრამ მოქმედებს სული, რომელიც ამბობს: მე ვიღებ მათ, ვისი ორგანიზებაც შემიძლია; მე ვიღებ მათ ისეთს, როგორებიც ისინი არიან, ვინაიდან არ შემიძლია ადამიანთა დარწმუნება. მე მოვახდენ კლასობრივი ინსტინქტების ორგანიზებას, ხოლო შემდეგ წარმოიქმნება ის, რაც უნდა იყოს. აუცილებელია, მხოლოდ ვიგრძნოთ, რაოდენ რადიკალურია ეს გარდატეხა. ის კი, ვინც აკვირდება XIX საუკუნის მსვლელობისას სამშვინველებისთვის ტონის მიმცემ ამ გარდატეხას, იგი ყველგან იგრძნობს, რომ ეს რადიკალური გარდატეხა, შეიძლება ითქვას, ხორციელდება შედარებით სწრაფად. გარდა ამისა, ის ხორციელდება სხვა სფეროში.

აზროვნების საბუნებისმეტყველო მეცნიერული სახე ჩნდება ახალი დროის მსვლელობის დროს, XIX საუკუნის პირველ ნახევარში. განსაკუთრებით საჭიროა დავაკვირდეთ *ფიბტეს**, *შელინგს** და *ჰეგელს**. აქ ჯერ კიდევ ჰქონდათ სულის ნდობა; სჯეროდათ, რომ სულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ბუნების მეშვეობით დაინახო რაღაც, რისი გადაწყვეტაც საჭიროა ბუნების მეშვეობით. როგორც ახალ დროში აზროვნების სოციალური სახის სფეროში შეწყდა ნდობა სამშვინველებისადმი, რომლებმაც ის შექმნეს, ზუსტად ასე მოხდა ეს გარეგნულ შემეცნებასთან დაკავშირებით. ახლა ეყრდნობოდნენ მხოლოდ დაკვირვებასა და ექსპერიმენტს. შემოქმედი სული უკვე ყოველად უუნაროდ მიიჩნეოდა. ის, რაზეც თანხმდებიან, არის დაკვირვება და ექსპერიმენტი. შემოქმედ სულს კი მიეწერება უნარი, დაარეგისტრიროს ის, რას ამბობს დაკვირვება და ექსპერიმენტი. თუ დღეს სწორედ ამ თვალსაზრისით გსურს, გაიგო სოციალური ცხოვრება, მაშინ ადამიანურ განვითარებასთან დაკავშირებით იყენებ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ დაკვირვებას, კერძოდ დარვინიზმს. აზროვნების ამ მეთოდისთვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში ავტორიტეტებს წარმოადგენენ *ბენჯამენ კილი**, *ჰეკსლი**, *რასელი**, *ჟოლეხი** და ა.შ. აქ ჩვენ ყველგან ვპოულობთ სულის გაფიზიკურებას (die Verphysischung), სულის საყრდენს რაღაც გარეგნულზე სოციალურის პრაქტიკულ ცხოვრებაში, ისევე, როგორც შემეცნების ცხოვრებაში.

საოცარი რამ მოხდის ამ XIX საუკუნეს, როცა თავად ადამიანური სული თანდათანობით ადრევე იყალიბებს თავისთვის რაღაც სახის შინაგან აგნოსტიციზმს, როცა თავად კარგავს საკუთარი თავის ნდობას. ამ კუთხითაც XIX საუკუნის შუა პერიოდში ხდება რადიკალური გარდატეხა. ვისაც სურს, დააკვირდეს, როგორ ვითარდებოდა ეს განწყობები, რომლებიც მე მოვიყვანე, – ხოლო იმისთვის, ვინც ამ კავშირების განხილვას ესწრაფვის ისტორიულად, ეს განწყობები გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სულიერი ცხოვრების შინაარსი, – ის ფაქტობრივად დაინახავს რაღაც სახეს იმისა, რისი ფორმირებაც მოხდა შემდგომში XIX საუკუნის მიერ, მაგრამ მომდინარეობს XVIII საუკუნეში უკვე არსებულიდან. შეიძლება კიდევ უფრო შორს წავიდეთ უკან XVIII საუკუნეში, შემდეგ კი კიდევ უფრო შორს – XVI-XV სს. მართალია, აქ ჯერ კიდევ არ ეჯახები იმას, რაც შემდეგ XIX ს. მიანიშნებდა ახალი სოციალური წესრიგის აღქმაზე, მაგრამ აღმოაჩენ, რომ შეუძლებელია სოციალური წესრიგის დაუფლება, ამიტომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამას მთლიანად განუდგები. და მაინც, გესმის, რომ XIX საუკუნეში მომხდარი, ეს გარდატეხა XIX საუკუნის შუაში უკვე XV საუკუნეიდან ნელა ვითარდებოდა. თუ განიხილავ სულიერ ცხოვრებას უკუმიმართულებით თვით XV საუკუნემდე, მაშინ მაინც შესაძლებელია ეს იგრძნო ცნებებში, რომლებთან ერთადაც შეგიძლია იარო, როგორც ადამიანმა XIX ან XX სს..

ეს შესაძლებლობა ქრება, როგორც კი მიუბრუნდები XV საუკუნეს, შორს დარჩენილი შუა საუკუნეების შემდეგ. მე აქაც შემიძლია, მოვიყვანო უამრავი ცალკეული ცნება და წარმოდგენა, რომლებიც თქვენ გაჩვენებთ, რამდენად სხვაგვარად იყო ეს იმ დროებში ადამიანის სამშვიინველის მთელ წყობასთან. მე მსურს, შევჩერდე მხოლოდ ერთზე. დღეს, ვისაც სურს, გულწრფელად გაიგოს, ვთქვათ, XV საუკუნემდე დაწერილი ერთი თხზულება, რომელიც ეძღვნება ბუნების აღწერას, მან საკუთარი სამშვიინველი სულ სხვა განწყობაში უნდა მოიყვანოს, ვიდრე უფრო გვიანდელი პერიოდის, კერძოდ XVIII ან XIX საუკუნეების რაიმე ნაწარმოების კითხვისას. როცა ვკითხულობთ ბუნებაზე ასეთ ნაწარმოებებში, თვით ისეთებშიც, რომლებიც უფრო გვიან არის დაწერილი, მაგრამ მათი მიბაძვით და აზრთა ისეთივე სახით, ისეთივე

შემეცნებითი რწმენით, როგორც ის იყო XV საუკუნემდე, ყველგან ვპოულობთ, რომ აქ ბუნების განხილვისას ჯერ კიდევ ცოცხლობს რაღაც, რაზეც შეიძლება ითქვას: როცა შენ ახორციელებ ამა თუ იმ ექსპერიმენტს, როცა ეძლევი ბუნების სხვადასხვაგვარ გააზრებას, მაშინ ერთდროულად უნდა შექმნა შენში ახრთა განსაზღვრული შინაგანი სახე. მაგ., შენ არ შეგიძლია გარკვეული ქმედებების განხორციელება მინერალებთან, რომელმაც შეიძლება მიგიყვანოს ერთთან ან მეორესთან, თუ არ განისმჯვალე რაღაც განწყობით, რომელიც სასიამოვნოა გარკვეული ღვთაებრივი სულებისთვის. განსაზღვრული ბუნებრივი ქმედებები შენ უნდა განახორციელო განსაზღვრული მორალური განწყობით.

ჩვენს დროში წარმოიდგინეთ, რომ ვინმემ, ვინც ქიმიური რეაქციები უნდა ჩაატაროს ლაბორატორიაში, მოისურვოს საკუთარ სამშეინველში შეიქმნას რაიმე რელიგიური, მორალური განწყობა! თავისთავად ცხადია, რომ ასეთ განცხადებას სასაცილოდ აიგდებენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ იმ დროებში, XV საუკუნემდე, ასეთი მოთხოვნები მართლაც იღვა მათ წინაშე, ვინც დაკავებული იყო ბუნების პროცესებით და რაც უფრო შორს მივიდვართ წარსულში, ეს მით უფრო მეტი იყო. სწორედ ისეთ სამშეინველს, როგორცაა დე მეესტრი, სურდა, კვლავ გაეცოცხლებინა რაღაც, რაც, არსებითად, ახალ დროში სრულებითაც არ იყო ცოცხალი. მას სურდა, ცოცხალი ადამიანური გაგებისთვის გამოეწვია მკაფიო განსხვავება ცოდვისა და დანაშაულის ცნებებს შორის. დე მეესტრი ამბობდა, რომ მისი დროის ადამიანებს, – ის გულისხმობდა XIX საუკუნის დასაწყისს, – უკვე აღარ ესმით განსხვავება ცოდვასა და დანაშაულს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ეს მათთვის თანდათანობით ერთიანი გახდა. სწორი ცნებები, განსაკუთრებით პირველყოფილ ცოდვაზე ადამიანებს უკვე აღარ ჰქონდათ.

ამდენად, მე მსურს, თქვენ მოგცეთ პირველი ცოდვის ცნება, როგორც მას შეიგრძნობდნენ ადამიანები XV საუკუნემდე. თქვენ ხედავთ, რომ ჩვენს დღევანდელ მსოფლმხედველობაში საერთოდ არ არსებობს საფუძველი ასეთი ცნებების აქტიურად განვითარებისათვის. თუმცა სულიერი ცხოვრების ისტორიული განხილვისთვის მათი განვითარება მართლაც აუცილებელია. თუ აუცილებელია ასეთი ცნების განვითარე-

ბა, მაშინ დღეს, ცხადია, მსგავსი კვლევის საფუძველში უნდა იდოს თავდაპირველი ცნებები. თავდაპირველის ქვეშ მე ვგულისხმობ იმას, როგორ შეუძლია მსგავსი უძველესი ცნებების წარმოჩენა თანამედროვე სულიერ კვლევას. უძველესი წარმოდგენების წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმის წყალობით, რომ სრულიად დამოუკიდებლად კვლავ მიდიხარ მსგავს მოვლენებამდე. თუ მას ამის გარეშე წაიკითხავ, მაშინ წაიკითხავ მხოლოდ სიტყვებს და თუკი ხარ უსინდისო სიტყვებთან მიმართებაში, მაშინ გჯერა, რომ შეგიძლია სიტყვების შეერთება ახრთან. იმ დროში, XV საუკუნემდე, ცხადია, განათლებულ წრეებში არ სჯეროდათ იმისა, რასაც დღეს თეოლოგია სხვადასხვა დოგმის თანახმად განსაზღვრავს, როგორც პირველად ცოდვას. თავის მხრივ ის, რასაც მაშინ ამბობდნენ, დღეს შესაძლებელია, როგორც ითქვას, სრული სიცხადით გამოვლინდეს მხოლოდ სულისმეცნიერულად. შეიძლება ითქვას დაახლოებით შემდეგი: თავისი დაბადებიდან, ანუ თავისი პირველი ამოსუნთქვიდან დაწყებული ადამიანი სიკვდილამდე განიცდის გარკვეულ შინაგან ორგანულ პროცესებს საკუთარი შინაგანი ცხოვრების წყალობით. ეს შინაგანი ორგანული პროცესები განსხვავდება იმათგან, რაც ხორციელდება ადამიანის გარეთა ბუნებაში. მხოლოდ დღევანდელი საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცრურწმენა გულისხმობს, რომ ყოველივე ის, რაც მოქმედებს ადამიანში, შეიძლება გამოვლინდეს ცხოველურშიც. ეს არის ცრურწმენა, ვინაიდან, ცხოველური ორგანიზმის შინაგანი კანონზომიერებები, არსებითად, მაინც განსხვავდება ადამიანის შიგნით მიმდინარე კანონზომიერებებისგან. ამდენად, ადამიანს შეუძლია შეხედოს იმას, როგორ ახორციელებს მისი ორგანიზმი დაბადებიდან გარდაცვალებამდე კანონზომიერად შინაგან ძალებს. შეიძლება ითქვას, თავისი საკუთარი კანონზომიერებიდან იგი ვერაფერს იპოვის გარეგნულ ბუნებაში თუ ნამდვილად შეიმეცნებს იმას, რა მოქმედებს აქ მასში კანონზომიერად. მაგრამ ამ გარეგნულ ბუნებაში იგი პოულობს რაღაცას, რაც გარკვეული სახით შეესაბამება იმ კანონზომიერებას, რომელიც ადამიანთან ხორციელდება ჩასახვასა და დაბადებას შორის, შესაბამისად ემბრიონული განვითარების დროს. ადამიანი, თავისი პროცესებით დაბადებასა და სიკვდილს შორის, შეუძლებელია გაიგოთ მხოლოდ იმით, რისი

სწავლებაც შესაძლებელია გარეგნულ ბუნებაში, მაგრამ გარეგნული ბუნებიდან აღებულს თუ სწორად გამოვიყენებთ, შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით გავიგოთ ის, რაც ხორციელდება ადამიანის განვითარების ემბრიონულ პერიოდში. დღეს არ არსებობს მსგავსი იდეის განსაკუთრებული ათვისების უნარი, მაგრამ მე შემიძლია, თქვენი გაგების უნარი მივმართო იქითკენ, რომ ახალი სულისმეცნიერებიდან გამოვძინარე, როგორ მივუბრუნდეთ ადრინდელი ეპოქების ცნებებს. დღევანდელი ადამიანი თავის თავს ამას არ ეუბნება, მაგრამ XV საუკუნემდელი ბუნებისმეტყველი თავის თავს ეუბნებოდა, თუმცა სწორედ არა როგორც გარეგნულად შემგრძნები ადამიანი და არა ნათელი ცნობიერებით, არამედ გამოვძინარე ბნელი გრძნობიდან: გარეგნული ბუნების განხილვისას მე შემიძლია საკუთარ თავს, როგორც ადამიანს, მივაწერო გარეგნული ბუნების კანონზომიერება მხოლოდ მაშინ, როცა ვაკვირდები იმას, რა ხდებოდა ჩემს ფიზიკურ სხეულში ჩემს დაბადებამდე. ადამიანის განვითარებისას მის შინაგანში ძვეს ის, რაც გარეგნულ ბუნებასთან ღიად ძვეს მზამზარეული სახით. ადამიანს არ შეუძლია განვითარება წმინდა ბუნებრივად, როცა გახსნილია მხოლოდ დღისთვის. ის გახდებოდა ბოროტი არსება, თუ განვითარდებოდა ისე, როგორც ვითარდება მცენარე თავისი ყვავილებით აშკარად, გარეთ სივრცეში.

ასე შეიგრძნობდნენ დროის უძველეს პერიოდებში. შესაბამისად ადამიანი ხდება ცოდვილი, თუ ის დაექვემდებარება იმ ძალებს, რომლებიც დედის სხეულში ხელს უწყობენ მის განვითარებას, ვინაიდან ისინი მოქმედებენ ისე, როგორც მოქმედებს ადამიანურსგარეთა ბუნება. ადამიანურსგარეთა ეს ბუნება მთლიანად გამართლებულია, როგორც ბუნება. მაგრამ დაბადების შემდეგ თუ ადამიანი ჯერ კიდევ ექვემდებარება ამას, თუკი იგი არ აღიზრდება იმისთვის, რომ ჩაერთოს ზეგრძნობად კანონზომიერებაში, მაშინ ის ცოდვილი ხდება. ამას მიჰყავს თანდაყოლილი ცოდვის ცნებამდე, ამას მიჰყავს მოთხოვნილებისკენ, მორალურ მსოფლწესრიგშიც ასევე ჩართოს ბუნებრივი. განსაზღვრული სახით წარმოიქმნება ის, რაც ხდება ჯერ კიდევ ბუნებრივად და უერთდება მორალურ წესრიგს, სწორედ ასე მიდიხარ ისეთ ცნებამდე, როგორიცაა თანდაყოლილი ცოდვის ცნება, რომელიც ჯერ

კიდევ XV საუკუნემდე მთლიანად საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ცნებას წარმოადგენდა. დე მეესტრს სურს, კვლავ შემოიტანოს თანდაყოლილი ცოდვის ეს ცნება. მას სურს, ბუნებისმეტყველება კვლავ დააკავშიროს ზნეობასთან, მორალთან. მაინც რისი წყალობით შეიძლებოდა თანდაყოლილი ცოდვის ამ ცნების გადარჩენა XIX საუკუნეში? მხოლოდ იმის წყალობით, რომ რელიგიამ თავისი თავი გამოიჭნა მეცნიერული შემეცნებისგან კიდევ უფრო მკაცრი აზრით, ვიდრე ეს ხდებოდა ადრე. სულ უფრო მეტად ჩნდება რწმენისა და შემეცნების ერთმანეთისგან რაღაც დაყოფის აქცენტი. ჩვენ თუ მივუბრუნდებით ძველ დროებს, მაშინ რწმენისა და ცოდნის ამ დაყოფას საერთოდ არ ჰქონდა აზრი. ის სულ უფრო მეტად და მეტად ვლინდება ახალ დროში, ცხადია, რამდენიმე ასწლეულით ადრე XV საუკუნემდე. და მაინც, რა წარმოიქმნება XIX საუკუნეში წარმოდგენების ამ განსაკუთრებულ სამყაროსთან მიმართებაში? ჩვენ ვხედავთ, რომ რელიგია სულ უფრო მტკიცედ ამბობს: მეცნიერებას მოსწონს, იაროს სიზუსტისკენ, მას მოსწონს, უბიძგოს იმისკენ, როგორაა ის დაკავებული თავისი მეთოდებით, მაგრამ ჩვენ, ვინც იცავს რელიგიას, სრულებითაც არ ვითხოვთ უფლებას ამ მეთოდებზე. ჩვენ ვიტოვებთ გარანტირებულ სფეროს, რომელშიც გვინდა, გაგვაჩნდეს არა მეცნიერული შემეცნება, არამედ მხოლოდ რწმენა, მხოლოდ სუბიექტური მრწამსი. მეცნიერებას განსაზღვრულად უტოვებენ მეცნიერულ ცოდნას, ხოლო თავისთვის უზრუნველყოფენ რწმენის სფეროს, რამდენადაც გახდნენ ძალზე უსუსურნი, რომ ისინი შეაერთონ. ამდენად, ცნებები, რომლებიც მორალურსა და ბუნების კანონს ერთიანობაში კრავს, როგორიცაა მაგალითად, თანდაყოლილი ცოდვის ცნება, თანდათანობით კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. როგორც დე მეესტრი აღნიშნავს, თანამედროვე ადამიანისთვის, არსებითად, აზრი აქვს მხოლოდ დანაშაულის ცნებას და არა ცოდვის ცნებას, ვინაიდან ცოდვის ცნებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ შესაძლებელია ბუნების კანონზომიერებისა და მორალურის ურთიერთქმედებაზე ყურადღებით დაკვირვება. ასე ჩვენ ნამდვილად მივდივართ სრულიად სხვა ცნებებამდე, როცა ვბრუნდებით უკან XV ასწლეულის იქით.

შემდეგ, ასევე არსებობს ხანგრძლივი პერიოდი, – მას ჩვეულებრივ განიხილავენ როგორც ბნელ, შავბნელ შუა საუკუნეებს, – რომელშიც არ არსებობს ნამდვილი სულიერი პროგრესი, ისეთივე სახით, როგორიც – შემდგომში XV საუკუნიდან. ის, რაც ვითარდება *გალილეის** დროიდან, *კოპერნიკის** დროიდან, რაც ხდება მას შემდეგ კაცობრიობისთვის და აგრძელებს განვითარებას თვით XIX საუკუნის უდიდეს მიღწევებამდე, ამას განიხილავენ ისე, რომ დედუცირებენ (*deduziert*) მომავალ პროგრესს, როცა ამბობენ: ადამიანები წავლენ სულ უფრო შორს და შორს. თუ შენ დაბრუნდები წარსულში XV საუკუნემდე, მაშინ პროგრესის ამ ცნებას უკვე უბრალოდ შეუძლებელია რაიმე მოუხერხო. აქ საჭიროა მიბრუნება ასწლეულიდან ასწლეულისკენ, თუმცა მაინც აღმოაჩენ, რომ დროის მსვლელობისას ყველგან ვერ პოულობ იგივე სულს, რომ ის იცვლება და ამას ხვალ უფრო ზუსტად დავახასიათებთ, როცა შევისწავლით XII, XI, X, IX, VIII, VII და VI საუკუნეების განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებს. აქ ჩვენ ვხედავთ, თანდათანობით როგორ ვრცელდება ქრისტიანული სწავლება; მაგრამ ვერ აღმოაჩენ რაღაც პროგრესს იგივე თვალსაზრისით, როგორც ის იწყება XV ს. შუა პერიოდიდან და შემდგომში, როცა XIX საუკუნიდან გრძელდება რადიკალური გარდატეხა, რადიკალური შემობრუნება. ამის მოუხედავად, თუ შეხედავ იმ, მე ვიტყვოდი, უფრო უძრავ მდგომარეობებს, მიხვალ უმნიშვნელოვანეს მომენტამდე ევროპულ განვითარებაში. მიხვალ ქრისტეს შემდგომ IV ს-მდე. ამასთან, გექმნება შეგრძნება: განუწყვეტელი დაკვირვების წყალობით შეიძლება, შეამჩნიო, რა იწყება დაახლოებით XV ს. შუა პერიოდიდან *ნიკოლაუს კუზანელით**, შემდეგ რა ვლინდება აზროვნების გალილეი-კოპერნიკისეულ სახეში, ნაბიჯ-ნაბიჯ რა მიდის წინ რადიკალური შემობრუნებისკენ XIX ს.; თუმცა შეუძლებელია, იმავე მეთოდით განიხილო უფრო ადრინდელი ასწლეულები, რომლებშიც მიდისარ სტაციონარული დინებისკენ. ხვალ ამას განვიხილავთ დეტალურად, თუ, როგორც ამბობენ, უფრო მეტად ჩავეფლობით ეზოთერულში.

მაგრამ ეს მოულოდნელად მთლიანად იცვლება როცა ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეში ვბრუნდებით. აქ კვლავ აღმოვაჩინთ უჩვეულოდ ძირეულ ცვლილებას ევროპულ განვი-

თარებაში და ჩვენ გაცილებით უფრო მეტად შევაფასებთ ამ ცვლილებების მნიშვნელობას, თუ დავინახავთ, რომ ის, რაც გარდატეხის შემდეგ XV საუკუნეში ჩვენ წინ წარმოდგება, როგორც აღორძინების ეპოქა, როგორც რეფორმაცია, წარმოადგენს რაღაც სახის მიბრუნებას იმ დროებისკენ, რომლებშიც ჩვენ შევეყვართ, როცა გავივლით განვითარების სტაციონარულ მდგომარეობებს და აღმოვჩნდებით ქრისტეს შემდგომ IV ასწლეულში. ქრისტეს შემდგომ ამ IV საუკუნესთან მიმართებით დღეს ეზოთერულად შევხედავთ მხოლოდ გარეგნულ ფაქტებს. იმიტომ, რომ ის წარმოადგენს გადამწყვეტ ასწლეულს რომის უძველესი იმპერიის თანდათანობით დაცემისთვის. ჩვენ ასევე ვხედავთ, რომ ქრისტეს შემდგომ ამ IV საუკუნეში ქრისტიანობა ისე ფართოდ გავრცელდა, რომ *კონსტანტინე** იძულებული გახდა ქრისტიანებისთვის გამოეცხადებინა რელიგიური თავისუფლება, ამრიგად, ქრისტიანობა თანაბარუფლებიანი გახდა ძველ წარმართულ რელიგიებთან. ჩვენ იმასაც ვჭკვრეტ, როგორი მცდელობა იყო, კიდევ ერთხელ ჩაენერგათ ევროპული და საერთოდ ცივილიზებული კაცობრიობისთვის ის, რაც წარმოიშვა უძველესი წარმართობისგან, როგორც მსოფლმხედველობა და ცხოვრების აღქმა *იულიანე აპოსტატი** მეშვეობით, რომლის სიკვდილითაც 363 წელს დაეცა პიროვნება, რომელსაც სურდა, კიდევ ერთხელ მთელი ძალით შეეტანა ევროპული ცივილიზაციის ცხოვრებაში ის, რაც ბატონობდა ასწლეულების განმავლობაში, რამაც შემდეგ მიიღო ქრისტიანობა, თუმცა ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეში უკვე თავისი დაღუპვის წინ იდგა. ვხედავთ აგრეთვე, როგორ მოქმედებდნენ ის ძალები, რომლებმაც შემდგომ რომის იმპერიის ადგილი დაიკავეს, როგორ მოდის ევროპა მოძრაობაში და მოძრაობაში მოდიან გოთები, ვანდალები და ლანგობარდები, ან IV საუკუნეში როგორ იწყება ადრიანოპოლიდან სხვადასხვა ბრძოლა, რომლის წყალობითაც გოთები იჭრებიან ჯერ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, შემდეგ კი ისინი მიემართებიან უფრო შორს, ისევე, როგორც ე. წ. ბარბაროსების სისხლში მცხოვრები გამოდის იმის წინააღმდეგ, რაც არსებობს სამხრეთ ევროპის ძველ, გაქრობის წინაშე მყოფ კულტურაში. იმ დროში, რომელზეც ჩვენ აქ ვსაუბრობთ, ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეში, გასაოცარი რამ ცოცხლობდა, ეს იყო კულტურის ზედა ფენა, ის ზედა

ფენა, რომელსაც საბერძნეთში სწამდა ბერძნული ღმერთების, რის შემდეგაც განავითარა ბერძნული მსოფლმხედველობა; შემდეგ კი ისიც თანდათანობით გაქრა, როგორც განმსახვრელი ფაქტორი. ხოლო ის, რაც რჩება მისგან აზრობრივ კონფიგურაციებში, ამის გადატანა ხდება რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაზე, რომელიც თავის გარეგნულ დაწესებულებებში ასევე აღიქვამს რომის იმპერიის კონსტიტუციას. ჩვენთვის ნათელი ხდება, როგორ გადადის საერთო სულიერი მმართველობა მღვდლების ძალაუფლებაში, გარკვეული თვალსაზრისით, როგორ სრულდება ყოველივე ის, რაც იყო საერთო სულიერება. მხოლოდ რენესანსის წყალობით მოხდა მისი ხელახლა წამოწევა. ეს ასევე გვიანდელ დროშიც ჯერ კიდევ მოქმედებს იმდენად, რომ გოეთე, მას შემდეგ, რაც მან გაიარა თავისი ახალგაზრდული ფორმირება და შექმნა პირველი ნაწარმოებები, როგორც ცნობილია, ძალზე წუხდა იმაზე, რაც იყო ძველი ევროპული, აზიური ცივილიზაცია.

და მაინც, არსებითად, რა დარჩა ამისგან სახეზე? დაიშალა თვით ფულადი მეურნეობაც, ამასთან ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეში, დაცემა იმდენად ძლიერი იყო, რომ განვითარება ქალაქების ფორმირების დროს, არსებითად, შეწყდა. თუ რჩებოდა სოფლის ელემენტი, რომლითაც დასახლებული იყო ვრცელი ტერიტორიები (მსხვილი მიწათმფლობელი ელემენტით), მაშინ სამხრეთ ევროპული მოსახლეობის ეს დარჩენილი სოფლის ელემენტი ერწყმოდა იმას, რაც იქ იჭრებოდა ჩრდილოეთის ხალხებისგან.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, თანდათანობით როგორ იხრწნება ის, რაც უძველესი აღმოსავლეთიდან გადადიოდა სულიერ ცხოვრებაში, რაც გარკვეული სახით გარდაიქმნა ბერძნულ წარმონაქმნში, რომაულ წარმონაქმნში და რაც ახლა მაინც ნელ-ნელა ქრება ისე, რომ ესეც, შეიძლება ითქვას, კვდება. რჩება მხოლოდ ის მოსახლეობა, რომელიც არ მონაწილეობდა ამ წარმოქმნაში, სოფლის და მიწათმფლობელი მოსახლეობა და მათთან შერწყმული ის მოსახლეობა, რომელიც ახლა შედის რომაულ-ბერძნულ სფეროში ე. წ. ხალხთა დიდი გადასახლების წყალობით. ევროპის ამ სამყაროს შიგნით, – მე ვიყენებ რამდენადმე რადიკალურ გამოთქმას, – ჩვენ ვხედავთ, შემდგომ ასწლეულებში გარკვეული სახით როგორ ავრცელებს მღვდლების რომაული სამყარო ქრისტიანობას

მხოლოდ გლეხებით დასახლებულ მოსახლეობაში. აქ აშკარად ჩანს, როგორ არ შეუძლია მღვდლის ამ წოდებას თავიდან რაიმე მოუხერხოს წინააღმდეგობის ამგვარ ბერძნულ ელემენტს, რომელიც ნელ-ნელა ქრება, ვინაიდან თავის თავში არ ატარებს შემდგომ შესაძლებლობებს მომავლისთვის. ვინც განათლებულები იყვნენ, ამოწყდნენ. მეშხანური მოსახლეობა უკანა პლანზე გადადის. ძველი ერთობის, თემის ადგილას შემოდის ნატურალური მეურნეობა, ე. ი. იცვლება გერმანელი ბარბაროსი ხალხების მიერ აქ შემოტანილი ნატურალური მეურნეობით. აშკარად ჩანს, ქრისტეს შემდგომ ამ IV საუკუნიდან თანდათანობით როგორ ვითარდება და ვრცელდება ქრისტიანული ელემენტი, თუმცა თავად ნამდვილი სულიერი ცხოვრება არ დამდგარა, მაგრამ ის, რაც სწორედ აქ IV საუკუნეში სამღვდელოების მეშვეობით გადაიტანეს ძველ სულიერ ცხოვრებაში და სახე იცვალა მათივე მეშვეობით, ეს, არსებითად რომ ვთქვათ, მათ მიერ ჩაინერგა ევროპული გლეხური მოსახლეობის ამ გაუნათლებელ ნაწილში. სისხლი მოქმედებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ჩაინერგება. ეს იყო სისხლი, რომელიც წარმოიქმნებოდა ასწლეულების გავლით ევროპელ ხალხებში, გამოადვიებდა რა სულს, რომელიც შემდეგ ამოტივტივდა XV საუკუნეში.

ამდენად, თუ გვსურს, ყურადღებით შევხედოთ დროის იმ მნიშვნელოვან მომენტს, მაშინ საჭიროა მივუბრუნდეთ სწორედ ამ IV საუკუნეს. ქრისტეს შემდგომ სწორედ ამ IV საუკუნეში აღმოვაჩინეთ ჩვენ ასეთი ავტორიტეტული პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ თავიანთ საკუთარ მშვიინვიერ განწყობაში გამოხატავდნენ იმას, რაც მაშინ, არსებითად, მოქმედებდა და ცოცხლობდა. თქვენ თუ შეადარებთ აქ მოყვანილ თარიღებს, დაინახავთ, რამდენად მნიშვნელოვანია ქრისტეს შემდგომ IV საუკუნის სწორედ ეს პერიოდი: 313 წელი – იმპერატორმა კონსტანტინემ გამოაცხადა რელიგიური თავისუფლება. 363 წელი – გარდაიცვალა იულიანე აპოსტასი და მასთან ერთად ჩაახშვეს ძველი მსოფლმხედველობის უკანასკნელი იმედი. 378 წელს გოთების შემოტევის შედეგად დაეცა ადრიანოპოლი. 400 წელი – *ავგუსტინე** წერს თავის ნაშრომს: „*konfessionen*“. ამდენად, IV საუკუნის დასრულებით ავგუსტინემ დაასკვნა, რას უნდა შეეღწია დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის შინაგან მშვიინვიერ ბრძოლებში.

მომაკვდავი ანტიკური კულტურის შიგნით ყოფნისას განიცდი იმას, რაც აქ, აღმოსავლურ მსოფლმხედველობაში ნელ-ნელა იხრწნებოდა. ავეუსტინემ ეს განიცადა იმ მსოფლმხედველობაში, რომელიც თავად, საკუთარ ახალგაზრდობაში ნდობითა და მთელი ერთგულებით აღიქვა – მანიქეველობაში. მან ეს განიცადა ნეოპლატონიზმში და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან გაიარა წარმოუდგენლად ძლიერი მშვინვიერი ბრძოლა მანიქეველობის, *მანუს** მოძღვრების მეშვეობით, ნეოპლატონიზმისა და თვით ბერძნული სკეპტიციზმის მეშვეობით, ავეუსტინემ გააღწია ქრისტიანული მსოფლმხედველობის რომაულ-კათოლიკური ხასიათისკენ. ჩვენ ვხედავთ, ეს ასე მონუმენტურად როგორ ვლინდება მის მიერ, დაახლოებით 400 წელს დაწერილ „*konfessionen*“-ში. ამდენად, ჩვენ ვხედავთ ავეუსტინეს, რომელმაც ასე ზუსტად წარმოადგინა ქრისტეს შემდგომ IV საუკუნის სული, რომელიც კი გაიზარდა მანიქეველურ წარმოდგენებში, მაგრამ მანიქეველობის გაგება შეუძლებელი გახდა უკვე იმ ეპოქაში, რომელმაც მოახდინა ძველი აღმოსავლური სიბრძნის ასე ფართოდ რომანიზაცია, ასე ფართოდ დოგმატიზაცია.

რა არის მანიქეველობის არსი? ცხადია, მანიქეველობის გაგება შეუძლებელია იმით, რაც გადმოცემული სწავლებისგან დარჩა. მანიქეველობის წვდომა აუცილებელია მის თავისებურ შინაგან არსში სულისმეცნიერული ჩახედვით. აღმოსავლური მსოფლმხედველობა უკვე დეკადანსში იყო, მაგრამ მანუს მოძღვრების მეშვეობით მას შეუერთდა კიდევ რაღაც, რაც უნდა წარმოჩენილიყო რაიმე სრულიად ნაცნობად, რაღაც მრავალმნიშვნელოვნად. ამის გაცნობიერება კი საჭიროა, ვინაიდან მანიქეველობაში ესწრაფოდნენ სულიერი და გრძნობადი სამყაროების ცოცხალი ურთიერთქმედების განცდას. ვინც მისდევდა მანუს სწავლებას, ის ჯერ კიდევ ესწრაფოდა, უშუალოდ განეხილა გრძნობადი სამყარო ისე, რომ თითოეულ გრძნობად ფაქტში, თითოეულ გრძნობად საგანში დაენახა სულიერიც, ანუ, იგი ესწრაფოდა სამყაროში ერთდროულად გამოეველინა სიბრძნე და სიკეთე, ვინაიდან მას არ სურდა, ბუნება გაემიჯნა წმინდა სულიერისგან. სული და ბუნება უნდა განეხილა, როგორც ერთი. ამას მოგვიანებით უწოდეს დუალიზმი, რამდენადაც ორივეს, სულისა და ბუნების, რომლებიც გამიჯნეს, კვლავ შეერთება ვერ შეე-

ლეს, მაშინ, როცა ადრე მათ განიხილავდნენ, როგორც ერთიანობას. აზრთა ეს წყობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ავგუსტინეზე, მაგრამ ამით საკუთარი თავის გამსჭვალვა მან უკვე ვეღარ შეძლო; დროს უკვე აღარ შეეძლო, შემეცნების იმ პროცესებიდან, რომელთაც კაცობრიობა უკვე გასცდა, მიეღწია წარმოდგენებისთვის, რომლებიც მოიპოვეს უძველესი ინსტინქტური ცნობიერების წყალობით. და მაინც, ჩვენ ავგუსტინეში ვხედავთ შინაგან ტრაგიკულ ბრძოლას. მას სურდა, ეპოვა სიბრძნე, სურდა, ეპოვა ღვთაებრივი სამყაროსეული ძალები იმაში, რაც ცხოვრობს ღრუბლებში, მთებში, მცენარეებში, ცხოველებსა და მთელს ყოფიერებაში. მაგრამ ბოლოს და ბოლოს თავი იხსნა გაქცევით ნეოპლატონურ ფილოსოფიაში, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ის კვლავინდებურად შესანიშნავი, ძლიერი და გენიალურია, უკვე აჩვენებს, რომ მას მეტად აღარ ესმის სულისა და მატერიის ეს ურთიერთქმედება და რომელიც მისტიკურ-ბუნდოვნად მაინც ცდილობს სწრაფვას ზევით აბსტრაქტულისკენ, მარტოდენ წმინდა სულიერისკენ. სულით განმსჭვალული ბუნების, სულით განმსჭვალული გარე სამყაროს გაგების შესაძლებლობისაგან თანდათანობით მოწყვეტით, იმსჭვალება რა უკვე ბუნების უგულვებელყოფით და წმინდა სულიერისადმი თავყვანისცემით ნეოპლატონიზმში, ავგუსტინე ერთი მოვლენის წყალობით, რომელიც თავის სფეროში წარმოადგენს ძალზე სიმპტომატურად მნიშვნელოვანს, მიდის ცხოვრებაში საკუთარი კათოლიკურ-ქრისტიანულ შეხედულებამდე. საჭიროა, სწორად გავიაზროთ ის, რაც აქ ხდება მსოფლიო-ისტორიულად. როგორ დგას აქ ავგუსტინე? ის დგას სამყაროში, რომელშიც ცხოვრობს მთელი ძველი ცივილიზაცია, რომელიც ამავე დროს დეკადანსშია და დეგრადირებს, ასე რომ, მას უკვე აღარ ძალუძს მასთან მიღწევა, თუმცა ის ტრაგიკულად ებრძვის უკანასკნელ ნარჩენებს, მანიქეველობას, ყველაზე ბოლოს კი ნეოპლატონიზმის ნარჩენს. მას არ ძალუძს გაღწევა, თუმცა ჯერ კიდევ არ შეუძლია ქრისტიანობის აღქმა, ვინაიდან ის დაკმაყოფილებულია იმით, რაც მას ჯერ კიდევ უნათებს ამგვარი სიბრძნიდან, თუნდაც ეს იყოს დეკადანსში. აქ მას ეძალება ღრმა ეჭვები და იგი, როგორც ცნობილი ორატორი, ნეოპლატონიკოსი, სულ უფრო ღრმად ეფლობა ეჭვებში. და მაინც, რა მოხდა?

სწორედ იმ მომენტში, როცა ის ახლოს იყო იმასთან, რომ დაეკარგა ჭეშმარიტების რწმენა, როცა ის უკვე მთლიანად იყო დაბნეული მრავალფეროვან ურთიერთგადაჯახებულ გზებზე, რომლებიც იქ IV საუკუნეში ჩამოყალიბდა დეკადანსში მყოფ ძველ კულტურაში, როცა კითხვები და ეჭვები არევედნენ მის სამშვინველს, მას მოეჩვენა, რომ მეზობელი ბაღიდან ესმა რაღაც ბავშვური ხმის მსგავსი: აიღე და წაიკითხე! აიღე და წაიკითხე! და მან ხელი მოჰკიდა ახალ აღთქმას და პავლეს წერილებს, – ბავშვის ხმის მეშვეობით კი ის მიიყვანეს რომაულ კათოლიციზმში.

ჩანს, რომ ის, რაც ცოცხლობდა აგუსტინეში, დამძიმებულია ყოველივე იმით, რაც თავისი დეგრადაციისას აღმოსავლური წარმონაქმნიდან დასავლეთში გადმოვიდა. აქ ის წარმოადგენს წარმომადგენლობით სულს. ახლა ის ხდება ტონის მიმცემი. ხოლო, რისკენაც მას მოუწოდა ბავშვის ხმამ, ეს წარმართავს მას და ამდენად, ის ხდება ტონის მიმცემი შემდგომი ასწლეულებისთვის. თავიდან ამის გარდატეხა მოხდა XV საუკუნეში და ამ გარდატეხის საბოლოო შედეგი დგება უშუალოდ მხოლოდ XIX საუკუნის შუა პერიოდში, როგორც შემობრუნება.

ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეში ჩვენი მზერა მიმართულია სწორედ ამ ერთ პიროვნებაზე, რომელიც დგას დასავლური ცივილიზაციის მთელი სირთულეებისა და სრული დეკადანსის წინაშე. ჩვენ ასევე ვუმზერთ იმას, რა არის აქ ამოსავალი წერტილი, ცხადია, რაღაცისთვის, რაც კიდევ რაღაც სხვას შეერევა და ეს შეერევა რაღაც გასაოცარს. ეს ერწყმის იმას, რაც გადმოდის აღმოსავლეთიდან, გარეგნულად ბარბაროს ხალხებთან ერთად, რომლებმაც გარკვეულწილად გადათელეს რომაული ცივილიზაცია, თავისი თავი დააყენეს რომაული ცივილიზაციის ადგილას და მას შემდეგ, რაც ისინი შეერივნენ გლეხობასა და მიწათმფლობელ მოსახლეობას, ჭკუას ასწავლიდნენ რომის სამღვდელოებას. მაგრამ საფუძვლებში კიდევ რაღაც სხვაც ცოცხლობს. ამ ხალხთა უხეშ სამშვინველებში ამოიზიდება ის, რასაც ასევე გააჩნია თავის თავში გასაოცარი სულიერი ელემენტი, ისევე, როგორც შორეული სულიერი ელემენტი. ჩვენ შევივრძნობთ და აღვიქვამთ ამ უფრო შორეულ სულიერ ელემენტს ძალზე ინტენსიური სახით, როცა ავიღებთ წიგნს, რომელიც ჩვენთვის დარ-

ჩა, როგორც უძველესი გოტიკური ძეგლი – ბიბლია, თარგმნილი *ეულფილას** მიერ. ჩვენ თუ ამით მივიღებთ შეგრძნებას, რომ ბიბლიის ამ თარგმანის სულისკვეთებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ჩვენს სამშენველზე, მაშინ გასაოცრად მოგვეჩვენება, მაგ., როგორ იგება „მამაო ჩვენო“ ნარჩენებზე, გამომდინარე მთელი იმ ქაოსიდან, რომლისთვისაც ავგუსტინე წარმოადგენს ტონის მიმცემ სულს. და „მამაო ჩვენო“ უღერს ჩვენთვის ეულფილას თარგმნილი ბიბლიიდან, რომელიც ახლა მოცულია ჩვენი ხელწერით, ასოების (Duktus) ამჟამინდელი დახრით და მთლიანად უღერს, გამომდინარე სოციალური ცხოვრების უძველესი ელემენტიდან, არიანული ქრისტიანობიდან, ავგუსტინეს ათანასიური (athanasische, უკვდავი) ქრისტიანობის საპირისპიროდ.

ამდენად, შესაძლოა ეულფილას თარგმნილი ბიბლიის ამ ხელწერაში ჩვენ შევიგრძნოთ მეტი, ვიდრე რაიმე სხვაში, თუ როგორი სული, მე ვიტყვოდი, როგორი წარმართული სული ცოცხლობს აქ, მაგრამ მაინც გამსჭვალული საკმაოდ ძლიერი ქრისტიანობით, ცხადია, არიანული ქრისტიანობით. ამასთან, ითვალისწინებ ყველა დეტალს და იხსენებ, როგორი სული ცოცხლობს ამ ჩვეულებრივ გოთში, ეულფილაში, რომელმაც თარგმნა ბიბლია. ოღონდ საჭიროა მოვლენები განიხილოთ შეგრძნებებთან ერთად. აღმოსავლეთიდან გადმოსულ ამ ბარბაროსთა მასებში, რომლებმაც შეცვალეს რომის ანტიკური წარმონაქმნი მის დაისში, უღერს კიდევ რაღაც, რაც გასაოცრად ცოცხლობს, შინაგანად ჭეშმარიტად ცოცხლობს, როგორც სულიერი ცხოვრება, როგორც გოთების სულიერი ცხოვრება, რაც ცოცხლობდა გოთების დიად სწავლებაში და თავისებური სახით ცოცხლობდა ეულფილაში, „მამაო ჩვენოს“ ლოცვაში:

Atta unsar thu in himinam, Weihnai namo thein.

Qimai thiudinassus theins.

Wairthai wilja theins, swe in himina jah ana airthai.

Hlaif unsarana thana sinteinan gif uns himma daga.

Jah aflet uns thatei skulans sijaima, swaswe jah weis afletam thaim skulam unsaraim.

Jah ni briggais uns in fraistubnjai, ak lausei uns af thamma ubilin;

Unte theina ist thiudangardi jah mahts jah wulthus in aiwins. Amen.

ამდენად, ჩვენ თუ განვიხილავთ ამას, ასეთ გასაოცარ ლოცვას ეუღფილას ენაზე და შევეცდებით მის გადათარგმნას ჩვენს დღევანდელ ენაზე, მართალია, სიტყვასიტყვით თარგმნას ვერ შევძლებთ, მაგრამ რაღაც მაინც უნდა ვთქვათ:

ჩვენ შევიგრძნობთ შენ ზევით სულიერ სიმაღლეებში,
ადამიანთა საყოველთაო მამაო.

დაე, წმინდა იყოს სახელი შენი.

დაე, ჩამოვიდეს ჩვენამდე სფერო შენი ხელმწიფებისა.

დაე, მართოს შენმა ნებამ, როგორც ცაში, ისე დედამიწაზე.

საჭიროა სწორად ვიგრძნოთ, თუ რა არის ამაში გამოხატული. ადამიანი, რომელიც ასე თარგმნის „მამაო ჩვენოს“, შეიგრძნობს რაღაც დასაბამისეულს და ის, არსებითად, შეიგრძნობს ისე, როგორც შეიგრძნობდნენ ეს წარმართები: სულიერ სიმაღლეებში ყველაფრის შემნარჩუნებელი კაცობრიობის მამა, რომელიც წარმოდგენილი ჰყავდათ ისე, როგორც იძლეოდა ამის შესაძლებლობას ძველი ნათელხილვა; არსებითად, ის წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც ხელმწიფე, უხილავი, ზეგრძნობადი ხელმწიფე, რომელიც ფლობს ისეთ ძალაუფლებას, როგორც არ გააჩნია არც ერთ მიწიერ ხელმწიფეს. მას მიმართავენ, როგორც ხელმწიფეს თავისუფალ გოთებს შორის და ამას გამოხატავენ, როცა ამბობენ: «Atta unsar thu in himinam». ახლა კი ესებიან მის სამგვარ არსს: „დაე, წმინდა იყოს სახელი შენი“. უშუალოდ ამ სახელის ქვეშ ესმოდათ, – ეს შევადართო მხოლოდ ძველ სანსკრიტულ მნიშვნელობებს, – არსობრიობა, როგორადაც ის ვლინდება, როგორადაც ის ავლენს თავს გარეთ, ისევე, როგორც ადამიანი ვლინდება საკუთარ სხეულში. ხელმწიფების ქვეშ ესმოდათ ის, რაც ძვეს ძალაუფლებაში, გარკვეული სახით ძლიერებაში, რომელსაც შეეძლო მათი სფეროს მართვა: «Weihnai namo thein. Qimai thiudinassus theins. Wairthai wilja theins, swe in himina jah ana airthai.».

ნების ქვეშ ესმოდათ სწორედ ის, რაც სულის სახით ასხივებდა ძალაუფლებასა და სახელს. აი ასე უმზერდნენ ზევით და ზეგრძნობადი სამყაროების სულისკვეთებით ხედავდნენ სამჯერ გამეფებულ სულიერებას. მას მიუბრუნდებოდნენ და შეძღვევ ამბობდნენ: «Jah ana airthai. Hlaif unsarana thana

sinteinan gif uns himma daga.» ზუსტად ასევე, დაე იყოს დედამიწაზეც, კერძოდ კი: მაინც როგორ – დაე იყოს დედამიწაზე? როგორ უნდა იყოს წმინდა შენი სახელი, ის, რისი წყალობითაც შენ გსურს საკუთარი თავის გამოვლენა გარეთ – მაშ, დაე ის, რაც იხსნება გარეთ ჩვენში, ის, რაც ყოველდღიურად უნდა აღორძინდეს ჩვენში, დაე, ეს გასხივოსნდეს. საჭიროა მხოლოდ გვესმოდეს, რა ძევს ამ უძველეს გოთურ სიტყვაში: „Hlaif“. მისგან წარმოიქმნა პური, მრგვალი პური, აგურის პური. დღეს უკვე საერთოდ ვერ გრძნობენ, როგორ იყო ეს, როცა ამბობენ: „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“, მაშინ, როცა აქ „Hlaif“ ნიშნავს: როგორც ჩვენ ვაღიარებთ სახელს შენსას სხეულად, ასევე მიეც შენც ჩვენს სხეულს იქცეს ასეთად, რომ მას შეეძლოს ყოველდღიურად იყოს კიდევ ასეთი კვების მეშვეობით, იმის მეშვეობით, რასაც ის აღიქვამს ნივთიერებათა ცვლაში.

შემდეგ კი მსგავსად იმისა, როგორც გადადიან ხელმწიფებათა სფეროსკენ, რომელიც აქ უნდა მართავდეს ზეგრძნობადი სამყაროებიდან, ასე გადადიან იმისკენ, რაც მართავს ადამიანებს სოციალური წესრიგის დროს. აქ ადამიანები ისე უპირისპირდებიან ერთმანეთს, რომ ერთმანეთის მოვალენი არ არიან. ეს სიტყვა „ვალი“ გოთებს შორის ცხოვრობს ისე, რომ ის აღნიშნავს ბრალეულობის რეალურ წარმოქმნას, როგორც მორალურ, ისე ფიზიკურ, სოციალურ ცხოვრებაში სხვა ადამიანთან მიმართებით; ის აჩვენებს მას ბრალეულობის არსებობას;

ამავე დროს, როგორც სახელიდან გადავიდნენ ხელმწიფებათა სფეროსკენ, სხეულებრივიდან გადავიდნენ სულისკენ, – ზეგრძნობადში სახელი დაახლოებით ნიშნავს სხეულებრივს, – როგორც გადავიდნენ მშვინვიერიდან ხელმწიფებათა სფეროსკენ, ასევე გადადიან გარეგნულ-გრძნობადიდან იმისკენ, რაც წარმოადგენს მშვინვიერს სოციალურ ცხოვრებაში, შემდეგ კი უშუალოდ სულიერისკენ: „და ნუ მიგვიყვან ჩვენ დაცემამდე“ – «Jah aflet uns thatei skulans sijaima, swaswe jah weis afletam thaim skulam unsaraim.», ანუ: „ნუ მოგვეცემა ჩვენ იმის საშუალებას, მივეცეთ იმას, რაც, ჩვენი სხეულიდან გამომდინარე, ჩვენს სულს მიიყვანს სიბნელემდე, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, რომელსაც ჩვენი სული მიჰყავს სიბნელემდე“:

«Jah ni briggais uns in fraistubnjai, ak lausei uns af thamma ubilin» – „გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“, რომელიც კვლავ წარმოიქმნება, როცა სულით ძალზე ძლიერად ეფლობი სხეულებრივში.

ამდენად, მეორე ნაწილში, არსებითად, ვლინდება შემდეგი: დედამიწაზე სოციალურ ცხოვრებაში უნდა იყოს ისეთი წესრიგი, როგორიც არის ზევით, ზეცაში, სულიერი სიმაღლეებში. შემდეგ კი კიდევ ერთხელ მტკიცდება: ჩვენ გვსურს, აქ დედამიწაზე ვაღიაროთ ასეთივე სულიერი წესრიგი: «Unte theina ist thiudangardi jah mahts jah wulthus in aiwins. Amen.» .

საყოველთაო მამაო, ვისი სახელიც წარმოქმნის გარეგნულ სხეულს სულისას, ვისი მეუფებაც ჩვენ გვსურს ვაღიაროთ, ვისი ნებაც უნდა სუფევდეს, შენ ასევე უნდა განმსჭვავლო მიწიერი, ასე, რომ ჩვენ ყოველდღიურად დავინახავთ საკუთარ სხეულს, დავინახავთ მას ხელახლა წარმოქმნილს გარკვეული სახით მიწიერი კვების წყალობით. რათა სოციალურ ცხოვრებაში ჩვენ არ გადავიქცეთ სხვათა მოვალეებად, რომ ჩვენ ერთმანეთის პირისპირ დავდგეთ, როგორც თანასწორი ადამიანები. რომ ჩვენ არ დავეცეთ სულიერ-სხეულებრივად, რომ მიწიერი სოციალური ცხოვრების სამგვარობა (Trinitat) ჩვენ დავაფუძნოთ ზემიწიერზე; ვინაიდან, საჭიროა ბატონობდეს ზეგრძნობადი, უნდა იყოს კეისარი და ხელმწიფე. დედამიწაზე უნდა ბატონობდეს ზეგრძნობადი და არა გრძნობადი, არა პიროვნული.

«Unte theina ist thiudangardi jah mahts jah wulthus in aiwins. Amen.», ვინაიდან არც ერთ საგანს, არც ერთ არსებას დედამიწაზე არა აქვს უფლება ბატონობაზე, მხოლოდ შენ გაქვს იგი, შენი არის უფლება მბრძანებლობის, შენი არს გამოცხადება, ვითარცა სინათლე, ვითარცა ნათება, ვითარცა ყველაფერზე გაბატონებული სოციალური სიყვარული.

ასეთი სამგვარი სახითაა გამოხატული ეს სამობა ზეგრძნობადში, როგორადაც ის უნდა შეიჭრას გრძნობად სოციალურ წესრიგში. და ბოლოს, ეს კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ემატება: დიახ, ჩვენ გვინდა ასეთი სოციალური წესრიგი, რომ აქ იყოს იმგვარი წესრიგი, როგორც არის შენთან ზევით: ვინაიდან შენ გაქვს უფლება ბატონობაზე, შენია უფლება ძალაუფლებაზე, შენია გამოცხადება: «Unte theina ist thiudangardi jah mahts jah wulthus in aiwins. Amen.».

ეს არის ის, რამაც გამოძახილი ჰპოვა გოთებთან, ესაა ის, რაც მართავდა საფუძვლებში, რაც ახლა, როცა უძველესი კულტურა მივიდა დასასრულამდე, ამოტივტივდა, როგორც რაღაც ბუნებრივი. ხოლო იმისგან, რაც ამოტივტივდა როგორც ბუნებრივი, რაც შემდეგ დაეშვა ქვემოთ, შეერწყა სოფლის ელემენტს, – ისტორია სინამდვილეში თითქმის არაფერს აფიქსირებს იმ წარმოდგენებისგან, რაც აქ ჩამოყალიბდა ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეში უძველესი ანტიკური კულტურის თანდათანობით ჩაქრობის შემდეგ, – იმას, რაც იცილებს ისტორიის მზერას თვით XV საუკუნემდე, ამისგან შემდეგ გაჩაღდა ის, რაც თავიდან ნელა, მაგრამ უკვე XIX საუკუნეში ვითარდებოდა სულ უფრო სწრაფად, ისე, რომ ამან მიიყვანა უდიდეს სულიერ გადატრიალებამდე, რომელიც დღეს დავახასიათეთ.

ასეა მოვლენები ერთმანეთთან დაკავშირებული. აუცილებელია მხოლოდ ერთი მაგალითი, როგორ შეიძლება ფაქტები, მათზე ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე, ისტორიული წიაღსვლისას მათი ერთად სწორი მიმოსილვით, მოვიყვანოთ კანონზომიერებაში, რომელიც ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს წმინდად ბუნებრივი კანონზომიერება. როგორც უკვე ითქვა, დღეს მსურდა, თქვენთვის წარმომედგინა ფაქტები, უპირველეს ყოვლისა, ეგზოთერულად; ხვალ ჩვენ განვიხილავთ შინაგან კავშირს ასევე ეზოთერულად, რომ დავინახოთ, როგორ ფორმირდება, არსებითად, ევროპული განვითარების მთელი ეს შუალედი ქრისტეს შემდგომ IV საუკუნიდან ჩვენს დრომდე და როგორ ცხოვრობს ის ჩვენში. შემდეგ დავინახავთ, როგორ შეგვიძლია მხოლოდ ასეთი გაგების მეშვეობით მივიღოთ განსჯის სრულიად საიმედო საფუძველი ჩვენი შემეცნებისთვის და მუშაობისთვის თანამედროვე პირობებში.

გუშინ მე შევეცადე, წარმომედგინა, XIX საუკუნის დაახლოებით შუა პერიოდში როგორ განხორციელდა სულიერი ცხოვრების ძირეული გარდატეხა, შემდეგ კი ვცდილობდი, მეჩვენებინა, აზროვნების და ზოგადად სულიერი ცხოვრების, რომლის დაკვირვებაც შესაძლებელი იყო XIX საუკუნეში და რომელიც განიცდიდა ამ გადატრიალებას, განსაკუთრებული კონფიგურაცია როგორ აბრუნებს სხვისკენ, ძირეული დასავლეთ-ევროპული გარდატეხისკენ, რომელიც უნდა ვეძიოთ ქრისტეს შემდეგომ IV საუკუნეში. თავიდან შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დროის შუალედები, რომლებიც ერთმანეთს ძალზე ჩამორჩება, აქ მოყვანილია ახლო კავშირში. თუმცა, სწორედ ამ განხილვამ შეიძლება, მიგვიყვანოს კაცობრიობის ისტორიის განსაზღვრულ შინაგან კავშირამდე. დღეს გავაგრძელებთ იქიდან, რაზეც ჩვენ, გარკვეული თვალსაზრისით, გუშინ შევჩერდით. გუშინ მივედით ანტიკური განათლებისა და რომის იმპერიის დაღუპვამდე და ხაზი გავუსვით იმას, რაც სწორედ იმ მომენტისთვისაა დამახასიათებელი.

ჩვენ საკუთარი სამშენველის წინაშე დავაყენეთ ორი რეპრეზენტანტული პიროვნება, რომელთაგანაც ერთი, ავგუსტინე, მთლიანად განვითარდა სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში და ის შევადარეთ სხვა პიროვნებას და სულიერ მიმდინარეობას, ვულფილას, ბიბლიის გოთ მთარგმნელს, რომლისგანაც წარმოიშვა თავად ავგუსტინე.

ავგუსტინესთან დაკავშირებით აუცილებელია გავარკვიოთ, რომ ის მთლიანად შეიღია იმ ურთიერთობების, რომლებიც განვითარდა იმ დროის სამხრეთ-დასავლეთის ევროპულ-აფრიკულ ცივილიზაციაში. ადამიანები, რომლებიც ზოგადად ისწრაფოდნენ მაღალი განათლებისკენ, მაშინ ამ განათლებას პოულობდნენ მხოლოდ იმის წყალობით, რომ მათ აცნობდნენ მსოფლმხედველობას და გარკვეული თვალსაზრისით ლიტერატურას, ხელოვნებას და მეცნიერებას, რომელიც უძველესი დროიდან, არსებითად, კაცობრიობის ზოგიერთ მაღალ ფენაში ჩამოყალიბდა. ისიც კი, რაც ჩვენთვის ცნობილია, როგორც ბერძნული განათლება, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ის ეკუთვნოდათ უმაღლესი

ფენის ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი უხეში შრომა, უხეში ფუნქციები მონებს დააკისრეს. მით უმეტეს, წარმოდგენელი ჩანდა რომაული განათლება ფართოდ გავრცელებული მონობის გარეშე. ეს განათლება სავესე იყო სიცოცხლით იმის წყალობით, რომ მისი მიძღები ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, მოკლებულნი იყვნენ იმას, რაც აზროვნების მეტოდისა და აღქმის ხასიათის სახით გაბატონდა მოსახლეობის ყველაზე ფართო მასებში. ამ მიზეზით არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს მოსახლეობის ამ ფართო წრეებში არ არსებობდა სულიერი ცხოვრება. რასაკვირველია, ის არსებობდა. მეტიც, არსებობდა ძალზე აქტიური სულიერი ცხოვრება, რომელიც სხვებთან შედარებით, უმაღლესი ფენების განათლებასთან შედარებით, გამოიყურებოდა, როგორც დედობრივი წიაღი, სულიერი ცხოვრების დედობრივი წიაღი, ჩარჩენილი განვითარების ადრინდელ საფეხურზე, მაგრამ მთლიანად, როგორც სულიერი ცხოვრება.

ჩვენს დროში ეს სულიერი ცხოვრება ისტორიულად ნაკლებად არის ცნობილი; თუმცა ის ძალიან ჰგავს იმას, რაც მაშინ ჩაინერგა ევროპის სამხრეთ მხარეებში ე. წ. ბარბაროსი ხალხების მეშვეობით, რომლებიც მიგრაციის დროს მოვიდნენ აზიელი ხალხების გადაადგილების წყალობით. აუცილებელია, შევეცადოთ რამდენადმე კონკრეტული წარმოდგენა შევიქმნათ ამ სულიერ ცხოვრებაზე. ახლა შევეცადოთ, ეს გავაკეთოთ ხალხისთვის, რომლებიც მიგრირებდნენ რომის იმპერიის შემდგომ.

ჩვენ თუ განვიხილავთ ხალხებს, რომლებიც გოთების, ვანდალების ლანგობარდების, ჰერულების (Heruler) და ა.შ. მსგავსად მოვიდნენ მიგრაციის დროს, მაშინ შეგვიძლია მათ შესახებ ვთქვათ: ხალხთა უდიდესი გადასახლების დაწყებამდე, ანუ იმ დროს, რომელიც წინ უსწრებდა ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეს, რომელიც ჩვენ მიერ აღინიშნა, როგორც მნიშვნელოვანი გარდატეხის მომენტი, ამ ადამიანებს იქ, აღმოსავლეთში, ჰქონდათ სულიერი ცხოვრება, რამაც თავის მწვერვალს მიაღწია გარკვეულ რელიგიურ შეხედულებებში, რომლებმაც განმსჭვალეს ყველაფერი და რომლებიც გავრცელდა თავის განშტოებებში, საკუთარი შეგრძნებების მიღვენებით თვით ყოველდღიურ ქმედებებამდე. მე ვსაუბრობ გარკვეულ რელიგიურ წარმოდგენაზე. ხალხთა უდიდესი გა-

დასახლების დაწყებამდე, ხალხები, რომლებიც აქ მოვიდნენ მიგრაციის დროს, იყვნენ, ცხადია, უკვე დიდი ხნის განმავლობაში მკვიდრი ბინადარნი. თავიანთი ამ ბინადრობისას, – ამის კონსტატირება შეიძლება არა მარტო სულისმეცნიერების დახმარებით, არამედ ასევე იმ თქმულებებისა და მითების გამოძახილით, რომლებიც ამ ხალხებში ცოცხლობდა, – თავიდან ისინი განიცდიდნენ სწორედ იმას, რასაც განიცდიდნენ ძალზე დიდი ხნის წინ უძველეს დროებში აღმოსავლეთის ხალხები, სამხრეთ-აღმოსავლეთის ხალხები, რომელთაგანაც შემდგომში წარმოიქმნენ ინდური და სპარსული კულტურები და ა. შ., ასევე, ცხადია, ისიც, რასაც განიცდიდნენ აგრეთვე სამხრეთ-ევროპელი და ჩრდილო აფრიკელი ხალხები გაცილებით უფრო უძველეს დროებში. ეს ხალხები იქ ცხოვრობდნენ იმით, რასაც შეიძლება, ეწოდოს რელიგია, რომელიც მკვიდროდაა დაკავშირებული მათ ყველანაირ სისხლისმიერ ურთიერთობებთან. ისინი თაყვანს სცემდნენ ოჯახურ წინაპრებს. ოღონდ მათ თაყვანისცემამდე მიდიოდნენ მრავალი წლის შემდეგ, როცა ეს წინაპრები მოკვდებოდნენ. ეს თაყვანისცემა არანაირად არ ეფუძნებოდა რაიმე აბსტრაქტულ წარმოდგენებს, არამედ იმას, რაც განიცდებოდა ინსტინქტურად ზმანებასავით, – არაა საჭირო ამ გამოთქმის მკვლარად გაგება, – ეს იყო ზმანების მსგავსი ნათელმხილველური, განსაზღვრული წარმოდგენები, რომლებიც სულ სხვაგვარად ხორციელდებოდა, ვიდრე დღეს წარმოიქმნება. დღეს, როცა გვაქვს წარმოდგენები, ჩვენი მშვენიერი ცხოვრება თამაშდება ჩვენივე სხეულებრივი კონსტიტუციისგან დამოუკიდებლად. ამასთან, უკვე ვეღარ ვგრძნობთ სხეულებრივი კონსტიტუციის ფუთფუთსა და დუდიღს. ამ ხალხებს გააჩნდათ მკაფიოდ ინტენსიური, შიგნით მიმართული შეგრძნება იმისა, რაც თამაშდებოდა მათ სხეულში, რომელშიც ბუნებრივია იქმნებოდნენ და მოქმედებდნენ სამყაროს ყველანაირი შესაძლო საიდუმლოები, რამდენადაც, არა მარტო ქიმიურ რეტორტში მოქმედებენ კანონზომიერად სამყაროს პროცესები, არამედ ზუსტად ასევე – ადამიანურ სხეულში. როგორც ქიმიკოსი ცდილობს დღეს, თავისი აბსტრაქტული განსჯის მეშვეობით შეიმეცნოს სამყაროს კანონები რეტორტში მიმდინარე კანონებიდან, ასევე ცდილობდნენ ეს ადამიანები სამყაროს საიდუმლოებში შეღწევას იმის წყალობით, რასაც

ისინი შინაგანად განიცდიდნენ თავიანთი საკუთარი ორგანიზაციის მეშვეობით, რომლის პროცესებსაც უშუალოდ შეიგრძნობდნენ. ეს იყო აბსოლუტურად შინაგანი განცდა, რომელიც ჯერ კიდევ მჭიდროდ არის დაკავშირებული სხეულებრივ, ფიზიკურ წარმოდგენებთან. ორგანიზმის შინაგანი დუდილის წყალობით გამოწვეული ამ წარმოდგენებისაგან გარეთ ვითარდებოდა ჭვრეტები, სურათები, რომელთაც ეს ადამიანები მიაკუთვნებდნენ წინაპრებს. წინაპრები გარკვეულწილად იყვნენ ისინი, რომელთა ხმებიც ასწლევულობით ჩაესმოდათ ხილვის წყალობით. წინაპრები იყვნენ მბრძანებლები ხალხებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ მცირე თემებში, სოფლის თემებში. ამ ხალხებს, როცა ისინი გადასახლდნენ ადმოსავლეთ ვეროპიდან დასავლეთში, ჯერ კიდევ ჰქონდათ წინაპრების ისეთი პატივისცემა, ისეთი ერთსულოვანი თაყვანისცემა, რომელიც ცოცხალი იყო ზმანების მსგავსი წარმოდგენების წყალობით. როცა ვუყურებთ ამ ხალხთა მასწავლებლებს, ქურუმებს, რომელთა წყალობითაც ჩვენ შეიძლება გაგვეხსნას მათი სულიერი ცხოვრების მთელი თავისებურება, მათ ვპოულობთ, უპირველეს ყოვლისა, წინ წასული სულის წყალობით და ამას ერთეულები იყვნენ დაუფლებულნი. სწორედ ისინი ხდებოდნენ ასეთი ქურუმები და მასწავლებლები, მოწოდებულნი იმისკენ, რომ განემარტათ ის, რაც ევლინებოდათ ცალკეულ ადამიანებს თავიანთი სიზმრების სურათ-ხატებში და ისინი უდავოდ ფლობდნენ დღის ღვიძილის ცნობიერებას; სწორედ ეს ქურუმები იყვნენ განმმარტებლები, ინტერპრეტატორები იმისა, რასაც ცალკეული ადამიანები განიცდიდნენ.

ამდენად, ეს ხალხები მიდიოდნენ მიგრაციაში. ამავე დროს, მოგზაურობა ამ ხალხებისთვის იყო უდიდესი სულიერი მადლი, ვინაიდან ამ გზით მიიღეს შინაგანი ნათელმხილველური სულიერი ცხოვრება, რომელსაც მათ განუმარტავდნენ თავიანთი ქურუმები. ეს ცხოვრება სლავური სამყაროს ჯერ კიდევ არსებულ ლეგენდებში აისახა, რომელიც სლავურ სამყაროში გადაეცემოდათ განსაზღვრული სახით და მათში ჯერ კიდევ ჩანს, რომ ისინი შეიცავს იმას, რაც ახლად მოკლედ და, ცხადია, ესკიზურად გამოვხატე.

თუმცა, IV საუკუნის შემდეგ ეს ხალხები კვლავ მივიდნენ ბინადრობამდე. ზოგიერთები შეერწყა მოსახლეობას, რომელე-

ბიც უკვე დიდი ხანია იყვნენ მკვიდრი ქვევით სამხრეთში, სამხრეთ ნახევარკუნძულზე, ანუ ხალხის იმ ნაწილს, რომელიც შეადგენდა ქვედა ფენას. ვინაიდან ზედა ფენები ხომ სწორედ აგვისტინეს დროს, ასე ვთქვათ, აღიგავა. ისინი იქ გაიფანტნენ. იქ სხვებს შორის გოთებიც გაიფანტნენ. თუმცა ისინი, რომლებიც დასახლდნენ ძირითადად შუა ევროპულ მიწებზე, დასახლდნენ დასავლეთში, ხოლო ისინი, რომლებიც შემდეგ გადასახლდნენ სამხრეთ ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში, დარჩნენ იქ და კვლავ გახდნენ მკვიდრი.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს დამკვიდრება IV საუკუნის შემდეგ ამ გადასახლებული მოსახლეობის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს. ახლა კი ამ მოსახლეობის მთელი სულიერი ცხოვრება იცვლება მობინადრე ცხოვრებაზე გადასვლის შედეგად. ძალზე უცნაურია, ამის წყალობით როგორ რადიკალურად იცვლება სულიერი ცხოვრება, ეს ასევე, ცხადია, განსაკუთრებული მიდრეკილების წყალობით, რომელიც ამ ადამიანებს გააჩნდათ. ამ ადამიანებს თავიანთ თავში უკვე გააჩნდათ განსაკუთრებული მიდრეკილება რასისა, განსაკუთრებული მიდრეკილება ხალხისა, მათ ასევე ჰქონდათ ისეთი შეგონებები, რომლებიც ცოცხლობს სიზმრებში და ამ სიზმრებში ისწრაფოდნენ სულიერი რეალობის განცდისკენ, რაღაც ისეთისკენ, რაც სამხრეთის რეგიონებში უკვე დიდი ხნის წინ გარდაიქმნა სულიერი ცხოვრების სხვა ფორმებად. მაგრამ ისინი გადაიქცნენ მკვიდრ მოსახლეობად, გარდა ამისა, მათი განსაკუთრებული მიდრეკილების წყალობით ახლა მათში სულიერი ცხოვრების სახით ჩამოყალიბდა რაღაც სხვა. ის, რაც ადრე განიცდებოდა წინაპრების ჭვრეტაში, რაც მათ აჯღალოებდა სამშინველის წინაშე პატივსაცემაში წინაპრების სურათის ხილვისას, ეს ახლა შეწყდა.

იქ, სადაც იყო რაღაც განსაკუთრებული უღრანი ტყე, მთები, რომლებიც შეიცავდა, ჩემი აზრით, ლითონების მნიშვნელოვან ბუდობებს, ასევე ადგილები, შტორმისა და ამის მსგავსის დაკვირვებისთვის, იქ ეს ადამიანები იმ ღრმა გრძნობებითა და შეგონებებით, რომლებიც შემორჩათ ზმანებებში თავიანთი წინაპრების ძველი წარმოდგენებისაგან, შეიგრძნობდნენ და გრძნობდნენ რაღაც წმიდას ამ განსაზღვრულ ადგილებთან მიმართებით. და ის, რაც იყო წინაპრების ღმერთები, გადაიქცა ადგილობრივ ღმერთებად, ადგილის

ღმერთებად. ის, რაც იყო ადგილის ღმერთები, განუყრელად თან სდევდა შეგრძნებებს, მთელ შინაგან მშვინვიერ განწყობას, რომელიც მათ აქ თან მოიტანეს წინაპრების თაყვანისცემიდან. მე ვიტყვოდი, რომ რელიგიურმა წარმოდგენებმა დაკარგეს დროებითი ხასიათი და შეიძინეს სივრცობრივი ხასიათი. ისინი, ვინც ადრე იყვნენ სიზმრების განმმარტებლები, სამშვინველის შინაგან განცდათა განმმარტებლები, ახლა იქცნენ იმაზე მზრუნველებად, რასაც შეიძლება ეწოდოს ნიშნები, მომასწავებელი ნიშნები. ამა თუ იმ ჩანჩქერში უჩვეულოდ არეკლილი მზე, ბუნების ჩვეულებრივი მოვლენები, ხეობის გარკვეულ ადგილებში ღრუბელთა მოძრაობის მოვლენები და ა. შ., – მე მსურს ეს მოვლენები მხოლოდ ადვინშნო, – ეს ყოველივე ახლა იქცა ინტერპრეტაციის ობიექტად, რაღაცად, რაც შემდეგ პირდაპირ გადავიდა რუნების არსებაში. ამისთვის განსაკუთრებულ ადგილებში იღებდნენ ჯოხებს განსაზღვრული ხეების მერქნისგან, ისროდნენ მათ და, როცა ამის წყალობით წარმოიქმნებოდა განსაკუთრებული გამოსახულებები, ამ მზრუნველებს შეეძლოთ აქ წარმოქმნილი ნიშნების ახსნა. დროის მთელი რელიგია გარდაიქმნა სივრცის რელიგიად. მთელი სულიერი ცხოვრება იქცა ისეთ სულიერ ცხოვრებად, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის წყალობით ეს ხალხები სულ უფრო მეტად იძენდნენ უნარს მოქცევისთვის გამოიყენებინათ ისეთი მეთოდი, როგორითაც რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ, – მას შემდეგ, რაც IV საუკუნეში ის იქცა სახელმწიფო რელიგიად, – თავისი ჩვევისამებრ მოაქცია სამხრეთში დარჩენილ ხალხთა ქვედა ფენები, როცა ზედა ფენები აღიგავა მიწისაგან პირისა.

ეკლესიამ კი რა გააკეთა? სამხრეთის ამ რეგიონებში ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულმა ხალხებმა დიდი ხანი იცხოვრეს. აქ უკვე უძველეს დროში განხორციელდა დროითი მსოფლმხედველობიდან სივრცობრივი მსოფლმხედველობისკენ გადასვლა. ხოლო, როცა დროითი მსოფლმხედველობა გარდაიქმნება სივრცობრივ მსოფლმხედველობაში, ყოველთვის ხდება რაღაც, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ხდება ისე, რომ გარკვეული ცოცხალი განცდა გადადის სიმბოლური კულტის განცდაში. ეს უკვე ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა მოსახლეობის ქვედა ფენებისთვის სამხრეთის რეგიონებში, ჩრდილოეთის რეგიონებთან შედარებით. სანამ ადამიანები

ცხოვრობდნენ თავიანთი დროითი წარმოდგენებით, არსებობდნენ ქურუმები, ისინი, ვისაც უძველესი თვალსაზრისით შეიძლება ვუწოდოთ მეცნიერები, შესაბამისი მშენებითი ცხოვრების ინტერპრეტატორები. აქ ქურუმების საქმიანობა იყო, ადამიანებისთვის განმარტათ ის, რასაც ეს ადამიანები განიცდიდნენ. მათ ეს შეეძლოთ, რამდენადაც ადამიანები, არსებითად, ცხოვრობდნენ მხოლოდ პატარა სასოფლო თემებში და ის, ვინც გარკვეული თვალსაზრისით განმარტავდა, ზოგადად მთელი სულიერი ცხოვრების ხელმძღვანელიც იყო და შეეძლო მიემართა ცალკეული ან მცირე ჯგუფებისთვის. შემდეგ, როცა დროითი მსოფლმხედველობა გადადის სივრცობრივ მსოფლმხედველობაში, ეს ცოცხალი ელემენტი უფრო ძლიერ იხშობა. ქურუმს უკვე აღარ შეეძლო მიეთითებინა იმაზე, რასაც მავანი განიცდიდა, ან რასაც იგი აუწყებდა, მას ამის ახსნა მისთვის არ შეეძლო. ამდენად, ცოცხალი გარდაიქმნება იმაში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ადგილთან და ლოკალურ გარემოსთან. ამის წყალობით თანდათანობით წარმოიქმნება სიმბოლური სწავლება, ხატოვანი გაფორმება იმისა, რაც ადრე ცოცხლად განიცდებოდა ზეგრობობადი სამყაროებიდან. ამდენად, ეს გარდაიქმნა ისეთ რამეში, რაც ამიერიდან უნდა განხორციელდებულყო საკულტო წეს-ჩვეულებებში, სიმბოლურ მოქმედებებში.

თავის მხრივ, მეორე მხარის განვითარება სწორედ მაშინ იწყება. ახლა ადამიანი ხედავს სიმბოლიკას და მას თავად განმარტავს. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მიერ კულტის სახით ფორმირებული, მთლიანად კაცობრიობის განვითარების ამ მსოფლიო-ისტორიული მსვლელობის ზუსტი ცოდნით იყო ფორმირებული. წმინდა შესაწირავით ზიარების უძველესი დღესასწაულის შეცვლა წარმოიქმნა იმის წყალობით, რომ ის, რაც ადრე ცოცხალ ზიარებად არსებობდა, გარდაიქმნა სიმბოლურ წეს-ჩვეულებაში, წმინდა შესაწირავში. თუმცა, ამ წმინდა შესაწირავების წყალობით აღიქვამდნენ უძველეს (uralt) წმინდა მისტერიალურ ჩვეულებებს, რომლებიც გავრცელდა და შეიჭრა ასევე მოსახლეობის ქვედა ფენებში. და მაინც, ის განმსჭვალული იყო იმით, რაც ქრისტიანობამ მოიტანა ახალ წარმოდგენებში. ის, გარკვეულწილად, განმსჭვალული იყო ქრისტიანობით. რომაული მოსახლეობის ქვედა ფენები წარმოადგენდნენ კარგ მასალას საკულტო ჩვე-

ულელების ასეთი გამოდევნისთვის, რამდენადაც ახლა მათ სიმბოლურად უნდა გამოეხატათ ზეგრძნობადი სამყარო. ხოლო, როცა ჩრდილოეთის ხალხები გადავიდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე სულიერი ცხოვრებისკენ, მაშინ მათ შორისაც შეიძლება გაგრძელებულიყო ეს საკულტო ჩვეულებები და მათ დაიწყეს ამ ჩვეულებების გაგება. ამას ეფუძნება, უპირველეს ყოვლისა, ერთი ნაკადი, რომელიც დაიწყო ქრისტეს შემდგომ ამ IV საუკუნეში.

აუცილებელია სხვა სახით დავახასიათოთ მეორე ნაკადი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში პირველის პარალელურად მიედინება. ჩემ მიერ აღწერილში, რაც აღმოსავლეთიდან გადმოვიდა აქ დაისისკენ მიმავალი რომის იმპერიის მიმართულებით, ჩვენ გარკვეულწილად ჯერ კიდევ საგრძნობლად განვიცდით, როგორ აგრძელებს შიგნით ცხოვრებას წინაპართა ეს უძველესი კულტი. ეს ვლინდება ლოცვაში „მამაო ჩვენო“, როგორც ის წარმოვადგინე თქვენ წინაშე. ამ მიგრილებულ ხალხებთან ქრისტიანობა ჯერ კიდევ სრულად ჩართული იყო წინაპართა რელიგიაში და ადგილობრივ რელიგიაში. სწორედ ეს წარმოადგენს *არიანული** ქრისტიანობის არსს. ამის მიღმა არსებული დოგმატური დავა არც ისე მნიშვნელოვანია. ამ არიანული ქრისტიანობისთვის, რომელიც გადაადგილდებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გოთებთან და სხვა გერმანელ ხალხებთან ერთად, მნიშვნელოვანია ის, რომ ქრისტიანობა ერთ გზაზე, რომელსაც რომი ჯერ კიდევ არ გაუვლია, ჩაფლული იყო ასეთ ცოცხალ, ჯერაც კულტამდე არ მისულ სიცოცხლეში, ცოცხალ სულიერ სიცოცხლეში: ეს ეყრდნობოდა სიზმრისებრ განცდებს, ნათელმხილველურ განცდებს, თუ ამ გამოთქმას მცდარად არ გავიგებთ.

სამაგიეროდ, ავგუსტინეს მიერ განცდილმა ქრისტიანობამ განვლო სამხრეთის მოსახლეობის უმადლესი ფენების განათლება. ამ ქრისტიანობას განეკუთვნებოდა ყოველგვარი აღმოსავლური კულტები, აღმოსავლური რელიგიური წარმოდგენები, რომლებიც თავს იყრიდა დიად რომში. ავგუსტინე, როგორც წარმართი, მოდის ამ რელიგიური წარმოდგენებიდან და მათგან ის მიუბრუნდა იმ სახის წარმოდგენებს, რომლებიც გუშინ დავახასიათეთ. ის დგას იმ სულიერი ნაკადის შიგნით, რომელსაც ცალკეული პიროვნებები განიცდიდნენ სრულიად სხვა სახით, ვიდრე ის, რაც მე დავახასიათეთ,

გარკვეულწილად, როგორც ხალხური, ამოტივტივებული სა-
ხალხო მშინვეიერი ცხოვრების ყველაზე ელემენტარული ძა-
ლებიდან. სულიერი ნაკადი, რომელსაც განიცდიდა ავგუსტინე,
მრავალგზის გაიფილტრა და ავიდა ზედა ფენებში. ახლა
ის გადაიდეს რომაელ-კათოლიკე ღვთისმსახურებმა და დაა-
კონსერვეს. მეორე მხრივ, მისი შინაარსი მსოფლიო ისტორი-
ის შემდგომი მსვლელობისთვის გაცილებით ნაკლებმნიშვნე-
ლოვანია, ვიდრე კონფიგურაცია მთელი იმ მშინვეიერი წყო-
ბისა, რომელიც თავიდან რომაულ-ბერძნულ განათლებას
წარმოადგენდა, შემდეგ კი ქრისტიანობის მიღების მეშვეობით
იქცა ქრისტიანულ-კათოლიკური სამღვდლოების, ქრისტიან-
ულ-კათოლიკურ ღვთისმსახურთა განათლებად. აუცილებე-
ლია, განვიხილოთ ეს განათლება, როგორც ის იყო და რო-
გორადაც შემდეგ განხორციელდა საუკუნეების გავლით. რო-
ცა ვუყურებთ ჩვენს დღევანდელ სახალხო განათლებას, ეს
არის სწორედ რაღაც შემორჩენილი იმისგან, რაც იყო იმ
დროს, არსებითად რომ ვთქვათ, განათლება. ხოლო მას შემ-
დეგ, როცა დაასრულებდნენ პირველ ყველაზე ელემენტარულ
შემეცნებას, რომელსაც დღეს ვუწოდებთ პირველდაწ-
ყებით სწავლებას სახალხო სკოლაში, გადადიოდნენ ე. წ.
გრამატიკის კლასებში. გრამატიკის ეს კლასები, უპირველეს
ყოვლისა, გადმოსცემდნენ მეტყველების, ენის აგებულებას.
სკოლაში ასწავლიდნენ ენის მართებულად გამოყენებას, რო-
გორც ამას იყენებდნენ პოეტები, მწერლები. შემდეგ ითვისებ-
დნენ ყველაფერს, რაც მეცნიერებაში არ იმალებოდა, ვინაი-
დან სწორედ იმ დროებში გარკვეული საიდუმლო სკოლები
ბევრ რამეს მაღავდნენ მეცნიერებაში. რაც არ იმალებოდა,
გადაეცემოდათ გრამატიკის კლასის მეშვეობით, ენის ელემენტის
მეშვეობით. როცა ვინმე აღწევდა განათლების უფრო
მაღალ საფეხურამდე, როგორც მაგალითად ავგუსტინე, მა-
შინ ის გრამატიკის შემდეგ რიტორიკის სწავლებას იწყებდა.
აქ საქმე ის არის, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეცნობოდნენ
გამოხატვის ღამაზე სიმბოლურ მეთოდს, სწავლობდნენ პერი-
ოდების სწორად წარმოქმნას, განსაკუთრებით სწავლობდნენ
პერიოდების წარმართვას განსახზვრული მიზნისკენ. ვინც
ზოგადად ესწრაფოდა განათლებას, მას უნდა ჰქონოდა უნა-
რი ამის ასათვისებლად.

ამისთვის საჭირო იყო ადამიანის დაინტერესება იმით, რასაც მასში ავითარებს სწორედ ასეთი განათლება. მხოლოდ გრამატიკული და რიტორიკული განათლების წყალობით უკავშირდება ადამიანი საკუთარი არსების ზედაპირს; გაცილებით მეტად, ვიდრე ის იქნებოდა დაკავებული აზროვნებით, მას საკუთარი თავი მიჰყავდა იმისკენ, რაც ჟღერდა მისი ბაგეების მეშვეობით. ის მეტ ყურადღებას უთმობდა მეტყველების აგებას, ვიდრე აზრების სტრუქტურას. ეს სავსებით ახასიათებდა ამ უძველეს განათლებას, რომელიც არ უყურებდა შინაგან მშენიანიერ განცდას, არამედ – მეტყველების აგებულებას, სასიამოვნოს, კეთილგანწყობას, გამოხატულს ენაში. მოკლედ, ადამიანი ასეთი განათლებით მოკლებული იყო სიღრმეს. IV საუკუნეში, იმ დროს, როცა ავგუსტინე, როგორც ჩვენ დღეს ვისაუბრეთ, სწავლობდა, სრულიად შესაძლებელია შევნიშნოთ ეს ზედაპირული განხილვა, სიტყვებში, მეტყველების სიტყვათხმარებაში, გამოხატვის ფორმებში ეს ცხოვრება. გრამატიკა და რიტორიკა იყო ის, რაც უნდა შეესწავლათ. ამას თავისი მყარი საფუძველი ჰქონდა. შემდეგ თქვენ ხედავთ, რომ მაშინ არ არსებობდა ის, რასაც დღეს გონივრულ (ინტელექტუალურ, *intelligentem*) აზროვნებად მივიჩნევთ. ცრურწმენაა, როცა ფიქრობენ, თითქოს ადამიანები ყოველთვის აზროვნებდნენ ისე, როგორც აზროვნებენ დღეს. არა, ეს ასე არ არის. აზროვნება ჯერ კიდევ IV საუკუნემდე, მთელი ბერძნული პერიოდის აზროვნება სხვაგვარი იყო. საკითხის გარკვეული ინტიმური მხარეები მე გადმოვეცი ჩემს წიგნში „ფილოსოფიის გამოცანები“. აზრი მოსდიოდათ არა აქტიური შინაგანი მშენიანიერი მოღვაწეობის მეშვეობით, როგორც ეს ხდება დღეს, არამედ აზრი თავად ეწვეოდა ადამიანს, როგორც ზმანება. განსაკუთრებით ეს ხდებოდა აღმოსავლეთში და ის, რაც აღმოსავლური სულიერი ცხოვრების სახით აგულიანებდა საბერძნეთს და თვით რომსაც, არ იყო მოპოვებული აზროვნების წყალობით; ეს მდგომარეობა, თუნდაც ის ყოფილიყო აზრი, შემოდინდა, როგორც შემოდის სიზმრები. და მართლაც, აღმოსავლეთისა და სამხრეთ ევროპული რეგიონების სწავლული ადამიანები ჩრდილოელი ადამიანებისგან, – ისინი ადრე აღვწერე, – განსხვავდებოდნენ მხოლოდ იმით, რომ ჩრდილოელ ადამიანებში შემოდინდა ჩემ მიერ დახასიათებული ხატები, რომელ-

თაც თავიდან წინაპართა წარმოდგენების წარმოქმნისკენ მიჰყავდათ, შემდეგ ეს ხატები შეუერთდნენ გარკვეულ ადგილმდებარეობას და ბოლოს იქცნენ მეტ-ნაკლებად საკულტო ხატებად. უკვე აზრობრივი იყო ის წარმოდგენები, რომლებიც ჩამოყალიბდა აზიასა და სამხრეთ ევროპაში, თუმცა ისინი არ იყო შინაგანი მშენებელი მუშაობით, შინაგანი ინტელექტით მოპოვებული, არამედ მხოლოდ შიგნით აზრებით – გამოვლენილი. განიცდიდნენ მხოლოდ იმას, რასაც უწოდებდნენ შემეცნებას და გამომუშავებოდა სიტყვა, წინადადება და მეტყველება. აქ ლოგიკურად არ მუშაობდნენ. ლოგიკა გაჩნდა მხოლოდ *არისტოტელეს** მეშვეობით, როცა საბერძნეთი უკვე იყო დეკადანსში. აქ ენის სილამაზეში, რიტორიკაში, არსებითად, თავს იჩენდა რომაული განათლება და ის ასევე იქცა კათოლიკური ქრისტიანობის განათლებად.

ეს მეთოდი, ანუ გარკვეულწილად ცხოვრება არა თავის თავში, არამედ გარეგნულ ელემენტში, რომელიც უკვე გამოვლინდა განათლებაში, მთლიანად აითვისეს. სრულიად მკაფიოდ შეიძლება, დავინახოთ, როგორ ხდება სწორედ ავგუსტინე ამ მიმართულებით რეპრეზენტანტი პიროვნება. ამ მიმართებით დამახასიათებელია მიმოწერა *იერონიმუსსა** და ავგუსტინეს შორის, საიდანაც ჩანს, ნამდვილად როგორი განსხვავებული დისკუსია ჰქონდათ ამ ადამიანებს ერთმანეთთან ქრისტეს შემდგომ IV საუკუნეში ან V საუკუნის დასაწყისში, ვიდრე ჩვენი დღევანდელი დისკუსიაა. დღეს ჩვენ დისკუსიისას გვაქვს გრძნობა, რომ ვმუშაობთ, გამომდინარე აზროვნების განსაზღვრული აქტივობიდან. როცა ერთმანეთთან დისკუსიაშია IV, V საუკუნეების ადამიანები, მაშინ ერთს აქვს გრძნობა: დიას, მე შევიქმენი შეხედულება გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ შესაძლოა ჩემი ორგანიზმი იძლევა არა იმას, რაც საჭიროა. მე მსურს მოვუსმინო სხვას; შესაძლოა, მისი ორგანიზმიდან წარმოიქმნება სხვა რამე. – ეს გაცილებით უფრო რეალური ელემენტია შინაგანი განცდისა, რომლის შიგნითაც იმყოფებოდნენ ეს ადამიანები. თუმცა, ის, რაც ასეთი სახით თავს იჩენს ერთი მიმართულებით, თავის მხრივ ვლინდება ავგუსტინეს ქცევაში მის მიერ სრულიად სხვადასხვა სახის ერეტიკოსებისთვის მსჯავრის დადების დროს. აქ ჩვენ ვხედავთ, ძველი, ჯერ კიდევ ცოცხალი ელემენტიდან, კერძოდ ცოცხალი ხალხური სულიდან ამოსვლით,

როგორ აღწევენ ადამიანები მაღალ განვითარებას, როგორც, მაგალითად, *დონატისტო** მღვდლები, როგორც პელაგიუსი, *პელაგიანელები**, ასევე ზოგიერთი სხვა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავს უდავოდ ქრისტიანებად მიიჩნევენ, როგორ ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის დამოკიდებულება სამართლიანობასთან, ცოდვასთან და ა. შ. უშუალოდ ადამიანისგან უნდა მოდიოდეს. ამდენად, ჩვენ წინაა უამრავი ადამიანი, რომელთაც, მაგ., არ სჯეროდათ, რომ აზრი აქვს ბავშვების მონათვლას, რომ ამით მიიღწევა ცოდვების მიტევება. აშკარაა, რომ ეს იწვევს წინააღმდეგობას რომიდან მომდინარე ქრისტიანობის მხრიდან; ასევე ჩანს, როგორ ვრცელდება პელაგიუსის გავლენა და ავგუსტინე, როგორც ქრისტიანულ-კათოლიკური ელემენტის ჭეშმარიტი წარმომადგენელი, როგორ ეწინააღმდეგება ასეთ შეხედულებებს. ის ეწინააღმდეგება ისეთ გაგებას, როგორიცაა თანდაყოლილი ცოდვა, რომელიც რაღაცნაირად დაკავშირებულია ადამიანურ სუბიექტურობასთან. ეწინააღმდეგებოდა იმას, რომ სულიერ სამყაროსთან ან ქრისტესთან კუთვნილება საერთოდ შეიძლება მოდიოდეს ინდივიდუალური ადამიანური იმპულსებისგან. ის ისწრაფოდა იმისკენ, რომ ეკლესია თანდათან შესულიყო გარეგნულ ინსტიტუტებში, ორგანიზაციებში. მისთვის უმნიშვნელოა, რას მიიღებდა იქიდან ბავშვი, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ეკლესია არსებობს, როგორც გარეგნული ორგანიზაცია. არა აქვს მნიშვნელობა, რომ ნათლობა რაღაცას ნიშნავს სამშენველისთვის, სამშენველის განცდისთვის, მაგრამ აქ მნიშვნელობა აქვს გარეგნული საეკლესიო ორგანიზაციის არსებობას, რომლის წყალობითაც ხორციელდება ნათლობა. ის, რაც ადამიანში წარმოადგენს მშენიანებელ დირექტორს, დაფარულს სხეულში, ნაკლებმნიშვნელოვანია იმისთვის, რომ გავრცელდეს საყოველთაო სული, მცხოვრები იდუმალებაში, რომელიც გარკვეული სახით, როგორც აბსტრაქტული საიდუმლოება, იღვრება კაცობრიობაზე. ცალკეული ადამიანი არანაირ როლს არ თამაშობს, მაგრამ როლს თამაშობს ის, რაც ვრცელდება ადამიანებზე როგორც სწავლება, სისტემა, აბსტრაქტული დოგმებისა და წარმოდგენების ქსოვილი. ავგუსტინეს ძალზე საშიში ეჩვენებოდა, თუ ფიქრობდნენ, რომ ადამიანი ჯერ უნდა მომზადდეს, რათა მომწოდდეს მისი სამშენველი და მხო-

ლოდ ამის შემდეგ უნდა მოინათლოს. ვინაიდან საუბარია არა იმაზე, რა სურს ადამიანს საკუთარი სამშენველის სიღრმეში, არამედ იმაზე, რომ ადამიანი ერთვება ზეციურ სასუფეველში, რომელიც გამორიცხავს თვითონ მას და ობიექტურად არსებობს. ესაა, არსებითად, ის მდგომარეობა, რომელშიც ცხოვრობს უკვდავი ქრისტიანობა, იმის საწინააღმდეგოდ, რომელიც მომდინარეობს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან და ცოცხლობს გარკვეულ ხალხურ ელემენტებში. მაგრამ ის, რაც აქ აბსტრაქტულ ელემენტს წარმოადგენდა, ეკლესიას შეეძლო შეემოსა საკულტო ფორმაში, რომელიც თავის მხრივ ამოვიდა ქვევიდან. ამით ეკლესიამ შეიქმნა შესაძლებლობა, მიეღწია თავისი გავრცელებისთვის ამ ევროპულ ელემენტში, რომლისგანაც ჯერ უკუაგდეს ძველი განათლება. ამისთვის მას უნდა მიეღწია სწორედ იმის წყალობით, რამაც ხალხის ფართო წრეები, არსებითად, გამორიცხა თავდაპირველი რელიგიური და განათლების სუბსტანციურობიდან (Substantialität). უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასევე ქრისტიანობის სუბსტანციურობის გავრცელებას შემდგომ ასწლეულებში ლათინური ენის მეშვეობით და ეს იყო სწორედ ქრისტეს შემდგომ IV ს-დან; გარკვეულწილად ჩვენ ვხედავთ ერთ ნაკადს, რომელიც მომდინარეობს ადამიანების თავს ზემოდან, არსებითად, თვით XV ს-მდე. ვინაიდან ის, რასაც ჩვეულებრივ ყვება ისტორია, წარმოადგენს მხოლოდ გარეგნულ ფორმებს იმისა, რაც ხორციელდებოდა აქ ადამიანთა სამშენველებში. შეიძლება ითქვას: გაცილებით უფრო ღრმა აზრით, ვიდრე ოდესმე დაუმაღლავთ საიდუმლო სწავლებები უძველეს საიდუმლო სკოლებში, იყო დამალული ქრისტიანობა, განსაკუთრებით XI-XII საუკუნეებამდე, იმათგან, ვინც მას ავრცელებდა. ვინაიდან ხალხში შეიჭრა მხოლოდ გარეგნული საკულტო სიმბოლიკა. ხოლო ის, რაც ვრცელდება, რაც ასევე ერთდროულად სესხულობდა თავისთვის ანტიკურობიდან ამოტივტივებულ მთელ მეცნიერებას და ის შემოსა ლათინური მჭკერმეტყველებით, – ეს იყო ეკლესია, ეკლესია, როგორც რაღაც, რაც თავს დასტრიალებდა კაცობრიობის უშუალო განვითარებას. ყველა ასწლეული IV-დან XV-ს-მდე, არსებითად, იმყოფება ამ ორი პარალელური დინების ნიშნის ქვეშ. გარეგნული ისტორია, ასევე სულიერი ისტორიაც, ტრადიციულად ასახავენ მხოლოდ იმას, რაც, მე ვიტყვოდი, უფრო

მეტად ღიად გამოჟონავს გარეთ ლათინური საეკლესიო დინებიდან. ამიტომ თანამედროვე ისტორიიდან ადამიანები უმნიშვნელოდ წარმოიდგენენ იმას, რაც თამაშდებოდა ფართო მასებში.

ფართო მასებში გათამაშებული შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე: უპირველეს ყოვლისა ნამდვილად წარმოიქმნა მხოლოდ სასოფლო თემები და მთელი შუა ევროპა, დასავლეთ ევროპა, აგრეთვე სამხრეთ ევროპა ისე იყო დასახლებული, რომ თავიდან ქალაქები არანაირ როლს არ ასრულებდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრება ვითარდებოდა პატარა თემებში, სასოფლო თემებში და იმ დროს, როცა იქმნებოდა ეს ცხოვრება სასოფლო თემებში, – მაშინ ქალაქებში არსებობდა, არსებითად, იყო მხოლოდ დიდი სასოფლო თემი, – აქ, დიდ სასოფლო თემებში, როგორც მე დავახასიათე, ფართოდებოდა ქრისტიანულ-კათოლიკური ეკლესიის გავლენა ყველა ადამიანის გონებაზე, მაგრამ მოქმედებდა სუგესტიურად კულტის მეშვეობით; ადამიანები, რომლებიც ხედავდნენ მხოლოდ სიმბოლურ წეს-ჩვეულებებს, მონაწილეობდნენ კულტში და მზერას მიაპყრობდნენ იმისკენ, რაც მათ არ გაეგებოდათ, და მაინც, ისინი საკუთარ თავში სულიერ ცხოვრებას ავითარებდნენ. მაშინ მთელ ევროპაში ვითარდებოდა მდიდარი სულიერი ცხოვრება, რომელიც თავად იმყოფებოდა ადამიანის ბუნების გავლენის ქვეშ. სასოფლო თემებიდან ამ ადამიანების მონაწილეობა ქრისტიანულ-კათოლიკური სწავლების გავრცელებაში, არსებითად, სრულიად სხვა რამ იყო. ყველა მოვლენა, დაკავშირებული *ბონიფაციუსის** პიროვნებასთან და მის მსგავსებთან, ყალბად არის წარმოდგენილი. თუმცა, ამ სასოფლო თემებში მომხდარი, ეს კი ნამდვილად იყო შინაგანი მშვეინვიერი ცხოვრება, მთლიანად იმსჭვალებოდა ადგილობრივი ღვთაებებისა და ადგილობრივი სულიერების განმარტებათა გამოძახილით. ყველგან ხედავდნენ ამა თუ იმ მომასწავებელ ნიშანს. ადამიანები გაურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ. ყველგან ცხოვრობდა წინასწარმეტყველების ნიჭის მქონე ადამიანი და თავის გარემოცვას უყვებოდა საკუთარ ჭვრეტებზე. წინასწარმეტყველება განიცდებოდა თქმულებებით ან საიდუმლოებით აღვსილი მომასწავებელი ნიშნებით, მომდინარეობდა იქიდან, რასაც სულიერად განიცდიდა მავანი აქ ანდა იქ, თავისი მუშაობის დროს და ა. შ.

უძველეს წინაპართა ეს გადმონაშთები და ზმანებათა ნათელმხილველური ცხოვრება იმსჭვალება გასაოცარი ელემენტით, რომელიც აუცილებლად აღმოცენდება სასოფლო თემებში; იმ დროს, როცა კათოლიკური სწავლება ვრცელდება ადამიანებში, აქ განიცდება გასაოცარი რამ, ის, რისგანაც შეიძლება გავიგოთ, სინამდვილეში როგორ მონაწილეობდა ადამიანური ორგანიზაცია მთელი ევროპის მასშტაბით ამ თავისებურ სულიერ ცხოვრებაში. აქ ორი მიმართულებით განიცდებოდა რაღაც, რომელიც აჩვენებდა სრულიად განსაკუთრებული სახის შინაგან მშვინიერი განწყობას. ჯერ ერთი, როცა ადამიანები გამოთქვამდნენ თავიანთ ყველაზე მნიშვნელოვან წინათგონობებსა და სიზმრებს, რომელთაც ისინი ყოველთვის აკავშირებდნენ ადგილებთან, როცა აღწერდნენ იმას, რაც მათ განიცადეს ნახევრად მძინარე ან მძინარე მდგომარეობაში, მაშინ ეს ყოველთვის უკავშირდებოდა განცდებს, კითხვებს, რომლებიც დასმული იყო მათთვის სულიერი სამყაროდან, ან დავალებებს, რომლებიც მათ ეძლეოდათ, ანდა მოვლენებს, რომლებშიც გარკვეულ როლს თამაშობდა მათი გონებამახვილობა. ჯერ კიდევ XIX ს. ხალხში დამკვიდრებული უწყებების მთელი ხასიათიდან ჩანს, რომ ადამიანებში, როცა ისინი მიდიოდნენ განსჯამდე ან ზმანებამდე და ქმნიდნენ თავიანთ ლეგენდებსა და მითებს, ადამიანური არსების სამი წევრიდან, არსებითად, ჯერ კიდევ არც ისე ძლიერად მოქმედებდა ნერვულ-გონობადი სისტემა, რომელიც უფრო მეტად მიმართული იყო გარეგნული სამყაროსკენ, მაგრამ მოქმედებდა რიტმული სისტემა. როცა რიტმული სისტემა განსაკუთრებით იყო გამოღვიძებული, გამომდინარე ადამიანთა ორგანიზაციიდან, მაშინ ამ ნათელმხილველურ სიზმრებში, რომელიც სოფელში ადამიანიდან ადამიანს გადაეცემოდა, წარმოიქმნებოდა ის, რასაც ისინი ერთმანეთს გაანდობდნენ, როგორც თრთოლას ან ასევე სიხარულს, შეებასა და სილამაზეს. ამ ყველაფერში ყოველთვის ცხოვრობდა რაღაცა საკითხების ზუსტი დაყენებიდან, რომელიც მოდიოდა სულიერი სამყაროდან გამომდინარე. ადამიანებს ნახევრად მძინარე მდგომარეობაში უნდა გადაეწყვიტათ გამოცანები, განეხორციელებინათ გონიერი ქცევები, გადაეღახათ რაღაც და ამის მსგავსი. იქ განვითარებულ ამ სიზმრისებრ ცხოვრებაში ყოველთვის იყო რაღაც იდუმალი.

ეს წარმოადგენს შემდგომში გავრცელებული სულიერი განცდების ფიზიოლოგიურ საფუძველს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ სოფლის თემებში ცხოვრობდნენ; ცხადია, ასეთ განცდებს განეკუთვნებოდა ასევე *კარლ დი-დისა** და სხვათა ქმედებები, რომლებზეც მათ აუწყებდა ისტორია. ეს ის მოვლენებია, რომლებიც თამაშდება მხოლოდ განცდების ზედაპირზე და, ცხადია, ძალუძად მოიცავს ცალკეულ ბედისწერებს, თუმცა ისინი არ წარმოადგენენ უმთავრესს. მთავარი თამაშდება სოფლის თემებში და იქ სამეურნეო ცხოვრებასთან ერთად ადამიანებში ვითარდება სულიერი ცხოვრება, როგორც ეს დღეს გაჩვენეთ. ეს სულიერი ცხოვრება გრძელდება თვით IX, X, XI საუკუნეებამდე. ცხადია, ქვედა ფენებში თანდათანობით იღვრება რაღაც იქიდან, რაც განვითარდა ზედა ფენის ადამიანთა თავებში და საბოლოოდ ფორმირდება იმაში, რაც გამჭვირვალე, ჯადოსნური, მიმზიდველი სახით ჩანს ადამიანთა მონათხრობიდან და ერწყმის ქრისტეს და ქრისტეს ქმედებებს; ზოგჯერ კი თვით ისიც, რაც მოდის თავად ადამიანებისგან, ისშობა იმით, რაც მოდის ბიბლიიდან, სახარებებიდან. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, როგორ აღიქმება ქრისტიანული ელემენტი, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ აზროვნებაში. ჩვენ ამას ვხედავთ „*ბელიანდში*“* და სხვა პოემებში, რომლებიც წარმოიქმნა ქრისტიანობიდან, რომელთა წყალობითაც ყოველთვის ინერგებოდა ხალხში სულიერი, ამავედროულად ხალხი ამ სულიერს შეაგებებდა საკუთარ სულიერ ცხოვრებას, რაზეც მე უკვე ვისაუბრე.

ამდენად, როცა შემდგომში ვიხილავთ X-XI საუკუნეებს, ვხედავთ, როგორ იცვლება გარეგნული ცხოვრება. ჩვენ ვხედავთ, ადრინდელის მსგავსად, მაგრამ განსაკუთრებით ამ დროში რამდენად ძლიერდება ცხოვრების კონცენტრაცია ქალაქებში. ჩემ მიერ აღწერილი ცხოვრება, ეს ხატოვანი ცოცხალი სიზმარი, მთლიანად დაკავშირებული იყო სოფლის გარემოსთან. შემდეგ, როცა IX-XII საუკუნეებში დიდი ქალაქები თანდათანობით გავრცელდა მთელ ტერიტორიაზე, რომელიც მე ასეთი სახით აღვწერე, იქ გაჩნდა უკვე სხვა სახის აზროვნება. ქალაქში ადამიანები სხვაგვარად აზროვნებდნენ. ისინი მოცილდნენ ადგილებს, სადაც ვითარდებოდა ადგილობრივი რელიგიები. მეორე მხრივ, ისინი უფრო მეტად იყ-

ვნენ დამოკიდებული ადამიანურზე. თუმცა, ქალაქებში განვითარებული ეს ადამიანური მაინც უშუალოდ იმყოფებოდა ახლახან დახასიათებულის გაელენის ქვეშ, რამდენადაც ქალაქებში სახლდებოდნენ ადამიანები ადრინდელი სასოფლო თემებიდან და მათ, ვისაც ჰქონდა განსაკუთრებული სულიერი მონაცემები, თან მოჰქონდათ კიდევ რაღაც. ის, რაც მათ თან მოჰქონდათ, იყო პიროვნების შინაგანი ცხოვრება, სოფლის ადგილებში განცდილის რაღაც გამოძახილი, რომელიც ახლა უკვე აბსტრაქტული ფორმით გამოვლინდა. ადამიანებმა, რომლებიც იზოლირებული იყვნენ ბუნებრივი ყოფიერებისაგან და ამიტომაც მას უკვე ცოცხლად ვეღარ განიცდიდნენ და ჯერ კიდევ ჰქონდათ ამ ბუნებრივი ყოფიერებისაგან აზრობრივი ფორმები, უფრო მეტად განავითარეს აზროვნების ის სახე, რომელიც თანდათანობით აისახებოდა ინტელიგენციაზე. თავიდან, ქალაქებში, უპირველეს ყოვლისა XI-XIII საუკუნეებში, ვითარდებოდა იმ ინტელიგენციის ნიშნები, რომელსაც ჩვენ შემდგომში, XV საუკუნეში ვხედავთ ტონის მიმცემ ევროპულ მოსახლეობაში. რამდენადაც ცხოვრება აბსტრაქტული გახდა, თავის მხრივ, ქალაქებში შინაგანი სახით ერთმანეთში ირევა ის, რაც ამოიზარდა ხალხურიდან, ეკლესიის აბსტრაქტული ელემენტით, რომელიც ლათინური ენით იყო შემოსილი.

ამდენად, როგორც ვხედავთ ქალაქებში ეს ისედაც აბსტრაქტული ყოფიერება სულ უფრო აბსტრაქტულ ფორმას იძენს. შემდეგ კი ვხედავთ, როგორ ხდება ქვემოდან სრულიად სხვადასხვა ადგილში, მე ვიტყვოდი, ხალხურობის უდიდესი აფეთქებები. უდიდეს, მძლავრ შეტევას წარმოადგენს ხალხური სულიდან, განათლების სამყაროში *დანტეს** შესვლა. მაგრამ ესეც, შეიძლება ითქვას, ბევრ სხვა მოვლენასთან ერთად არის რაღაც ამომავალი ხალხური სულიდან და ქცეული იმად, როგორც ის გაჩნდა განსაკუთრებული მეთოდის წყალობით, როგორადაც შეუერთდა ლათინურ-რომანული განათლება ხალხურ სულს ქალაქებში.

ახლა ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ გათამაშებული სურვილის კიდევ სხვა ნაკადები. ცხადია სწორია, რომ სულიერი ცხოვრების ყველაზე მთავარი ნაკადი, რომელმაც მოიტანა, ასე ვთქვათ, დანარჩენი სულიერი ცხოვრება, იყო იმ სულიერი მიმართულების გაგრძელება, რომელსაც ასწავლი-

და ავგუსტინე. საბოლოოდ ის გაბატონდა ყველა ქალაქში, არა მხოლოდ ეპისკოპოსების მეშვეობით, რომლებმაც თავის მხრივ შეძლეს საკუთარი გავლენისთვის დაექვემდებარებინათ სულიერი ცხოვრება, თუმცა კი აბსტრაქტული ფორმით და ხალხურობაზე მდგომი, და მაინც, ეს სულიერი მიმართულება, რომელიც თავის გზაზე იღებს ყველაფერს, რაც მოდის რომის იმპერიის კონსტიტუციისგან, საბოლოოდ მართვასაც უფლება. შემდგომ წარმოიქმნება სახელმწიფო მოხელეებსა და ღვთისმსახურებს შორის კავშირი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო XI-XII საუკუნეებში. ჩვენ ვხედავთ, როგორ გამოანათებს ამ ნაკადიდან სხვა მოვლენები, როგორ წარმოიქმნა ჯვაროსნული ლაშქრობები, რომელთა აღწერაც თქვენთვის არ ღირს, რამდენადაც მე მსურს ძირითადად შევაფასო ის, რაც ფალსიფიცირებულია გარეგნულ ისტორიაში. ასევე ნაკლებადაა შეფასებული სხვა არსებული ნაკადები.

უპირველეს ყოვლისა, შევხედოთ ერთ ნაკადს, რომელიც, არსებითად, ვაჭრობამ მოიტანა და ევროპაში თითქმის ყოველთვის გამოცოცხლებული იყო, თვით ღუნაის გაყოლებითაც აღმოსავლეთის მხარეს. ამის წყალობით ადამიანები სწორედ შუა საუკუნეების შუა პერიოდში ვაჭრობით ყოველთვის ხვდებოდნენ იქით და აქეთ. მაშინ ევროპაში გადაიტანეს აღმოსავლური წარმოდგენები, ცხადია, გაქრობის პირას მისული. მას, ვინც, მართალია, თავად არც იყო აღმოსავლეთში, არამედ მხოლოდ ვაჭრობას ეწეოდა აღმოსავლელ ადამიანებთან, ადამიანებისთვის მიჰქონდა სახლში არა მარტო სანელებლები და საკაზმები, არამედ სულიერი ცხოვრებაც. თუმცა, როგორც წესი, ეს იყო რაღაც, რაც წარმოჩენილი იყო აღმოსავლურით. ეს მოძრაობა გადის მთელ ევროპას. ის ნაკლებად ახდენდა გავლენას მათზე, ვინც განათლებას ლათინური ენის ფორმით ავრცელებდა, მაგრამ გაცილებით მეტად მოქმედებდა ყველა იმათზე, ვინც ლათინური არ იცოდა და განეკუთვნებოდა ხალხის ფართო მასას. ქალაქელებში და ქალაქებს მიღმა დარჩენილ სოფლის მაცხოვრებლებში დაივანა იმან, რაც იყო ცოცხალი სულიერი უწყება აღმოსავლეთით. ეს იყო არა მარტო თავგადასავლებით აღსავსე მონათხრობი, არამედ მთლიანად სულიერი ცხოვრება, რომელიც ღრმად იპყრობდა ადამიანთა გულებს. თქვენ თუ მოისურვებთ, გაიგოთ ისეთი პიროვნებები, როგორებიც იყ-

ვნენ მოგვიანებით *იაკობ ბიომე**, *პარაცელსი** და მრავალი სხვა, მაშინ ყურადღება უნდა მიაპყროთ იმაზე, რომ ისინი წარმოიშვნენ ჯერ კიდევ იმ სახალხო მასებიდან, რომლებიც ვითარდებოდნენ ლათინური განათლების მიღების გარეშე, – ისინი ამას ასცდნენ, – და რომლებიც განმსჭვალულნი იყვნენ სწორედ აღმოსავლურით. ყოველივე ის, რაც აქ ზოგადად წარმოიქმნა, როგორც პოპულარული ალქიმია, ასტროლოგია, ცხოვრების განმარტება, ეს ყოველივე მოედინებოდა იმისგან, რაც მე ადრე აღვწერე, როგორც ადამიანთა შინაგანი განცდები, ასევე იმ გამოცანებიდან, რომლებსაც ისინი ყვებოდნენ ცოცხალ სიზმრებში და იმისგან, რაც მოიტანა დეკადენტურმა აღმოსავლურმა სულიერმა ცხოვრებამ.

ლათინური განათლების არსებობის ფარგლებში შეუძლებელი იყო ასევე დაეფასებინათ რაიმე, აზროვნების მსურველი. შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელეს ლოგიკა გაჩნდა, როგორც რაღაც მეტეორი. ავეუსტინე ჯერ კიდევ საკმაოდ ეხება ამ ლოგიკას. IV ასწლეულიდან ბერძნულ ენას საერთოდ ზურგს აქცევენ. მოგვიანებით იმპერატორმა *იუსტინიანემ** დახურა ფილოსოფიური სკოლა ათენში და ხელი შეუწყო იმას, რომ ერეტიკოსებს მიაკუთვნეს *ორიგენი**, რომელმაც ასევე ბევრი რამ დანერგა ქრისტიანობაში აღმოსავლური განათლებიდან, ადრინდელი სულიერი ცხოვრებიდან და საერთოდ, ბერძენი ფილოსოფოსები განდევნეს. ის, რაც კჭონდათ არისტოტელესაგან, მათ გადაიტანეს სხვა მხარეს, აზიაში. ბერძენმა ფილოსოფოსებმა თავშესაფარი იპოვეს სპარსეთში და იქ, აზიაში სათავეში ჩაუდგნენ *გონდიშაპურის** აკადემიას, სადაც, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდნენ არისტოტელეს მოძღვრებით განემსჭვალათ ძველი აღმოსავლური, უკვე დეკადანსში მყოფი სულიერი კულტურა და მისთვის სრულიად ახალი ფორმა მიენიჭებინათ. მეორე მხრივ, გონდიშაპურის ამ აკადემიის წყალობით გადარჩენილისგან უდიდესი სისწრაფით განვითარდა სწორედ ლოგიკური აზრობრივი ფორმით – არისტოტელეს ეს მოძღვრება; აქ ის კვლავ აღორძინდა თავისი ჭეშმარიტი სახით. ქრისტიანები ხომ მას არ ავრცელებდნენ. თავისი ჭეშმარიტი სახით ის შევიდა ლათინურ-ეკლესიურ ცხოვრებაში შემოვლითი გზით აფრიკის, ესპანეთისა და დასავლეთ ევროპის გავლით. ამდენად, ჩვენ ვხედავთ იმას, რა ზემოქმედებს და-

სავლეთზე, უმთავრესად გონდიშაპურის ამ ნაკადიდან, ამ არაბიზმიდან*, მთლიანად ფილოსოფიური ფორმით, რაღაც ფორმით, რომელიც ატარებს ცოცხალ, მაგრამ სრულიად აბსტრაქტულად მსოფლმხედველობას, რაც, როგორც უკვე ითქვა, ისწრაფვის თავების მეშვეობით.

ახლა მე დავახასიათე ორივე ნაკადი: ერთი, გათამაშებული თავის მეშვეობით, და მეორე, გათამაშებული გულებში, სამშინველებში. ისინი მოქმედებდნენ ერთობლივად და ეს ძალზე ნიშანდობლივია, რომ განათლება წარსულიდან ავრცელებს ენას, რომელიც კვდომის მდგომარეობაშია. შემდეგ, ცხადია, იჭრება ის, რაც მოვიდა აღორძინების მეშვეობით. თუმცა, დღეს არ შემიძლია ყველაფრის გადმოცემა. არსებითად, მე მსურს, შევჩერდე ზოგიერთ ძირითად თვისებაზე, რომელიც უნდა გვაინტერესებდეს. ეს არის ის, რაც გვერდიგვერდ იდგა XV საუკუნემდე.

შემდეგ ხდება ძალზე ღირსშესანიშნავი რამ. შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც იყო ანტიკური აზრი, ჯერ კიდევ აზრის მიერ შთაგონებული, აზრისა, რომელიც სანახევროდ ხედვას წარმოადგენდა, ეს მაშინ წარმოქმნილ ქრისტიანულ ფილოსოფიაში თანდათანობით შეიმოსა ენის აბსტრაქტული ფორმით, როგორც ქრისტიანული სულიერი ცხოვრება, როგორც მსოფლმხედველობა, რომელიც ეყრდნობოდა სკოლებს, რომლებიდანაც შემდგომში ამოიზარდა თვით უნივერსიტეტების არსი. ამ ელემენტში სრულად აგრძელებდა სიცოცხლეს გრამატიკულ-რიტორიკული მეთოდით რომანიზმი, ანტიკურობა. აგრძელებდა სიცოცხლეს არა აზრობრივი ელემენტი, არამედ აზრობრივი ელემენტის სამოსი.

იმაში, რაც იყო სახალხო ნაკადი, დაიბადა, ამასთან პირველად კაცობრიობის მთელი განვითარების განმავლობაში, აზრი, გამოშუშავებული სუბიექტური მოქმედების მეშვეობით. აზრი, აქტიური აზრი დაიბადა ამ აღმოსავლურ ელემენტთან შერევით, იდუმალ-ჯადოსნურ, ბუნდოვნად შესაცნობი არსიდან, გამომდინარე იმ არსიდან, რომელიც უმთავრესად განიცდებოდა შიგნით, რომ ასწნილიყო ბუნებრივი ფაქტები. აზრის ეს დაბადება, მე ვიტყვი, გამომდინარე სიზმრისებრი-მისტიკური არსიდან, სათავეს იღებს დაახლოებით XV საუკუნიდან. მანამდე კი ძალა მოიკრიბა რაღაც სხვამ, რომე-

ლიც ახლა რომაელი მღვდლის არსების გვერდით შეიმოსა ლათინური განათლებით, ანუ რომაულ-იურიდიული არსით.

საგანგებოდ კარგად ფორმირებული მეთოდის სახით შეიძლებოდა გავრცელებულიყო ის, რამაც ნაკადის სახით განვლო ადამიანთა თავები, თავიდან გადავიდა სასოფლო თემებში, შემდეგ – ქალაქებში და ახლა, XV საუკუნის შემდეგ კვლავ დამდგარ ეპოქაში, შეერწყა სრულიად სხვა სახის ნაკადს, რომელიც ამჟამად წარმოიქმნა. ქალაქები უკვე არსებობდა. ქალაქებში ამყოფდნენ ინდივიდუალური თავისებურებებითა და თავისუფლებით. ეს ჩანს პორტრეტების გამოსახულებებიდან, რომლებიც შემორჩა ამ დროიდან და ბევრი სხვა რამით. მაგრამ სოფლის თემები ამის მიღმა რჩებოდა. ტერიტორიალური თავადაზნაურობა იძენს ავტორიტეტს. ისინი, ვინც სოფლებში თანდათანობით მოდიოდნენ ოპოზიციაში ქალაქებთან მიმართებით, თავიანთ ბელადებს პოულობდნენ ადამიანებში, რომლებიც მათზე ზრუნავდნენ ან მათ მიაკუთვნებდნენ ქალაქებს. ხოლო აქედან, – პროვინციებიდან, სოფლებიდან, – ქალაქები იქცევა დიდ სტრუქტურებად, დიდ ადმინისტრაციულ სტრუქტურებად, რომლებშიც შემდეგ შევიდა რომაულ-იურიდიული არსი. წარმოიქმნა თანამედროვე სახელმწიფო, ის თანამედროვე სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა სასოფლო თემებისგან, მაშინ, როცა ის, რაც ქალაქებში შეიჭრა სოფლიდან, შეივსო იმით, რაც ახლა ამოტივტივდა ლათინური ენის ნიადაგზე, როგორც რომაულ-იურიდიული არსი. ახლა ეს ელემენტი უკვე იმდენად ძლიერი იყო, რომ მეტად არანაირი მნიშვნელობა არ შეიძლებოდა ჰქონოდა იმას, რაც ჯერ კიდევ ისწრაფოდა ზედაპირზე ამოსვლისკენ ხალხური ნაკადიდან, რაც რყევების პერიოდში, როგორც მას უწოდებდნენ, ამოტივტივდებოდა სოფლის მოსახლეობას შორის, როგორც მაგალითად ინგლისში და ბოჰემიაში, რაც ამოტივტივდა *ბოჰემიის სამოს** მოძრაობაში, დაკავშირებული *ვიკლიფი ზმთან** და *პუსიზმთან**. ეს ყოველივე არ შეიძლებოდა გამოჩენილიყო. გამოჩენა შეეძლო მხოლოდ იმ არსს, რომელიც უშუალოდ შეუერთდა რომაულ არსს, რომაულ-ადმინისტრაციულ არსს.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, ღპობის მიუხედავად როგორ რჩება ზედაპირზე ის, რაც წარმოადგენს სახალხო ელემენტს, რაც მოიცავს თავის თავში აზრებს, არსებითად, რო-

გორც რეალობას და რაც ასევე ღირებული ხდება რომაულ-ლათინურ არსთან წინააღმდეგობისას. ჩანს, როგორ ეჯახება აქ ორი მხრიდან სულიერი ცხოვრება. რომაულ-ლათინური არსიდან ვითარდება ნომინალიზმი, რომლისთვისაც ზოგად ცნებებს წარმოადგენს მხოლოდ სახელები, რომელთა გააზრებაც აუცილებელია, გამომდინარე გრამატიკიდან და რიტორიკიდან. როგორ შეიძლებოდა აქ მისვლა მხოლოდ ნომინალიზმამდე, როგორ განვითარდა რეალიზმი იმათთან, ვისაც ჯერ კიდევ ჰქონდა თავის თავში ხალხურობის ნაპერწკალი, როგორც მაგალითად *ალბერტ მაგნუსს** და *თომა აქვინელს**, რომელიც აზრობრივ ელემენტს აღიქვამდა, როგორც რაღაც რეალურს. მაგრამ თავიდან ნომინალიზმმა აშკარად გაიმარჯვა. ვინაიდან კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში გარკვეულწილად აუცილებელია ყველაფერი. ჩვენ კი ვხედავთ, რომ აბსტრაქტულობის დონე, აბსტრაქტული ელემენტი XV-XVI საუკუნეებამდე ძლიერდებოდა ლათინური ენის მკვდარი ელემენტის წყალობით, რომ შემდგომში მან, მართალია, გაანაყოფიერა თავისი თავი იმით, რაც იშვა აზრების სახით და რასაც ის მიიხნევდა აზრის დაბადებად, თუმცა აზრს ის მოსავდა აბსტრაქტული ფორმით, აბსტრაქტულად. სწორედ ამ გავლენის ქვეშ იმყოფება, უპირველეს ყოვლისა, XVI-XVIII საუკუნეები, კერძოდ, აზრის უძველესი გოთურ-გერმანული არსისგან დაბადებული გავლენით, თუმცა, შემოსილი რომაული ლოგიკური ფორმულით, არსებითად, გრამატიკულ-რიტორიკული ფორმულებით, რომლებისთვისაც მას შემდეგ, რაც ისინი გაანაყოფიერა აზრმა, შეიძლებოდა გვეწოდებინა ლოგიკური ფორმულები. ახლა ეს იქცა შინაგან ადამიანურ აზროვნებად. უპირველეს ყოვლისა, აზროვნებდნენ სწორედ ამ აზროვნების დახმარებით, მაგრამ მას თავის თავში არ გააჩნდა არანაირი შინაარსი. ყველა ძველ მსოფლმხედველობას შიგნით განცდილთან ერთად თან მოჰქონდა სამყაროს საიდუმლოები თავიანთი შინაარსით. IV საუკუნემდე ქრისტეს შემდგომ, თავად აზრებიც ჯერ კიდევ აღსავსე იყო შინაარსით.

შემდეგ დადგა დრო, რომელიც თავის წიაღში, გარკვეულწილად, ატარებდა უფრო გვიანდელს და რომელიც სულ უფრო მეტად ავითარებდა მკვდარ ენაში იმას, რაც უკვე მოცემული იყო რიტორიკისა და გრამატიკის, განსაკუთრებუ-

ლად მაღალ დონეზე კი დიალექტიკის ამოსავალ წერტილში. ეს განვითარდა, შემდეგ კი განაყოფიერდა ქვეყიდან ამოზიდული აზრობრივი ძალით და სწორედ ამას დაეუფლა ადამიანი უპირველეს ყოვლისა, თუმცა ამას თავისთავად არანაირი შინაარსი არ გააჩნდა. თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ასე ვთქვათ, რეალიზმი, მაგრამ გულისხმობდნენ ნომინალიზმს, მისი სჯეროდათ და ამ ნომინალიზმით დაეუფლნენ, უპირველეს ყოვლისა, ბუნებას.

იმის მეშვეობით, რისი წარმოშობაც ზემოთქმული სახით შეეძლო აღრიხდელ ევროპას, დაიბადა აზრი, როგორც ასეთი, როგორც შინაგანი მშეინვიერი ცხოვრება, როგორც აზროვნების ძალა, თუმცა თავის მხრივ, არ იძლეოდა რა არანაირ შინაარსს, ეს შინაარსი უნდა ეპოვათ გარეთ. XV საუკუნიდან ამ უშინაარსო აზროვნებით დაეუფლნენ ბუნებას, ეზიარნენ გარეგნულ ბუნებრივ კანონზომიერებას. მაგრამ XIX საუკუნის შუა პერიოდში თავს იჩენს შემდეგი: დიას, აზროვნებით შენ დაეუფლები იმას, როგორია ბუნების კანონები, იმას, რაც არსებობს შენ გარეთ, მაგრამ თავად აზროვნებას თავისი თავიდან გამოძინარე არ შეუძლია რაიმემდე მივიდეს. ასე იმსჭვალეობდნენ თანდათანობით იმ განწყობით, რომელიც აზროვნებისგან მიჯნავდა ყველაფერს, რაც გარედან არ აღიქმებოდა. მეორე მხრივ იმსჭვალეობდნენ რელიგიური რწმენით, რომელსაც შეხება არ უნდა ჰქონოდა მეცნიერულ შემეცნებასთან, რამდენადაც სიცარიელედ ქცეულ აზროვნებას თავისი თავის ავსება შეეძლო მხოლოდ გარეგნული ბუნებრივი ფაქტებითა და არსებებით. მეორე მხრივ, რწმენას შეეძლო თავისი თავის ავსება მხოლოდ ძველი ტრადიციებით, დიდი ხნის წინ გარდასული აღმოსავლური კულტურის შინაარსით, რომელიც ფართოდ გავრცელდა.

ზუსტად ასე იყო ხელოვნებაშიც. უძველეს დროებში ხელოვნებას თვლიდნენ რელიგიის ღრმა მონათესავედ; რელიგიური წარმოდგენები განიცდებოდა ხელოვნების ნაწარმოებებში. დააკვირდით, როგორ განიცდებოდა ბერძნულ ღმერთებზე წარმოდგენები ბერძენი დრამატურგებისა და მოქანდაკეების მიერ. ხელოვნება ისეთი რამაა, რაც მსოფლმხედველობის მთელ სტრუქტურასა და სულიერ ცხოვრებაში არსებობს. აღორძინების ეპოქა კი ხელოვნებას აღიქვამდა, როგორც რაღაც გარეგნულს.

XIX საუკუნეში ნათლად ჩანს, როგორ არიან ადამიანები კმაყოფილი, თუ მათ თუნდაც ერთხელ შესთავაზებენ ხელოვნებაში რაიმეს, რაც წარმოადგენს წმინდა ფანტაზიას, რომელშიც ისინი არ უნდა დაეყრდნონ რაიმე რეალობას, ისეთ რაიმეს, რაც მათ სინამდვილეზე არ მიუთითებს. როგორ ღვანან აქ თანამედროვე ცალკეული, მე ვიტყვოდი, განდევნილი ადამიანები, როგორიცაა გოეთე, რომელიც ამბობდა: „*კოსაც ბუნება*“ გაუხსნის თავის აშკარა საიდუმლოებას, ის შეიგრძნობს დაუძლეველ სწრაფვას მისი ყველაზე გასაოცარი განმმარტებლის, ხელოვნებისკენ“. „*მშვენიერება*“, ამბობს გოეთე, „ეს არის მანიფესტაცია ბუნების იდუმალი კანონებისა, რომლებიც მარადიულად დაფარული აღმოჩნდებოდნენ ჩვენგან მისი გამოვლენის გარეშე“. გასაოცარია, სხვებისგან განსხვავებით როგორ ისწრაფვის გოეთე უკან, წარსულისკენ, რომ მივიდეს რაღაც შინაარსამდე იმ პერიოდში ცარიელი ინტელექტით, რომელიც თავის თავს მხოლოდ გარეგნული გრძნობადი სამყაროთი აღავსებდა. ის უმზერდა უკან საბერძნეთს, ბერძნულ სამყაროს. ხოლო, როცა რომში მან შეიგრძნო გამოძახილი იმისა, რაც ბერძნულმა ხელოვნებამ განახორციელა ჯერ კიდევ მსოფლმხედველობის მთელი სიღრმიდან, *მან დაწერა ასეთი სიტყვები**: „აქ არის აუცილებლობა, აქ არის ღმერთი“. ხელოვნებიდან მისთვის იხსნება ის, რაც მას სურს, შეიგრძნოს როგორც სამყაროს სულიერება.

და მაინც, სულ უფრო მეტად და მეტად გეუფლება დაუძლეველი შეგრძნება: არსებული აზროვნება გამოდგება გარეგნული სამყაროსთვის, მაგრამ არ გამოდგება იმისათვის, რომ საკუთარი თავიდან გამომდინარე მიხვიდე შინაგან მშვენიერ შინაარსამდე. ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ შემდეგ სრულდება XIX საუკუნის მეორე ნახევარი. მე მინდა გითხრა, რომ გუშინ მიუვითეთ XIX საუკუნის პირველი ნახევრის სულისკვეთებაზე, საკმარისია მხოლოდ გადავხედოთ ჰეგელს ან სენ-სიმონს, ანდა თუნდაც სპენსერს, რომლებიც ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ თავიანთ მიერ მშვენიერად განცდილისგან ამოეწიათ რაღაც მსოფლმხედველობის მსგავსი ან თუნდაც შეხედულება სოციალურ ცხოვრებაზე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანებს ამის იმედი უკვე აღარ ჰქონდათ. მაგრამ ზემოქმედებას აგრძელებდა რაღაც იმისგან, რამაც არაცნობიერისგან წარმოშვა აზრი. მთელ ევროპაში თითქმის XII საუკუნემდე

სოფლის მცხოვრებთა ბუნდოვნად გაცნობიერებულ სიზმრებში რატომ მოქმედებდა გამოცანათა შინაგანი გადაწყვეტისგან, შინაგანი მოსაზრებულობისაგან რაღაცა, რაც განეკუთვნებოდა განცდებს ყოველგვარ ეშმაკურ გამოსაცნობ კითხვებზე? იმიტომ, რომ ამ დროს დაიბადა აზრი, განსჯა, აზრობრივი მუშაობა. იმ დროს ეს მზადდებოდა. ახლა კი ვხედავთ, ბოლოს და ბოლოს, როგორი იმედგაცრუება იყო აზროვნებაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რომ ყველგან წარმოიქმნება დეკლამაციები ბუნების შემეცნების საზღვრებზე. ისეთივე სიჯიუტითა და დოგმატურობით, როგორითაც ადრე საუბრობდნენ სქოლასტიკოსები იმაზე, რომ გონს არ შეუძლია ზეგრძნობადში შეღწევა, საუბრობდა, მაგ., *ემილ დუ ბოის-რეიმონდი** იმაზე, რომ მეცნიერულ კვლევას არ შეუძლია წინსვლა მატერიისა და ცნობიერების არსისკენ. მე ვიტყვოდი, რომ ადრე მიჯნის დადგენის ხასიათი განეკუთვნებოდა ზეგრძნობადს, ახლა კი ის განეკუთვნება იმას, რაც გრძნობადის მიღმა უნდა არსებობდეს. მაგრამ ყველა შესაძლო სხვა სფეროშიც ამ მოვლენის წინ წამოწევას ვხედავთ.

განსაკუთრებით ტიპურია ამ მიმართებით რანკე, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი. ერთხელ მან გამოთქვა ასეთი რამ: ისტორიამ უნდა გამოიკვლიოს გარეგნული მოვლენები, თვით იმ პერიოდშიც, როცა ქრისტიანობა იწყებდა გავრცელებას. საჭიროა იმის დანახვა, რაც ხდება აქ გარეგნული სახით პოლიტიკურ, სოციალურ მოვლენებსა და გარეგნული კულტურული ცხოვრების მოვლენებში. მაგრამ იმას, რაც აქამდე გათამაშდა ქრისტეს მეშვეობით კაცობრიობის განვითარების მსვლელობისას, რანკე მიაკუთვნებს უძველეს სამყაროს, მაგრამ არა დროითი თვალსაზრისით, არამედ იმ სამყაროს თვალსაზრისით, რომელიც ღვას კვლევას დაქვემდებარებულ სამყაროს მიღმა. ჩვენ ვხედავთ, რომ ბუნებისმეტყველი დუ ბოის-რეიმონდი საუბრობს უცოდინარობაზე მატერიისა და ცნობიერებასთან დაკავშირებით. ბუნების კვლევა უფრო ფართოდ უნდა გავრცელდეს; მაგრამ რა არსებობს იქ, სადაც არის მატერია, სადაც წარმოიქმნება ცნობიერება, აქ დუ ბოის-რეიმონდი ადგენს თავის შვიდ სამყაროსეულ გამოცანას და ამბობს თავის უცოდინარობაზე (*Ignorabimus*). ის, ვინც მოქმედებს იმავე სულისკვეთებით, როგორც ისტორიკოსი ლეოპოლდ ფონ რანკე, – ამბობს: რაც დოკუმენტებში არსებობს

და მისაწვდომია, ყოველივე ამის გაშუქება ისტორიულ კვლევას შეუძლია, მაგრამ მოქმედი გარეგნული ისტორიული ფაქტების უკან აქ დგას მოვლენები, რომლებიც წარმოადგენენ უძველეს სამყაროს. იმას, რაც ძვეს ისტორიულის საფუძველში ისე, როგორც დუ ბოის-რემონდისთვის, იმას, რაც არსებობს ბუნების შემეცნების საზღვრის მიღმა, რანკე უწოდებს უძველეს სამყაროს. აქ შიგნით ჩადებულია ქრისტეს საიდუმლოებანი და ძვეს ყველა ხალხის საიდუმლოება. ისტორიკოსი ამბობს, – ესაა „უცოდინარობა“. უცოდინარობა ბუნებისმეტყველის, უცოდინარობა ისტორიკოსის – ეს არის XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთელი სულიერი ცხოვრების განწყობა.

მიმოიხედეთ ყველგან, სადაც თქვენ აღიქვამთ ამ სულიერ ცხოვრებას, თვით *ვაგნერის** მუსიკის, ნიცშეს მღვდლის ხარისხის ჩათვლით – ყველგან ვლინდება ეს განწყობა. მავანი მიიხნევს, რომ საჭიროა თავი გადაიჩინოს გარკვეული მუსიკალური ოცნებებით, სხვა იტანჯება იმით, რაც აქ თამაშდება უცოდინარობის სამყაროში. აგნოსტიციზმი ხდება ტონის მიმცემი, აგნოსტიციზმი იქცევა პოლიტიკად, ხდება სახელმწიფოს მაფორმირებელი. და თუ ვინმეს სურს რაიმე პოზიტიურის კეთება, ის ეყრდნობა არა რაიმე აგნოსტიციზმს, არამედ – აგნოსტიციზმს. გუშინ უკვე ვისაუბრე, რომ მარქსიზმი, როგორც რაღაც სტრატეგია, ეყრდნობა იმას, რასაც ამჩნევს ინსტინქტებში, მაგრამ არა იმას, რის შეგროვებასაც ის ესწრაფვის არამიწიერში. ამრიგად, სულიერება ყველგან შევიწროებულია, აგნოსტიციზმი კი ფორმირებულ სინამდვილედ იქცევა.

სწორედ ასე უნდა გავიგოთ თანამედროვე სულიერი ცხოვრება. ეს მხოლოდ მაშინ გაირკვევა ჭეშმარიტი აზრით, როცა მის წარმოშობას აღიარებ ქრისტეს შემდგომ IV საუკუნიდან, როცა იცი, რომ აქ წარმოიქმნება ფორმა, ის, რაც მოგვიანებით ცოცხლობს, როგორც ნომინალიზმი, რაც ამოტივტივდება, როგორც ცარიელი იურიდიული, ლოგიკურად დადგენილი რიტუალი და იბადება ისეთი სახით, როგორც ეს ვაჩვენე. მაგრამ ეს აზრი, არსებითად რომ ვთქვათ, იბადება ჯერ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი გამოყენება შეუძლია ნომინალიზმს, რამდენადაც მისი გამოყენება შეუძლია ცარიელ აზროვნებას. ის თვლემს ცივილიზებული კაცობრიობის საფუძველებში. მისთვის აუცილებელია ავიდეს სიმაღლეზე.

ეს არის ის, რაც გვასწავლის ისტორიის ჭეშმარიტ განხილვას, როცა სულიერი კვლევის სინათლით ვაშუქებთ იმას, რაც კაცობრიობას ელანდებოდა, დაწყებული ჩვენს ერამდე IV საუკუნიდან. აქ ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, რა წარმოადგენს ჯანსაღს. ცხადია, ბუნებისმეტყველებაში აზრი ხდება ნაყოფიერი, ვინაიდან ის განაყოფიერებული იყო, როგორც აზრი, შობილი აღწერილი სახით ადამიანური ბუნების აზრობრივი ძალიდან. ახლა კი უბედურების უამს, უკიდურესობის დროს კაცობრიობამ უნდა გაიხსენოს, რომ აზრი, რომელსაც მხოლოდ უნდა გაენაყოფიერებინა ძალის სახით ცარიელი აზროვნება, რომელიც ბუნების შემეცნებას აღიქვამს გარედან, აზრი, რომელიც ჩავარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერულ, ისტორიულ აგნოსტიციზმში, უნდა გაძლიერდეს თავისთავად, კვლავ უნდა იქცეს ჭვრეტად, უნდა ავიდეს ზეგრძნობად სამყაროებში. ის, რომ ეს აზრი არსებობს, რომ ეს აზრი უკვე ქმნიდა საბუნებისმეტყველო მეცნიერულ შემეცნებაში და რომ მისი ძალა ძვეს ჯერ კიდევ ღრმად საკაცობრიო ცნობიერების განვითარებაში, ეს აუცილებელია გაცნობიერდეს, როგორც ისტორიული ფაქტი, მაშინ განიმსჭვალებიან ნდობით სულიერების შინაგანი ძალისადმი, მაშინ მიუბრუნდებიან სულიერებას; ამდენად, სულისმეცნიერება დაფუძნდება არა ბუნდოვანი მისტიკიდან, არამედ აზროვნების სიცხადიდან; მას ასევე შეუძლია ქმედითი იყოს აზროვნებაში და ზეგავლენა იქონიოს სოციალურ და სხვა ადამიანურ ორგანიზაციაზე. მუდმივად ამბობენ, რომ ისტორია უნდა იქცეს დამრიგებლად, მასწავლებლად. მას იმიტომ კი არ შეუძლია იქცეს დამრიგებლად, რომ იგი თვალსაჩინოდ ახდენს შორეული წარსულის დემონსტრირებას, არამედ იმიტომ, რომ მას ხელეწიფება ჩვენთვის ახლის გამოვლენა ყოფიერების საფუძვლებიდან. ასეთი სიახლით, ასეთი ჭვრეტით ეძიებენ იმას, რაც ესწრაფვის ამ ბირთვიდან გამოსვლას. ამას შეუძლია თავისი თავი გაამართლოს არა მარტო სულისმეცნიერული მეთოდის უწყებებიდან, არამედ ასევე განხილვის მართებული ისტორიული მეთოდიდან.

უპირველეს ყოვლისა, მსურს ამის მკაფიოდ ხაზგასმა. მე იმედი მაქვს, რომ მოგვიანებით შესაძლებელი იქნება ამ მოვლენების უფრო დეტალურად განხილვა.

II

ბუნებისმეტყველება და კაცობრიობის მსოფლიო ისტორიული განვითარება უძველესი დროიდან

თბი ლექცია

შტუტგარტი
1921 წლის 21-24 მაისი

ამ ლექციებში მსურს, გადმოვცე ზოგი რამ ხალხთა სულიერი ცხოვრების კავშირებსა და ამ ხალხთა ისტორიულ ბედისწერაზე. რამდენადაც თანამედროვე ადამიანის აზრით მისი გარემომცველი მშენებელი განწყობის შესაბამისად, რომლითაც ის არის მოცული დღეს, ცივილიზაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ბუნებისმეტყველება, ამიტომ მე მსურს სხვადასხვა თვალსაზრისიდან, რომლებითაც შეიძლება განვიხილოთ ხსენებული თემა, უპირველეს ყოვლისა, წამოვწიო და ვაჩვენო საბუნებისმეტყველო მეცნიერული თვალსაზრისი, რამდენადაც კაცობრიობის მიბრუნება მისკენ ჩვენს დროში მიუთითებს ხალხთა მთელი ისტორიული ჩამოყალიბების დრმა საფუძვლებზე.

ამისთვის აუცილებელია, დღეს გაგვაკეთოთ გარკვეული შესავალი, შემდგომ ლექციებში კი დღევანდელი განხილვის საფუძველზე გამოვყოთ ძირითადი თემა.

მზერას თუ მივაპყრობთ ხალხთა ისტორიულ განვითარებას და, უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ მას, მაშინ გარეგნულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ბედისწერებთან ერთად ჩვენ წინაშე წარმოჩნდება ამ ხალხთა სულიერი უნარები, სულიერი მონაპოვრები და სულიერი შედეგები. თქვენ იცით, რომ ჩვენს დროში მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს აზრთა ორი სახე. აქ, შტუტგარტში წაკითხულ წინა ლექციებში* უკვე მივუთითე ამ ერთმანეთს დაპირისპირებულ აზრობრივ მიმართულებებზე. უპირველეს ყოვლისა, არსებობს შეხედულება, რომელიც უფრო მეტად ეყრდნობა იდეალურს, რამდენადაც ჩვენ ამის გაგება ხელგეგწიფება და ის მიიჩნევს, რომ ხალხთა განვითარების დროს გაბატონებულია სულიერი საწყისი, მაგრამ მხოლოდ იდეის აბსტრაქტული ფორმით. ამგვარი შინაგანი სულიერი ყოფიერებისგან მის ცნობიერებაში აღიძვრება გარეგნული მოვლენები. მოკლედ, საუბარია იმაზე, რომ ისტორიაში გაბატონებულია იდეები, რომლებიც მთელი სისავსით ვლინდება ეპოქიდან ეპოქამდე, ამასთან ჩვეულებრივ ვერ ერკვევიან, სულიერად ნამდვილად არსებულთან რამდენად ბუნდოვანი ჩანს ისტორიის გავლით

ამგვარად გაგრძელებული თანმიმდევრობა იდეებისა, რომლებიც ქმედითი უნდა იყოს.

მეორე აზრობრივი მიმართულება, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობს ჩვენს დროში, გულისხმობს, რომ ყველა სულიერი მოვლენა, ჩვეულებების, სამართლის, ეკონომიკის, ხელოვნების, რელიგიისა და ა.შ. ჩათვლით, წარმოადგენს მხოლოდ მატერიალურის ანუ, როგორც დღეს კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ამბობს, სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტების შედეგს. წარმოდგენიან, რომ გარკვეული უხილავი ძალები, რომლებიც შემდგომში არ განიერცობიან, იწვევენ ერთმანეთის მომდევნო ისტორიულ ეპოქებში ამა თუ იმ განსაკუთრებულ ეკონომიკურ სისტემას, ადამიანური თანამშრომლობის ამა თუ იმ მეთოდს, შემდეგ ამ თანამშრომლობის მეშვეობით, ანუ წმინდა მატერიალურ-ეკონომიკური პროცესების წყალობით, წარმოიქმნება ის, რასაც ადამიანები აღიარებენ იდეის სახით, რასაც ისინი განიხილავენ, როგორც ზნე-ჩვეულებებს, როგორც სამართალს და ა.შ.

სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია, როგორც ერთი ისე მეორე თვალსაზრისისთვის დავასახელოთ, მე ვიტყვოდი, საფუძვლიანი მიზეზები. დასაბუთება იმ კუთხით, როგორც დღეს მუდმივად საუბრობენ ამაზე, შეიძლება, როგორც ერთის ისე მეორის. შემდეგ თუ ვინმე ერთს ან მეორეს გადაწყვეტს პირველი ან მეორე სახის აზრებისთვის, მაშინ ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორია ის მის ზოგად ინსტინქტებთან მიმართებით, როგორაა ის მისადაგებული სამყაროს, როგორ ცვლის მას ცხოვრება სამყაროსთან მისი ამ ურთიერთობის მეშვეობით და ა.შ.

ორივე ეს მტკიცება – ერთი, რომ მატერიალური ცხოვრება არის სულიერი ცხოვრების შედეგი, – მე მსურს, ახლა მოვიყვანო ყველაზე ზოგადი ფორმულა, – ხოლო მეორე, რომ მთელი სულიერება არის მატერიალურ-ეკონომიკური პროცესების შედეგი, ისე მიეკუთვნება ერთმანეთს, როგორც: თავდაპირველად იყო კვერცხი, თუ თავდაპირველად იყო ქათამი.

დღეს გარემომცველი ხილული სამყაროს მთელი მონაცემიდან ცხადია, რომ ცხოვრებისეული პრინციპების რაიმე სახით დასაბუთების მეშვეობით შეუძლებელია გადაწყდეს, იყო თუ არა თავიდან კვერცხი, თუ ჯერ იყო ქათამი, რამდენადაც

ერთი თვალსაზრისით სრულიად გარკვეულად პირველად უნდა ყოფილიყო პირველი, მეორე თვალსაზრისით – მეორე. თუ მოცემულ მომენტში ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ წმინდა ლოგიკურზე, მაშინ ჩემ მიერ გამოთქმული ორივე მტკიცებით ისე შეიძლება ჟონგლიორობა, როგორც კვერცხისა და ქათმის ცნებით. ასეთი მოვლენების შესახებ გადაწყვეტილება სრულებითაც არ ძევის იმ სფეროში, რომელშიც ახალ დროში ჩვეულებრივ მოიპოვებენ წინასწარ პირობებს მსოფლმხედველობრივი საკითხებისთვის, არამედ – შემეცნების დრმა საფუძვლებში. სანამ აქამდე მისვლას შეძლებდე, აუცილებელია სწორად გაარკვიო, კაცობრიობის ერთმანეთის მომდევნო ეპოქებში რა გვეგებება ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ერთ სფეროში – სულიერში.

ჩვენი დროის ადამიანი აშკარად მიდრეკილია, აზრობრივად გააერთიანოს თვით მისი ჭვრეტისთვის ერთმანეთისგან ძალზე დაშორებული მსოფლიო ეპოქები. უპირველეს ყოვლისა, ადამიანი საკუთარ თავს შეიგრძნობს თავისი დროის შიგნით საკუთარი შეხედულებებით. ის ცდილობს, შეძლებისდაგვარად ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება თავისივე ზოგადი ადამიანური გარემოცვის შესაბამისად. ამ მიმართებით არსებობს ზოგადი არაცნობიერი სწრაფვა, უგულებელყონ ადამიანთა შეხედულებები. მართებულად მიიჩნევენ იმას, რაც გავრცელებულია გარეთ, ზოგადად აღიარებული ავტორიტეტების მიერ. ამბობენ: ესა თუ ის, არის ჭეშმარიტება, სინამდვილეში კი გულისხმობენ, რომ ესა თუ ის, აღიარებულია ჭეშმარიტებად ცნობილი ავტორიტეტების მიერ. მაშინ ამ აღიარებას გრძნობენ სწორედ განათლებული, ნამდვილად ცივილიზებული ადამიანის ღირსად. ყოველ შემთხვევაში, ისტორიულ ეპოქებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ეს მსოფლმხედველობები, უყურებენ, როგორც საბავშვო პრელუდიებს იმისა, რაც დღეს გარკვეულ დონემდე სრულყოფილად იქცა მეცნიერულ შემეცნებაში და ამის მსგავსში. ზოგადად გულისხმობენ, რომ ისტორიული ეპოქების ადამიანებს, არსებითად, ყოველთვის უნდა ეაზროვნათ ისე, როგორც უნდა იაზროვნონ დღეს. ოღონდ ისინი აქამდე მაშინვე არ მისულან; მათ ჯერ უნდა შეეღწიათ ყველანაირი მითებისა და ამის მსგავსის მიღმა იმისკენ, რაც დღეს წარმოადგენს მკაცრ მეცნიერულ მეთოდს. ასეთი სახით განვითარების

დროს, რასაც წინ წასული ადამიანური აზროვნების შესახებ წარმოიდგენდნენ, ამას შემდეგ უაკავშირებენ წარმოდგენებს კულტურათა ძალზე პრიმიტიულ მდგომარეობებზე, რომლებშიც ადამიანები ცხოვრობდნენ უფრო, როგორც, მე ვიტყვოდი, უმაღლესი ცხოველები – წმინდა ინსტინქტურად და ა.შ. არ ეჭვობდნენ იმის გამო, როგორ ხდებოდა გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ცდილობდნენ, მიეღწიათ სიცხადისთვის კაცობრიობის განვითარების ორივე მდგომარეობასთან დაკავშირებით. შემდეგ თუ შევეკითხებით, როგორ ერთიანდება ორივე ეს შეხედულება: შეხედულება პრიმიტიულ ადამიანსა და შეხედულება ადამიანზე, რომელსაც დღეს ჩვეულებრივ განიხილავენ, შესაძლოა მაინც გაჩნდეს ეჭვები, ვინაიდან კაცობრიობის ამ ორ შემოთავაზებულ მშვიდგონებულ განწყობას შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი უფსკრულია. თქვენ შეგიძლიათ აიღოთ, მაგალითად, ფილოსოფიის თანამედროვე ისტორია და გადაიკითხოთ პირველ თავში რაღაც წინარე ხალხების ფილოსოფიაზე, ანუ იმ ხალხებზე, ახლა რომ არ მიეკუთვნებიან ცივილიზებულ სამყაროს და რომლებსაც ახასიათებდნენ, როგორც იმ ხალხთა შთამომავლებს, რომლებზეც მე ვთქვი, რომ მათ წარმოიდგენდნენ რაღაც უმაღლესი მოლაპარაკე ცხოველების სახით, რომლებიც ეწეოდნენ, ასე ვთქვათ, ინსტინქტურ ყოფიერებას. ეს თავი წინარე ხალხების ფილოსოფიაზე, რომელიც დაყოფილია თანამედროვე კატეგორიების შესაბამისად, რომელთაც ამავე დროს იღებენ ლოგიკასთან, შემეცნების თეორიასთან, ნატურფილოსოფიასთან და ეთიკასთან შესაბამისობაში, დამუშავებულია ცნობილი და სახელოვანი *გუნდტის** მიერ. შემდეგ, როცა მასში ნახულობ ინდური და ჩინური ფილოსოფიის განმარტებებს, მაშინვე ამჩნევ: წინარე ხალხების ამ ფილოსოფიასა და ინდურ და ჩინურ ფილოსოფიას შორის ნამდვილად არსებობს უფსკრული. ამ უფსკრულზე იქ არაფერია ნაუწყები. უკვე ინდუსებში ჩანს სრულყოფილი მსოფლმხედველობა, ჩვენს დროში კი ზოგიერთი ადამიანი იმასაც ფიქრობს, რომ ამ სრულყოფილი მსოფლმხედველობიდან შეიძლებოდა ბევრი რამის გადმოღება ახლა, რამდენადაც, არსებითად, ის გაცილებით მნიშვნელოვანია იმაზე, რაც დღეს ხორციელდება.

ვინც ახლა სწავლობს ვილჰელმ გუნდტის მიერ წინარე ხალხთა ფილოსოფიაზე დაწერილს, ის ნამდვილად გრძობს

თავს რაღაც უცნაურ სტიქიაში, თუ, ცხადია, იქნება საკმარისად ობიექტური, რომ მოვლენებს არ შეხედოს რაიმე სათვალთ, რომელიც დაყენებულია მისი მშენიანი მზერის წინაშე თანამედროვე აზროვნების ფილოსოფიური მეთოდის მეშვეობით. შეიძლება დაიბადოს განცდა, რომ ვუნდტის ამ განმარტებებში ყველაფერი კონსტრუირებულია. აქ რეალიზდება ერთადერთი განსჯა (Aperçus) იმ მეთოდის შესახებ, როგორითაც დღეს ცივილიზებული ხალხები ამცნობენ საკუთარი აზროვნების ხასიათს თავიანთი ენის გამოვლენის მეშვეობით. ამას მოსდევს ჰიპოთეზა, რომ დედამიწის უძველესი მოსახლეობა იყო ისეთი, როგორიც – ეს წინარე ხალხები, რომლებიც შენარჩუნდნენ ამ ადრინდელ მდგომარეობაში, მხოლოდ რამდენადმე დაცემულში. განვიხილათ, როგორ წარმოიქმნა აქ არსებული ცნებები, რომელიც მიღებულია არა გამოცდილებიდან, არამედ ის, ვინც ცნებები განავითარა, ეყრდნობა იმას, რაც დღეს ცნების სახით არსებობს მიზეზობრიობაზე, შემეცნებაზე, ბუნების საფუძვლებზე და ა.შ., და მსჯელობს იმაზე, როგორ შეიძლება ეს გამოვლინდეს შედარებით პრიმიტიულ მდგომარეობაში. შემდეგ კი ეს ამგვარად კონსტრუირებული მას წინარე ხალხებზე გადააქვს.

დღეს მთლიანად თითქმის შეუძლებელია, ჩავიხედოთ სხვა ადამიანის მშენიანი წყობაში. და მაინც, იმაში, რასაც განიხილავენ, არსებითად, აბსოლუტურად არაფერია ისეთი, რაც გვათქმევინებდა, რომ ვუნდტის გადმოცემულში მოვლენები თითქოსდა წარმოიქმნა მხოლოდ დღევანდელი წინარე ხალხების მდგომარეობაში გრძობების ჩაფლობით. სახელოვანი ვუნდტი, არსებითად, ტრიალებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი წარმოდგენების გარშემო, რომელთაც ის, უბრალოდ, რამდენადმე ამარტივებს და შემდეგ მიაწერს განსახილველ ადამიანებს.

ვინაიდან დღეს, თითქმის არაფერი ხდება ამ წინარე ხალხებს, რომლებიც აქ უნდა დარჩენილიყვნენ, და განვითარებული მსოფლმხედველობების მქონე ხალხებს შორის, ამიტომ ისტორიულად ვჭკვრეტ მოვლენებს, დაყენებულს გვერდიგვერდ დამოუკიდებლად იმისგან, რომ ეს, მე ვიტყვოდი, ლოგიკურად დამამცირებელია წინარე კაცობრიობის ისეთი აღწერის შემდეგ, როგორსაც იძლევა ვუნდტი იმ წიგნში, ახლა კი უშუალოდ აღმოაჩინო მაღალგანვითარებული, გასაოცარ

ჭკრეტებზე დაფუძნებული ინდური ან ჩინური მსოფლმხედველობა. აზროვნების სხვა სახეში ამგვარი შეჭრა დღეს საერთოდ არ არსებობს. იმისგან, რის გააზრებასაც მივეჩვიეთ, ვთქვათ, XIX და XX საუკუნეებში, ჯერ მივბრუნდეთ XV-XVI საუკუნეებისკენ და შემდეგ შუა საუკუნეებისკენ. მათ მონათესავედ თავს ვერ გრძნობ, ამის გაგება შეუძლებელია; ამიტომაც ამბობ, რომ ეს არის ბუნდოვანი, შავბნელი დრო; იქ საკაცობრიო ცივილიზაცია ნამდვილად გავერანებული იყო. შემდეგ მხერას მიაპყრობ კიდევ უფრო უკან – ელინიზმს. ელინიზმთან დაკავშირებით გიჩნდება გრძნობა, რომ მას შეიძლება მიეახლო იმავე ცნებების შენარჩუნებით, როგორც მიიღე თანამედროვე კულტურული საზოგადოებიდან. თუმცა, ისეთი ნატიფი შეგრძნების მქონე ადამიანი, როგორცაა *ჰერმან გრიმი**, სრულიად სხვაგვარად საუბრობს. ჰერმან გრიმი ხაზგასმით ამბობდა, რომ სინამდვილეში თანამედროვე ცნებებით შეიძლება წარსულში ჩახედვა, მხოლოდ რომაელებამდე. ზოგადად რომაელების გაგება კიდევ შეიძლება; მაგრამ თუ გსურს, მიეახლო საბერძნეთს, იქ უკვე დაინახავ, რომ *პერიკლე**, *ალკიბიადე** და, მით უმეტეს, *სოკრატე** ან *პლატონი**, ანდა *ესქილე** და *სოფოკლე** – თანამედროვე გაგებით, არსებითად, ჰგვანან ჩრდილებს და გვეგებებიან, როგორც უცხო, როცა მათ მიუსადაგებ თანამედროვე ცნებებს. ისინი გვესაუბრებიან აქ, როგორც სხვა სამყაროდან. ისინი საუბრობენ ისე, თითქოსდა თავად ისტორია მათთვის უკვე ხდებოდა ზღაპრული სამყარო. ასე საუბრობდა ჰერმან გრიმი ამ მოვლენებზე. თუ დაეყრდნობი ჰერმან გრიმის განსხვავებულ თვალსაზრისს, საჭიროა დამატებითი განმარტებები იმისთვის, ვინც ახლა მთლიანად შეეზარდა, – რასაც სწორედ ადგილი არა აქვს ჰერმან გრიმთან, – თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერულ შეხედულებას: აზრობრივად რომაელებისკენ მიბრუნება ასევე უკვე არ შეიძლება, ასე რომ, ისინი ნამდვილად წარმოიქმნებიან ობიექტურად. ჰერმან გრიმს არ მიუღია საბუნებისმეტყველო მეცნიერული განათლება, არამედ მიიღო მხოლოდ ის, რაც უწყვეტად აგრძელებდა ცხოვრებას რომაელების დროიდან თანამედროვე დრომდე; მას ჯერ კიდევ შეეძლო რომაულ დროსთან შესისხლხორცება, მაგრამ ბერძნულთან უკვე – არა. ვინც არაფერი იცის ჩვენს სამართლებრივ ცნებებზე, ჩვენს სახელმწი-

ფოებრივ ცნებებზე, რომლებიც კოპირებულია რომაულისგან, მან არაფერი იცის იმ თავისებურ მხატვრულ აღქმაზე, რომელიც ხელახლა გამოვლინდა აღორძინების ეპოქის მეშვეობით და რომელსაც მთლიანად შეესისხლხორცა ჰერმან გრიმი; ამ ყველაფრის მიუხედავად, ვინც ცხოვრობდა წმინდა საბუნებისმეტყველო მეცნიერული წარმოდგენებით, მას ნამდვილად არ შეუძლია, შეეთვისოს რომაულ სამყაროს, უკვე თავად შუა საუკუნეებშიც, ისევე, როგორც ჰერმან გრიმს არ შეეძლო შესისხლხორცებოდა ბერძნულს; ესაა პირველი, რისი დამატებაც აუცილებელია; მეორე, რაც არ გაითვალისწინა ჰერმან გრიმმა აღმოსავლეთის სამყაროა. სამყაროს მისეული განხილვით ის მიდის მხოლოდ საბერძნეთამდე. თავისი ვარაუდებით კი, თუ მიუბრუნდებოდა, ვთქვათ, ვედებს, ვედების ფილოსოფიას, მას უნდა ეთქვა: თუ ბერძნები ჩვენ წინაშე დგანან როგორც ჩრდილები, მაშინ ის ადამიანები, რომელთა სულიერმა განწყობებმა თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს ვედებში, ვედანტაში, ჩვენ წინაშე მდგომნი უნდა აღვიქვათ არა, როგორც ჩრდილები, არამედ, როგორც ხმები სრულიად სხვა სამყაროდან, იმ სამყაროდან, რომელიც თვით თავისი ჩრდილოვანი ხატებით უკვე შეუძლებელია შედარდეს ჩვენსას. – მაგრამ ეს ღირებულია მხოლოდ მაშინ, როცა აზროვნების თანამედროვე მეთოდსა და სულიერ განწყობას ისე შევისისხლხორცებთ, რომ მათ გავიგებთ, როგორც მხოლოდ მშვინვიერ შინაარსს.

ეს ხდება სხვაგვარად, თუ გამოიყენებ დღეს მთლიანად აბსოლუტიზებულ მეთოდს. თუმცა, ამ დროს არის შესაძლებლობა, ჩავწვდეთ და შევესისხლხორცოთ გარდასულ დროის ეპოქას სულისმეცნიერული ცხოვრების მეშვეობით. სულისმეცნიერული თვალსაზრისით კაცობრიობის განვითარების ცალკეული ეპოქები აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან; დიახ, მხოლოდ სულისმეცნიერული წარმოდგენებიდან გამომდინარე, წარმოიქმნება შესაძლებლობა, განვიმსჭვალოთ იმით, რაც წინა ეპოქების კაცობრიობას გააჩნდა საკუთარი მშვინვიერი განწყობის სახით ისტორიული ჩამოყალიბების პროცესში. მაინც რისი წყალობით მოხდება ეს?

ამდენად, ეს შესაძლებელია შემდეგი სახით. მე არაერთხელ აღვნიშნე მოხსენებებში, რომ სულისმეცნიერება ეფუძნება ადამიანური მშვინვიერი უნარების განსაზღვრულ განვი-

თარებას. ჩემს წიგნში საგნობრივი ცნობიერება ვუწოდებ იმ შემეცნებას, რომელსაც ვიყენებთ ბუნებისმეტყველებაში და ჩვეულებრივ ცხოვრებაში, რომელიც თანამედროვე დროში გადაგვაქვს ასევე ისტორიასა და სოციალურ მეცნიერებაზე, ამავე დროს, თვით რელიგიათმცოდნეობაზეც. ეს ცხადია, იცის ყველა ადამიანი, ვინც ეკუთვნის დღევანდელ ცივილიზებულ ცხოვრებას. გრძნობის დახმარებით განიხილავენ გარეგნულ სამყაროს, განსჯის მეშვეობით კი კომბინირებენ გრძნობად აღქმებზე. ამასთან იღებენ ან სასარგებლო ცხოვრებისეულ წესებსა და ცხოვრებისეულ დასკვნებს, ანდა ბუნების კანონებს და ა.შ. ამას უწოდებენ *საგნობრივ შემეცნებას**. ამ შემეცნებისთვის ნიშანდობლივია ის, რომ ამით მკაფიო განსხვავებაა შესა და გარემომცველ სამყაროს შორის. ცნობილია, – ახლა ჩვენ ყურადღებას არ გავამახვილებთ შემეცნების სხვადასხვა თეორიასა და ფსიქოლოგიურ თუ ფიზიოლოგიურ ჰიპოთეზებზე, – რომ, როგორც „მე“ შენ თავად უპირისპირდები გრძნობად აღქმას. გრძნობადად მოცემული ფაქტების რაღაც სახის გაერთიანებებს იღებ საკუთარი განსჯის მეშვეობით, რომელზეც ზუსტად იცი, რომ მასში აქტიურად ცხოვრობ. ამის წყალობით განასხვავებ აქტიურ განსჯით მოქმედებას პასიური აღქმისგან. საკუთარ თავს გრძნობ როგორც „მე“-ს იმ გარემოცვაში, რომელიც ვლინდება გრძნობადი გამოცდილების მეშვეობით. სხვა სიტყვებით, როგორც მოაზროვნე, მგრძნობი და მნებავი(wollender) ადამიანი საკუთარ თავს განასხვავებ გარემოცვისაგან, რომელიც ადამიანს ეუწყება გრძნობადი გამოცხადების მეშვეობით. მე ადრეც მივუთითებდი, რომ შემეცნების ამ მეთოდით შესაძლებელია, განავითარო სხვა მეთოდი, მაგალითად, *ჩემს წიგნებში**: „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“ და „იღუმაღლთმეტყველების ნარკვევი“ მე ვამბობდი, როგორ აღწევდნენ შემეცნების ასეთ მეთოდებამდე.

ასეთი შემეცნების პირველ ნაბიჯს ახლა ჩვენ ვუწოდებთ „უმაღლესს“, ან, როგორც ყოველთვის (ამას არა აქვს მნიშვნელობა) – იმაგინაციურ შემეცნებას. იმაგინაციური შემეცნება, არსებითად, განსხვავდება საგნობრივისგან იმით, რომ ის არ მუშაობს აბსტრაქტულ ცნებებთან, არამედ – ხატებთან, რომლებიც ზუსტად ისეა დატვირთული, ისეთივე თვალსაჩინოა, როგორც წარმოდგენის სურათ-ხატები, თუმ-

ცა ისინი არ არიან აბსტრაქტულ აზრებში გარდაქმნილნი. ამ ხატებს ისე ეკიდები, რომ მათ, როგორც ხშირად აღვნიშნავდი, წარმოშობენ და ეუფლებიან ისეთივე სახით, როგორც მათემატიკურ წარმოდგენებს.

იმაგინაციური შემეცნებისკენ ამაღლების ამ მეთოდს გააჩნია სრულიად განსაზღვრული შედეგები ადამიანის მშენიანი განწყობისთვის. მე გარკვევით შეგახსენებთ, რომ ეს შედეგი არსებობს, სანამ ადამიანი იმაგინაციური შემეცნების პროცესშია. ვინაიდან, როცა სულისმკვლევარი იმყოფება ჩვეულებრივ ცხოვრებაში, იგი სხვების მსგავსად იყენებს ჩვეულებრივ შემეცნებას, საგნობრივ შემეცნებას. ის აქ იგივე მშენიანად მდგომარეობაშია, როგორშიც სხვა ადამიანი, რომელიც არაა სულისმკვლევარი. სულიერი კვლევისას, ანუ იმ მდგომარეობაში, რომლის წყალობითაც ჭვრეტ სულიერ სამყაროს, სულისმკვლევარი არის საკუთარ იმაგინაციურ სამყაროში. უბრალოდ ეს იმაგინაციები არ წარმოადგენს სიმებს, არამედ ისინი განმსჭვალულია ისეთივე გონიერებით, როგორც მათემატიკური წარმოდგენები. შესაბამისად, ყოფიერების მიმართებით გონიერებასთან ჩვენს დროში მშენიანი მდგომარეობა არ შეცვლილა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იმაგინაციური განცდის დროს სამყაროს განცდასთან მიმართებით ის წარმოადგენს სხვას, ვიდრე ჩვეულებრივი განცდის დროს. იმაგინაციური განცდისას ის ისეთია, რომ ადამიანი შეიგრძნობს საკუთარ თავს, როგორც ერთიანს იმ ყველაფერთან, რა გაიშლება მისი საკუთარი მშენიანი ცხოვრების სახით სწორედ დროში, ასე რომ, მხედველობაში მიიღება არა სივრცე, არამედ მხოლოდ დრო. ამიტომაც, ადრე უკვე ვთქვი, რომ იმაგინაციურ წარმოდგენაში შესვლით მანამდე არსებული განცდები, უპირველეს ყოვლისა, დაბადების დროიდან ან დაბადების შემდეგ განსაზღვრული მომენტიდან, დგას დამკვირვებლის წინაშე, როგორც დროში განლაგებული, ერთჯერადად აღქმული ტილო, როგორც დროებითი სურათი. მხოლოდ ჩვეულებრივი წარმოდგენისთვის არის ეს მოვლენა ძნელი გასააზრებელი, რამდენადაც საქმე გაქვს სურათთან, რომელიც არ არის სივრცობრივი და აუცილებლად წარმონდგება მხოლოდ დროში და რომლისთვისაც, გარკვეული მიმართებით, დამახასიათებელია ერთდროულობა. ჩვეულებრივი ცხოვრებისას ცნობიერებაში საქმე ყოველთვის

ერთ მომენტთან გაქვს. მისგან იყურები უკან წარსულში. ამ მომენტის დროს სივრცეში ხედავ სამყაროს შენ გარშემო და განასხვავებ საკუთარ თავს იმ გარემოცვისგან, როცა არსებობ ამ განსაზღვრულ მომენტში. იმაგინაციური შემეცნებისას ეს სხვაგვარად ხდება. აქ აზრი არა აქვს იმის თქმას, რომ ვცხოვრობ თანამედროვეობის განსაზღვრულ მომენტში, მაგრამ თუ ამ მომენტში ვჭვრეტ ცხოვრების სურათს, მაშინ ჩემს ცხოვრებას ვერწყმი. მე ასეთივე წარმატებით ვარსებობ მომენტში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ათი, ოცი წლის წინ, როგორც ამჟამინდელ მომენტში. აქ განხილული მყოფობა, გარკვეულ დონეზე, შთანთქავს „მე“-ს. იზრდება საკუთარ დროით ჭვრეტასთან ერთად, მყოფობასთან ერთად. ხდება ისე, თითქოსდა „მე“, რომელსაც ჩვეულებრივ მოიცავ და განიცდი ამჟამინდელ მომენტში, ფართოვდება წარსულის გავლით. ეს, როგორც თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ცხადია, დაკავშირებულია მთელი მშენიერი წყობის ცვლილებასთან იმ წამისთვის, რომელშიც ასე განიცდი. საქმე გაქვს ხატ-სახეების სამყაროსთან, რომლის შიგნითაც თავად ცხოვრობ. საკუთარ თავს თავადვე შეიგრძნობ, გარკვეულწილად, როგორც ხატ-სახეს ხატ-სახეში. ის, ვინც ამას იაზრებს კეთილი ნებით, უკვე აღარ დაიწყებს სისულელის როშვას იმაზე, რომ სულისმკვლევარი შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე შთაგონებას ან ჰიპნოზს; ცხადია, რომ რამდენადაც იგი წარმოჩნდება საკუთარი თავის წინაშე აბსოლუტურად მკაფიოდ საკუთარი განცდების ხატოვანი ხასიათის მეშვეობით, იგი იქცევა ხატ-სახედ ხატ-სახეებს შორის. სწორედ იმიტომ, რომ ის წარმოადგენს ხატ-სახეს, მან ასევე იცის, რომ, მართალია, მას ცნობიერებაში გააჩნია, უპირველეს ყოვლისა, სურათ-ხატები, თუმცა ისინი, ისევე როგორც ჩვეულებრივი წარმოდგენები, სინამდვილის ანასახებია, რომელთაც იგი, ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს, როგორც სინამდვილეს, რომლის სურათ-ხატებსაც შიგნით ჭვრეტს.

შთაგონებისა თუ ჰიპნოზის მდგომარეობაში მხოლოდ მაშინ იმყოფები, როცა გაქვს სურათ-ხატები და გჯერა, რომ ეს ხატები სინამდვილეა, როგორც გრძნობის ორგანოებით აღქმული გარეგნული სინამდვილე. როგორც კი გაარკვევ იმის ხასიათს, რასაც განიცდი საკუთარ ცნობიერებაში, საუბარი უკვე აღარ შეიძლება სხვა რამეზე, გარდა ისეთი წარ-

მოდგენების დაუფლებისა, როგორც გაგანხია მათემატიკურ წარმოდგენებში. მაგრამ მნიშვნელოვანია, – მე მსურს, დღეს განსაკუთრებით გაეუსვა ხაზი ამას, – სწორედ ეს გახსნა დროით-ობიექტურში, ჩამოყალიბებაში, ასევე ეს ერთიანობა ჩამოყალიბებასთან, ასე რომ უკვე, მე ვიტყვოდი, კვლავ აღარ ებღაუჭები ამჟამინდელ დროს, მაგრამ საკუთარ თავს გრძნობ თავად მოვლენების ნაკადში არსებულად.

მომდევნო საფეხურს წარმოადგენს ინსპირაციის საფეხური, რომელიც მიიღწევა სავარჯიშოების მეშვეობით და ჩემ მიერ აღწერილია ხსენებულ წიგნში. ეს საფეხური წინამორბედი იმაგინაციის საფეხურისგან განსხვავდება იმით, რომ ის ხატოვანება, რომელიც იმაგინაციური წარმოდგენის დროს შენ წინაშეა, მეტ-ნაკლებად ქრება. თავიდან აუცილებელია ის გქონდეს, თუ გსურს, სულისმცნეირების სწორ წარმოდგენებს ჩასწვდე, მაგრამ, თავის მხრივ, აუცილებელია, შეძლო მისი ამოგდება ცნობიერებიდან და უნდა შეძლო საკუთარი ნებით მასზე უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში უნდა შეინარჩუნო რაღაცა და ეს სწორედ ისაა, რაც აქეთკენ იჭრება სულიერი სამყაროდან. ზემოხსენებულ თხზულებებში ვსაუბრობდი სულიერი სამყაროს ინსპირაციულ წარმოდგენაზე. მისი წყალობით სულიერ სამყაროში ჯერ კიდევ არ იმყოფები საკუთარი განცდით. ადრე გაგანხდა სურათ-ხატები, ახლა კი – გარკვეულ დონეზე სულიერი სამყაროს გამოცხადება, მაგრამ დამოუკიდებლად უპირისპირდები ამ გამოცხადებას და მას შეიმეცნებ თავის რეალობაში, მის გარეთ ყოფნით.

დღეს მე მსურს, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო იმ მშენიერი მდგომარეობაზე, როცა საკუთარ თავში თვითნებურად იწვევ ამგვარ ინსპირაციას. მაშინ ჩვეულებრივ საგნობრივ სამყაროს რაღაც სახით განუდგები და იცი, რას ნიშნავს საკუთარი სხეულის შიგნით სულიერი სამყარო თავისი გამოცხადებებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლა ერწყმი არა მარტო დროითს, არამედ იმ ყველაფერს, რაც ადამიანის გარეთ წარმოადგენს სულიერად ობიექტურს. უკვე ვეღარ გრძნობ განსხვავებას სამყაროს ყოფიერებასა და „მე“-ს ყოფიერებას შორის ისე, როგორც მას შეიგრძნობ საგნობრივი შემეცნებისას, მაგრამ განიცდი „მე“-ს და ამ „მე“-ში სამყაროს, ცხადია თავისი კონკრეტული განსხვავებებითა და მრავალფეროვნებით. არსებითად, შეიმეცნების ამ

საფეხურისთვის სულერთია, ვიტყვი თუ არა: „მე ვარ სამყაროში“, ან – „სამყარო არის ჩემში“. სამყაროს გამოსახვის ჩვეულებრივი მეთოდის სისწორე ქრება. წინდებულები, როგორცაა „ში“(in) ან „გარე“(außer), შეგიძლია გამოიყენო მხოლოდ მაშინ, თუ ითვალისწინებ, რომ მათთან საჭიროა რაღაც სხვა აზრის შეერთება. თავს გრძნობ გადმოდვრილს მთელს სამყაროზე, არა მარტო მყოფობაში, არამედ ყველაფერში, რაც სულიერი ყოფიერების სახით კვლავ შევიდა ცნობიერებაში. უკვე აღარ გრძნობ ამას „გარეთ შენთან“ და „შენ“-ში. ეს ის მშვინივიერი განწყობაა, რომელიც ადამიანს მოიცავს ინსპირაციის დროს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ თითქოს მისი „მე“ მოკვდა, ეს ასე არაა, ან თითქოს მისი „მე“ იდენტურია დათრგუნვილ არსებობასთან, არამედ თავად „მე“ სრული აქტივობით შეიგრძნობს თავის თავს ერთიანად ქცეულს კონკრეტულ, მრავალფეროვან, მრავალმხრივ სამყაროსთან, რომელსაც ის ახლა განიცდის.

როგორც ჩვეულებრივ განასხვავებ საკუთარ თავს შენივე წარმოდგენების, სურვილებისა და მგრძნობელობისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არსებობენ შენში, ასევე შეიგრძნობ სამყაროს თავისი მრავალფეროვნებით ინსპირაციის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რომ იცი: ამ სამყაროსთან ხარ შერწყმული.

ამდენად, კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე საჭიროა მიაღწიო შემეცნების აღნიშნულ საფეხურებს ისეთი სავარჯიშოების მეშვეობით, რომლებიც აღვწერე ჩემს წიგნებში „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“ და „იღუმალთმეტყველების ნარკვევი“. ადამიანი მათთან ცნობიერად უნდა მივიდეს. მაგრამ, რასაც აქ გაცნობიერებულად გამოვიწვევთ, როგორც შინაარსს, იმისგან შეგვიძლია გავმიჯნოთ ის, რასაც წარმოადგენს ამ მდგომარეობებში მშვინივიერი შეგრძნება. იმისგან, რასაც აქ გამოიმუშავებ, რასაც, ბოლოს და ბოლოს, შეიმეცნებ, შესაძლებელია საკუთარი თავის შეგრძნების ხასიათი განასხვავო იმაგინაციაში და ინსპირაციის წარმოქმნისას.

სამშვინიველის ეს განწყობა მსურს აქ აღვწერო არა აბსტრაქტული სახის დახასიათების მეშვეობით, არამედ კონკრეტულის გათვალისწინებით. შეხედეთ, *ჰერდერის** გაცნობის შემდეგ გოეთე მასთან ერთად ჩაუღრმავდა *სპინოზას**

ნაწარმოებებს, ხოლო ვინც რამდენადმე იცნობს ჰერდერის ბიოგრაფიას, მან იცის, როგორი ენთუზიაზმით ეკიდებოდა ჰერდერი სპინოზას. მეორე მხრივ, როცა კითხულობ, მაგალითად, ისეთ ნაწარმოებს, როგორცაა ჰერდერის „ღმერთი“, რომელშიც იგი გადმოსცემს სპინოზას ნაწარმოებების აღქმის საკუთარ მიდგომას, მაშინ იძულებული ხარ, აღიარო, რომ ჰერდერი საუბრობს სპინოზიზმსა და სპინოზიზმიდან გამომდინარე სრულიად სხვაგვარად, ვიდრე თავად – ფილოსოფოსი სპინოზა. მაგრამ ჰერდერს გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი მსგავსება სპინოზასთან: მშვინვიერი განწყობა, რომლიდან გამომდინარეც ის კითხულობს სპინოზას. ჰერდერის მშვინვიერი განწყობა მსგავსია იმ მშვინვიერი განწყობის, რომლიდანაც გამომდინარე დაწერილია, მაგალითად, სპინოზას „ეთიკა“. ასეთი მშვინვიერი განწყობა, ეს მშვინვიერი განწყობილება ფაქტობრივად მოქმედებდა ჰერდერზე და, გარკვეულწილად, გოეთეზეც, როცა იგი ჰერდერთან ერთად სწავლობდა სპინოზას. ჰერდერი, გარკვეულწილად, კმაყოფილი იყო ამ მშვინვიერი განწყობით, გოეთესთან კი ეს ასე არ იყო. *გოეთე ღრმად გრძნობდა** ამ შერწყმას ობიექტებში, „მე“-ს ამ გადაღვრას გარე სამყაროში, როცა სპინოზასთან ესოდენ გრანდიოზულად გვაღვლევენ, როცა იგი, შეიძლება ითქვას, საუბრობს სრულიად მშვიდად ისე, თითქოს საუბრობდეს თავად სამყარო, თითქოსდა მას დააიწყდა თავისი თავი და მისი სიტყვები იყო მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობითაც თავის თავს გამოხატავს თავად სამყარო. გოეთესაც ასევე შეეძლო განეცადა ის, რისი განცდაც შეუძლია აქ ადამიანს ობიექტურობაზე და იგი, უპირველეს ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, რასაც გრძნობდა ჰერდერი, გრძნობდა მის მსგავსს, აბსოლუტურად მსგავსს; თუმცა იგი არ იყო კმაყოფილი, ის მისწრაფოდა კიდევ სხვა რაღაცისკენ და მას, მიუხედავად მთელი სიღრმისეული შეგრძნებისა, რომელიც მან მოიპოვა ამის წყალობით, სპინოზიზმი მაინც ისეთ რამედ ეჩვენებოდა, რომელსაც არამც და არამც არ შეუძლია შეავსოს, დააკმაყოფილოს მთელი ადამიანი. არსებითად, ის, რასაც გოეთე ასე შეიგრძნობდა სპინოზასთან დაკავშირებით, წარმოადგენს მხოლოდ სხვა უფრო ღრმა ნიუანსს იმისა, რაც მას გააჩნდა მთელ მგრძნობელობასთან მიმართებით, უფრო ჩრდილოეთის სამყაროს ფარგლებში. იგი უკმაყოფი-

ლო იყო იმ ყველაფრით, რისი მიცემაც შეეძლო, უპირველეს ყოვლისა, ვაიმარის წყალობით მისთვის ხელმისაწვდომ ცივილიზაციას. თქვენ უკვე იცით, ბოლოს და ბოლოს, როგორ გამოვლინდა გოეთეს ამ განწყობიდან ის, რაც მას უბიძგებდა ქვევით სამხრეთისკენ, იტალიაში, სადაც იგი, უპირველეს ყოვლისა, ხელახა იმას, რაც იტალიელებმა შექმნეს ბერძნული კულტურის საფუძველზე. მაგრამ მის სამშენველში წარმოიქმნება რაღაც ბერძნული მიმართულების და ბერძნული მანერის რეკონსტრუქციის მსგავსი ხელოვნებაში და შესაძლოა დრმა სიმპათიით განიმსჭვალა იმ დროის გოეთესეული თავისებურებით, როცა კითხულობ სიტყვებს, რომლებსაც იგი, – უყურებს რა ხელოვნების იმ ნაწარმოებებს, რომელთა წყალობითაც მისმა სამშენველმა საოცარი სახით განიცადა ბერძნების მხატვრული ხელოვნება, – თავის ვაიმარელ მეგობრებს წერს: „აქ არის აუცილებლობა, აქ არის ღმერთი“. „*მე ვფიქრობ*“, წერს იგი, რომ საკუთარი ხელოვნების ნაწარმოებების შექმნისას ბერძნები მოქმედებდნენ იმავე კანონებით, რომლითაც მოქმედებს თავად ბუნება, რომლის კვალსაც მე წავაწყდი. აქ არის აუცილებლობა, აქ არის ღმერთი“. – იგულისხმება სპინოზას ნაწარმოები „ღმერთი“, რომელიც მან ჰერდერთან ერთად წაიკითხა.

ამდენად, იმაში, რაც შეიძლებოდა მასზე გადმოღვრილიყო სპინოზასგან, გოეთემ ვერ შეიგრძნო ის აუცილებლობა, რომლის შეგრძნებაც მას სურდა; მან თავისი იტალიური მოგზაურობისას ის იმ სახით შეიგრძნო, რომელიც მისი სამშენველის წინაშე გამოვლინდა, როგორც ბერძნული შემოქმედების აღორძინება. აქ წარმოქმნილისგან მასში გაჩნდა შესაძლებლობა, განევითარებინა ბუნების ჭკრეტის მისეული განსაკუთრებული სახე. ცნობილია, სამხრეთში გამგზავრებაამდე, როგორ გამოხატა მან ბუნების შემეცნებისკენ სწრაფვა აბსტრაქტულად და ლირიკულად ერთ-ერთი ჰიმნის სახით პროზაში; აქ ჩანს, როგორ იქცა იტალიაში კონკრეტულ ჭკრეტად ის, რაც გადმოიღვარა აბსტრაქტული ლირიკული ნაკადის სახით ამ ჰიმნში – „ბუნება“, როგორ დგას, მაგალითად, მისი სამშენველის წინაშე ზეგრძნობად-გრძნობად სურათ-ხატში მცენარის არსი, როგორ პოულობს იგი ახლა მრავალფეროვან მცენარეულ ფორმებს შორის მცენარეთა პირველფენომენებს (urpflanze). მცენარეთა ეს პირველფენომე-

ნები არის იდეალურ-რეალური ფორმა, რომლის ჭკრეტაც შესაძლებელია მხოლოდ სულში, მაგრამ, რომელიც ამ სულიერი ფორმით, როგორც რაღაც რეალობა, ცალკეული მცენარის საფუძველში ძევს. აშკარად ჩანს, ამიერიდან როგორ წარმოიქმნება მისი ძიების საგანი, რომ მთელი ბუნებისთვის საკუთარი სამშენველის წინაშე გაატაროს ეს წინარე ხატები, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენს ერთს და მრავალს. ჩანს, მისი შემეცნება მაღლდება იმისკენ, რომ ცალკეული მცენარე თავისი ფოთლების თანმიმდევრობაში ზევით ყვავილამდე, ნაყოფამდე, როგორ ხდება გარდაქმნილი სურათ-ხატების თანმიმდევრობა. ის ესწრაფვის წარმოქმნილის დაფიქსირებას სურათ-ხატებში. სპინოზას ნაწარმოებიდან „ეთიკა“ გოეთე ესწრაფვის იმისკენ, რაც არაა თვალსაჩინო, მაგრამ ამოდის სხვა სამყაროდან, ხმოვანიდან, სამყაროდან, რომელშიც შეიძლება გადასვლა მისი განწყობით, თუ მიდიხარ უგრძნობი ჭკრეტისკენ. მაგრამ სპინოზასთან ეს არ იყო თვალსაჩინო. თუმცა გოეთეს სამშენველში ცხოვრობდა სწრაფვა თვალსაჩინოებისკენ და ის გარკვეული სახით რეალიზებულ იქნა, როცა იგი შეგულიანებული იყო იმ სურათ-ხატებით, რომლებიც ამოტივტივდნენ, როგორც ხელახლა აღმდგარი ბერძნული ქმნილებები. ის ასევე რეალიზებულ იქნა მაშინ, როცა მან შეძლო, სასწაულებრივად მოეპოვებინა ბუნების პირველხატები, საკუთარი სამშენველის წინაშე მათი ხატოვანი გარდაქმნით.

მაინც რა იყო ეს, რა განიცადა აქ გოეთემ ერთიმეორის მიყოლებით? ეს იყო სამშენველის განწყობა, – ის უკვე აღარ შეიცავდა სამშენველს, არც იმას, რასაც იკვლევ, არამედ სამშენველის განწყობას, – ერთი მხრივ, ინსპირაციის, მეორე მხრივ – იმაგინაციის დროს. როგორც ჩანს, არც გოეთეს, არც ჰერდერს იმ დროს არ ჰქონდათ სულიერ სამყაროში ჭკრეტის შესაძლებლობა, როგორც ეს უნდა ხდებოდეს დღეს სულისმეცნიერების მეშვეობით. თუმცა ამ სულისმეცნიერების წინათგრძნობის სახით მათში იყო ისეთი განწყობა, რომელიც წარმოიქმნება განსაკუთრებით ძლიერად, განსაკუთრებული ინტენსივობით ინსპირაციისა და იმაგინაციის დროს. სპინოზას კითხვისას პერდერი და გოეთე თავს გრძნობდნენ ინსპირაციის მდგომარეობაში; გოეთემ თავი იგრძნო იმაგინაციის განწყობაში, როცა მან იტალიური ხელოვნ-

ნების ქმნილებათა წყალობით მოახერხა ბუნების ჭკრეტა. სპინოზას ინსპირაციული განწყობიდან გამომდინარე გოეთემ იგრძნო სწრაფვა იმაგინაციური განწყობისკენ და ის, რაც გოეთემ აღმოაჩინა, როგორც მცენარეთა წინარე ხატი, ცხოველებთან ეს ჯერ კიდევ არ იყო ჭეშმარიტი იმაგინაცია. გოეთემ არ ფლობდა ჭეშმარიტი იმაგინაციის მიღების მეთოდს. ის, რაც მას ჰქონდა, იყო განწყობა, რომელიც გაგაჩნია იმაგინაციის დროს. მას შეეძლო საკუთარ თავში ამ განწყობის იმპულსირება, ჭეშმარიტი, წმინდა, შინაგანად თავისუფლად შექმნილი იმაგინაციისკენ წინსვლის გარეშე, მაგრამ საკუთარ თავში გრძნობად-ზეგრძნობადი სურათ-ხატების განცდით, იმაზე დაყრდნობით, რაც მას შესთავაზა მცენარეების, ცხოველების ცხოვრებამ, მოღრუბლულმა სამყარომ. მას შეეძლო ყოფილიყო იმაგინაციურ განწყობაში, როგორც სპინოზას კითხვისას აღმოაჩინა მან საკუთარი თავი ინსპირაციულ განწყობაში. მან იცოდა სამშვინველის მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი მის მიერ გამოთქმულს განიცდის ისე, რომ ის სიტყვას იყენებს, როგორც მხოლოდ საშუალებას, რომ გარკვეული თვალსაზრისით სამყაროზე გამოსატვის საშუალება მისცენ თავად *სამყაროს საიდუმლოებს*.*

ვისაც ოდესმე უგრძნია ის გადასვლა, რომელიც შეიძლება მოხდეს სამშვინველში, როცა იწყებ, უპირველეს ყოვლისა, სპინოზას „ეთიკის“, როგორც მათემატიკური ნაშრომის კითხვას და ითვისებ ცნებებს, როგორც მათემატიკურს, რომ შემდეგ ინტუიციურად სულ უფრო წინ წახვიდე მეცნიერულისკენ, ვინც ასე ფიქრობს სპინოზასთან მიმართებით, ფიქრობს ისე გაცნობიერებულად, თითქოს იგი სწავლობდა სამყაროს შიგნით ისე, რომ სამყარო გამოიხატებოდა მისი მეშვეობით, თითქოსდა საკუთარი მუნდშტუკის მეშვეობით, იგი იგრძნობს, რა შეიგრძნეს ჰერდერი და გოეთემ სპინოზაში, იგი იგრძნობს, როგორ ცხოვრობდნენ ინსპირაციის განწყობაში, – ერთი, როგორც ჰერდერი, უფრო დაკმაყოფილებული საკუთარ თავში, მეორე – უფრო მეტად მისწრაფებით. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული მშვინვეური განწყობა მომდინარეობს იქიდან, რასაც დღეს გვთავაზობენ სულისმეცნიერული კვლევის შედეგები იმაგინაციისა და ინსპირაციის მიღწევისთვის. მაგრამ შესაძლებელია, ისტორიულადაც მივაღვენოთ თვალი, მაგ., როგორ ჩაეფლო გოეთემ ამ განწყო-

ბაში, როცა ჯერ კიდევ არ ჰქონდა არც ინსპირაცია, არც იმაგინაცია. ახლა კი წავიდეთ კიდევ უფრო წინ და უფრო ღრმად განვიხილოთ თავად სპინოზაც. თუ ნამდვილად იკვლევ ისტორიას სპინოზასთან მიმართებით, არა ისე, როგორც ამას ხშირად აკეთებენ დღეს ფილოსოფიის ისტორიკოსები, მაშინ სპინოზას მიყვავართ თავის ინსპირატორებთან. ეს იყო სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში მცხოვრები არაბიზმის, არაბულ-სემიტური მსოფლმხედველობის უკანასკნელი ნაშთები. ვისაც ესმის ამგვარი მოვლენები, მას ჯერ კიდევ შეუძლია განიცადოს ის, რაც ჩაიღვარა შემდგომში კაბალისაგან სპინოზას წარმოდგენებში. შემდეგ არაბიზმის მეშვეობით მიუბრუნდები აღმოსავლეთს და გეპულობ, რომ სპინოზასთან გამოვლენილია ცნებებში გამოხატული უძველესი მსოფლმხედველობა. უძველესი აღმოსავლეთის სამყაროში გვხვდება იგივე, რაც სპინოზასთან, ოღონდ არა ინტელექტუალურ ფორმებში, არამედ როგორც უძველესი აღმოსავლური ინსპირაცია. თუმცა შემდეგ ეგვიპტეში გადაინაცვლა და იქ განიცადა განსაკუთრებით ღრმა განვითარება ამ ინსპირაციამ, რომელიც მოიპოვეს არა ისე, როგორც – ჩვენი დღევანდელი, თუმცა აღმოსავლეთის გარკვეულ ხალხებთან არსებობდა ბუნებრივი მონაცემის სახით. ეგვიპტისკენ მიბრუნებით, საიდანაც მოსემ თავისი შეხედულებები მოიპოვა, იმ წყაროსკენ მიბრუნებით, რომლისგანაც საზრდოობდნენ ბერძნები, ჩვენ ვავლენთ ძალზე მაღალ დონეზე აყვანილს იმას, რაც გადავიდა ეგვიპტეში აზიური აღმოსავლეთიდან. ჩვენ ვხედავთ იმას, რაც ცხოვრობდა ინსპირაციის სახით, არა როგორც ცნობიერი ინსპირაციის, არამედ გაუცნობიერებელი, ატავისტური ინსპირაციის სახით, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც ბუნებრივ ნიჭს. ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნემდე ეგვიპტელები იმდენად ინსტინქტურად ცხოვრობდნენ გარემომცველ სამყაროში, რომ გრძნობდნენ მასთან თავიანთ ერთიანობას და იმასაც, რასაც ისინი ამ სამყაროზე იგებდნენ და შინაგანი ჭერეტიტ განიცდიდნენ.

ახლა ჩვენ ვუახლოვდებით იმას, რასთან დაკავშირებითაც გოეთე, როცა იგი განიცდიდა ინსპირაციის განწყობას, ისწრაფოდა იმაგინაციისკენ. თავიდან მან დაინახა ეს მნიშვნელოვანი იმპულსის სახით ბერძნების ხელოვნებაში. ის, რაც აქ ჰერდერმა შეიგრძნო ცნებათა სამყაროში, ჭერეტიტისას

გოეთემ შეიგრძნო წარმოდგენების სამყაროში, როგორი ჭკრეტითაც ვლინდება ისინი სპინოზასთან. აქ შეგრძნებაში განცდილი გოეთემ გააღრმავა ბუნების ჭკრეტამდე იმგვარად, რომ მოგვიანებით მან საკუთარი სულიდან შეძლო, გამოეთქვა ასეთი ღრმა სიტყვები: „ვისაც ბუნება გაუხსნის საკუთარ აშკარა საიდუმლოებს, იგი შეიგრძნობს დაუოკებელ სწრაფვას მისი ღირსეული ინტერპრეტატორის, ხელოვნებისკენ“. მთელი ღრმის განმავლობაში გოეთე ხელოვნების მეშვეობით უმზერდა იმაგინაციის მიზეზს და ბუნების ჩამოყალიბებაზე დაყრდნობით ეძიებდა სამშენველის იმ განწყობას, რომელიც ადამიანს გააჩნია ამ ჩამოყალიბებასთან ერთიანობით. თავად საკუთარი თავის ამ გადაღახვას და მაინც იმაგინაციაში მის შეკავებას, გოეთე გამოავლენს ბერძენთა ხელოვნების მეშვეობით, მაგრამ იგი ეძებს ამას არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ამას ეძებს, როგორც საფუძველს ბუნების ჭკრეტისთვის. ჩვენ თუ ვაკვირდებით გოეთეს მიერ ამ განსაკუთრებულ, ამგვარად წარმოქმნილ ელემენტს მის შემდგომ დასკვნებამდე, მაშინ სრულიად გაცნობიერებულად ვაღწევთ იმაგინაციურ ჭკრეტას. ჩვენ თუ ასეთი სახით შევეცდებით, დავაკვირდეთ წარსულში გოეთეს მსოფლმხედველობას მის წყარომდე, როგორც დავაკვირდით სპინოზის, მაშინ მივალთ ბერძენებამდე, იქიდან კი – კიდევ უფრო შორს აღმოსავლეთში. ბერძნულიდან მივიღვართ ე. წ. ქალდეველების ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მსოფლმხედველობისკენ, რომელიც ასევე მოიპოვეს სპარსული სამყაროდან და მთელი აზიური სამყაროდან. როგორც ჩვენ ვუყურებთ, მე ვიტყვოდი, სპინოზას მშენიერი განწყობის გავლით ძველ ეგვიპტეს, გოეთეს ჭკრეტის გავლით ბერძნულ ხელოვნებას, სწორედ ისე ვუყურებთ ძველი ქალდეის ჩამოყალიბებას. ცალკეულ დეტალებამდე შეიძლება დავაკვირდეთ ქალდეისა და ეგვიპტის კულტურების ამ დაპირისპირებულობას გოეთესა და სპინოზაში.

ასეთი სახის შეგრძნებით შესაძლებელია წარსული ეპოქებისკენ მიბრუნება, თუ არ ჩაეფლობი აბსოლუტურად სწორ, ერთადერთ ზუსტ წარმოდგენებში, არამედ ცდილობ წინსვლას სხვა სახის წარმოდგენებისკენ – იმაგინაციისკენ, ინსპირაციისკენ. როცა შეიმეცნებ მშენიერი განწყობას იმაგინაციისა და ინსპირაციის ღრმს, მაშინ შეიმეცნებით შეგიძ-

ლია დაბრუნდეს უკან ადრინდელ ეპოქებში. ახლა ვინც სპინოზას კითხულობს მხოლოდ იმის წარმოსახვით, რომ ჩვენ მივალწიეთ ესოდენ ბევრ რამეს და რომ ყველაფერი ადრინდელი წარმოდგენს მხოლოდ ბავშვურ წარმოდგენებს, ის ვერ გრძნობს, გამოძინარე მთელი კაცობრიობიდან, როგორ აგრძელებს სპინოზიზმში განწყობის სახით ცხოვრებას ის, რაც იყო პროდუქტიული, შემოქმედებითი, ინსტინქტური, როგორც ძველი ეგვიპტური კულტურული ცხოვრების უდიდესი აყვავება. აქ ასევე ძნელია იგრძნო, როგორ აგრძელებდა ძველი ქალდეველების მშენებითი განწყობა ცხოვრებას იმაში, რაც ალაფროთოვანებდა გოეთეს, როცა მან თქვა: „აქ არის აუცილებლობა, აქ არის ღმერთი“, ან: „ვისაც ბუნება გაუხსნის საკუთარ აშკარა საიდუმლოებს, იგი შეიგრძნობს დაუოკებელ სწრაფვას მისი ღირსეული ინტერპრეტატორის, ხელოვნებისკენ“. ვინც საფუძველში დებს მხოლოდ თანამედროვე აბსტრაქტულ შინაარსს, ის არ მიუბრუნდება ადრინდელ ისტორიულ ეპოქებს. სწორედ აქედან ჩნდება მისთვის ის უფსკრული, რომელზეც მივუთითებ ჩემი დღევანდელი განხილვების დასაწყისში. კაცობრიობის უძველეს ეპოქებს მხოლოდ ის უბრუნდება, ვისაც შეუძლია გადაინაცვლოს ამ ძირითად განწყობაში, როგორც ის გამოვლინდა სპინოზასთან და გოეთესთან. ეგვიპტური მითები, განსაკუთრებით ოზირისისა და იზიდაზე მითი, შეუძლებელია რეალურად განიცადო მათი შინაარსით, თუ საფუძვლად არ დაუდებთ ამ განწყობას. ადამიანები ჯერ კიდევ ისე სასაცილოები არიან, რომ იძლევიან ესოდენ ბევრ ალეგორიულ, სიმბოლურ ინტერპრეტაციებს. მაგრამ მნიშვნელოვანია არა ეს, არამედ ის, რომ, როგორც ადამიანი მთლიანად იზიარებ გრძნობებს, რომლებიც იგრძნობოდა უძველეს დროებში. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, უძველეს მსოფლმხედველობებში წარმოვიდგინოთ ესა თუ ის, ავირჩიოთ გონივრული ან არაგონივრული სიმბოლიკა; ამ დროს ამ არჩევანს კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მნიშვნელოვანია ძირითადი განწყობის განცდა. ამის მეშვეობით შედიან იმაში, რაც კაცობრიობის ადრინდელ ეპოქებში ცოცხალი იყო. კვლევის თანამედროვე მეთოდების დახმარებით შეუძლებელია იმის პოვნა, რაც ცხოვრობდა უძველეს ქალდეაში, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ შეგიძლია ნამდვილად გადახვიდე იმა-

გინაცის განწყობაში, რომელიც ქალდეველებში ცხოვრობდა რაღაც ჩამოყალიბებაში, გარკვეულწილად, როგორც მსოფლმხედველობის ინსტინქტური სახის განწყობა. როცა მიდინარ ამგვარ განწყობამდე, უპირველეს ყოვლისა, გესმის, როგორი დაპირისპირებულობა არსებობდა ხალხებს შორის, რომლებიც ცხოვრობდნენ, როგორც თანამედროვენი, მაგ. ქალდეველებსა და ეგვიპტელებს შორის. სავაჭრო ნაკადები მიმოდინდა ეგვიპტიდან ქალდეაში და ქალდეადან – ეგვიპტეში. მათი კულტურული ურთიერთობების აღნუსხვა შეიძლებოდა. ყოველივე ის, რაც იყო გარეგნული ცხოვრება, ორმხრივად ნარჩუნდებოდა გარკვეული დადგენილებით. შინაგანი მშვიინვიერი განწყობა მათ აბსოლუტურად განსხვავებული ჰქონდათ. ქალდეველებში ცხოვრობდა იმაგინაციური ელემენტი, ეგვიპტელებთან კი – ინსპირაციული. ქალდეველებში ცხოვრობდა გარეგნული ჭვრეტა, როგორითაც ის კვლავ აქტიურად გამოვლინდა გოეთეში, ხოლო ეგვიპტელებთან ცხოვრობდა რაღაც, რაც მთლიანად მომდინარეობდა შინაგანიდან, მშვიინვიერიდან, ისევე, როგორც ეს შემდგომში გარკვეულ მაღალ საფეხურზე გამოვლინდა სპინოზას სამშვიინველის სიდრმიდან. ამას შეიძლება დეტალებამდე მივადევნოთ თვალყური. მე მსურს, გაუწყოთ ერთი ასეთი დეტალი და განვიხილო, თავიდან როგორ შეიძლება მსგავსი დეტალები ასეთი საერთო განწყობების საფუძველზე გავიგოთ.

ქალდეველებს, არსებითად რომ ვთქვათ, გააჩნდათ ძალზე განვითარებული ასტრონომია. მათ ის განავითარეს გონივრულად ჩაფიქრებული ინსტრუმენტების წყალობით, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სრულიად განსაზღვრული სახის ჭვრეტის მეშვეობით, რომელიც გახლდათ სწორედ ინსტინქტური იმაგინაცია. ამის დახმარებით ისინი მივიდნენ დროის დინების დაყოფამდე დღედ და ღამედ ისე, რომ ორივეს მიაკუთვნებდნენ თორმეტი-თორმეტი საათს. მაგრამ ამას როგორ აკეთებდნენ? მათ დაყოფა მოახდინეს შემდეგნაირად: გრძელი დღე ზაფხულში – თორმეტი საათი, მოკლე ღამე ზაფხულში – ასევე თორმეტი საათი. ზამთარშიც მათ დაყვეს ზუსტად ასე: მოკლე დღე – თორმეტი საათი, ხოლო გრძელი ღამე – ასევე თორმეტი საათი, ასე რომ, ზამთრის საათები დღისით იყო მოკლე, ხოლო დღის საათები ზაფხულში – გრძელი. ამდენად, ქალდეველებში წლის სხვადასხვა პერიოდში საათებს

ჰქონდათ აბსოლუტურად განსხვავებული ხანგრძლივობა; ანუ, ქალდეველები ცხოვრობდნენ წარმოქმნის, მყოფობის ჭვრეტაში ისე, რომ მათ წარმოქმნა შეიტანეს დროში. დღის საათი ზაფხულში იყო გრძელი, ხოლო ზამთარში მოკლე და ღამის საათი ზამთარში იყო გრძელი, ხოლო ზაფხულში – მოკლე. ამდენად, მათ წარმოქმნა შეიტანეს დროის ნაკადში. ზაფხულში დროის დინება, თავად წარმოქმნა მათ გაწეული ეჩვენებოდათ. წარმოქმნა იყო შინაგანად მოძრავი, რომელიც შინაგანად არ იყო გამყარებული, როგორც ის წარმოჩნდება ჩვენს დროში, მაგრამ მათთან დრო იყო მოქნილი, დღის მანძილზე საათები მათთან ხდებოდა უფრო გრძელი, სხვა შემთხვევაში კი – მოკლე.

როგორ იყო ეს ეგვიპტელებთან? ეგვიპტელების წელი შედგებოდა 365 დღისგან. ამიტომ, მათთვის აუცილებელი იყო დამატებითი დღეების შეტანა დროის განსაზღვრულ შუალედებში; მაგრამ მათ არ შეეძლოთ ამ 365 დღიდან გადახვევა; სინამდვილეში წელიწადი უფრო გრძელია, ვიდრე 365 დღე. ეგვიპტელებს წელიწადში ჰქონდათ 365 დღე. წლის ეს ხანგრძლივობა მათ ჰქონდათ ქრისტეშობამდე თითქმის III საუკუნემდე, ამიტომ ხილული გარე სამყარო აღემატებოდა მათ შესაძლებლობას. ამიტომაც იცვლებოდა დღესასწაულები. მაგ., განსაზღვრულ დროებში იყო დღესასწაული, რომელიც ოდესღაც არსებობდა გვიან შემოდგომით, რომელიც გადაიტანეს ადრეულ გაზაფხულზე და ა. შ. ანუ, ეგვიპტელები ცხოვრობდნენ დროის ნაკადში ისე, რომ მათ გააჩნდათ გარკვეული წარმოდგენა დროზე, რომელიც მთელ მათ გარემოცვაში სულაც არ იყო მისადაგებული იმასთან, რაც გარეთ თვალსაჩინოდ არსებობდა. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი კონტრასტი. ქალდეველები ისე ძალუმაღ ესისხლხორცებოდნენ გარეგნულ ჭვრეტას, რომ დრო ზაფხულისთვის და ზამთრისთვის გააკეთეს მოქნილი. ამდენად, ეგვიპტელებმა დრო ფაქტობრივად გაყინეს და ასე განიცდიდნენ იმას, რაც განიცდება სუბიექტურად, მთლიანად შინაგანში არსებულის გათვალისწინებით, ისე, რომ არაერთხელ შეჰქონდათ კორექტირება დამატებითი დღის შეტანის მეშვეობით ნაკიან წელს; ამავე დროს ისინი საშუალებას აძლევდნენ გარეგნულ დღესასწაულებს, დამთხვეოდნენ თვის სრულიად სხვა თარიღებს, მაშინ, როცა აბსოლუტურად გარეგნული, არსებითად, გაურ-

კვეველი ხდებოდა. ისინი არ ეგუებოდნენ გარე სამყაროს, არამედ რჩებოდნენ საკუთარ შინაგანში. ეს წარმოადგენს ინსპირაციის განწყობას, რომლის ქონაც აუცილებელია, თუ გსურს, მიხვიდე ნამდვილ შემეცნებასთან. ეგვიპტელებს ეს ჰქონდათ, როგორც ინსტინქტური ინსპირაცია.

როგორც ადამიანს, რომელმაც ზეგრძნობადი სამყარო შეიმეცნა, საჭიროა სინამდვილეში შეგეძლოს, ერთი მხრივ, იყო ქალდეველებივით მოძრავი და, მეორე მხრივ, შეგეძლოს ისე ღრმად შეხვიდე საკუთარ შინაგანში, როგორც ეს შეეძლოთ ეგვიპტელებს, რის შედეგადაც მათ დროის გაყინული სისტემა საფუძვლად დაუდეს მთელ თავიანთ ცხოვრებას, მეტიც – საკუთარ სოციალურ და ისტორიულ ცხოვრებას. მსოფლიო-ისტორიულად ასე მიდის გამოცხადებისკენ ინსპირაციისა და იმაგინაციის ნაივური განწყობების ეს დაპირისპირებულობა.

გოეთემ, როგორც სრულყოფილმა ადამიანმა, შინაგანად ხელახლა გაიარა სპინოზას განცდა, მე ვიტყვოდი, როგორც ორიენტალიზმისა და ეგვიპტური კულტურის გაგრძელება. ამ შინაგანი მგრძნობელობიდან, – სადაც საერთოდ არაა თვალსაჩინოება, ხატოვნება, სადაც უყურებ სამყაროს და ვერ ცნობ საგნებს, რამდენადაც ორიენტირებული ხარ იმაზე, რაც არის სამშინველის შინაგანში, ისე, რომ ვერ უძკლავდები მოვლენებს, – გოეთე ისწრაფოდა გარე სამყაროსთან საკუთარი სრული შეგუებისკენ. ეგვიპტელის განწყობის შეგრძნებით მას სურდა, საკუთარ თავში განეცადა ქალდეველის განწყობა მეორე პოლუსის სახით. როდესაც ასეთი ადამიანი ხელახლა ქმნის ისტორიულ განწყობას თავისი საკუთარი ბუნებიდან, მაშინ ხელავ, რომ ძაფები იჭიმება ახალი დროიდან უძველეს ეპოქაში და მსგავსი განხილვის მეშვეობით იწვევს სხვადასხვა ეპოქის განხილვას.

ეს არის ის, რის შემდეგაც ნათელია: რაც დროის ერთ ან მეორე შუალედში ხდებოდა, ამას აუწყებ არა მარტო დოკუმენტებიდან, არამედ სწავლობ, მთლიანი ადამიანი დროის სხვადასხვა შუალედში როგორ გადადის იმაში, რასაც ადამიანები და ხალხები გრძნობდნენ დროის სხვადასხვა ეპოქაში და შინაგანად განიცდიდნენ, თუ როგორ მშინვეიერ განწყობაზე იყვნენ ისინი. ამ შინაგანი განცდიდან, ამ განსაკუთრებული სახის მშინვეიერი განწყობიდან შემდეგ უკვე გამოძინარეობს მათი გარეგნული ბედისწერა.

ეს იქნება ის გზა, რომელსაც „ჯერ კვერცხი იყო, თუ ქათამი?“-ის მსგავსი კითხვების გამო, შეუძლია ჩვენ წაგვიყვანოს სხვაგან და სინამდვილის ღრმა სფეროებში ჩავვახედოს. ეს იქნება ის გზა, რომელიც ერთდროულად გვაჩვენებს, სინამდვილის დანახვისას რამდენად აუცილებელია ყოველ ჯერზე წინსვლა იმის გათვალისწინებით, რაც მოგვეცა გარეგნულ საგნობრივ შემეცნებაში.

როცა ხშირად ხაზს უსვამენ, რომ ისტორიიდან საჭიროა, ვისწავლოთ მოქმედების სახე თანამედროვეობასა და მომავალში, მაშინ დღეს აუცილებელია, დაუჩინებოთ მივუთითოთ მეთოდზე, როგორ გვმართებს ნამდვილად სწავლა. სწავლა ისე, რომ გაცოცხლდეს ის, რითაც ადამიანი თავისი სამშვინველით გარდასულ ეპოქებში ცხოვრობდა. ამ განხილვით ამოივსება ის უფსკრული, რომელზეც მე ვსაუბრობდი. მისი წყალობით შეგვიძლია გადავხედოთ სხვადასხვა ეპოქის ადამიანის მშვინვერი განწყობების მეტამორფოზებს. მაშინ ჩვენს თანამედროვე მშვინვერ განწყობაზე შეიძლება ერთდროულად გადმოიღვაროს ცეცხლი და გონიერება ისე, რომ ჩვენ გამოვაველნოთ აუცილებელ სიფრთხილეს იდეების წარმოქმნისას, რომელიც საჭიროა თანამედროვე სოციალური ურთიერთობების გარკვეული გაჯანსაღებისთვის. ასევე წარმოიქმნება საჭირო ცეცხლი, აუცილებელი იმისთვის, რომ გვქონდეს ძალა, სრული ცნობიერებისას მივადწიოთ იმაგინაციასა და ინსპირაციას, რომლებიც ადრე შეიძლებოდა ინსტინქტურად წარმოქმნილიყო და გამოეხატათ იდეების მეშვეობით.

მომდევნო ლექციებში განხილვას ამ მიმართულებით ვაგრძელებ.

აუცილებელია თანამედროვე ცივილიზაციის წყაროებისკენ მიბრუნება თუ გსურს, წარმოდგენა შეიქმნა, თანამედროვე თვალსაზრისით რას ნიშნავს ბუნებისმეტყველება კაცობრიობის მთელი განვითარებისთვის. მათი გააზრება საჭიროა დროის ძალზე შორეულ პერიოდებში, როგორც ეს, ალბათ, შესაძლებელია უკვე ჩვეულებრივი ისტორიული და საბუნებისმეტყველო განხილვებიდან გამომდინარე გავიგოთ. მხოლოდ მაშინ, როცა ყურადღებით განიხილავ ადამიანის განვითარებას, მისი განსაკუთრებული უნარების თანდათანობით აღმასვლას თანამედროვე ეპოქაში, შეგიძლია დაინახო, ადამიანის სამშენიველის სიღრმიდან როგორ მიემართება ზევით უნარები, რომლებიც წარმართავენ ცხოვრებაში, რომლებსაც მიჰყავთ ბუნების თანამედროვე დაკვირვებამდე და ტექნიკაში ამ დაკვირვების შედეგების გამოყენებამდე.

ახლანდელ დროში თუ განიმსჭვალე თანამედროვე მეცნიერული მეთოდით, მაშინ რთული იქნება სამშენიველის წინაშე სრულიად უცნობი მსოფლიო-ისტორიული ეპოქის მთელი თავისი არსით წარმოჩენა.

გუშინ პრელუდიის სახით შევეცადეთ, გავცდენოდით თანამედროვეობას – ცხადია, სიტყვის ფართო გაგებით, როცა ამ თანამედროვეობას მივაკუთვნეთ ჰერდერი და გოეთე, – და გვეპოვა განსაზღვრული მიმართულებები, რომლებმაც დაგვაბრუნეს უძველეს დროებში. გოეთესთვის ესოდენ დამახასიათებელმა ორიდან ერთმა მიმართულებამ მიგვიყვანა უკან ეგვიპტურ მსოფლმხედველობასთან, ხოლო მეორემ – ქალდეურთან. ჩვენ გადავვადით წარსულში ქრისტიანობამდე დროებში, რომელთაც შეიძლება თვალი მივადევნოთ ქრისტიმდე III ათასწლეულის დასაწყისამდე და აღვნიშნეთ, ნიშანდობლივი განსხვავება წინა აზიაში მცხოვრები ქალდეველი ხალხების მთელი მშენივერი წყობის ხასიათსა და იმ ეგვიპტელებს შორის, რომელთა განხილვა თუნდაც გარეგნულ ისტორიულ რეტროსპექტულად კიდევ უფრო შორს არის შესაძლებელი.

როგორც ვნახეთ, ქალდეველებში არსებობდა შეხედულება, რომელიც ცხოვრობს უფრო გარეგნულ სამყაროში და რომლისთვისაც ადამიანური გრძნობა, ასე ვთქვათ, იფანტება იმდენად შორს გარეგნულ სამყაროში, რომ თავად დრო ხდება მოქნილი. ეს მშვიინვიერი განწყობა აუცილებლობად აქცევს იმას, რომ ზაფხულის დღის საათი განიხილო, როგორც უფრო ხანგრძლივი, ვიდრე – ზამთრის, მაშინ, როცა ეგვიპტელებთან მრავალი საუკუნის განმავლობაში წლის განაწილება ისე მკაცრად იყო შენარჩუნებული, როგორც ეს ვლინდება გარკვეული სახის გამოთვლებიდან და არა გარეგნული მოვლენების გაგებიდან. წელიწადი ითვლებოდა 365 დღედ, ანუ 365 დღეს მუდმივად ამატებდნენ მომდევნო 365 დღეს და ვერ ამჩნევდნენ, რომ ამის შედეგად სინამდვილეში უკვე აღარ ემთხვეოდა გარე სამყაროში წარმოდგენილ წლის დინებას: უბრალო გამოთვლით უფრო მოკლე წლის მიღებით, ვიდრე ის არის სინამდვილეში, წინააღმდეგობაში მოდიოდნენ იმასთან, რასაც გარეგნულ სამყაროში რეალურად აღიქვამდნენ.

ეს აჩვენებს მნიშვნელოვან განსხვავებას ორი ხალხის მშვიინვიერ განწყობაში, რომლებიც ერთმანეთთან სავაჭრო და სულიერ კავშირში არიან, ანუ გარეგნულად აქვთ ახლო ურთიერთობა. თუმცა, ასეთი განსხვავების სწორად შეფასება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ, დაკვირვების გაგრძელებით, მიუბრუნდები საკაცობრიო ცივილიზაციის დასაბამს. ეს გართულებულია იმის გამო, რომ საერთოდ დროში ერთმანეთის მიყოლებით განვითარებული კულტურები, ჩვენს დროში, იმყოფებიან რა განვითარების სხვადასხვა ფაზაში, სივრცობრივად გვერდიგვერდ არსებობენ ერთმანეთში უწყსრივოდ აღრეულნი. დღეს ევროპელი ან ამერიკელი, რომელსაც სურს, საკუთარი მატერიალიზმიდან მივიდეს ადამიანის არსზე სულიერ წარმოდგენებამდე, თუ მიუბრუნდება თანამედროვე ინდურ კულტურას, მაშინ ამ ინდური კულტურის შიგნით ის აღმოაჩენს მაღალგანვითარებულ სულიერებას, მისტიციზმს, რომელიც ავსებულია ინტელექტის მახვილგონივრული ცნებებით. მის წინაშე ამოხიდიული მსოფლმხედველობის შიგნით თავად აბსოლუტურად ვერაფერს აღმოაჩენს დასავლეთ ევროპული და ამერიკული ცივილიზაციის ფარგლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერული

მსოფლმხედველობის სახით გაცნობილიდან. თუ ის იგრძნობს სწრაფვას, გაიგოს რაიმე თავად ადამიანზე, რისი მოცემაც მისთვის არ შეუძლია თანამედროვე მეცნიერებას და თუკი არ გაითვალისწინებს იმას, რისი მოცემაც მისთვის შეუძლია თანამედროვე სულისმეცნიერებას ამ ადამიანზე, მაშინ ის ჩაუღრმავდება თანამედროვე ინდოეთის მსოფლმხედველობას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, იმ მსოფლმხედველობას, რომელიც შენარჩუნდა შედარებით არც ისე შორეულ წარსულში.

ვინც ასე თუ ისე შეიარაღებულია აქ ნაგულისხმევი სულისმეცნიერებით და ამგვარად მიეახლება ამ ინდურ მსოფლმხედველობას, ის აღმოაჩენს, რომ დღეს მასში არსებულიდან და რამაც მასთან ისტორიულად მოაღწია შორეული წარსულიდან, რაღაც საუბრობს არც ისე ცხადად, მაგრამ მაინც ჩანს, როგორც საფუძველი, რომელიც ამოზიდულია შიგნით გათამაშებული ბნელი სიღრმეებიდან. თავად ეს ხორციელდება ენის შიგნით, განსაკუთრებით წარმოდგენებისა და ხატ-სახეების სამყაროში და მან თანამედროვე ფორმის მიღებამდე მრავალი გარდაქმნა უნდა განახორციელოს. თანამედროვე ინდოეთში არსებულმა თავისი სახე მხოლოდ ყველაზე ბოლო მომენტში შეიძინა, მაგრამ ის თავის თავში ატარებს უძველეს ელემენტებს და საჭირო გახდა ათასწლეულები, რომ ისეთად გარდაქმნილიყო, რაღაც იქცა.

როცა ეცნობი სხვა კულტურებს, ვთქვათ, ჩვენთან უფრო ახლო წინააზიურ ან ჩინურს, აღმოაჩენ, რომ იქ ხდება რაღაც მსგავსი, თუმცა ხვდები, რომ აქ საჭირო არაა ისე შორს წასვლა წარსულში, როგორც ინდოეთში, რომ გავიგოთ იქ არსებული. ეგვიპტური ცხოვრების განხილვისას, როგორც ის მიედინება დაახლოებით ქრისტემდე III ათასწლეულის დასაწყისიდან ქრისტეშობამდე, გრძნობ, რომ ისტორიულად დოკუმენტებში შემონახული გამოიყურება ისე, რომ აუცილებელია, უძველესი ეპოქები წარმოიდგინო ემოციურად და გუშინდელი ჩვენი მცდელობაც ამას ეხებოდა. გარდა ამისა, აღმოაჩენ, რომ ადრინდელმა აქ შეინარჩუნა საკუთარი თავისადმი ერთგულების რაღაც თვისება, ასე რომ, ის, რაც ღრმავ, ასევე გამოვლენილია შედარებით გვი-

ანდელში, მაშინ როცა ინდოეთში ყველაზე დრმა აუცილებლად უნდა ვეძიოთ მისი განვითარების დასაწყისში.

ასეთივე მდგომარეობაა ბერძნული და ჩვენი საკუთარი კულტურის შემთხვევაში, რომელიც იწყება, როგორც შემდგომში დავინახავთ, დაახლოებით XV საუკუნიდან. საქმე ის არის, რომ, მართალია, დრმად მხედველისთვის უძველესი ელემენტები უდავოდ განვითარდა, მაგრამ ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის ისინი ოდნავ შესამჩნევია. მომდევნო განხილვებში შევხებით, როგორ ვლინდება ეს უძველესი ელემენტები ევროპული და ამერიკული კულტურების შიგნით.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ცივილიზაციაში ჩართული საბუნებისმეტყველო მეცნიერული ელემენტი ისე საფუძვლიანად გაერკვა ძველში, რომ ეს ძველი მხოლოდ სრულიად განსაზღვრული მეთოდების მეშვეობით უნდა გამოეკვლიათ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არსებობს. ასე არსებობს დედამიწაზე გვერდიგვერდ სხვადასხვა ეპოქის კულტურა. თანამედროვე ინდური კულტურის გაგება თუ გასურს, აუცილებელია წარსულში ძალზე შორს დაბრუნება; წინააღიური კულტურისა და მისი ლიტერატურის გასაგებად საჭიროა, ნაკლებად მივუბრუნდეთ წარსულს, ეგვიპტური კულტურის გასაგებად უფრო ნაკლებად და კიდევ უფრო ნაკლებად – ბერძნულ-რომაული კულტურის გასაგებად და ა.შ. შეიძლება თითქმის მთლიანად დავრჩეთ თანამედროვეობაში, თუ გასურს გარეგნული ევროპული და ამერიკული კულტურის გაგება.

ის, რაც დროის დინებისას გვერდიგვერდ ვითარდებოდა, ჩვენთვის ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობს; ამ გვერდიგვერდ არსებულს რეალურად სრულიად განსხვავებული ასაკი გააჩნია, ყოველ შემთხვევაში, გარეგნული ხედვით, ასე რომ, სივრცობრივი და დროითი ერთმანეთში ირევა; თავიდან საჭიროა, თანამედროვეობის თვალსაზრისით ვიპოვოთ, მე ვიტყვოდი, მეთოდები, რომ დავინახოთ: ასეთი თანამედროვე კულტურიდან შეიძლება მიბრუნება უკან უძველეს ეპოქებში, თუმცა ძნელად და, უკიდურეს შემთხვევაში, შემოვლითი გზით თუ ვიპოვოთ ამ ეპოქებთან მისასვლელს.

ახლა, როგორც თქვენთვის ცნობილია, – გუშინ უკვე გავარკვიეთ, რამდენად გარეგნული სახით ხდება ეს ხშირ შემთხვევაში, – თავიდან ისტორიის მიერ შემოთავაზებულს

უერთდება საბუნებისმეტყველო მეცნიერული განხილვა, ე.წ. ანთროპოლოგიური და ეკოლოგიური კვლევა. გარეგნულ ანთროპოლოგიურ კვლევას დღეს უკან ვუბრუნდებით ძალზე ადრინდელი ევროპული დროებისკენ. თუ როგორ გამოიყურება ეს აზიელი ადამიანისთვის, ამის შესახებ, ცხადია, ჯერ კიდევ ცოტას საუბრობენ, მაგრამ ევროპული განვითარებისთვის უძველეს დროებში გვაბრუნებენ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ გეოლოგიის მეშვეობით გამდიდრებული ანთროპოლოგია და ისტორია გვამცნობს, რომ დაახლოებით ათას წელს ითვლის ევროპის უძველესი მოსახლეობა, რომლის ჭეშმარიტად მხატვრული ნაშთები ესპანეთისა და სამხრეთ საფრანგეთის ზოგიერთი გამოქვაბულის განძებში იქნა გამოვლენილი; გამოქვაბულების ამ ნარჩენების წყალობით გამოვლენილ გასაოცარ მხატვრობაში ყურადღება მივაპყარით იმას, რომ ევროპაში ადამიანები, ფლობდნენ რა გარკვეულ კულტურას, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ, თვით იმ მნიშვნელოვან მოვლენებამდე, რომლებზეც ანთროპოლოგიასა და გეოლოგიაში არის საუბარი, როგორც ევროპის გამყინვარების პერიოდზე, როცა ევროპის კონტინენტის უდიდესი ნაწილი ყინულით იყო დაფარული, ასე რომ, ის დაუსახლებელი იყო. ოაზისები უნდა ყოფილიყო ისეთი რეგიონები, სადაც იპოვეს მღვიმეები ფრესკებით, ესენია – ესპანეთი და სამხრეთ საფრანგეთი. აქ, ასეთი ვრცელი გამყინვარებისას, უნდა ეცხოვრათ ადამიანებს, აქ უნდა ყოფილიყო შედარებით მდიდარი ბუნება და განვითარებული კულტურა.

ასე ვბრუნდებით დღეს ევროპული ცივილიზაციის ცხოვრების ძალზე ძველ დროებში. და აქ, გარკვეულწილად, ერთიანდება გარეგნული კვლევის მიერ მიღებული და სულისმეცნიერების მიერ შემოთავაზებული. სულისმეცნიერება კი ეყრდნობა მხოლოდ იმას, რისი კვლევაც შეუძლია ადამიანის განვითარებულ მშვინვიერ უნარებს, რისი გამოვლენაც შესაძლებელია იმაგინაციისა და ინსპირაციის მეშვეობით; მას შეუძლია, ისაუბროს იმაზე, რისი ჭვრეტაც შინაგანად ცნობიერად შეიძლება. აქ საჭიროა ითქვას, რომ იმასთან შედარებით, რასაც გამოვიკვლევთ გარეგნული ისტორიის საშუალებით, სულიერი კვლევის მეშვეობით, შეიძლება, არსებითად, მეტ-ნაკლებად შევიმეცნოთ განვითარე-

ბის მხოლოდ სულიერი ნაწილი, ნაკლებად – ის, რაც მოხდა გარეგნულ ბუნებაში. მაგრამ სულიერი კვლევის წყალობით შეიძლება მივუბრუნდეთ წარსულს იმ დროებამდე, რომლებიც ადამიანს და მის გარემოცვას ხედავდნენ ჯერ კიდევ სრულიად სხვა პირობებში, ვიდრე ევროპული გამყინვარების დროს.

ამ მოხსენებების ამოცანა სულაც არ არის გადაიხაროს ისეთი უძველესი დროებისკენ, როცა ადამიანი ცხოვრობდა სხვა პირობებში და დედამიწის სრულიად სხვა რეგიონებში, ვიდრე მოგვიანებით; მაგრამ აუცილებელია, გამოვიწვიოთ რაღაც გრძნობა იმისა, რამდენად გამართლებულია, მივუთითოთ იმგვარ ზეგრძობად შემეცნებებზე, რომელთაც შეუძლიათ კაცობრიობის ისტორიული განვითარების დაკვირვება თვით ადრინდელ ეპოქებამდე.

ყოველთვის, როცა ვუღრმავდებით გარეგნულ ისტორიას, ვუღრმავდებით იმ მზერით და იმ შეგრძნებით, რომლებიც შეიძლება, მოვიპოვოთ სულისმეცნიერებიდან, შეგვიძლია რაღაცა განვიცადოთ ცივილიზებული კაცობრიობის განვითარების მიმდინარეობის გამო. გარეგნული ანთროპოლოგიის, ისტორიისა და გეოლოგიის თვალსაზრისით შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ, თუ დავებრუნდებით წარსულში დაახლოებით ათი-თხუთმეტი ათასი წლის წინ, მაშინ შეიძლება აღმოვაჩინოთ სწორედ ცხოვრების სრულიად სხვა სახე, ვიდრე თანამედროვე ცივილიზებულ ევროპაში. შეიძლება დავამატოთ, რომ დაახლოებით ბოლო ათი-თხუთმეტი ათასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ევროპული, აზიური და, არსებითად, ძველი ამერიკული კაცობრიობის განვითარება.

დოკუმენტებში არსებული, საჭიროა გაშუქდეს სრულიად განსაკუთრებული სახით, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სულისმეცნიერების მეშვეობით. აქ, ცხადია, შეიძლება, ითქვას: გუშინ ჩემ მიერ შესავლის სახით წარმოდგენილი განხილვებიდან თუ შეძლებ იმას, რომ თანამედროვეობიდან დაბრუნდე უკან ადრინდელ მშვიინვიერ განწყობებში, მაშინ ახლა გვერდით მცხოვრების განჭვრეტა, მის წარსულთან მიმართებით, გარკვეული სახით, სწორი იქნება. ასეთ შემთხვევაში, მზერას ჯერ მივაპყრობთ ინდურ რეგიონს.

ის, რაც აქ სამყაროს ინტერპრეტაციაზე ჯერ კიდევ ცხოვრობს გასაოცრად მახვილგონივრული სახით, წარგმართავს უკან იმ დროებში, როცა წარმოიქმნა უდიდესი, მძლავრი ინდური ფილოსოფია და ვედების პოეზია. მაგრამ თუ საკუთარ თავზე ზემოქმედების საშუალებას მისცემ ვედების პოეზიას, ვედანტების ფილოსოფიასა და იოგას ინდურ ფილოსოფიას, მაშინ შეიგრძნობ, რომ იმის გასაგებად, რაც ჯერ კიდევ არსებობს თავისი შედეგებით აქ, ჩვენ გვერდით, დედამიწაზე, აუცილებელია დაბრუნება უკან ძალზე შორეულ დროებში. შემდეგ კი, როცა ამას შეადარებ კულტურაში ჯერ კიდევ არსებულთან, ვთქვათ, მაგალითად, ლოგიკური აზროვნების ჩვენს ევროპულ მეთოდთან ან აზრების წარმოქმნის ბერძნულ მეთოდთან, მაშინ ყველგან ნახავ, რომ თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია ინდურთან შედარებით გამოიყურება, როგორც შვილთაშვილი, შვილიშვილი, როგორც ბავშვი, რომელიც ცხოვრობს ერთდროულად მამის გვერდით. ეს ინდური იმყოფება აქ, როგორც ძალზე ძველ დროში არსებული, მაგრამ მიხრწნილი. ამ მიხრწნილში ჯერ კიდევ ჭკვეტ უძველეს დროებში გამოვლენილი უმაღლესი სულიერების არსს. ეს კი ჩანს სწორედ მისი დაცემით, ამ მიხრწნილობით ისე, როგორც ჩანს ბავშვში მამის გარკვეული მდგომარეობა ამ მამის ადრეულ საფეხურებზე, მაგრამ სრულიად სხვაგვარად, ვინაიდან ეს მდგომარეობები განიცდება დროის უფრო გვიანდელ პერიოდში. მაგალითად, წარმოიდგინეთ მავანი ადამიანი, რომელიც ბავშვი იყო XIX ს-ის 90-იან წლებში და გადაიტანეთ მზერა მისგან მის მამაზე ან სულაც ბაბუაზე; სავარაუდოდ, ბაბუა ბავშვი იქნებოდა XIX ს-ის ორმოციან, ორმოცდაათიან წლებში, სადაც მან ბავშვობა გაატარა სხვა პირობებში, ვიდრე ბავშვმა 90-იან წლებში, რომელმაც იცოდა, შეიძლება ითქვას, უკვე სრულიად სხვა მოვლენები, ვიდრე ბაბუამ მისი მიამიტური ბავშვობით ორმოციან წლებში. სწორედ მაშინ, როცა მზერას აჩვენებს რაღაც ასეთს ხალხის ჩამოყალიბებაში, მაშინ წარმოჩნდება თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია ან თვით ბერძნული ცივილიზაცია, რამდენადაც შეგვიძლია შევიჭრათ მათში, როგორც მოგვიანებით დაბადებულნი იმასთან მიმართებით, რაც იშვა ადრე, როგორც ინდური ცივილიზაცია, ოღონდ, ეს დღეს ჩვენ წინაშე მიხ-

რწინილი სახით წარმოჩნდება. შევძლებთ კი ჩვენ დღეს შევიჭრათ გრძნობით ამ ინდურში, რომელიც უკვე მისრწინილია და მოხუცდა ვედების პოეზიისა და ვედანტების ფილოსოფიის დროიდან? მაგრამ თუ გვაქვს სულისმეცნიერებით აღზრდილი მშვინიერი განწყობა, რომ უფრო ადრინდელი უფრო გვიანდელისგან განვჭვრიტოთ ისე, როგორც შესაძლებელია, სათანადო ხედვის შემთხვევაში, ბავშვობის განჭვრეტა, გამომდინარე მოხუცი ადამიანისგან, ასეთ დროს ვაგრძელებთ ჭვრეტას, ცხადია, ასევე ძველინდურის მეშვეობით. თუმცა მაშინ საკუთარ თავს მაინც ეტყვი, რომ ეს ინდური ეჭვს გარეშე იყო ისეთი კულტურა, რომელიც ძირეულად განსხვავდება ჩვენი კულტურისგან. ეს კულტურა მთლიანად უნდა ყოფილიყო განმსჭვალული სულიერებით და ადამიანი გაეაზრებინა, როგორც ძალზე სულიერი. როცა განიხილავ იმის მრავალფეროვნებას, რაც ვლინდება სწორედ ინდურში, ვედების პოეზიაში თავისი ხატოვნებით, ვედანტების გონებამახვილურ ფილოსოფიასა და იოგას გულმოდგინე ფილოსოფიაში, მაშინ საკუთარ თავს ეუბნები: აქ დროის განმავლობაში კულტურა შეერწყა კულტურას; იქ ოდესღაც უბრალოდ უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ სულიერი სახის უძველესი კულტურა. გარდა ამისა, უნდა მოგვეპოვებინა ის, რაც ნაკლებად სულიერი იყო და რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ვედების პოეზიაში. შემდეგ უნდა განსხეულებულიყო ისიც, რაც ამოტივივდა იოგების გულმოდგინე ფილოსოფიაში. ამ ყველაფრის მოპოვება შეუძლებელი იყო ერთი ხალხისგან. აქ დაშლის გარეშე გადაადგილდებოდნენ ხალხები განსხვავებული მონაცემებით. ერთმა მოიტანა იოგას მოძღვრება, მეორემ – ვედების პოეზია. ეს ხალხები უკვე ასწრებდნენ ძველინდურს, რომლითაც ისინი შემდგომში იკვებებოდნენ, რომლისგანაც ისინი იღებდნენ იმას, რაც იყო მოწიფული და დაბერებული, მაგრამ უკვე მკვდარი ადამიანში. შემოჭრილი ხალხები მოდიოდნენ ახალი სისხლით; ისინი აყალიბებდნენ იმას, რისი შემდგომი განვითარებაც აღარ შეეძლოთ განადგურებაამდე მისულ ადამიანებს. ამდენად, თანდათანობით ხორციელდებოდა თანამედროვე მდგომარეობა; შემდეგ არც ისე შორს იქნები იმისგან, რომ ძველი ინდური კულტურა შეადარო იმას, რაც არსებობს, როგორც გადმონაშთები იმ

ადგილებში, სადაც განვითარდა თანამედროვე ცივილიზაცია. ძველი ინდოელი ადამიანების შედარება შეიძლება იმათთან, რომელთაც შეეძლოთ დაეხატათ აქ დასავლეთ ევროპაში გამოვლენილი გასაოცარი თავისებური სურათები, მე ვიტყვდი, ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი შემოქმედებითი მანერით. თუ ხედავ ამ სურათებს და შეგიძლია, მიხვდე იმას, რასაც განიცდის ადამიანური სამშენველი ასეთი სურათის შექმნისას, მაშინ საკუთარ თავს ეუბნები: დიახ, შეიძლება ითქვას, ეს სურათები შეიცავს პრიმიტიულს, რაღაც იმის მსგავსს, რასაც ხატავენ თანამედროვე ნიჭიერი ბავშვები, მაგრამ – მაინც რაღაც სხვასაც. განიხილავ ამ სურათებს და ხედავ, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები გარკვეული სიყვარულით თავიანთი გარემომცველი გარეგნული ბუნებისადმი; და ხედავ, მე ვიტყვდი, რომ ისინი დახატულია იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც არა მარტო გამოთვალეს თვალებით, როგორ გაეგლოთ ხაზები, როგორ დაეტანათ ფერები, არამედ, თავიანთი შინაგანი განცდებით შექმნეს, დახატეს ის, რაც ღრმად იჯდა, ასე ვთქვათ, მათ სხეულში.

როცა ამას შეადარებ ძველინდურ კულტურაში აწ უკვე ყოფილთან, მაშინ რაღაც ნათესაობას მაინც აღმოაჩენ. დასავლეთ ევროპაში მოვლენები წარმოიქმნება პრიმიტიულად და ასევეა ჩვენს დროშიც; აზიაში, სამხრეთ აზიაში, ეს აგრძელებს შემდგომ განვითარებას, ვინაიდან ამას ყოველთვის ანაყოფიერებენ სხვა ტომები; ეს კი განვითარების დროს მადლდება ვედანტების ფილოსოფიამდე. თუ მე ამ მოვლენებს გადმოვცემ სულისმეცნიერულად, როგორც ეს არაერთხელ გამიკეთებია, მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ ამ მოვლენებს შეიძლება მოვეკიდოთ სულ სხვა კონკრეტულობით. მაგრამ დღეს მსურს, მოვლენებს ჩავწვდეთ, უპირველეს ყოვლისა, ისე, როგორც ისინი ეძლევა სულისმეცნიერებაში მოღვაწეს, როცა იგი გარეგნულ დოკუმენტებსაც ითვალისწინებს. თუმცა მათ ვერ მიეახლები ისე, როგორც დღეს არიან მიჩვეულნი, რომ ამ მოვლენებს მოეკიდონ გაურკვეველი, ერთმანეთს ძალზე დაცილებული ცნებებით, რომლებსაც უხეში საბუნებისმეტყველო მეცნიერული განხილვისას ითვისებენ. ამის მისაღწევად აუცილებელია, მე ვიტყვდი, საკუთარი ცნებები გავხადოთ ისე-

თი მოქნილი და ელასტიკური, როგორსაც მე დღეს შემოგთავაზებთ განხილვების დროს. ცხადია, შეუძლებელია, ვაჩვენოთ კავშირი დასავლეთ ევროპის გამოქვაბულის კულტურასა და ინდურ კულტურას შორის ისევე, როგორც ასაბუთებ მსგავსებას სამკუთხედებს შორის, მაგრამ აქ სიმართლის მარცვალი არც ისე მცირეა, თუ გსურს, მიიღო მონაწილეობა ამ მოვლენებში და თუკი დაბრუნდები უკან იმ მშვინვიერ განწყობაში, რომელზეც გუშინ გაგამახვილეთ ჩვენი ყურადღება.

ვინც ამ თვალსაზრისით უღრმავდება ამ ცნებებს, ვედის ფილოსოფიის გასაოცარ ცნებებს, იგი, მთლიანად აბსტრაქტულ-სულიერში გადაადგილებით, გარკვეულწილად სრულად ხედავს დამახასიათებელ ხაზებს ესპანეთისა და სამხრეთ საფრანგეთის მღვიმეებში არსებულ ფრესკებზე. ამიტომაც, თვით გარეგნული კვლევიდან გამომდინარე, მისთვის უჩვეულო არ იქნება სულისმეცნიერების გამონათქვამი იმაზე, რომ ძველ ინდოეთში ყველაზე დაჯილდოებული აღმოჩნდა ძირეული მოსახლეობა, (ქრისტემდე დაახლოებით VIII ათასწლეულის დასაწყისში) – რომელიც თანდათანობით გავრცელდა ევროპის, აფრიკისა და აზიის დასახლებულ ადგილებში და განსხვავებული ცხოვრებისეული პირობების შესაბამისად წარმოიქმნა ეს უძველესი კულტურა, სადაც ჯერ კიდევ გარე ბუნებაში ცხოვრობდნენ. იქ ვლინდება ის, რაც თავის გამოსატყულებას პოულობს მხოლოდ პრიმიტიულად. შემდეგ ნელ-ნელა რაც განვითარდა, იმან ადამიანები მიიყვანა გაცემამდე და ეს იყო კრეტას კულტურა, რომელიც წარმოიქმნა ევროპის სამხრეთში. თუმცა აზიაში ეს, როგორც წინარე ინდური კულტურა, სულ უფრო მეტად ვითარდებოდა და რჩებოდა, ასე ვთქვათ, სიცოცხლისუნარიანი ღრმა სიბერემდე, მაგრამ მისი აყვავების პერიოდი ემთხვევა იმ დროს, როცა წარმოიქმნა ვედები და ვედანტის ფილოსოფია, ხოლო შემდეგ იოგას ფილოსოფია და აზრთა სხვა ფილოსოფიური სახეები. ამ ინდურს შეეერთა განურჩევლად ძალზე ბევრი რამ, რაც წარმოიქმნა სხვადასხვა დროს და რაც დღეს ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობს.

თქვენ თუ უფრო დეტალურად გაეცნობით იმას, რასაც წინარე ინდური კულტურა თავის თავზე გვაუწყებს, მაშინ

უნდა თქვათ, რომ ეს ყოველივე მიუთითებს ადამიანის ისეთ მშვინვიერ წყობაზე, რომელთანაც დღეს გარეგნული საშუალებების დახმარებით ვერ მისვალ.

გუშინ მე ვისაუბრე იმაგინაციური წარმოდგენისკენ შესაძლებელ წინსვლაზე და თუ ამას ცნობიერად აკეთებ, მაშინ შეიმეცნებ არა მარტო ჯერ კიდევ გაუცნობიერებელს, არამედ რასაც ინსტინქტურად განიცდიდა ისეთი ადამიანი, როგორცაა ძველი ქალდეველი ან უფრო გვიანდელი ეგვიპტელი. მათი მშვინვიერი განწყობა სწორედაც სრულიად განსხვავებული იყო, ვიდრე თანამედროვე ადამიანების.

ამ იმაგინაციური წარმოდგენების გათავისების წყალობით თავად ხდები სურათ-ხატი, ერწყმი ხატოვნებას და ესისხლხორცები მყოფობას. ასე მაგალითად, ქალდეველები ცხოვრობდნენ მყოფობაში. მეორე მხრივ, ინსპირაციისკენ ამადლებიას, ასევე შეიმეცნებ, როგორ გადალახო გაყოფა შინაგან სუბიექტურსა და გარეგნულ ობიექტურს შორის; გარკვეულწილად თავს გრძნობ ერთიანად სამყაროსთან, თავს გრძნობ სამყაროს შიგნით ისე, რომ საკუთარ თავს ეუბნები: ის, რაც ეუწყება შენი მეშვეობით, ესაა ხმა, თავად სამყაროს ენა; შენ თანხმდები, იყო მხოლოდ წევრი სამყაროში და სამყარო გაიხსნას შენი მეშვეობით. ჩვენს დროში ამას ცნობიერად ვადწევთ ინსპირაციაში. იმ გვიანდელ პერიოდში ეგვიპტელი ამას ინსტინქტურად განიცდიდა. მაგრამ ამას მივყავართ კიდევ უფრო უკან წარსულში, იმ დროებში, რომლებიც წარმოგვიდგენს ჩინურ კულტურას, როგორც ნაჩვენებია შედარებით კარგ დოკუმენტებში. ცხადია ის, რაც ჩვენ წინაშე წარმოჩნდება, ეს უკვე შედარებით გვიანდელი პროდუქტია, მაგრამ ინდური კულტურის მსგავსად, სადაც ვლინდება უძველესი, ბავშვობის საფეხურები, ასევე ვლინდება ცივილიზაციის თავდაპირველი უძველესი საფეხურები ჩინურშიც. ჩვენ თუ ახლა მიეუბრუნდებით განსაკუთრებით ერთ წარმოდგენას, მაშინ სწორად ვიგრძნობთ, როგორ ცხოვრობს ამ ჩინურ მოსახლეობაში ინსტინქტური ინსპირაცია. დღეს სულსმეცნიერული მეთოდის მეშვეობით მივადწევთ ინსპირაციის გაცნობიერებას. ჩინურში განიცდება მეტ-ნაკლებად ინსტინქტური ინსპირაცია, ანუ მათი განცდა არსებობს, როგორც საფუძველი იმისა, რაც გადმოცემულია ჩინური ლიტერატურით. აქ გვაბრუნებენ ადამიანური

ჭკერეტისკენ, რომლის წყალობითაც ადამიანი თავის თავს გრძნობდა მთელი სამყაროს წევრად. *დღეს ჩვენ როგორც-დაც ესაუბრობთ სამწვერა ადამიანზე**, – თავის, კიდურებისა და შუა რიტმულ ადამიანზე, – და ინსპირაციის მეშვეობით განვიხილავთ მათ არსს სიღრმისეულად, ასე ცხოვრობდნენ ოდესღაც რაღაც ამის მსგავსზე ინსტინქტური ინსპირაციული შემეცნებით თანამედროვე ჩინური მოსახლეობის წინაპრები. თუმცა ეს შემეცნება ეხებოდა არა მარტო ადამიანს, არამედ, რამდენადაც ადამიანი იყო მთელი სამყაროს წევრი, ის ეხებოდა მთელ სამყაროს. როგორც ჩვენ შევიგრძნობთ საკუთარ თავს, ასე შევიგრძნობდა ჩინელი იმას, რასაც ის უწოდებდა „იანს“ (Yang). თუ გვსურს საკუთარი თავის დათვალიერება, ჩვენ ხომ მისი დანახვა ჩვეულებრივ არ შეგვიძლია, მაქსიმუმ ცხვირის ბოლოს დავინახვთ. ასევე, როგორც შეგვიძლია დავინახოთ საკუთარი ორგანიზმის სხვა ზედაპირული ნაწილები საკუთარი გარეგნული იერის თვალიერებისას, ხოლო თავი შეიძლება მხოლოდ სულიერად გავაცნობიეროთ; ასე იყო გაცნობიერებული ჩინელისთვის რაღაც, რასაც იგი უწოდებდა „იანს“. ამ „იანის“ ქვეშ ის გულისხმობდა იმას, რაც არის ზევით, რაც სულიერად გაფართოვდება, ასევე ზეციურს, მანათობელს, შემოქმედს, აქტიურს, მომცემს. ჩინელი ვერ განასხვავებდა თავის თავს იმისგან, რაც ცხოვრობდა მის თავში, თავის ამ „იანში“. გარემომცველი სამყაროსგან ადამიანის გამომიჯვნით, როგორც ჩვენ ვგრძნობთ კიდურების ადამიანს, რომელიც გადაადგილდება მუშაობისას და გვაცნობს ჩვენს გარემოცვას, ასევე საუბრობდა ჩინელი „ინ“-ზე. (Yin), და ამით იგი გულისხმობდა – ბნელს, მიწიერს, აღქმადს და ა.შ. დღეს კი ვამბობთ, რომ ნივთიერებათა ცვლისა და კიდურების ადამიანში ჩვენ აღვიქვამთ გარეგნულ სუბსტანციებს. ამ ადამიანით ჩვენ გარეგნულ საგნებს ვაკავშირებთ საკუთარ არსებასთან და ჩვენი თავის ორგანიზაციის მეშვეობით აღვიქვამთ სრულიად ცხად აზრობრივ ელემენტს. მაგრამ მათ შორის იმყოფება ყოველივე ის, რაც გარკვეული სახით ასცდება ამ რიტმის ორგანიზებას თავის, კიდურებისა და ნივთიერებათა ცვლის ადამიანს შორის. ამას აღწევს სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის რიტმები. როგორც ჩვენ შევიგრძნობთ და შევიმეცნებთ ადამიანს, ასე ხედავდა ოდესღაც

ჩინელი მთელ სამყაროს: ზევით – შემოქმედს, კაშკაშა მანათობელს, ზეციურს; ქვემოთ – მიწიერს, ბნელს, გრძნობადს; ხოლო ორივეს შორის გამაწონასწორებელს, იმას, რაც წარმოქმნის რიტმს ცასა და მიწას შორის, რომელსაც ის შეიგრძნობდა ცაზე დრუბლების გამოჩენისას, როცა მოდიოდა წვიმის წვეთები, როცა ნაწვიმარი კვლავ ორთქლდებოდა, როდესაც მიწიდან ამოზრდილი მცენარეები ცისკენ მიისწრაფოდნენ და ა. შ. ამ ყველაფერში ის შეიგრძნობდა ზევით და ქვემოთ რასაც ხედავდა იმის რიტმს, ამას კი ის უწოდებდა „ტაოს“. ასე მოიპოვებდა ის შეხედულებას იმის შესახებ, რასაც შეეზრდებოდა. მას ეს წარმოუდგებოდა ამ სამწვერიანობაში. მაგრამ იგი თავის თავს ამ ყველაფრისგან არ განასხვავებდა.

შემდეგ ეს შეხედულება შეცვლილი სახით წინა აზიაში გვევლინება. იმ ყველაფერს, რაც სწორედ სპარსეთის რეგიონიდან გადავეცით უძველესი კულტურის სახით და რაც ვლინდება ჩინელებთან, ოდესღაც უნდა ჰქონოდა სრულიად სხვა განვითარება, რომელიც შემდეგ შეიცვალა აპურა მახდას ანუ ორმუზდსა და არიმანს შორის დაპირისპირებით: სამყარო გამოიხატება კაშკაშა მანათობელ სინათლის ღმერთსა და ბნელ, პირქუშ არიმანს შორის რიტმებში გაშლით.

განსხვავება იმათ შორის, რაც ოდესღაც უნდა ყოფილიყო ინდური და იმას, რაღაც ის იქცა შემდგომში მთლიანად შეცვლილი სახით ჩინურ მოსახლეობაში და რასაც საფუძვლის სახით შეიგრძნობ ასევე ზოგიერთ წინააზიურ კულტურაში, – ჩემს წიგნში „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“ ამას მე ვუწოდებ *ძველსპარსულ კულტურას**, – იყო ისეთი, რასაც ინდური მოსახლეობა ჯერაც ვერ ასხვავებდა ზევითასა და ქვემოთას შორის, ცასა და მიწას შორის, როცა ის ჯერ კიდევ არ ლაპარაკობდა სუბიექტურზე ადამიანის შინაგანში და ობიექტურზე – გარე სამყაროში, როცა იგი ჯერაც ვერ განასხვავებდა ერთმანეთისგან გარე სამყაროში იმას, რაც წარმოადგენს სულიერად ნათელს, იმისგან, რაც უფრო მეტად წარმოადგენს ფიზიკურად ბნელს, მაშინ, როცა უფრო გვიანდელ დროში, ძველ სპარსეთში, ამას განასხვავებდნენ და ორივეს ურთიერთქმედებას იაზრებდნენ „ტაოს“ მეშვეობით ან რაღაცის მეშვეობით, რაც ქმნიდა სწორედ რიტმულ წონასწორობას.

მაინც რა მოხდა იქ? რის გამო დატოვა ადამიანმა ის ძველი საფეხური, რომელზეც იგი ჯერ კიდევ ვერ განასხვავებდა სულიერ-ნათელს ფიზიკურ-ბნელისგან და რომლის წყალობითაც მან გაიგო ასეთი დაპირისპირებულობა, ასეთი პოლარობები და დუალიზმი?

დოკუმენტებში არსებულის ყურადღებით განხილვისას თუ საშუალებას მივცემთ, ჩვენსავე მშვიდნიერ განწყობაზე იმოქმედონ გრძნობებმა, რომლებიც ცოცხლობს ამ დოკუმენტებსა და თქმულებებში, მაშინ ვიგებთ: იმ უძველეს დროებში ადამიანი ისეთ კავშირში იყო გარე სამყაროსთან, რომ ძალზე ცოტა შესაძლებლობა ჰქონდა, საქმისთვის ხელი მოეკიდა ამ გარემომცველ სამყაროში. ჩვენი დღევანდელი თვალთახედვით ის იქ ცხოვრობდა, ერთი მხრივ, ძალზე მაღალ სულიერ საფეხურზე, მაგრამ, მეორე მხრივ, პირიქით – მაინც ცხოველური უმანკობის მდგომარეობაში. ვინაიდან ყველაფერი, რასაც ის განიცდიდა სამყაროსთან ერთიანობის მხრივ და რასაც – შემდეგ, მოგვიანებით ბრაჰმანი იაზრებდა ამონასუნთქად, ეს, არსებითად, იყო ინსტინქტური.

ეს ყოველივე შესაძლებელი იყო ადამიანისთვის, რომელსაც ხელი არ უხლია ბუნებისთვის და თავისი თავი დაუკავშირა მას, მე ვიტყვოდი, როგორც ცხოველი, როგორც ფრინველი, იმ ადამიანისთვის, რომელიც იღებს იმას, რასაც მას სთავაზობს ბუნება კვებისთვის და რომელიც თავის საკვებს თავად არ გამოიმუშავებს, არამედ უბრალოდ მოიპოვებს, როგორც ფრინველი, ანუ, რომელიც სრულ ჰარმონიაში ცხოვრობს ბუნების ყველა სამეფოსთან და თავის საკუთარ სიყვარულს განფენს ბუნების ყველა სამეფოზე.

როდესაც სრული ადამიანური ცნობიერებით ამგვარად უღრმავდები ყველაფერს, მაშინ უშუალოდ მიეახლები იმას, რასაც ხედავ: ის, რაც ჯერ კიდევ ცხოვრობს ინდურ-ადმოსავლურ მსოფლმხედველობაში, როგორც ცხოველებისა და მცენარეებისადმი სიყვარული, მომდინარეობს საყოველთაო სიყვარულიდან, რომელსაც ჯერ არანაირი არსებისთვის არ გაუკეთებია რაიმე და ამიტომ ჯერ კიდევ არ შეუძლია მივიღეს იმ სრულ გამოღვიძებულ ცნობიერებამდე, რომელშიც ადამიანი არსებობდა მოგვიანებით, მაგრამ, ცხოვრობდა რაღაც სულიერებაში, ინსტინქტურ სულიერებაში, თუმცა გარკვეულწილად უფრო მაღალ სულიერებაში, ვიდრე იყო ბერ-

ძნული და ჩვენი – ამჟამინდელი, მაგრამ ის ცხოვრობდა უბიწო მდგომარეობაში ბუნებასთან მიმართებით, უყვარდა ეს ბუნება, არაფერს სპობდა და თვით მცენარეებს, რომლითაც ცხოვრობდნენ ადამიანები, თავისთვის იღებდა ისე, რომ მათ არ თესავდა სპეციალურად, არამედ უპირველეს ყოვლისა, იღებდა იმას, რაც ველური სახით ვლინდებოდა. ასეთი განხილვის დახმარებით უყურებ უკან ადამიანებს, რომლებიც სახლობდნენ სამხრეთ აზიის რეგიონში დაახლოებით VIII ათასწლეულამდე. მოგვიანებით ვლინდება რაღაც, რამაც ადამიანი მიიყვანა, გაეცნობიერებინა ძირეული განსხვავება ზევითასა და ქვემოთას შორის, სულიერს, – რომლის შეცვლაც არ შეეძლია, რომელიც ზევითაა და შეუძლებელია იპოვო – და ფიზიკურს შორის, რომლის დამუშავებაც შეიძლება, რომელთანაც შეხება შეიძლება. დაახლოებით VI ათასწლეულის დასაწყისში დგება რაღაც ცვლილების ქამი, – ის ვლინდება დეკადენტურ ნარჩენებში, – რომლის წყალობითაც ადამიანებს შეუძლიათ იმის შეცვლა, რასაც შეეხებიან, როცა მას ხელავენ რამდენადმე სხვაგვარად და ის მათ ხელშია. ისინი იწყებენ ცხოველების მოშინაურებას, ველურ ცხოველებს აქცევენ შინაურებად და ხდებიან მიწათმოქმედი.

ძირეული გარდატეხა გამოვლინდა ქრისტემდე VII-VI ათასწლეულებში, როცა ადამიანებმა დაიწყეს ბუნების დამუშავება და ამის წყალობით ბუნებას განასხვავებდნენ იმისგან, რისი დამუშავებაც მათ არ შეეძლოთ, რაც ანათებს ქვევით, როგორც მანათობელი, მბრწყინავი იმაზე, რაც დამუშავებადია და რომლის ფორმაც ადამიანმა შეიძლება აღიქვას. თუმცა ადამიანი არა მარტო წარმოადგენს იმას, რაც მოქმედებს ასეთი სახით, როცა აძლევს ფორმებს რაღაცეებს, იგი აკეთებს ინსტრუმენტებს, იღებს თავის პრიმიტიულ წერაქვს, რომელიც იყო გუთნის წინამორბედი, – სავარაუდოდ, თავიდან მიწათმოქმედებას ეწეოდნენ ქალები, – რომლითაც ის ხელით ამუშავებდა მიწას და თესავდა; ის ხელადა, მიწამ როგორ შეიძლება მისგან მიიღოს ფორმები, ასევე ხვდებოდა იმას, რომ გაზაფხულზე ის იფარება მცენარეებით არა მარტო თავისი წყალობით და რომ შემოდგომით მცენარეები კვლავ კვდებიან. მიწას შეუძლია მიიღოს თავისი ფორმები, როგორც ადამიანისგან, ასევე იმისგან,

რაც მას უნათებს ქვემოთ სამყაროს სივრციდან; ის აღიქვამს სხვაობას სინათლესა და სიბნელეს შორის, სულსა და მატერიას შორის.

ეს ყოველივე ვითარდებოდა ისეთი სახით, რომ ადამიანი თავიდან სწავლობდა, გარე სამყარო გამოემიჯნა ბუნების დამუშავებით, მიწათმოქმედებით, მესაქონლეობით. სპარსული კულტურის კიდევ უფრო გვიანდელ პერიოდზე დაკვირვებით ჩანს, როგორ არის ორიენტირებული ყველაფერი მიწათმოქმედებაზე. უყურებ ამის კავშირს იმასთან, რაც *კლინდება ავესტაში** და ხედავ პროგრესს ინდურ კულტურასთან შედარებით.

ამდენად, ყოველივე ისე ვითარდება, რომ თავიდან ადამიანმა ჯერ კიდევ არაფერი იცის თავის თავზე; იგი თავისი თავის იდენტიფიცირებას ახდენს გარეგანთან, გარკვეულწილად ის მთლიანად არის დავანებული ინსტინქტურ ინსპირაციაში; ამ ინსტინქტური ინსპირაციიდან ის გადადის სამშვივნეელის უფრო გვიანდელი განწყობისკენ იმ დროში, როცა III ათასწლეულის დასაწყისში წინა აზიაში ჩნდება ქალდეველების ხატოვანი კულტურა, რომელზეც შეგვიძლია ვთქვათ, ადამიანი უკვე ისე შორს იმყოფება, რომ განასხვავებს არა მარტო ზევითას და ქვევითას, არამედ ღრმავდება ვარსკვლავური ხატების წვრილმანებში, იგონებს ყველანაირ ინსტრუმენტებს, წყლის საათებს და ა. შ. მაგრამ ჩვენ თუ მხოლოდ ქალდეველი მოსახლეობის შესახებ დავინტერესდებით, მაშინ ყველგან აღმოვაჩინოთ, რამდენად ძლიერად ცხოვრობს ადამიანი გარეგნულ სამყაროში, რამდენად რთულად იღებს იგი, ასე ვთქვათ, შინაგან განცდებს.

ეგვიპტეში კი სხვა რამეს ვხედავთ, კერძოდ, ქალდეველი მოსახლეობა წარმოიქმნა მოგვიანებით, ვიდრე – ეგვიპტელი; ეგვიპტელი მოსახლეობა შეგვიძლია დავინახოთ უკან უფრო შორს, თუმცა მისი დანახვა შეგვიძლია, უპირველეს ყოვლისა, იმ დრომდე, რომელსაც უნდა დავურთოთ ძველი სპარსული კულტურა, მეტამორფოზული ჩინურით, სადაც განასხვავებდნენ ზევითას და ქვევითას. მაგრამ სწორედ ქრისტიანობამდე III ათასწლეულის დასაწყისში ხდება მძლავრი ძირეული გარდატეხა სწორედ ეგვიპტური კულტურის შიგნით. როგორც უკვე ვიცით ასეთი ძირეული გარდატეხა მოხდა შინაური ცხოველებისა და მიწათმოქმედების წარმოქმნის

დროს, ასევე სახეზეა მომდევნო რადიკალური გარდატეხა დაახლოებით III ათასწლეულის დასაწყისში. გარდატეხა კი შემდეგი სახისაა: ვხედავთ, ეგვიპტეში *პირამიდების მშენებლობა** როგორ ვითარდება უფრო გვიანდელ დროს. ჩვენ შეგვიძლია ეგვიპტური კულტურის დაკვირვება ისტორიულად წარსულში და კიდევ უფრო შორსაც, როცა ფართოდ იწყება პირამიდების მშენებლობა. ეს ხდება სწორედ III ათასწლეულის დასაწყისში; კიდევ უფრო შორს წარსულში ეგვიპტის კულტურა განფენილია თვით *მენესის** დრომდე, III ათასწლეულამდე. იქ არ შენდებოდა უზარმაზარი პირამიდები. ისიც დავინახეთ, რომ ეგვიპტეში პირამიდების მშენებლობის პარალელურად ხდებოდა რაღაც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეგვიპტელები განიცდიდნენ ცნობიერების მთელი მდგომარეობის აღბეჭდვას. ცხადია, პირამიდის მშენებლობისთვის უნდა არსებულიყო მძლავრი ინსტრუმენტები, რომლებიც გაჩნდებოდა მხოლოდ ლითონების დამუშავებით, ეს კი, თავის მხრივ, მხოლოდ ლითონების შინაგანი სტრუქტურის გარკვეული ცოდნით უნდა მიეღოთ.

ეგვიპტელებში პრიმიტიული ფორმით გამოვლინდა ის, რასაც მოგვიანებით ქიმიურ შემეცნებებს უწოდებენ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი იწყებს საკუთარი შინაგანის ჩართვას ინტენსიურ მოქმედებაში, მაგრამ ვერ აცნობიერებს იმას, რომ ეს შინაგანი აქ არსებობს. თუ როგორ ამჩნევს ადამიანი ამ შინაგანის ძალას, ეს ჩვენ წინაშე წარმოჩნდება უმთავრესად მხოლოდ მაშინ, როცა გარკვეული თვალსაზრისით ყურადღებას მივაპყრობთ მაღალგანვითარებული ეგვიპტური წამლის ხელოვნებას. ცხადია, ის წარმოადგენს რაღაც სრულიად სხვას, ვიდრე ჩვენი წამლის ხელოვნებაა. იმ დაავადებებისთვის, რომლებიც არსებობდა უძველეს ეგვიპტეში, უკვე არსებობდნენ ექიმი-სპეციალისტები, განსაკუთრებით თვალის ექიმები. მაშინდელი მედიცინა იყენებდა ე. წ. ტაძრის ძილის დახმარებას. ტაძარში მიყვანილი სნეულები შეჰყავდათ რაღაც სახის ძილში, რომლის დროსაც ისინი ვარდებოდნენ ზმანების მსგავს მდგომარეობაში. იმას, რაშიც ისინი ეფლობოდნენ, სწავლობდა სწავლული-ქურუმი, რომელიც განმარტავდა ასეთ ფაქტებს. მომხდარში ისინი პოულობდნენ სიზმრის შინაგან დრამატურგიას, ხატოვნების ხასიათში ხედავდნენ: მოსდევდა თუ არა ბნელი

ხატები ნათელს, ნათელი-ბნელს და ა. შ. და უპირველეს ყოვლისა, ეძებდნენ ნიშანს ადამიანის პათოლოგიაზე. მეორე მხრივ, სიზმრის განსაკუთრებული კონფიგურაციიდან ისინი პროულობდნენ მითითებას სამკურნალო საშუალებებზე, რომელიც უნდა გამოეყენებინათ. იმის განხილვიდან, რასაც ადამიანი განიცდის შიგნით და რაც გამოდის შინაგანი მხერის წინაშე სიზმრის ხატებში, ეგვიპტელი ხალხი სწავლობდა სნეული ადამიანის შინაგან სხეულებრივ მდგომარეობას.

ეს ხდებოდა იმის პარალელურად, რაც ვითარდებოდა ქალდეაში. ქალდეაში ადამიანები მეტწილად ცხოვრობდნენ გარეგნული ჭკრეტით. ისინი იგონებდნენ ხელსაწყოებს, მაგალითად, წყლის გასაოცარ საათებს, რომლებსაც იღებდნენ თავიანთი მშვინივერი ხასიათის სურათ-ხატებიდან. ისინი ისე ძლიერად ცხოვრობდნენ ხატოვნებაში, რომ დროს შეცვლილ ხატებში ხედავდნენ. აქ ხატოვნება წარმოადგენდა უფრო მეტად გარეგნულ სტიქიას, რომელშიც ადამიანები ცხოვრობდნენ. ეგვიპტელები ხატოვნებით სწვდებოდნენ ადამიანის უშინაგანესს და მას სიზმრების ფორმითაც სწვდებოდნენ; მოკლედ, აქ ნაჩვენებია დროის შუალედი, რომელშიც ადამიანი უკვე ვეღარ გრძნობდა თავის თავს მხოლოდ მთელი სამყაროს წევრად, მაგრამ, რომელშიც ადამიანმა იპოვა თავისი თავი სამყაროდან, ორი მეთოდით – ქალდეურითა და ეგვიპტურით, ინდივიდუალიზებით. აქ ხდება გარდატეხა იმ ინსტინქტური იმაგინაციის ხატოვანი ჭკრეტით, რომელიც ორგვარად წარმოჩნდება ჩვენ წინაშე: ერთი სახით ქალდეელების და სხვაგვარად ეგვიპტელების მხრიდან.

ჩვენ ვხედავთ, როგორ ვლინდება მესამე კულტურული ეპოქა, რომელშიც ინსტინქტური იმაგინაცია ადამიანურ განვითარებას ანიჭებს განსაკუთრებულ ელფერს, პირამიდების მშენებლობის დასაწყისში, პირამიდების, რომლებიც თავიანთი მასითა და გეომეტრიული მდგომარეობით ადამიანის განვითარებისას ეფუძნება მასის ჭკრეტას, შინაგანი ძალის განვითარებასა და ამის შეგრძნებას. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სოციალური მდგომარეობაც ასევე წარმოჩნდება, როგორც მშვინივერი განწყობის სახით გამოვლენილის გარდაუვალი შედეგი. ძველი ინდოეთის სოციალური

მდგომარეობის შესწავლისას აღმოვაჩინეთ, რომ ადამიანები იქ მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ.

ძველ სპარსეთში კი ვხედავთ ბუნებასთან მებრძოლი ადამიანი როგორ აღიქვამს რაღაც სახის მეომრულ ელემენტს და მებრძოლის ეს ინსტინქტი ასევე როგორ განიცდება მის იმაგინაციებში. რამდენადაც ადამიანისგან მოტაცებულია მისი უღრმესი შინაგანი, რამდენადაც ადამიანის ეს ინსტინქტური მოტაცება თავის თავთან დამოკიდებულებისას შეუძლებელია გამოვლინდეს სხვაგვარად, ვიდრე ემოციებით, ჯანსაღი ნებელობით, ადამიანში გამოთქმავდებოდა ძალთა, ხელმწიფებათა ის იმპულსი, რომელიც განიცდებოდა გროტესკულად დიდი პირამიდების აგებაში, რომლებიც წარმოადგენდნენ მიცვალებულთა სავანეს და ამავდროულად უნდა დაემოწმებინათ იმათი გარეგნული ძალაუფლება, ვინც მართავდა. აქ ვხედავთ, როგორ ამოტივტივდებოდა ძალაუფლების ცნობიერება, ასევე იმასაც, როგორ ერთგობდნენ ახლა სხვა რეგიონებიდან უცხო ხალხები, როგორ ხდებოდა ამ სხვა სისხლის შეტანა იმაში, რაც აქ იმაგინაციის, ინსტინქტის სახით განიცდებოდა ასევე სოციალურ მდგომარეობებშიც; ვხედავთ, როგორ მოდიოდნენ ასეთი ხალხები უფრო მეტად შიდა აზიიდან და ერწყმოდნენ სხვებს. ის, რაც მათ ჰქონდათ, დაკავშირებული იყო თავისი თავის ამ შეგრძნებასთან, ახლა უფრო მეტად ადამიანის, თავისი თავის შემგრძნები ადამიანის მიერ, რომელიც გამოყოფილი იყო გარემომცველი სამყაროდან.

ეგვიპტელთან გარკვეულ ასაკში ეს იმდენად გაიზარდა, რომ იგი თავის თავს ღვთაებრივ ადამიანად ხედავდა; იგი იმდენად ძლიერ გრძნობდა საკუთარ თვითცნობიერებას, რომ ყველა სხვას განიხილავდა როგორც ბარბაროსებს და ადამიანებად აღიარებდა მხოლოდ მათ, ვისაც შეეძლო შინაგან სურათ-ხატებში ცხოვრება. აქ ჩანს ინტენსიური გაცნობიერების მნიშვნელობის გააქტიურება და ადამიანის მნიშვნელობის ინტენსიური გაცნობიერების ეს წარმოქმნა გვერდიგვერდ მიდის მოვლენასთან, რომელიც დაკავშირებულია ამ სულიერ მოვლენასთან.

*ჰამურაბის** კანონების შესწავლისას აღმოვაჩინეთ, რომ შინაურ ცხოველებს შორის მას ჯერ არ შემოჰყავს ცხენი. მაგრამ ამის შემდეგ ის კულტურულ ცხოვრებაში მაშინვე

ვლინდება. ცხადია, ჰამურაბს მოჰყავს ვირი და ხარი და გარკვეული დროის განმავლობაში ამის შემდეგ ცხენს დოკუმენტებში უწოდებდნენ „მთის ქვეყნის ვირს“. ცხენს ასე იმიტომ უწოდებდნენ, რომ ის შემოიყვანეს მთიანი აღმოსავლეთიდან. აზიიდან ქალდეაში გადმოსულმა ხალხებმა თან მოიყვანეს ცხენი და მასთან ერთად გაჩნდა მეომრული ელემენტი. თუმცა მეომრული ელემენტი უძველეს დროში დაიბადა; მაგრამ ის ვითარდება, როცა სხვა ცხოველებთან ერთად მოიშინაურეს ცხენიც. ამავე დროს ეს უკავშირდება მასინდელი ადამიანის მშვიდნიერ განწყობას. შეიძლება ითქვას, რომ ადრე ადამიანი ცხენზე არ ჯდებოდა, სანამ არ გამოიღვიძა ცნობიერების იმ დონეზე, როგორც ის გამოვლინდა ქალდეველებში ხატოვანი წარმოდგენის სახით, ან ვლინდებოდა შიგნით ეგვიპტელის სიზმრისეულ ცხოვრებაში, როცა მან გარკვეულ დონეზე თავისი თავი, როგორც ინდივიდუალობა განამტკიცა იმის წყალობით, რომ შეიხვია ცხოველი თავისი საკუთარი მოძრაობის დროს. ერთმანეთის მომდევნო ეპოქებში კაცობრიობის განვითარების გარეგნული პირობები ისე ღრმად დაკავშირებული მშვიდნიერი განწყობის მეტამორფოზასთან, რომ შეიძლება ითქვას: მიმდინარეობდა ერთი მხრივ პირამიდების მშენებლობა და მეორე მხრივ – ცხენის მოშინაურება; გარეგნული შეხედულებით ისინი ასახავენ მესამე კულტურულ ეპოქას, ეგვიპტურ-ქალდეურს, ხოლო შინაგანად ეს ეპოქა დაკავშირებულია ინსტინქტური იმაგინაციური განცდის წარმოქმნასთან.

ეგვიპტეში შედარებით ადრე კვდება ის, რაც წარმოიქმნება პირამიდების პერიოდში მაღალი კულტურის სახით, რომელიც მთლიანად სიზმრისებრი იმაგინაციური სახით ვლინდება. ეს კულტურა გამოკრთა III ათასწლეულის დასაწყისში და, არსებითად, კვდება ოთხი საუკუნის შემდეგ. ამ კულტურის საფუძველში არსებული მშვიდნიერი წყობა თავისი დაღუპვის შემდეგ ცხოვრებას აგრძელებს აზიის მხარეში, მიემართება რა წინა აზიაში, მცირე აზიაში, გადადის ევროპის კონტინენტზე და არსებობს ისე, როგორც ეს განიცდება იქ, როცა ჯერ კიდევ მკაფიოდ შეიგრძნობა იმაში, რაც მოდის მცირე აზიიდან, ძველი ბერძნული კულტურიდან. ის ჯერ კიდევ შესამჩნევია *ჰომეროსის** ჰიმნებში და მათ მსოფლმხედველობაში. ჰომეროსის ჰიმნების წვდომით,

ჩვენ ვუახლოვდებით ძირეულ გარდატეხას. ის, რაც ჰომეროსის ჰიმნებს საფუძვლად უდევს მსოფლმხედველობის სახით, ჯერაც სრულად აჩვენებს ხატოვან, იმაგინაციურ წარმოდგენას, ასევე – ადამიანის იმ ჭერეტას, რომელიც შედის ხატოვანში. *აქილევისიხა** და *ჰექტორის** გამოსახვით ჰომეროსი თავის მიერ წარმოდგენილს აჩვენებს ისე, რომ მისი თავისებურების წვდომისთვის საჭიროა პლასტიკურად შინაგანი მხერით დანახვა, – იმის გამოკლებით, რომ გარეგნულად თვალსაჩინო სურათებში აღნიშნულია ხატოვანი ელემენტი, როცა მაგალითად, ამბობს: „ფეხმარდი აქილეუსი, ჰექტორი, გმირი მსტუნავი ჯილით მუხარადზე“.

ჰომეროსის მთელ განწყობაში ჩვენ ვხედავთ რაღაცას ქალდეურიდან, რაც გარდაიქმნა სხვა რამედ, როცა მომზადდა ის ბერძნული კულტურა, რომელსაც შემდეგ ჩვენ აღმოვაჩინთ *ესქილესა** და სოფოკლესთან ბერძნულ პლასტიკაში და შეგვიძლია ის განვასხვაოთ ძველისგან იმის წყალობით, რომ ვამჩნევთ, რამდენად ძლიერად ცოცხლობდა საბერძნეთში იმპულსი, აღექვათ და გაეგოთ ადამიანი თავისი საკუთარი ადამიანურობით. როცა განვიხილავთ იმას, რაც ქალდეველებთან იყო ხატოვანი, მაშინ ვხედავთ, როგორ წარმოიქმნა ამ ხატოვნებაში პლასტიკური ჭერეტი და ეს ძირითადად ხდება ერთ-ერთში იმ ხალხებიდან, რომლებიც ტერიტორიულად უფრო ახლოს იყვნენ ქალდეველებთან – შუმერებში. თუმცა ეს ხალხი ისევე, როგორც ეგვიპტელები, მხოლოდ იმ დონეზე იყო, რომ ადამიანი გამოეხატა გარეგნულად. შემდეგ კი საბერძნეთში ვხედავთ დრამატურგიიდან, ასევე იქიდან, სადაც დრამატურგია გადადის პლასტიკის სფეროში, როგორ უნდა ჩასწვდნენ ადამიანს თავისი გარეგნული გამოცხადების დროს. თავისი ღრმა ინსტინქტური ძალების განცდით მესამე პერიოდის ადამიანმა თავისი თავი, მე ვიტყვოდი, იგრძნო ძლიერად. ეგვიპტეში ეს მოხდა, როცა მან ააშენა პირამიდები, აქ პირამიდების მშენებლობისას მისი ძალები, გარკვეულწილად, განვითარდა გიგანტურამდე, ხოლო ახიის ზოგიერთ ტომში, რომლებიც განსაკუთრებული მეომრობით გამოირჩეოდნენ, ეს გამოვლინდა, როცა ისინი შესხდნენ ცხენებზე და თავიანთი თავი ცხენთან ერთიანად იგრძნეს. ასეთ შემთხვევაში ბერძენს შეუძლია, თქვას: მე არ მჭირდება გარეგნული საშუალებები; ადამიანის მთელი ძა-

ლები მოთავსებულია თავად მისი კანის შიგნით. – და ის პლასტიკურად აყალიბებს უკვე თავის თავში სრულყოფილ ადამიანებს ისეთ მანერაში, რომელიც ადამიანში იწოვს იმ ყველაფერს, რასაც წინარე ეპოქა ეძიებდა ჯერ კიდევ გარეგნული განსხეულების მეშვეობით. ეს ნიშნავს მთლიანად დააყენო საკუთარი თავი სხვა ადამიანის ადგილას, მთლიანად შეეზარდო ადამიანურს და ეძიო ყოველივე უზენაესი თავად ადამიანში, ამას ჩვენ ვპოულობთ განცდილს მაშინდელ ბერძნულ სულში და ეს შემდგომ წარმოგვიდგება რომაელებში, ოღონდ უფრო გარეგნული სახით. გარკვეული თვალსაზრისით ჯერ კიდევ დღეს ჩვენ ვხედავთ, როცა ვიხსენებთ ფორუმზე მიმავალ *კეისარს** ან სხვა ფიგურებს რომაულ ტოგაში, როგორ წარმოედგინათ იქ გაცილებით აბსტრაქტული ფორმით, ვიდრე საბერძნეთში, მთელი ეს უზენაესი ძალები, რომლებიც ადამიანს ანიჭებდა თავის იერს, ადამიანური კანის ფარგლებში ნაგრძნობს.

ქრისტემდე დაახლოებით VI ს. იწყება ახალი ეპოქა; ჰომეროსის ეპოქა კიდევ უფრო ადრინდელ პერიოდს ეკუთვნის. იქ დაწყებული ეს ეპოქა განსაკუთრებით ვითარდება საბერძნეთში, სადაც ის ოთხი საუკუნის განმავლობაში აღწევს სიღიადემდე და ამის შემდეგ იწებს დაცემას.

სწორედ აქ ხდება ქრისტიანობის ჩარევა. იმ დროს, როცა ბერძენი კიდევ აღიქვამდა სავსე ცხოვრებას, როცა მის წინაშე იყო ზევსის ქანდაკება, რომელი თავისი ქანდაკებების ჭვრეტისას, არსებითად, ხედავდა მხოლოდ აბსტრაქტულ ცნებებს. მის აბსტრაქტულობასთან დაკავშირებით ეს ყოველივე ძლიერდებოდა; ჯერ კიდევ IV ს. ქრისტეშობის შემდგომ რომის სენატის დარბაზში, როცა სენატორები იქ შედიოდნენ, თითოეული მათგანი საკმეველს აგდებდა ცეცხლში, ვიქტორიას ქანდაკების წინ, სანამ თავის ადგილს დაიკავებდა, როგორც სენატორი. აქედან ნათელია, როგორ ცხოვრობდა აბსტრაქტული, შიშველი აზრობრივი ფორმით, რომელიც ამავე დროს რეალობა იყო, ასევე რაღაც აბსტრაქტულად აღქმულ ქანდაკებაში ის, რაც საბერძნეთში ჯერ კიდევ უმაღლეს დონეზე შეიგრძნობოდა ზევსის, ათენასა და აპოლონის ქანდაკებებში, როცა ათენაში, ზევსში ჯერაც გრძნობდნენ თავად ღვთაებრივ ძალთა რაღაც მაგი-

ურ მოქმედებას. ე. ი. რომში ყველაფერი აბსტრაქტული ცნებებით გარდაიქმნა.

ეს იცვლება, როცა ქრისტიანობის შემომტანი კეისარი კონსტანტინე სენატის დარბაზიდან ამ ქანდაკებას მოაშორებს, ვინაიდან თვლის, რომ მან ყველანაირი აზრი დაკარგა ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, კიდევ ერთხელ როგორ გაითავისა მეოთხე პერიოდის ადამიანური შეხედულებები იულიანე აპოსტატმა (განდგომილი) და კიდევ ერთხელ როგორ შეიტანა ვიქტორიას ქანდაკება სენატის დარბაზში, როგორ შესრულდა კიდევ ერთხელ უძველესი ცერემონიალი სენატორებთან ერთად, მაგრამ მას უკვე აღარ ხელეწიფება ადრინდელის აღორძინება და ამის გამო იღუპება. ისარი, რომელიც მას მოხვდება, მისი მოწინააღმდეგის მიერ დაქირავებულ მკვლელს ეკუთვნოდა.

მთელი იმ ეპოქიდან, რომელსაც შემდგომში უფრო დეტალურად დავახასიათებ, ვითარდება ეპოქა, რომელშიც ადამიანი ხასიათდება შინაგანი სულიერებით, ინტელექტუალურობითა და განსჯის უნარით. ამის შემდეგ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ის ვითარდება თავისი განსაკუთრებული თვითმყოფადობით, როცა თავად განსჯაზე ფიქრობდნენ ისე, როგორც ეს ხდებოდა სქოლასტიკაში, როცა კამათობდნენ ნომინალიზმსა და რეალიზმზე. ამას მოსდევს XV ს, რომელშიც ჩნდება სრულიად სხვა სული, ხოლო ბუნებისმეტყველების ეპოქაში გადასვლის დროიდან, თავდაპირველად ეს სული განსაკუთრებით გაძლიერდა გალილეოში და კოპერნიკში, რომელმაც მიგვიყვანა კაცობრიობის ცნობიერების განვითარებაში უდიდეს პროგრესამდე; ბერძნულ სულთან შედარებით ის წარმოადგენს რაღაც სახის ჩადრმავებას შიგნით, – თუმცა XVIII ს. ის გადაიზარდა მატერიალიზმში, – და მაინც, ამ სულმა XIX ს. ბევრი რამ გახსნა გარეგნული ბუნებიდან.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით ერთი რეალური გარდატეხის მომენტში. მე ნამდვილად არ მსურს, განვიხილო *შპენგლერიის** ეპოქალური ფანტაზიები, არამედ სრულიად სხვა რამის თქმა მინდა. ჩვენ ვიმზირებით წარსულში ევგვიპტური პერიოდის დასაწყისში და ვხედავთ, როგორ იწყება პირამიდების მშენებლობის ეპოქა, რომელიც თავის თავზე

სხვა სიმპტომების მეშვეობითაც გვამცნობს, ასევე ვხედავთ, ადამიანურის გაგებაში როგორ დგება ცნობიერების პირველი ეტაპი და იწყება მომდევნო ეტაპი ქრისტეშობამდე VIII ს. ბერძნულ და რომაულ მოსახლეობაში როგორ ფორმირდება იმ ეპოქის ადამიანების მშვეინვიერი განწყობა „ადამიანის როგორც ასეთის“ აღქმაში; როგორ მთავრდება ეს ეპოქა და XV ს. დასაწყისში იწყება განსჯის აღბეჭდვა სამშვეინველში.

ამდენად, ჩვენ გარკვეულწილად ვუმზერთ მტკიცე შემობრუნების სამ წერტილს: პირველი შემობრუნების წერტილია – ეგვიპტურ-ქალდეური ეპოქის დასაწყისი, მეორეა – როგორ იწყება მეოთხე ეპოქა – ბერძნულ-ლათინური, მესამე კი – როგორ ამოდის ის ეპოქა, რომელიც წარმართავდა ბუნებისმეტყველებას, რითაც მოგვეცა პირამიდების მშენებლობა, ისეთი რამ, რაც წარმოადგენს კაცობრიობის განვითარებაში რაღაც ახლის განსაკუთრებულ გაძლიერებას.

ჩვენ წინაშეა პირამიდების ეპოქის აყვავების *ოთხი საუკუნე**, ვხედავთ საბოლოოდ, როგორ იფერფლება და წინ მიდის მხოლოდ ის, რაც ქალდეის მოსახლეობის ხატოვნებაში ფასდებოდა, როცა ბერძნულში გამოვლინდა, როგორც ცხოვრება თავისი თავის შიგნით. ჩვენ ვხედავთ: როგორ დგება VIII ს. ახალი ეპოქა და ამის შემდეგ ოთხ საუკუნეში იფერფლება ბერძნული, როგორ ხდება ეს რომაელებთან აბსტრაქტული, შემდეგ კი კვლავ – როგორ იწყება ახალი ეპოქა XV ს. დასაწყისში, ის ეპოქა, რომელმაც მიგვიყვანა განხილვის საბუნებისმეტყველო მეცნიერულ მეთოდამდე, ინტელექტუალურობამდე, განსჯამდე. დროის მიხედვით დღეს ვიმყოფებით ისევე შორს ამ ძირეული გარდატეხისგან, ოთხი-ხუთი საუკუნით, როგორითაც ეგვიპტური დაცემის პერიოდი იყო III ათასწლეულის დასაწყისის შემდგომ, ხოლო ბერძნული დაცემის პერიოდი იყო მეოთხე ეპოქის დაწყების შემდეგ. დღეს კი უნდა ვიყოთ ფხიზლად, რომ, როგორც ცივილიზებულ ადამიანებს ეს არ მოგვივიდეს ისე, როგორც მოუვიდათ ეგვიპტელებს მესამე ისტორიული ეპოქის დაწყებიდან ოთხი საუკუნის შემდეგ, ბერძნებს – მეოთხე ისტორიული ეპოქის დაწყებიდან ოთხ-ხუთ საუკუნეში, რადგან ვიმყოფებით რა ასევე შორს მესხეთე ეპოქის დასაწყისიდან, არ მოგვივიდეს იგივე.

რომაელებს არ შეეძლოთ წინ წარემართათ ის, რაც ბერძნებთან სიცოცხლით სავსე იყო; მათ შეეძლოთ ცხოვრებაში შეეტანათ მხოლოდ აბსტრაქტულობა და ინტელექტუალურობა, რომლებიც შემდგომ მაინც გაიყინა მკვდარ ლათინურ ენაში. დღეს საჭიროა ამ ყველაფერზე ყურადღების გამახვილება, ვინაიდან ჩვენ გავხდით უფრო ცნობიერი, ვიდრე ბერძნები იყვნენ; საკუთარი შეგნებიდან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ შიგნიდან ჩვენ ვეწინააღმდეგებით დაცემას, რომელიც დადგა ბერძნებთან და რომელიც არსებობს, როგორც საშინელი მაგალითი. ასე ვისწავლოთ ისტორიისგან, რომ იგივე არ მოგვივიდეს, როგორც ეს მოუვათ იმ ადამიანებს, რომლებიც დასუსტდნენ, ვინაიდან ისინი მიეჯახვნენ გარეგნულს. ჩვენ უნდა გადავლახოთ ის, რისი გადალახვაც უძველეს ეპოქებში ვერ შევძელით. როცა ამბობ, რომ საჭიროა ისწავლო ისტორიიდან, მაშინ ეს ისე უნდა აკეთო, რომ გამოაწროთ საკუთარი ძალები, რომ ყურადღებით დააკვირდე იმას, რას გვასწავლიან უძველესი ეპოქები, რომ ჩვენ ვსწავლობდით არა მარტო იმას, რომ გავქცვოდით მხოლოდ იმ შეცდომებს, რომელსაც სჩადიოდნენ ცალკეული ადამიანები, არამედ – იმ შეცდომებსაც, რომლებსაც თავისი არსით შეცდომებს ვერც უწოდებ, არამედ კაცობრიობის განვითარებისთვის აუცილებელ ნაკლოვანებებს. აუცილებელია, გადაილახოს ის, რისი დადგომაც ემუქრება თანამედროვე კაცობრიობას, როგორც ეს დადგა წინაპრებისთვის. აუცილებელია დიდი კრიზისის გადალახვა. და რწმუნდები, რომ ჩვენი თანამედროვეობის კრიზისის არსის გაგება შეიძლება, თუ ის, გამომდინარე კაცობრიობის ისტორიული განვითარების სიღრმიდან, ნამდვილად გესმის. ამავე დროს ისიც გესმის, როგორ უნდა წარმოიქმნას სულისმეცნიერება ბუნებისმეტყველებიდან. ვინაიდან ამის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მას ჩასწვდები კაცობრიობის განვითარების მთელი სულისკვეთებიდან გამომდინარე.

თუ გსურს, გაიგო საბუნებისმეტყველო მეცნიერული მსოფ-
 ლმხედველობა როგორ არის ჩართული თანამედროვეობის სუ-
 ლიერ განწყობაში, მაშინ უნდა გაითვალისწინო ის, რაც კა-
 ცობრიობის განვითარების ისტორიიდან გვეძლევა. ისტორიის
 განვითარებას დღევანდელ მოხსენებაში სწორედ ამ კუთხით
 განვიხილავთ. ცხადია, ამ განხილვის მწვერვალი უნდა იყოს
 საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების მეთოდის შეერ-
 თების განმსჭვალვა ადამიანური სულიერი განწყობით.

წინა ლექციებიდან გავიგეთ, რომ ერთმანეთის მომდევნო
 დროით ეპოქებში სახეცვლილებას განიცდის ასევე ადამიანის
 მთელი შინაგანი მშენიერი განწყობაც, აქ ჯერ კიდევ გვმარ-
 თებს, უფრო გულდასმით გავეცნოთ კაცობრიობის მშენიერი
 განწყობას ცივილიზაციის იმ შემობრუნების წერტილიდან,
 რომელიც აღბეჭდილია ქრისტიანობის გამოჩენით.

როცა გსურს, შეისწავლო სწორედ ის მშენიერი განწყო-
 ბა, რომელიც განიცდებოდა ქალღვევლ და ეგვიპტელ ხალხებ-
 ში, მაშინ ჩვენს დროში, როგორც უკვე მიუთითეთ, ეს სხვაგვა-
 რად არ მოხდება, თუ სამშენიერებელში წინ არ წახვალ იმაგინა-
 ციური ჭვრეტისკენ, ინსპირაციული ჭვრეტისკენ და ა. შ. მიუ-
 ხედავად იმისა, რომ იმაგინაციური ჭვრეტა სხვადასხვა კუთ-
 ხით უკვე დავახასიათეთ, მინდა ამას დავამატო შემდეგი: თუ
 ადამიანი სრულიად ცნობიერად მადლდება იმაგინაციური შე-
 მეცნებისკენ, ანუ ცხოვრობს ხატოვან ცნობიერებაში, რომე-
 ლიც მისი სამშენიერელის წინაშე წარმოაჩენს სულიერი რეა-
 ლობების ხატებს, მაშინ მთელი მისი შინაგანი მიმოხილვაც
 ასევე გარდაიქმნება. მთელი მისი ჭვრეტა თავად ხდება სხვა
 და ადამიანისთვის, უპირველეს ყოვლისა, სხვა ხდება მისი გა-
 რემომცველი გარე სამყაროს ჭვრეტა. შინაგანი მიმოხილვით
 სანამ მშენიერი ქვეშ იგებ ჩვეულებრივი ცხოვრებისეული
 გამოცდილებიდან მიღებულ ცოდნას, იმაგინაციური წარმოდგე-
 ნის მეშვეობით მშენიერი შინაარსისკენ ვერაფრით წაიწევ.
 შეიძლება ითქვას: იმაგინაციური წარმოდგენის ზეგავლენით
 შინაგანი მიმოხილვა, არსებითად, გარდაქმნის იმას, რაც
 ცხოვრობს მღვიძარე ცნობიერ ადამიანში, რაღაც კონკრეტულ-
 ში, მე ვიტყვდი, მატერიალურში, როცა ჯერ კიდევ სახეხა

მშვიინვიერი. თავისებურება კი ის არის, რომ არ ვლინდება ზოგიერთების მიერ ნაგულისხმევი მისტიკური ბუნდოვანება, როცა ამ ზოგიერთებს ესმით საუბრები შინაგან მიმოხილვაზე; ასევე არ ვლინდება ის, რასაც წარმოადგენს ფანტასტიკური ხატები რაღაცის, ვთქვათ, ღვთაებრივად გამოსხივებული ადამიანური შინაგანის, სხვა მისტიკოსების მიერ ზოგადად მიღებული თვალსაზრისით. მაგრამ ჭეშმარიტი მიმოხილვის გავლით ადამიანი მიიწევს იმისკენ, რომ მიეახლოს სწორედ საკუთარ ორგანიზმს, საკუთარ ორგანიზაციას, ამასთან ის იგებს, რამდენად ღრმა მნიშვნელობა აქვს თავისი ორგანიზმის ცალკეულ ორგანოებს. ის სწავლობს იმის შემეცნებას, თუ როგორ თამაშობენ მის ორგანიზმში გული, ფილტვები და სხვა ორგანოები, შესაბამისად ის სწავლობს სწორედ იმის შემეცნებას, რასაც ბუნდოვანი მისტიკოსი არ ეძებს და მიიჩნევს დაბალ მატერიალად. ასეთი სახით ის აღწევს საკუთარი ორგანიზმის თავისებურ ნამდვილ გამჭვირვალობას, როცა იმაგინაციური შემეცნებისკენ მიიწევს.

ვინც შემდეგ მიდის ინსპირაციული შემეცნებისკენ, ის იხილავს, რომ მათ მიერ აქ იმაგინაციის გზაზე გაგებული, როგორც რაღაც მატერიალური, მე ვიტყვოდი, არსებობს ისეთი აბსტრაქტული სახით, რომელიც ჩვეულებრივ გაგანია, როგორც მშვიინვიერი შინაარსი, როცა საუბრობ გარეგნულზე, მემკვიდრეობის გარეგნულად საგრძნობ ნაკადზე, რომელიც სინამდვილეში ღრმად არსებული სულიერისგან იშვა. შესაბამისად, სულიერიდან არის შობილი ის, რაც უშუალოდ ახდენს ადამიანის ორგანიზებას. ამავე დროს სწავლობ ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტის შემეცნებას. უნდა ითქვას, რომ ფიზიკური ადამიანი მთლიანად როგორც ის არის ჩვენ წინაშე, შეიძლება გავიგოთ ისეთ არსებად, რომელსაც უნდა მიეღო გამოცდილება მემკვიდრეობით გადმოცემული ნაკადების გავლით. მაგრამ ამ ორგანიზმს დაწვრილებით ვერ გაიგებ მხოლოდ გარეგნულ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ჭვრეტაზე შეჩერებით, რომელიც ესწრაფვის, ყველაფერი მემკვიდრეობითობაზე დაიყვანოს. ზოგიერთს შეიძლება ეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ეს ასეა. ჩვენი ცალკეული ორგანოები ფორმირებულია სულიდან გამომდინარე, ოღონდ ადამიანის მთელმა კონფიგურაციამ, როგორცაა ის წარმოჩნდება ჩვენ წინაშე გრძნობად სამყაროში, საჭიროა გაიაროს სწორედ ფიზიკური მემკვიდრეობითობა, რომ

განსორციელდეს ცალკეული ორგანოების სინთეზი. ამდენად, ფაქტობრივად მიდიხარ საბუნებისმეტყველო მეცნიერული ანატომიისა და ფიზიოლოგიისკენ, რომლებიც ამავე დროს შედეგია სულიერი შემეცნებების, რომლებიც სიღრმეში ძეგს და მიღწეულია ინსპირაციის მეშვეობით. ამიტომ, შეიძლება ითქვას: თუ დღეს ცნობიერად გავაღწევთ იმაგინაციისა და ინსპირაციის ამგვარ შემეცნებებამდე, მაშინ ადამიანის შემეცნებას ვსწავლობთ სხვა მეთოდით. ასევე სხვა მეთოდით ვსწავლობთ სამყაროს შემეცნებასაც.

დორნახში შემოდგომით წაკითხულ ლექციებში „ბუნების შემეცნების საზღვრები“ შევეხე თემას, რომ ადამიანისთვის, რომელიც იმაგინაციისა და ინსპირაციის მეშვეობით აიჭრება ზევით ზეგრძნობადი შემეცნებისკენ, ღირებულებას კარგავს იმის დაშვება, რომ აშკარა მოვლენების მიღმა არსებობს ატომები. აბსოლუტურად სულიერთია, – თუნდაც ძველი თვალსაზრისით, როცა უშვებდნენ უფრო მოქნილ ატომებს ან უძრავ ატომებს, ანდა ახლანდელივით, როცა უფრო მეტად საუბრობენ იონებსა თუ ელექტრონებზე, – ატომიზმის როგორი სახე აქვთ მხედველობაში, და ასევე ისეთი ატომის დაშვება, რომელმაც უნდა წარმოქმნას მატერია, რომელიც უნდა წარმოადგენდეს სწორედ მატერიალურობის სუბსტანციურობას, ეს დაშვება კარგავს თავის აზრს და უბრალოდ უაზრობაა. ის, რაც ჩვენ დაგვრჩა გრძნობადი სამყაროდან, მსურდა, დამეხასიათებინა ჩემი წიგნის – *გოეთეს საბუნებისმეტყველო მეცნიერული შრომების მესამე ტომში**, სადაც ვამბობ: ყველაფერი, რასაც მოიხილავ გარე სამყაროში და რომლის შიგნითაც მისი შემეცნებით შეგიძლია გადაადგილდე, არსებითად, არის გრძნობადი აღქმების შინაარსები, თავად ფენომენები. ვინაიდან, თუ სულისმეცნიერული ჭკრეტის დახმარებით გააღწევ ფენომენებს მიღმა, მაშინ აღმოაჩენ არა ატომებს ფიზიკისა თუ ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, არამედ პოულობ არსობრივ სულიერს. გარეგნული სამყარო ორგანიზებულია სულიერის მიერ, თუმცა არა იმ ძალებით, რომელთა ჩადებასაც ჩვენ ასევე ვცდილობთ გამოთვლების საფუძველში. ანუ, ეს არაა ის ცენტრალური ძალები, რომელმაც ჩვეულებრივ მათემატიკური ფიზიკის ვარაუდით უნდა წარმოადგინოს მატერიის სტრუქტურა. ამის მაგივრად გარეთ ჭკრეტის სულიერი მეთოდის მეშვეობით ჩვენ მივყავართ სულისკენ, ხოლო შიგნით – უპირველეს ყოვლისა, მა-

ტერიალურის წვდომისკენ. დღეს, როცა ვმადლდებით კაცობრიობის მიერ თანამედროვე ისტორიული თვალსაზრისით მიღწეულიდან ასეთი შემეცნებებისკენ, ამას სრულიად ცნობიერად ვაკეთებთ. ჩვენ ვაკვირდებით აქ გადადგმულ ნაბიჯს და ვიცით, რომ ჩვენი ცნობიერების გარდაქმნის შესაბამისად, გარე სამყარო ჩვენთვის ხდება გასულიერებული, შინაგანად ჩვენში ხდება მისი დემატერიალიზაცია (Vermaterialisient). ამით ვწვდებით ახლა უკვე ნამდვილად მეტამორფოზულ სახეს იმ სამყაროსი, რომელშიც ვიმყოფებით და რომელსაც თავად წარმოვადგენთ. აქ ჩვენ მიერ მიღებულ ხატს ვადარებთ ჩვენსავე ჩვეულებრივ შეხედულებას, რომელიც ცხოვრობს განსჯით ცნებებში, მას კი გამოვხატავთ ასეთი განსჯითი ცნებებით და ხდება სწორედ ის, რომ როგორც ერთ ისე მეორე თვალსაზრისში ჩვენ ცნობიერად ვცხოვრობთ. ეს გაცნობიერება ადამიანს არ ახასიათებდა ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის იმ პერიოდის დასრულებამდე, რომელიც აქ დავახასიათებ, როგორც ეგვიპტურ-ქალდეური. ამის ნაცვლად მათ შეეძლოთ, ინსტინქტურად მიეღწიათ იქამდე, რისკენაც გაღწევაც კვლავ შეგვიძლია გაცნობიერებულად, შინაგანი მეთოდის, სული-მეცნიერული მეთოდის წყალობით. მათ არ გააჩნდათ იმის უნარი, რომ ცნებებით განემსჭვალათ ის, რასაც ინსტინქტურად ჭკრეტდნენ. ინტელექტუალური მათთვის ჯერ კიდევ უცხო იყო, მაგრამ მათი სამშენველის წინაშე ჩნდებოდა ხატები, თუმცა, თავიდან მათ არც მიჰყავდათ სრული ცნობიერებისკენ, როგორც უნდა გავაკეთოთ ეს დღეს და ამდენად, გარე სამყარო მათთვის იყო სულიერი. რაც უფრო შორს მივდივართ უკან კაცობრიობის განვითარებისკენ, ეს მით უფრო ნათელი ხდება.

როცა ვბრუნდებით იმ დროებში, რომლებზეც ჯერ კიდევ არსებობს ისტორიული დოკუმენტები, ცხადია, იქვე აღმოვაჩენთ რაღაც სახით დაცემას იმისა, რაც ოდესღაც ამ ხალხებში ცხოვრობდა. აღმოვაჩენთ, რომ გარე სამყაროს სულიერი გარდაქმნილია დემონურში, ამიტომაც გრძნობადი მოვლენების მიღმა ყველგან ვპოულობთ დემონურ ძალებს. თუმცა ეს იყო მხოლოდ დაცემა ძველი სულიერი ხედვისა, რომელიც ჯერ კიდევ სრულად არსებობდა ჩემ მიერ ხსენებულ ძველსპარსულ და ძველინდურ ეპოქებში. შემდეგ ეს ადამიანები ინსტინქტურად მაშინვე ხდებოდნენ მჭკრეტელნი, რომ თავად ორგანოები ცხოვრობდნენ მათში, როგორც მშენიერი, ამიტომ მშენიერი-

ერზე, როგორც შინაგან ორგანოებზე ისინი საუბრობდნენ სწორედ იმ შემთხვევაში, როცა უძველეს ხალხთა წარმომადგენელი ეს ადამიანები იყვნენ განათლებული პიროვნებები და ამ შინაგან ორგანოებს რთული ურთიერთქმედების მეშვეობით წარმოადგენდნენ. როცა კვითხულობთ უძველეს გამონათქვამებს გულზე, ღვიძლზე, თირკმლებსა და ა.შ., მაშინ საჭიროა წარმოვიდგინოთ არა ის ფანტასტიკა, რომელსაც აღმოაჩენს, მაგალითად, *კუნდტის** ფილოსოფია, არამედ ისინი უნდა გავიგოთ იმ მშვენივრ განწყობებთან ერთად, რომელთა მიღწევაც იმაგინაციურ და ინსპირაციულ შემეცნებაში შეგვიძლია. მხოლოდ მაშინ გავიგებთ, რა ითქვა გულზე, ღვიძლსა და მათ მსგავსზე ისეთი გასაოცარი გამონათქვამებით, რომლებიც ამოტივტივდებიან უძველესი დროებიდან.

ჩვენ ასევე უნდა გავერკვეთ, როგორი იყო ამ უძველესი ხალხების სულიერი განწყობა; ეს უკანასკნელი კი ისეთი იყო, რომ ადამიანები სულიერს ხედავდნენ გარეთ სამყაროში, შინაგანში კი, შეიძლება ითქვას, – მატერიალურს; თუმცა, ამავე დროს, გარე სამყაროზე შეხედვისას მათ უნდა ეფხიზლათ, მაგრამ იმ დროს, როცა მათ ეძინათ, ისინი ზმანებაში უნდა ყოფილიყვნენ, თუ სურდათ საკუთარი შინაგანის აღქმა. ეს უკვე აღვნიშნე ეგვიპტელებთან – აქედან მომდინარეობს ტაძრის ძილი. სწეული მიჰყავდათ ტაძარში და აძინებდნენ; შემდეგ მას უნდა მოეყოლა თავისი სიზმრები; ასეთ მოვლენებში გაბრძნობილმა ქურუმებმა იცოდნენ, რომ აქ მთავარი იყო სიზმრის დრამატული მიმდინარეობა, ვიდრე მისი შინაარსი. მისი შინაარსის ახსნა ცრურწმენა იქნებოდა. საქმე ის იყო, მოსდევდა თუ არა სიზმარში სინათლეს რაიმე ბნელი ან პირიქით, შეიძლებოდა თუ არა სიზმრის მიკუთვნება შიშის ან სიხარულის მდგომარეობისთვის და ამის მსგავსი. ე.ი. დრამატული სიზმრის შემდეგ ვლინდება, თუ რა არის ამა თუ იმ ორგანოს დაავადება და, როგორც ვახვენე, ზოგჯერ სამკურნალო საშუალებაც ვლინდება. ეს არის რეალობა იმის შესახებ, რაც მოგვიანებით აღინიშნა, როგორც ეგვიპტური ტაძრის ძილი.

შემდეგ ეს მოვლენები დეგრადაციის გზაზეა და როცა მათ სწავლობ ამ კუთხით, მაშინ უკვე ვეღარ წარმოიდგენ ისეთებად, როგორებიც იყვნენ უძველესი ცივილიზაციის საუკეთესო დროებში; ამის გაცნობიერება აუცილებელია; ამდენად, შეიძლება ითქვას: ღვიძლის მდგომარეობაში ამ უძველეს ხალხებს

ჰქონდათ რაღაც სახის ხატოვანი, მაგრამ ჯერ კიდევ არა ინტელექტუალური ცნობიერება, რომელიც ცხოვრობს აბსტრაქტულ განსჯით წარმოდგენებში. ამ ხატოვანი ცნობიერებით ისინი აღიქვამდნენ სულიერ გარე სამყაროს, რომელიც მათთვის გრძნობადი სამყაროს საფუძველში ისე იყო ჩადებული, როგორც შემდეგ გრძნობადი სამყაროს საფუძველში ჩადებულია განიხილავდნენ მიზეზ-შედეგობრიობას. ვიდრე უძველესი ხალხები თავიანთი მაშინდელი ინსტინქტური განცდებით იმყოფებოდნენ ცნობიერების რაღაც დახშულ მდგომარეობაში, მით უფრო ცოცხალი იყო მათი სიზმრები და ისინი სიზმრების ხატებში აღიქვამდნენ საკუთარ შინაგანს. ხოლო მაშინდელი აზრით სწავლულებს შეეძლოთ, სიზმრების ეს ხატები შეეფარდებინათ შინაგანისთვის, არსებითად, მატერიალურისთვის.

ქრისტიანობამდე დაახლოებით VIII ს. შუა პერიოდში მოხდა უდიდესი გარდატეხა, როცა ადამიანში უფრო მეტად გამოვლინდა ინტელექტის განვითარების უნარი. თავიდან ეს ინტელექტი არ იყო ისეთი, როგორიც დღეს ჩვენ გავგანჩნია, როცა გარკვეული სახით შეგვიძლია საკუთარი თავი გამოვმიჯნოთ გარე სამყაროსაგან – დავხუჭოთ თვალები, შევწყვიტოთ გრძნობის ყველა ორგანოს მოქმედება და სწორედ ამ დროს ავამოქმედოთ განსჯა. განსჯაში ამგვარი შინაგანი აქტიური მუშაობა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო. როცა გარე სამყაროს უმზერდნენ სურათ-ხატებში, იმავდროულად განსჯის რაღაც სახე ივსებოდა სურათ-ხატებით, ხოლო, როცა ხედავდნენ სიზმრების სურათ-ხატების სამყაროს, ეს განსჯა მათ მომდევნო მოგონებებში ასევე მსჭვალავდა. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის განვითარების პერიოდში განსჯა, როგორც უნარი, შემოდის მხოლოდ ქრისტემდე VIII ს. დაახლოებით შუაში.

ამ თვალსაზრისით უძველესი დოკუმენტების შესწავლისას საქმეს ადვილად გაუმკლავდები. ის რომ *იერემიასი** და მისი მსგავსი ადამიანები, რომლებიც ესწრაფოდნენ უძველესი ქალღმრთის აღწერას, ყველგან ეჯახებოდნენ წინააღმდეგობას იმის გამო, რომ ისინი ვარაუდობდნენ, ქალღმრთელების მიერ მიღწეულიც ასევე იყო წარმოქმნილი განსჯის აქტიური მუშაობის წყალობით და არა უშუალოდ აღქმული სურათ-ხატების სამყაროს მეშვეობით. თუ ჩათვლი, რომ მთელი ქალღმრთე კულტურა წარმოიქმნა მხოლოდ სურათ-ხატების აღქმის წყალობით, თუკი მიგანჩნია, რომ ეგვიპტელების მიერ განვითარებული თა-

ვისებური შინაგანი ცხოვრება, რომელიც შემდეგ განიცდებოდა მათ მითოლოგიაში, ასევე გამონათქვამებში, მაგ., ნეშტთა წიგნები, თუ ამ ყველაფერს გააერთიანებ და გაიგებ, რომ ოდესღაც შინაგანი სამყარო აღივსებოდა შინაგანი სიზმრისებური აღქმით, მაშინ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიხვდები, არსებითად, რაზეა აქ საუბარი.

აუცილებელია, როგორც უკვე არაერთხელ მივუთითე, გადავიდეთ სწორედ იმ დროების მშვიდგონიერი განწყობის განხილვაზე. განსჯის აქტიურობა წარმოიქმნება გაცილებით გვიან, ის იწყება, – და ეს კარგად გამოვლინდა ძველი ბერძნული ფილოსოფიის განვითარების დროს, – თავიდან, როგორც აღქმის რაღაც სახე, რომელიც ასევე აღიქვამს განსჯით ცნებებს, წარმოდგენებს გრძნობად საგნებსა და მოვლენებს. ვერ გაიგებ *თალესს*, *ჰერაკლიტეს*, *ანაქსიმენს* და ა. შ., განსაკუთრებით ვერ გაიგებ *ანაქსაგორას** თავისი *νους*-ით (Nus, ამოცანა); არ გესმის ფილოსოფიის, რომელსაც *ნიცშემ** უწოდა „ფილოსოფია საბერძნეთის ტრაგიკულ ეპოქაში“, თუ არ იცი, რომ ის ჯერ კიდევ არ მიუკუთვნებიათ ადამიანისთვის: აქ შიგნით არის გონება, შენ აქტიური ხარ ამ გონებაში, – მაგრამ ისინი გამოხატავდნენ სამყაროს, ისევე, როგორც აღიქვამდნენ ფერებს, ისინი საგნებში აღიქვამდნენ აგრეთვე გონებრივ ცნებებს. გარკვეული მიმართებით იდეის შესახებ პლატონის მოძღვრებაც უდავოდ უნდა გავიგოთ მხოლოდ ამ თვალსაზრისით და მით უმეტეს ისეთი სპეციფიკური რამ, როგორიცაა *ჰიპოკრატეს** მედიცინა. ამას გაიგებ, თუ იცი, რომ აქ არის არა აბსტრაქტული გონი, არამედ საკუთარ აზრობრივ კავშირში მოვლენები იხსნებოდა ისევე, როგორც ისინი იხსნება გარედან ფერების მეშვეობით. როგორც დღეს ხედავ, გარკვეული აზრით, გრძნობად სამყაროს, მრავალფეროვანი ხალიჩის სახით, ასევე ხედავდნენ ადრინდელ დროებში მას აზრების ქსოვაში, აზრობრივი ქსოვის სახით. ამის გამო შინაგანისა და გარეგნულის დამოკიდებულება, ეგვიპტელებში, ცხადია, სრულიად სხვა იყო, ვიდრე ის, როგორადაც მოგვიანებით იქცა.

ქაღალდის გარკვეულ დონეზე თავის თავს მიაკუთვნებდა უშუალოდ გარე სამყაროს. ვინაიდან, როცა იგი იყო ღვიძილის მდგომარეობაში და გრძნობადი სამყაროს საფუძველში იდო სულიერი მიზეზობრიობა, მაშინ ის ბუნების ყველა მოვლენაში

ხედავდა თავისი თავის მსგავსს. იგი გუჟანით გრძნობდა თავის თავში სამშენიველს, როგორც აღიქვამდა სულიერს გრძნობადი საგნების მიღმა. როცა ის იმყოფებოდა სიზმრებში, მაშინ საკუთარ შინაგანს ხედავდა სურათ-ხატებში, მე ვიტყვოდი, როგორც რაღაც გარე სამყაროში. მთელი ეს განწყობა მას საშუალებას აძლევდა, ყველაზე მნიშვნელოვანი აზრით, თავისი თავი შეეგრძნო სამყაროს წევრად. მაგრამ ის მეთოდიც, რომლითაც ის იაზრებდა საკუთარ კავშირს სამყაროსთან, იყო სხვაგვარი, ვიდრე ის არსებობს ახლა.

ახლა ვიმყოფებით იმ მსოფლმხედველობის შიგნით, რომლის გადალახვაც აუცილებელია. ამ მსოფლმხედველობის შიგნით ყოფნა, შეიძლება ითქვას, ტოვებს ღრმა უფსკრულს ბუნებრივ მოვლენებსა და იმ წესრიგს შორის, რომელშიც ვიმყოფებით ჩვენი ადამიანური მორალით, ზნეობრივი შეხედულებებით და რელიგიური რწმენის შედეგად.

დღეს თუ ადამიანი უყურებს ბუნებას, მაშინ ბუნებაში არსებულ დამოკიდებულებებს იგი სწვდება ე. წ. ბუნების კანონების მეშვეობით. ბუნების კანონები არ წარმოადგენენ იმას, რასაც აქვს რაღაც მორალური შეფერილობა და სწორედ ამას იძიებენ მათში. დღეს ადამიანში პარადოქსული ცრურწმენაა, და სრულიად სამართლიანადაც, როცა საუბარია ბუნების ჭკრეტაზე, თუ დავეუშვებთ, რომ ღრუბლებიდან მეხი ეცემა რაღაც მეთოდით, რომლის ახსნაც შეიძლება მორალურად და ამის მსგავსი. მაგრამ ადამიანი თავს გრძნობს მთელი სამყაროსეული წესრიგიდან მოწყვეტილს მაშინაც, როცა მან საკუთარ ქცევებს უნდა დაურთოს მორალურის მასშტაბი. ახალი მსოფლმხედველობა სულ უფრო მეტად მიისწრაფვის იმისკენ, რომ სამყაროში ხედავდეს მხოლოდ ბუნების აუცილებლობას, ადამიანში კი – მთლიანად მხოლოდ მორალური აუცილებლობის რაღაც სახეს. დღევანდელ შეხედულებას ცხოვრებაზე არ შეუძლია იპოვოს რაიმე კავშირი ამ შინაგან მორალურ-რელიგიურ წესრიგსა და გარეგნულ ბუნებრივ წესრიგს შორის. ეს სრულიად სხვაგვარად იყო იმ დროებში, როცა ადამიანები ჭკრეტდნენ გარემომცველ სამყაროს და საკუთარ თავს ისე, როგორც მე ახლახან აღვწერე. იქ არ იყო ეს წინააღმდეგობა მორალურსა და ბუნებრივ აუცილებლობას შორის. ძველ ხალხთა ცხოვრების დიდი პერიოდების გავლის შემდეგ, ეს ხალხები ისე იყო მორგებული სამყაროს, რომ თავიანთი მშენივერი

ბედისწერა გარკვეულ ბუნებრივ წესრიგზე დაქვემდებარებული ეგონათ, და ისინი, გარკვეულწილად, თავიანთი სამშინველიდან მომხდარს ასევე თვლიან, როგორც იმავე ძალიდან წარმოქმნილს, რომლიდან გამომდინარეც თავს წარმოიდგენენ ქუხილისა და ელვის წარმოქმნელებად.

გასაოცარ გამოჩაგლისს წარმოადგენს მხოლოდ ის ხალხი, რომელიც შინაგან სამყაროს სხვა სახით განიცდიდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, – და ეს არის ძველებრაელი, იუდეველი ხალხი. ვინც ამას შეიგრძნობს, ის ბიბლიაში, ძველ აღთქმაში აღმოაჩენს უდიდეს განსხვავებას სამყაროს შექმნის იუდეველურ ისტორიასა და სამყაროს შექმნის ყველა დანარჩენ ისტორიას შორის. სამყაროს შექმნის დანარჩენი ისტორია აუცილებლად უნდა განვიხილოთ განუყოფელი ბუნებრივი წესრიგისა და მორალურობის თვალსაზრისით. იუდეველურ-ძველებრაული ისტორია სამყაროს შექმნაზე განსხვავდება სწორედ იმით, რომ ის, შეიძლება ითქვას, მოკლებულია ბუნებასთან დაკავშირებულ ყველანაირ მსოფლმხედველობას. ამის წყალობით იუდეველი ხალხი განსხვავდება გარემომცველი ხალხებისაგან. იუდეველები ყველაფერს მიაკუთვნებდნენ ერთ ღმერთს. ხოლო ძალებს, რომლებიც სამყაროში მოქმედებდნენ ღმერთის მეშვეობით, აღნიშნავდნენ, თუნდაც უფრო გვიანდელ წარმოდგენებთან დაკავშირებით სხვა სახითაც, მაგრამ მაინც, არსებითად, როგორც მორალურებს, ანუ, იაჰვეს ნებით შობილთ. ხოლო, როცა რაიმე ხდებოდა, თუნდაც ბუნების სამყაროში, თუნდაც ადამიანის მეშვეობით, ძველი ებრაელი ხალხის წარმომადგენელს შეეძლო ეთქვა მხოლოდ ერთი რამ: ეს ხდება იმიტომ, რომ ასე სურს იაჰვეს. მე ვიტყვდი, იუდეველთა მშინვეიერი განწყობა ისეთია, თითქოს იქ გარე სამყარო იყო მხოლოდ გრძნობებისთვის განფენილი, თითქოს ამ გარე სამყაროდან არ ვლინდებოდა სულიერ-მშინვეიერი, როგორც სხვებისთვის, წარმართი ხალხებისთვის. სამაგიეროდ არსებობდა ადამიანური შინაგანის განსაკუთრებული ცოცხალი აღქმა და ამის მეშვეობით მივიდნენ იუდეველნი თავიანთ მონოთეისტურ რელიგიამდე, იაჰვეს რელიგიამდე. ყველაფერი, რასაც ძველ დროში ჰქონდა ტენდენცია და გარე სამყაროსთან მიმართებით წარმართავდა გარკვეული აღუქმელობისკენ, სამაგიეროდ იმის ხაზგასმით, რასაც აღიქვამდნენ შიგნიდან,

– ეს ყოველივე, შეიძლება ითქვას, ძველი ებრაელი ხალხის ზეგავლენაზე მეტყველებს.

შეიძლება ითქვას, რომ ძველი წარმართი ხალხები ფლობდნენ ბუნების გარკვეულ სულიერ ჭვრეტას და ეს ადამიანზეც გადაჰქონდათ. ისინი ჭვრეტდნენ ბუნების ობიექტებს და მათ ხსნიდნენ სულიერი მიზეზებით. სამყაროს შეიმეცნებდნენ სიბრძნის მეშვეობით, სიბრძნეს კი აღიქვამდნენ სულიერის მიერ ადამიანის მშვენიერ ცხოვრებაში შეტანილად. ამ სიბრძნისთვის ებრაელებს არ გააჩნდათ ორგანოები სამყაროში, სამაგიეროდ, განსაკუთრებული მიზეზების გამო, რომლის გადმოცემისთვის ახლა ძალზე ცოტა დრო გვაქვს, მათ ჰქონდათ რაღაც სხვა. ოდესღაც ეს მე გადმოვცვი *ქრისტიანიაში, ხალხთა სამშინველის შესახებ მოხსენებების დახურულ ციკლში**. ძველი ხალხებისგან განსხვავებით, უმთავრესად ეგვიპტელებისგან განსხვავებით, რომლებიც ადამიანის შინაგანს ინსტინქტურად ხედავდნენ სიზმრების სურათ-ხატებში, სიზმარეულ იმაგინაციებში, ებრაელებმა ქრისტემდე VIII ს. შუა პერიოდიდან, შინაგანიდან გამომდინარე განავითარეს ინტელექტის სახე, ცხადია, ცალმხრივი და ნაადრევიც, დიდი ხნით ადრე, სანამ ინტელექტუალურობა ამოხეთქავდა. ძველი ბერძენი მოაზროვნეები ინტელექტუალობას ბუნებაზე დაკვირვებით მოიპოვებდნენ. ცოცხალი მსოფლმხედველობა, როგორადაც მას ავითარებს ჰერაკლიტე, რომლისთვისაც მთელი სამყარო, შეიძლება ითქვას, ჩამოყალიბებაა, თუმცა ამ ჩამოყალიბებაში, თავის მხრივ, ცეცხლი ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ სიმბოლო, ასეთი ცოცხალი მსოფლმხედველობა ხორციელდება იმის წყალობით რომ ადამიანი თავს გრძნობს მთლიანად ცეცხლის შიგნით, გარკვეულწილად ერწყმის ცეცხლის შინაგან ბუნებას და ამავდროულად განიცდის წარმოდგენის შესატყვის ცნებითს. როცა მას აქვს გარეგნული გრძნობადი ელვარება ცეცხლისა, მაშინ იქ, გარეგნულ სამყაროში აღიქმება წარმოდგენილი, ინტელექტუალური.

უმთავრესად საბერძნეთის მიერ წარმოდგენილი ცივილიზაციისთვის ხდება ისე, რომ თავის მხრივ ინტელექტუალური ელემენტი ადამიანისთვის იბადება ქრისტიანობამდე VIII ს. შუა პერიოდში. ძველებრაელი ხალხისთვის ეს ბევრად ადრე დაიბადა, მათთვის მოხდა ისე, რომ ინტელექტუალური აღიქმებოდა, ცხადია, არა გარე სამყაროში, არამედ – შინაგანში,

მაგრამ არა სიზმრების სურათ-ხატების მეშვეობით, როგორც ეგვიპტელებთან, და უკვე გარკვეულ აბსტრაქტულობაშია აღქმული ის, რაც არის სულიერ-ინტელექტუალური. ამას ისინი მიჰყავს მონოთეიზმამდე, იქამდე, რომ მთელ სამყაროს წაუკითხონ მორალი, ყველაფერი ახსნან იაჰვეს ნებით, დაიყვანონ იქამდე, რაც იაჰვეს სურს. ამას შეიძლება ეწოდოს პოლარული დაპირისპირებულობა, როცა ვაკვირდებით რომელიმე ბერძენ ბრძენს, მაგალითად ანაქსაგორას და ვიცით, რას ამბობს იგი სამყაროს გონზე, როგორც სულიერ საწყისზე, აღიქვამს რა, გარკვეული სახის ობიექტივაციით, გონს გარედან სამყაროში, და ასევე, როცა ვსაუბრობთ უძველესი დროის ებრაელ სწავლულზე, რომელიც ამ გონს შეიგრძნობს თავისი შინაგანიდან ამოზიდულს და ამავე დროს იაჰვეს გამოცხადების თანაგანმცდელია. თქვენ თუ დააკვირდებით თუნდაც ისეთ რამეს, როგორცაა *ცეცხლმოკიდებული კელის ბუნქის ხილვა მოსეს მიერ*^{*}, მაშინ ამ გამოცხადების მთელ ხასიათთან შედარებით იფიქრებთ სრულიად სხვაგვარად, ვიდრე ანაქსაგორას ფილოსოფიაზე. ის, რასაც მოსე გარეგნულად აღიქვამს, მხოლოდ იმპულსია. სინამდვილეში, რასაც ის აღიქვამს, ამოზიდულია მისი შინაგანიდან. აქედანაა გასაოცარი აბსტრაქტულობა, რომლითაც წარმოიქმნება ის ყველაფერი, რასაც წარმოადგენს ძველი ებრაული ხანის თავდაპირველი შინაარსი. კაცობრიობის ამ განვითარების წყალობით დასაბამი მიეცა ტენდენციას, რომლითაც ხდება ბუნებასთან დაშორება. ელინიზმში ადამიანი ისე ერწყმის ბუნებას, რომ ბუნებიდან გამომდინარე ის ბადებს გონს. იუდაიზმში ხდება ადამიანის შინაგანის ადრეული განცდა და ამ ტენდენციიდან ვითარდება ის, რომ დასასრულისკენ მიმავალი, უკვე დაცემამდე მისული ელინიზმი, – მაგ., პლატონიზმის ადგილას ჩნდება ნეოპლატონიზმი, – წარმოადგენს ერთ აბსტრაქტულ მისტიკას, ერწყმის არახატოვან, აბსტრაქტულ სულიერ სამყაროს. აქ ჩვენ ვიმყოფებით ბერძენი ხალხის ასწლეულებით დაღმასვლის დროში. გარეგნული ჭვრეტა უკვე შიგნით შებრუნდა. შეიძლება ითქვას, განსჯამ, რომელსაც ბერძენი თავიდან ავლენდა გარე სამყაროში, მისი შინაგანი მოიცვა. *პლოტინო*^{*}, *იამბლიხუს*^{*}, *ამონიუს საკას*^{*}, ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მთლიანად ეყრდნობოდნენ არაგრძნობადს, სულიერს და ცხოვრობდნენ ამ არაგრძნობადში, სულიერში და ადამიანს, არსებითად, ჭეშმარიტ ადამი-

ანს მხოლოდ იმ შემთხვევაში არქმევდნენ, თუ მას შეეძლო განეცადა ეს არაგრძნობადი სულიერი.

თუმცა აღმოსავლეთის ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ შენარჩუნდა რაღაც ისეთი, რაც შინაგანს, მშვიდნიერს არც ისე აბსტრაქტულად წარმოიდგენდა, როგორც წარმოიდგენდნენ მას შემდგომში უფრო გვიანდელი ბერძნები, შესაძლოა ნეოპლატონიზმში, მაგრამ რაც ორგანოების შინაგანი აღქმის რაღაც გამოძახილს მაინც წარმოადგენდა და რაც თვით გარეგნულ სახესაც მთლად ისე არ გამოხატავდა, როგორც წარმოიდგინა ბერძენმა *დემოკრიტემ** მატერიალური ატომების დახმარებით, რაც წარმოადგენდა გარე სამყაროს საფუძველს, გრძნობადის საფუძველს, როგორც სულიერი სამყარო. აღმოსავლეთიდან კვლავ და კვლავ იჭრებოდა ტენდენციები, რაღაცა დაეპირისპირებინათ იმისთვის, რაც შედიოდა ებრაული ზეგავლენის მეშვეობით. საკმარისია, შეისწავლო *ფილონი**, რომელიც ცხოვრობდა ქრისტეს შემდგომ I ს. დასაწყისში, რომ დაინახავ ამ ებრაულ გავლენას. აზიის გარკვეული ადგილებიდან სულ უფრო მეტად და მეტად იჭრება რეაქცია, თავის თავში ამ ჩადრმავების, აბსტრაქტულ შინაგანში სრული აღმასვლის წინააღმდეგ.

ახალი დროის ყველაზე სამწუხარო აზრი იყო, სამყაროს შექმნის ბიბლიური ისტორია გაეგოთ, უბრალოდ, როგორც დროის გარეგნული გეოლოგიური პერიოდების სიმბოლური გამოხატულება. მაგრამ ეს სრულიად არასწორია მისთვის, ის იმის გამოხატულებაა, რასაც გადახედავ სამყაროს მოვლენათა განვითარების მსვლელობისას, როცა მოქმედების საშუალებას აძლევ მხოლოდ ადამიანის შინაგან სამყაროს. მხოლოდ ძველებრაველი ბრძენნი ხედავდნენ თავიანთ სამშვიდველში ამოზიდულს უფრო კონკრეტულად, ამაში ხედავდნენ მრავალფეროვნებასა და სხვადასხვაგვარობას. აქ მათ მიერ შინაგანი რეალობის სახით განჭვრეტილი ფილონთან გადაგვარდა უკვე სიმბოლოდ, რომელიც შემდეგ ნეოპლატონიკოსებთან სრულ აბსტრაქციად იქცა. და თუნდაც რაღაც ამადლებული, რაღაც დიადი გადასულიყო პლოტინის, იამბლიხუსის სამყაროსეულ განდგომილობაში, ეს მაინც იმის აღმნიშვნელი იქნებოდა, რომ ამ აღფრთოვანების, ექსტაზის, წმინდა აბსტრაქტული ზეგრძნობადის არსებობაში იკარგება ბუნებრივი წესრიგი, ყოველგვარი ბუნებრივი ჭვრეტა. როგორც ითქვა,

აზიის ცალკეული ადგილებიდან აქ ყოველთვის მიმდინარეობდა რეაქცია თავის თავში ადამიანის სრული ჩაფლობის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ის კარგავდა თავის შინაგან ხატოვნებას, სურათ-ხატები კი კარგავდნენ თავის კონტურებს, იმაგინაციები ხდებოდა ბუნდოვანი და ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, მიისწრაფოდა აბსტრაქტულისკენ, პირველადისკენ, ზეგრძნობადი სამყაროსეული ყოფიერებისკენ, რომელიც მისი მეშვეობით უნდა დახასიათდეს.

ამრიგად, ქრისტიანობის წარმოქმნა ემთხვევა სწორედ იმ დროს, როცა ადგილი აქვს ასეთ ბრძოლებს და ჯერ კიდევ არსებობენ ძველი მსოფლმხედველობები, მაგრამ როცა სულ უფრო ვითარდება ინტელექტუალიზმი. ქრისტიანობის წარმოქმნას ბუნებისმეტყველების გვიანდელი აღმავლობისთვის უდავოდ ღრმა მნიშვნელობა აქვს. ამ მნიშვნელობის გაგება შეიძლება, თუ ჯერ საკუთარ თავს ვეტყვი: ეს რაც უნდა ყოფილიყო, ის, რაც ქრისტიანობის მეშვეობით დაფუძნდა სამყაროში, ამ ქრისტიანობის გაგება მაშინდელ სამყაროს მხოლოდ თავისივე წარმოდგენებიდან გამომდინარე შეეძლო. ის, რაც მაშინ პალესტინაში მოხდა, იმ დროს ადამიანებს შეეძლოთ გაეგოთ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი წარმოდგენების შესაბამისად.

მაშასადამე, თუ ვამბობთ, რომ აზიაში სადღაც ცხოვრობდა ადამიანი, რომელშიც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო უფრო მატერიალური შინაგანი ჭკრეტისა და გასულიერებული გარე სამყაროს გამოძახილი, ასეთ ადამიანს გოლგოთის მისტერიაში უნდა დაენახა რაღაც, რაც შეესაბამება მის ამ მსოფლმხედველობას. მას ეს უნდა აეხსნა საკუთარი მსოფლმხედველობით. თუ ვინმე ცხოვრობდა ნეოპლატონიზმით, პლოტინიზმით, ანუ მსოფლმხედველობით, რომელიც ყველა იმაგინაციას უკვე არამკაფიო კონტურებით ხედავდა და ყველაფერს, ბოლოს და ბოლოს, საშუალებას აძლევდა გაბნეულიყო ერთიანობაში, მაშინ მას ყველაფერი, რაც გაიგო გოლგოთის მისტერიაზე, გადაჰყავდა სამშეინველში აღბეჭდილი სამყაროს ამგვარ ჭკრეტაში. მაგალითად, ის თავის თავს ეუბნებოდა: თუნდაც დავშორდე ყველა ამ გრძნობად ჭკრეტას, როცა მას უფლებას ვაძლევ იბატონოს მხოლოდ ჩემს შინაგანზე და შეერწყას ერთიან სამყაროს, უდიდესი რამ, რასაც მე ვაღწევ არის ის, რომ ჩემს შინაგანში იბადება ქრისტე. სამყაროსგან მოცილებულ ამ ყოფიე-

რებაში მე განვიცდი ქრისტეს იმპულსს. დაახლოებით ასე შეეძლო ეთქვა ნეოპლატონიკოსს. ნებისმიერი, ვინც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა რაღაცას უძველესი მსოფლმხედველობიდან, თავის თავს ეუბნებოდა: ქრისტეში ადამიანურ ელემენტთან გამთლიანებულია სულიერი ელემენტი კოსმოსიდან. და რამდენადაც გარკვეული მიმართებით იგი ხელავდა, სამშინველის სახით, არსებითად, რა ცხოვრობდა მატერიალურად ადამიანის ორგანოებში, ამდენად მისთვის პრობლემად იქცა სულიერი ქრისტეს ეს განსაკუთრებული გაერთიანება ადამიან იესოსთან. ამიტომაც აღმოსავლეთში ასე ხშირად წარმოიქმნება პრობლემა ქრისტეს გაერთიანებისა იესოსთან. ინტელექტუალობის იმ სტადიაზე, რომელზეც მაშინ იმყოფებოდნენ, – კაცობრიობაში ინტელექტუალობის ჩასახვიდან ხომ მხოლოდ შვიდ-ნახევარი საუკუნე იყო გასული, – გოლგოთის მისტერია მეტწილად ესმოდათ სწორედ ისე, როგორც შეეძლოთ მისი გაგება და აუცილებელია, ერთმანეთისგან განვასხვაოთ ის, რასაც ამბობდნენ ცალკეული ადამიანები და რაც მოხდა სინამდვილეში, რომ აქ კაცობრიობის განვითარებაში ობიექტური მოვლენის სახით შემოიჭრა – გოლგოთის მოვლენა.

თავდაპირველად გესურს, გავიგოთ იმ გვიანდელ პერიოდებში, როგორ განსხვავდებიან ეს შეხედულებები: ნაწილობრივ ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ ამოტივტივდა უძველესი ინტელექტუალური დროიდან, ან ისინი, რომლებიც განვითარდნენ ძველებრადული ელემენტიდან, – ჩვენ გვინდა იმის დანახვა, როგორ განსხვავდებიან ისინი მომდევნო ასწლეულებში. თუ დავაკვირდებით ქრისტეშობის შემდგომ IV ს. და განვიხილავთ, მაგალითად, ისეთ მოვლენას, როგორცაა კონსტანტინოპოლის დაარსება იმპერატორ კონსტანტინეს მიერ, რომელმაც ცოტახნის წინ ქრისტიანობა აქცია რომის იმპერიის სრულუფლებიან სახელმწიფო რელიგიად, მაშინ ვინმეს, შეიძლება ითქვას, კაცობრიობის განვითარების დროს იქ მომხდარი მოეჩვენება, თუ სიმბოლურად ვიტყვით, სრულიად აშკარად. კონსტანტინე აფუძნებს კონსტანტინოპოლს. ამავე დროს ჩვენ ვიმყოფებით IV საუკუნეში ქრისტეშობის შემდგომ და უნდა ითქვას: ისე, როგორც იქცეოდა კონსტანტინე კონსტანტინოპოლის დაარსებისას, ძველ დროში ვერავინ მოიქცეოდა და ვერც ერთი პიროვნება ვერ შეძლებდა, რომელიმე ქალაქის დაარსებისას ამგვარად მოქცეულიყო. იმ ძველ დროებში ყველაფერი მომდინა-

რეობდა ქვეცნობიერიდან. კონსტანტინე, – ეჭვგარეშეა, ყოველივე ჩვენ მიერ ნაუწყები მთლიანად ადასტურებს ამას, – ფიქრობდა, რომ რომის დაღუპვის მიმანიშნებელი ძველი აზრები ჭეშმარიტია. ამიტომ, რომის, როგორც დედაქალაქის შენარჩუნება მას არ სურდა. ცხადია, განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ რომის დაღუპვის ქვეშ იგულისხმებოდა, ასე ვთქვათ, რომის იმპერიის დაღუპვა. ის, რომ რომი არ შეიძლება ბოდა დარჩენილიყო სამყაროს ისეთივე ცენტრად, როგორც იყო ადრე, ამას ადასტურებს იმ ეპოქაში გავრცელებული მოსაზრება. ამავე დროს კონსტანტინეს რომის იმპერიის დაღუპვაც არ უნდოდა. მაშასადამე, უძველესი შეხედულება იყო ის, რომ კაცობრიობის განვითარებისას ცხოვრობთ თითქოსდა უწყვეტი პროცესების, წრებრუნვების შიგნით. აქედან გამომდინარე, უძველეს დროებში, ჯერ კიდევ წარმართული რომის დროს, დაიბადა აზრი, ხელახლა აგოთ ქალაქი ტროა, რომელიც ლეგენდის თანახმად, მოქცეულია რომის ქვეშ. მოდით, კვლავ მიუბრუნდეთ დასაწყისს. კონსტანტინე არ გადადის მცირე აზიაში, მაგრამ წინ მიიწევეს აღმოსავლეთისკენ, სადაც, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი გადმოცემებიდან, აფუძნებს კონსტანტინოპოლს, როცა აშკარად ეყრდნობა იმ აზრს, რომ მსოფლიო განვითარება კვლავ უნდა მიუბრუნდეს თავის დასაბამს. ის გარკვეული სახით შეძლებისდაგვარად ისწრაფოდა იმისკენ, რომ ახლა ამ კონსტანტინოპოლში, თავისი ვარაუდით, აუცილებელი სიცოცხლისუნარიანობა დაენერგა. ქრისტეშობის შემდეგ IV ს. კი ყველაზე მეტად, ვიდრე ჩვენს დროში ეს ხშირად ჰგონიათ, სიცოცხლისუნარიანი იყო ქრისტიანობა. საკმარისია, გავიხსენოთ ტექსტები *ტერტულიანესი**, რომელიც მიმართავდა რომის იმპერატორს თხოვნით ქრისტიანებისადმი შემწყნარებლობაზე, ვინაიდან, რა ხეირი იქნებოდა, თუ მათ ვერ აიტანდნენ; ქალაქის მაცხოვრებელთა ნახევარი ხომ ქრისტიანი იყო და რა გამოვიდოდა თუ ისინი მათ მიმართ შემწყნარებლები არ იქნებოდნენ. რომის მაშინდელი წარმართი მწერლების შრომებიდან ზუსტად ვიცით, რომ ქრისტიანობა ძალიან სწრაფად გავრცელდა. არსებითად, ბევრს ტვირთად აწვა განაჩენი, ამის მიუხედავად, არ შეეძლოთ ქრისტიანობის შეჩერება. *დიოკლეტიანეს** დროს წუხდნენ, რომ შესაძლოა დაიხოცოს რამდენიმე ასეული ადამიანი, რამდენიმე – ათასეული, მაგრამ შეუძლებელია იმპერიის მოსახლეობის ნახევრის გაწყვეტა. ეს

გარკვეული თვალსაზრისით, გადაჭარბებულიც კია, მაგრამ მაინც საფუძვლად უდევს იმას, რომ პირველ ასწლეულებში ქრისტიანობა შედარებით სწრაფად გავრცელდა. კონსტანტინე ხედავდა ქრისტიანობის წამყვან ძალას და ამიტომაც იყო, რომ მან მოისურვა, ძველი დროიდან მოსული დაეკავშირებინა იმ ახალთან, რაც ახლა აქ იყო. შეიძლება ითქვას: არსებითად, აქამდე არასდროს, მსოფლიო ისტორიაში, არ გამოვლენილა რაიმე ასე სიმპტომურად საზეიმოდ, როგორც ის ზეიმი საძირკვლის ჩაყრისა, რომელიც მოაწყო კონსტანტინემ კონსტანტინოპოლის დაარსებისას, როცა მან უდიდესი სირთულეებით გადაიტანა კონსტანტინოპოლში პორფირეს სვეტი, რომელთანაც დაკავშირებული იყო, როგორც ჩანს, რომის ბედნიერება. როდესაც უნდოდათ პორფირეს სვეტის შეტანა ახალ ქალაქში, ის უნდა გაეთრიათ ჭაობიანი ადგილის გავლით და ამისთვის ჯერ უნდა დაედოთ რკინის რელსები; აქედან გაჩნდა გამოთქმა „რკინის კარები“ („Die eiserne pforte“), რომელიც ჯერ კიდევ დღემდე შენარჩუნდა სახელში „კარები“ („Die Pforte“). მან აღმართა პორფირეს სვეტი, ხოლო მასზე დააყენა აპოლონის ქანდაკება ტროადან. ამ ქანდაკებაში მან შეინახა ხის ჩამონატყეხები ქრისტეს ჯვრიდან, რომელიც მოუტანა მისმა დედამ ელენემ იერუსალიმიდან, აპოლონის ქანდაკება კი გარშემო შემოსა რაღაც სახის მზის სხივებით; იქ იყო ეკლები ეკლიანი გვირგვინიდან, რომელიც მან ასევე მიიღო პალესტინიდან.

ჩანს, რომ უნდა გაერთიანებულიყო უძველესი დროებიდან მომდინარე და რაც არსებობდა, როგორც ახალი ნაყოფიერი ელემენტი. კონსტანტინეს აშკარად არ სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო რომში იმის გაგრძელება, რაც აქ უნდა გაგრძელებულიყო. *პალადიუმი**, რომელზეც ამბობდნენ, რომ ის ოდესღაც ტროადან გადაიტანეს რომში, ასევე გადაიტანეს კონსტანტინოპოლში და იქ გარე სამყაროსთვის უცნობ ადგილას დამალეს. მაგრამ დარჩა ლეგენდა: ეს პალადიუმი ორჯერ გადაიტანეს, ერთხელ აზიიდან – რომში, ხოლო მეორედ რომიდან – კონსტანტინოპოლში. მესამედ მას გადაიტანენ კონსტანტინოპოლიდან სლავების დედაქალაქში და როცა ეს მოხდება, დადგება დროის ახალი პერიოდი მსოფლიო განვითარებაში. ეს შეხედულება აღაფრთოვანებდა ევროპული აღმოსავლეთის უამრავ ადამიანს. იგი ცოცხლობდა ასევე იმათში, ვინც ესწრაფოდა მიზნებს, რომლის გამოც დაიწყო უკანასკნელი ომი 1914

წელს. არსებობს სიმპტომური ლეგენდა – ესაა ლეგენდა პალადიუმის სამჯერად გადატანაზე. ამ ლეგენდაში ცოცხლობს კაცობრიობის შემდგომი განვითარების გაცნობიერება.

ამ ყველაფრის განხილვისას ხომ არ იქმნება შეგნებულობისა და გონიერულობის შთაბეჭდილება, რაც არის სწორედ ძალიან მნიშვნელოვანი, თუკი ვიფიქრებთ, რომ: ლეგენდის ძველი მოტივი, ძველი ხატოვანი მოტივი კონსტანტინემ დააკავშირა წმინდა განსჯით, შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელი ლოგიკით და ეს ლოგიკა უნდა იქცეს საყოველთაო გაბატონებულ ლოგიკად? კონსტანტინეს განსაკუთრებულ მშვინვიერ განწყობას თუ დავაკვირდებით, სწორედ ამ ფაქტიდან ჩანს, რომ ამ დროს გონიერება უკვე იმყოფება მაღალ საფეხურზე, მაგრამ ამავე დროს ჯერ კიდევ ისეთია, რაც მთლიანად ჩაწულია ობიექტურ გარე სამყაროში. ამ ხასიათში, მე ვიტყვოდი, ჯერ კიდევ ბევრია ბერძნული, რომ ისარგებლოს ინტელექტით. ბერძნები გონს, სულიერ საწყისს აღიქვამდნენ ერთდროულად გარე სამყაროსთან, როგორც აღიქმება ფერები. ისინი სულს, გონს ისტორიაშიც ასევე წარმოიდგენდნენ. კონსტანტინე ვარაუდობდა, რომ მას შეეძლო ამოქმედებინა საკუთარი სუბიექტური გონი, თუკი ის აუცილებლად მოიაზრებდა მას ობიექტურ პროცესებად, ესაა: პორფირის სვეტის გადატანა, ხის ჯვრისა და ეკლის გვირგვინის გადანაცვლება. თავის სურათ-ხატებში კონსტანტინე ისტორიულს გადააჯაჭვავს გონთან. გონი ჯერ კიდევ გარეგანში ცხოვრობს; იგი თავს გრძნობს როგორც რეალობას, ოღონდ გარეგანში ცხოვრებით. პალადიუმზე ერთ-ერთი ლეგენდა, მე ვიტყვოდი, მაქსიმალური გონიერებით არის გადმოცემული.

შესანიშნავი პერიოდი იყო ქრისტეშობის შემდგომი IV ს. და თუ ყურადღებით დააკვირდები იმას, რაც გრძელდება მომდევნო შუა საუკუნეებში, მაშინ დაინახავ, რა არის მნიშვნელოვანი და არსებითი დროის ამ პერიოდში. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება მივიღოთ: ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის შემდგომი ბრძოლა. სქოლასტიკოსებისთვის ჯერ კიდევ XIII ს. რეალიზმი იყო, მაგალითად, შეხედულება, რომელიც რეალობას ხედავდა გარეგნულ ბუნებაზე წარმოდგენებში. ამას ეწინააღმდეგებოდა ნომინალიზმი, რომელიც წარმოდგენებში მხოლოდ აბსტრაქტულ სახელებს ხედავდა და არა რაიმე ისეთივე რეალურს, როგორიცაა ფერები ან ბგერები; ასე რომ, *რეალიზ-*

მსა და ნომინალიზმს* შორის დიდი კამათი წარმოიქმნებოდა. რეალიზმში ცხოვრებას აგრძელებს რაღაც იმ შეხედულებიდან, რომელიც ელინიზმში თავისთავად ცხადი იყო. ბერძენი მოაზროვნე მხოლოდ რეალისტი შეიძლებოდა ყოფილიყო, რამდენადაც ის თავის განსჯით ცნებებს აღიქვამდა ისევე, როგორც აღიქვამდა ფერებს. თუმცა, ის, რასაც ვხედავთ კონსტანტინესთან ჯერ კიდევ ობიექტურ გარე სამყაროსთან დაკავშირებულს, შეიძლება ითქვას, რეალიზებულ განსჯას, ეს სულ უფრო მეტად იჭრებოდა ადამიანის სიღრმეში და სულ უფრო მეტად ერწყმოდა შინაგან აქტივობას. გონება სულ უფრო მეტად ეუფლებოდა ადამიანს. ამის შედეგად ადამიანი თავისი თვალსაჩინო წარმოდგენისთვის ამ გონს გარე სამყაროდან ეხილებოდა. რეალიზმის წარმოქმნას შუა საუკუნეებში თავისი განსაკუთრებული ნიადაგი ჰქონდა, რომელზეც ჩვენ ხვალ ვისაუბრებთ; ეს იყო არა მარტო უძველესი ელინიზმის გამოძახილი, არამედ ეს იმალებოდა განსაკუთრებულ ურთიერთობაში, რომელშიც იმყოფებოდნენ შემოჭრილი გერმანელი ხალხები უძველესი მემკვიდრეობით.

ხოლო ის, რაც იყო ნომინალიზმი, გავრცელდა ისე, რომ ადრე გონის მიერ გარე სამყაროსთან ერთად განცდილი ახლა აბსტრაქტულად, განყენებულად განიცდებოდა. მე ვიტყვოდი, ადამიანები ამ ნომინალიზმით იყვნენ აღზრდილნი იმის წყალობით, რომ ღრმა შუა საუკუნეებში გავრცელდა ლათინური ენა, როგორც უძველესი, მკვდარი ენა, რომელიც უკვე აღარ ცხოვრობდა იქ, სადაც გარე სამყაროსთან კავშირში იმყოფებოდნენ და რომელიც ჯერაც მხოლოდ სულიერი სამყაროსთვის ცხოვრობდა, რომელმაც პლოტინი აამაღლა აბსტრაქციამდე, მიიყვანა სამყაროს ერთიანობასთან, არაგრძობად-ზეგრძობადთან. შეიძლება ითქვას, ამ არაგრძობად-ზეგრძობადს სულ უფრო მეტად უნდა მოეცვა ადამიანები და მკვდარი ლათინური ენა, აბსტრაქტული ენა უმაღლესი განათლების მქონეთათვის უნდა ყოფილიყო ამ აბსტრაქციის, გარეგნული ბუნებისგან მოწყვეტილი ამ ყოფიერების აღზრდის საშუალება. გვიანდელი პერიოდის ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგიძლია დაასკვნა, რა ცხოვრობდა, არსებითად, ქრისტეშობის შემდგომ IV ს.

ახლა კი XV ს. დასაწყისში კვლავ ვხედავთ მნიშვნელოვან ცვლილებას ადამიანის განვითარებაში. საჭიროა, მხოლოდ ერ-

თხელ ჩავუღრმავდეთ უძველეს თხზულებებს, რომლებიც განეკუთვნება X-XI სს. პერიოდს, სადაც საუბარია ბუნებაზე და აღმოაჩენ: აქ ხომ ნამდვილად ისე ხდება, რომ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გონით, ამ გონს, მართალია, შეიგრძნობენ განყენებულად, მაგრამ მას ისე შეიგრძნობენ, თითქოსდა, ამით ის მათ აქცევს შეპყრობილებად, თითქოს ის მათში იყო რეალური ელემენტი. ნომინალისტები გარეთ საგნებში გონს ვერ ხედავენ, თუმცა წარმოდგენებში, განსაკუთრებით ზოგად წარმოდგენებში კი ისინი მარტოოდენ სახელებს ხედავენ; მაგრამ წარმოდგენების განცდაში ისინი ხედავენ რეალურ ძალას. XV საუკუნეში წარმოქმნილ ცნობიერებაში ეს დასრულდა. შემდეგ სულ უფრო განვითარდა იმ დროის განმავლობაში, რომელშიც ჩვენ ჯერ კიდევ ვცხოვრობთ და რომელშიც ვაცნობიერებთ, როცა საკუთარ თავს ვეკითხებით: რად იქცა ჩვენში გონი? ეს არის დრო, რომელიც ძალიან ძლიერ ეყრდნობა საკუთარ აბსოლუტურობას, როცა ძალიან უყვართ განკერძოებულობა და როცა ქედმაღლურად უყურებენ ადრინდელი დროის ეპოქებს. ვინც დღეს კითხულობს X-XI სს. დაწერილს, ის ფიქრობს, რომ ეს ბავშვურია. მაგრამ, ვინც უღრმავდება სულიანმეცნიერულად, მართალია, არ ისწრაფვის უკან მიბრუნებისკენ, თუმცა ამას ის განიხილავს არა როგორც ბავშვურს, არამედ მხოლოდ როგორც რაღაც სხვა შეხედულებას. ის ამჩნევს, რომ იქ ადამიანი, მართალია, აქტიურია გონით, მაგრამ გონს გულისხმობს, უკიდურეს შემთხვევაში, შემეცნების პროცესში ჯერ კიდევ დაკავშირებულს საგნებთან. XV ს. დასაწყისიდან ეს იცვლება. აქ ადამიანი უკვე ვერ აცნობიერებს, როცა ფიქრობს, რომ მასში მოქმედებენ ძალები. ის უკვე ვეღარ გრძნობს თავის თავს გონისგან შეპყრობილად, არამედ თავს გრძნობს არსებად, რომელიც თავად წარმოშობს გონიერებას. არსებითად, ჩვენ უკვე აღარ გავგანხნია გონი, როგორც რეალური ძალა, არამედ მხოლოდ – ის, რაც გვაწვდის გარე სამყაროს ხატებს, ჩრდილს იმისას, რაც იყო გონი ადრე. ეს დამახასიათებელია ახალი ეპოქისთვის. გაცნობიერება იმდენად წინ წავიდა, რომ ადამიანი საერთოდ ვეღარ გრძნობს თავის თავს რაიმეთი იძულებულად, როცა მასში მოქმედებს ლოგიკა, მაგრამ ის გრძნობს განსჯით ცნებებს, მე ვიტყვოდი, მთლიანად ჩრდილებად ქცეულს. ის უკვე ვეღარ გრძნობს, რომ შიგნით, სამშვიინველის სიღრმეში რაღაცა უბიძგებს და აიძულებს. X-

XIV სს. ადამიანი ამას ჯერ კიდევ გრძნობდა. ეს შეწყდა XV ს. ამის ნაცვლად იწყება საკუთრივ ადამიანური ცნობიერების განვითარების ეპოქა. ადამიანმა თავისი საკუთარი არსების სრულად გაცნობიერება შეძლო მხოლოდ იმის წყალობით, რომ იგი უკვე ვეღარ გრძნობდა გონს, რითაც ის იყო მოცული სამშეინველში, იგი იქცა ისეთ არსებად, რომელიც ამბობს: „მე ვფიქრობ“ – იმის საპირისპიროდ, რასაც ძველ დროებში ხშირად ამბობდნენ და გულისხმობდნენ: „ეს ფიქრობს ჩემში“. იგი აღწევს საკუთარ მოღიანად გაცნობიერებულ თვითცნობიერებას. ვითარდება ცნობიერი სამშეინველი, მაშინ, როცა ქრისტიანობამდელი VIII ს. შუა პერიოდიდან XV ს. დასაწყისამდე ეპოქაში ვითარდებოდა განსჯითი სამშეინველი. ყველა ცნება, რომლებიც გვაქვს დღეს, ევოლუციაზე ცნების ჩათვლით, ცნება მემკვიდრეობაზე და ა. შ. ყველა ეს ცნება და წარმოდგენა, რომლებიც გაგვანია, XV საუკუნემდეა წარმოქმნილი. ახალი ცნებები ჩვენ არ მოგვიპოვებია. როგორც სულისმკვლევარი სწორედ დღეს გრძნობ, რამდენად რთულია სიტყვების ფორმირება, თუნდაც ელემენტარული, როცა იოლად გადხარ იმით, რასაც გამოხატავს, არსებითად, სიტყვები იმ ცნებების შესაბამისად, რომლებიც წარმოიქმნა მე-XV საუკუნემდე. ჩვენ ვსაზრდოობთ ძველი ცნებების ჩრდილებით და, ცხადია, გვაქვს შესაძლებლობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ეპოქაში გასაოცრად შევიჭრათ გარეგნულ ბუნებაში იმის წყალობით, რომ ადრინდელი ცნებების ჩრდილებს ვებღაუჭებით.

საოცარია, როცა სრულიად განსაზღვრული პიროვნებები განიხილება სწორედ ამ თვალსაზრისიდან. XIX ს. მსვლელობისას გამოჩნდა ერთი მოაზროვნე, რომელიც საკმარისად არ დაფასდა. მე შევეცადე, მისი არსი გამომესახა ჩემი წიგნის: „სამშეინველის გამოცანები“ მესამე თავში და ეს არის *ფრანც ბრენტანო**. იგი წარმოადგენს, მე ვიტყვოდი, მხოლოდ ყველაზე დამახასიათებელს მოაზროვნეთა მთელი რიგიდან. შესაძლებელია უამრავი ასეთი პიროვნების შესწავლა. ფრანც ბრენტანო ეცნობა ახალ ბუნებისმეტყველებას. თავისთავად ცხადია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ფაქტებთან ერთად იგი ცნებებსაც აღიქვამს. ამავე დროს ის არის ღვთისმოსავი ოჯახიდან, კეთილშობილურად აღზრდილი და მას სურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ცნებებს გაუმკლავდეს. ის უბრალოდ კითხება საკუთარ თავს: საბუნებისმეტყველო მეცნიერული

ფაქტების შემეცნებისას ჩემში მცხოვრებ ცნებებს რა შეიძლება მოუხერხო? მე ვსაუბრობ მემკვიდრეობაზე, განვითარებაზე, მეტამორფოზაზე, და მაინც, რა ემართება ამ ცნებებს? – და ამდენად, ის ქმნის თავის გონებამახვილურ *თხზულებას არისტოტელეზე**; არისტოტელეზე ორიენტირებით ის უნდა მიუბრუნდეს დროის იმ პერიოდს, რომელიც დაიწყო ქრისტიანობამდე VIII ს. და დამთავრდა XV ს. პირველ მესამედში. თუ გსურს საკუთარ თავს აუხსნა ჩვენს დროში გაბატონებული თავისებური ცნებები, საჭიროა, კვლავ და კვლავ მიუბრუნდეს დროის ადრინდელ პერიოდებს.

ერთხელ *ფრანც ბრენტანომ წაიკითხა** ჭეშმარიტად მეცნიერული მოხსენება. ამ მოხსენებაში მას სურდა, აეხსნა, როგორ ურთიერთობდა ადამიანი, როგორც მშვინვიერი და სულიერი არსება, გარე სამყაროსთან და ასევე სურდა, ჰქონოდა ცნებები ადამიანის ამ ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას სურდა, პასუხი ჰქონოდა კითხვაზე: როგორი დამოკიდებულება აქვს წარმოდგენას გარე სამყაროსთან? – მან გამოიყენა ცნება „განზრახვა“ („intentionell“), რომელიც იპოვა განვითარებული შუა სს. სქოლასტიკოსებთან ცნების სახით და განეკუთვნება დროის იმ პერიოდს, რომელიც ჩვენი წინამორბედა. ცნებებისკენ კი ყოველთვის აუცილებელია ასე მიბრუნება. შეცდომაა, როცა ფიქრობენ, რომ ცნებები წარმოიქმნა მხოლოდ XV ს. შემდეგ. ჩვენ ვცხოვრობთ ცნებათა რაღაც ჩრდილოვან სამყაროში და არა ცნებათა რეალურ სამყაროში. დრო, რომელიც წინ უსწრებდა 1400 წელს, წარმოადგენს ეპოქას, რომელშიც წარმოიქმნა ცნების რეალობა და განსჯითი ცნება, როგორც რეალური ფაქტორი სამშვინველის სიღრმეში. ეს ჩვენ უკვე გადავლახეთ XV საუკუნეში. მის ადგილას მოვათავსეთ „მე“ ცნობიერება, რომელიც ბერძნებთან ჯერ კიდევ უკანა პლანზე იყო, მათთვის ამას თან ახლდა რაღაც ჩრდილოვანი. მათში ცხოვრობდა, ასე ვთქვათ, გონითი, რომელიც ამავე დროს ცხოვრობდა, როგორც რეალობა, რაც ზემოთ უკვე გადმოვეცი.

კაცობრიობა აღიზრდება, მე ვიტყვოდი, ამ გონებრივ უნარებზე სულიერ ძალთა შინაგანი ზემოქმედების მეშვეობით. ეს აღზრდა გრძელდება სწორედ ქრისტიანობამდე VIII საუკუნიდან თვით XV საუკუნემდე. თუ გადახედავთ დროის ამ მონაკვეთის შუა პერიოდს, მაშინ აღმოაჩენთ: IV ს. ქრისტეშობის

შემდგომ – ეს არის სწორედ შუა. მაშასადამე, ეს არის გადაწყვეტა. მანამდე ეს ამოდის, მანამდე ადამიანს იმპულსირებს ძალა, რომელიც მის სამშეინველში გარკვეული სახით აღმოაცენებს გონს. შემდეგ ეს ძალა უკუიქცევა და თანდათან წარმოქმნის გონს, რომელიც ჰგავს აჩრდილს, ჩრდილოვან გონს. კონსტანტინეს მიერ დაარსებული ავლენს, როგორ ხორციელდება შინაგანი, ჯერ კიდევ სრული რეალობით აღსავსე სიცოცხლის ეს გარდატეხა გონთან, როცა ცხოვრობდნენ სრულ რეალობაში ძველ ხატებთან, ისე, რომ საკუთარ თავს ვერც ასხვავებდნენ გარე სამყაროსაგან. თუმცა ადამიანში უკვე ცოცხლობს სამყაროდან გამოსვლის ტენდენცია, როცა უძველესი ლეგენდების სურათ-ხატები გადაეჯაჭვება უფერულ გონს კონსტანტინეს მიერ დაარსებულში. ასეთ გარდატეხებში ხედავ იმას, რაც ცოცხლობს კაცობრიობის განვითარებაში.

ახლა შეგვიძლია ვკითხოთ საკუთარ თავს: თუკი ის, რაც აქ განიცდება, როგორც გონი, რაც ცხოვრობდა მაშინ რომაულ გონიერებაში, რომელიც ყველა ღმერთს, არსებითად, გარდაქმნიდა მხოლოდ გარეგნულ სიმბოლოებად სახელმწიფოებრივი წარმოდგენების, იდეებისა და ამის მსგავსისთვის ან ბუნებრივი მოვლენებისთვის, მაშინ იმაში, რაც იქ აღმოცენდა და განვითარდა, შესაძლოა ცხოვრობდა რაღაც ტენდენციის მსგავსი ძველებრავული ელემენტის ზემოქმედებისთვის, რომელიც მთლიანად მოწყვეტილი იყო გარეგნულ ბუნებას და დაწერა ადრინდელი დროებიდან შინაგანი? მე ვიტყვოდი, ეს ტენდენცია განიცდებოდა ევროპის სამხრეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და წინა აზიაში, მაშინ, როცა უძველესი ხატოვნება, ეგვიპტურ-ქალდეური ხატოვნება გაშმაგებით იკუმშებოდა, ამაღლებდა რა სამყაროს ერთიანობის მისტიკურ შეხედულებებს არახატოვნებისკენ. ამ სფეროში შესვლა საჭირო იყო არა იმისთვის, რომ ის დაძაბულად განვითარებინათ, არამედ შემდეგ შესძლებოდათ მის შიგნით სრულად განეცადათ გონი. ეს იყო მომზადება გონისთვის და ამ ეპოქის გაგება შეუძლებელია, თუ ვერ ჩასწვდები შორეული წარსულის მიწურულს ერთმანეთში გადაჯაჭვულ ამ მისტიკას, რომელიც თან ახლდა რომის იმპერიის დაღმასვლასა და გონის აღმასვლას.

ოდესმე განიხილეთ მთელი ეს განვითარება. სამხრეთში მოსახლეობის სწორედ ყველაზე განათლებული ნაწილი გაშმაგებით იხრება იმისკენ, რომ მივიდეს განსჯასთან, არაგრძნო-

ბად-ზეგრძობადთან, უმსგავსობასთან, სამშვინველთან ერთად საყოველთაო-ერთიანობაში შერწყმასთან. აქ აღვივებენ გონის შემდგომ განსწავლას მკვდარი ლათინური ენის მეშვეობით, თვით მეტყველებაშიც. მაგრამ მთლიანობა წარმოიქმნა ცალმხრივად, ისიც იმის წყალობით, რომ ამ სამხრეთის კაცობრიობა განვითარებით გასცდა ბუნების ფარგლებს, ეს კი მომზადებული იყო უკვე ერთ სოციალურ მოვლენაში. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ მთელ ამ პროცესს ქრისტეშობის შემდგომ IV ს-მდე, თუ არ გაითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის უმაღლესი ფენები დაწინაურდნენ მონების ხარჯზე, ვინაიდან მხოლოდ მათ შეეძლოთ განვითარებინათ ისეთი სოციალური მდგომარეობა, რომ შესაძლებელი გახდა თვით პლოტინიზმი და წარმოიქმნა სამშვინველის რაღაც ძირითადი განწყობა, – ესაა არაგრძობად-ზეგრძობადი, ესაა საკუთარი თავის გამომიჯენა ბუნებისგან. მაგრამ გონს ამის აღქმაც მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ სამშვინველის სულიერებით ეს, მე ვიტყვოდი, მთელი კაცობრიობიდან ამოიგლიჯება, გარეთ გამოიდევნება. ის განვითარდა სამხრეთ ევროპაში და არ იყო განმსჭვალული საკმარისი ინტენსიური ძალით, რომ გადაეტანა რომის მტკიცე იმპერია, ის განმსჭვალული იყო ძალით, რომელსაც შეეძლო წარმოეშვა ეგვიპტელი განდევილები, მაგრამ ვერ გადაიტანდა რომის მტკიცე იმპერიას. რომის იმპერიას ჯერ კიდევ შეეძლო სამყაროსგან ამ განდგომით ბიძგი მიეცა საკუთარი თავისთვის გონის გამო, შეეძლო გონის განვითარება, მაგრამ მისი ტარება შეეძლო მხოლოდ სოციალური საყრდენის მქონე ათეულობით ათას უმაღლესი ფენის წარმომადგენელს. მას ვერ სწვდებოდა ვერც ხალხი და ვერც მთელი კაცობრიობა. საჭირო იყო მიბრუნება ბუნებისკენ. კონსტანტინეს სურდა, დაეწყო უკუსვლა. იგი შეუდგა უკან გზას კონსტანტინოპოლისკენ. მაგრამ ეს მხოლოდ გონით განხორციელდა. გამოიყენეს მეორე მისაბრუნებელი გზა. ეს იყო გზა, რომლითაც აუცილებლად რომის გავლით უნდა მისულიყვნენ, – ახლა მე ამას სხვაგვარად განვიხილავ, – იმ ხალხთან, რომლებიც თავიანთ ახალ სისხლსა და ბუნებას, ჩრდილოეთიდან მოწოდებულ გერმანულ ხალხებს აგებებდნენ. აქ იყო სიმაგრე, იქ გონი შეიძლებოდა მიეღოთ ბუნებრივ სისხლითან ერთად. თვით კეისარიც *კომპეოსის** წინააღმდეგ ურიცხვ გერმანულ ხალხებთან ერთად იბრძოდა. რომის კეისართა ეპოქის ყველა

გამარჯვება დაქირავებული გერმანელი ჯარისკაცების დახმარებით მოიპოვეს. კონსტანტინოპოლის დაარსების აბსტრაქტულ ფაქტთან ერთად, მე ვიტყვოდი, არსებობს მეორე კონკრეტული ფაქტი, დაკავშირებული კონსტანტინესთან, როცა ის *მაქსენტიუსს** ამარცხებს გერმანულ-ბრიტანულ, გერმანულ-გალიურ და წმინდა გერმანულ ხალხთან ერთად.

აბსტრაქტულ ელემენტში, რომელთანაც მიდიხარ, შეიძლება ბოდა შექმნილიყო ეგვიპტელი განდევნილების მშენიანი განწყობა, იმათი მშენიანი განწყობა, რომლებიც წავიდნენ *მონტე კასინოში**, მაგრამ ეს საკმარისი არაა მსოფლიო ისტორიის ჯანსაღი აღქმისთვის. ხალხები, რომლებიც ქვემოთ ბინადრობდნენ, ჩამორჩენილები იყვნენ დაახლოებით მთელი პერიოდის განმავლობაში. ისინი ჯერ კიდევ თან ატარებდნენ იმ სიახლეს, რომლითაც ისინი ცხოვრობდნენ შედარებით ადრინდელი აყვავების პერიოდში, მაგრამ ჯერაც ცხოვრობდნენ მხნედ, ყოველ შემთხვევაში, XII-XIV ასწლეულებში ქრისტიანობამდე, საბერძნეთსა და წინა აზიაში. გერმანული ელემენტით რომაელობაში შეიტანეს ის, რაც იქ ცოცხლობდა შინაგან მშენიანებელ ძალაში, ნებელობით და ემოციურ ძალაში. ახლა კი ხალხმა თავისი ადამიანებით აღიქვა ის, რაც სამხრეთში განვითარდა აბსტრაქტულ სიმალემდე. ამ აღქმაში ძვეს შესაძლებლობა, კვლავ ააღორძინონ რეალიზმი და რეალობა იმაში, რამაც შეწყვიტა ყოფილიყო ინსტინქტური, რეალური და მხოლოდ ამან შეძლო მიეყვანა რომის იმპერია დაცემამდე. მაშინ წარმოიქმნა ნამდვილი ძალა და კაცობრიობის ჩამოყალიბებაში ადგილი დაიკავა რეალობამ. მაშინ მომზადდა ის, რამაც ადამიანი, რომელიც მივიდა განსჯამდე, ანუ შინაგან ცხოვრებამდე და შემდეგ ცნობიერ სამშენიანებელად, რომელშიც მას ჯერჯერობით მხოლოდ ჩრდილი გააჩნდა გონისა, მიეყვანა თავისი შეგრძნებებიდან დაკარგულ – ბუნებასთან. ცნობიერი სამშენიანების წარმოქმნას უკავშირდება ბუნების ჭერეტის აღმოცენება. თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს, ამაზე უფრო დაწვრილებით ხვალ ვისაუბრებთ.

ჩვენი განხილვებიდან გამომდინარე ქრისტეშობის შემდგომი IV ს. უნდა გამოვლენილიყო, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაკვეთი კაცობრიობის განვითარებაში და მე მსურს, კიდევ ერთხელ რამდენიმე სიტყვით მივუბრუნდე იმას, არსებითად, რა არის წარმოდგენილი ამ IV ს-ში.

მეოთხე საუკუნის დამახასიათებელი პიროვნება, ცხადია, არის ავგუსტინე და მისი დახასიათებით ჩვენ წინაშეა დროის ამ პერიოდის ნამდვილი წარმომადგენელი. ავგუსტინე ხომ თავისი არსების რაღაც ნაწილით, ბავშვობასა და ცხოვრების ადრეულ წლებში განცდილით, გარკვეული თვალსაზრისით, სრულიად მკაფიოდ მიუთითებს წარსულის ძველ განათლებაზე. შემდეგ კი მასში უნდა შევნიშნოთ მკვეთრი გადასვლა, რომელმაც ის მიიყვანა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის აბსოლუტურ მორჩილებაზე, შესაბამისად ავგუსტინემ გარკვეული თვალსაზრისით გამორიცხა საკუთარი თავისთვის ცოდნა, შემეცნება და სრულიად სერიოზულად შინაგანად სუბიექტურად უშუალოდ მიიღო რწმენის წარმოდგენები, როცა ღიად გამოსატა თავისი აზრი, თავისი შეხედულება იმაზე, რომ, თუმცა ვერ აცნობიერებს, რა არის ჭეშმარიტების საფუძველი, რომელიც მან უნდა აღიაროს, მაგრამ აღიარებს საკუთარ თავს ჭეშმარიტების თანახმად, რომლის აღიარებაც მან საბოლოოდ გადაწყვიტა იმიტომ, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ მას დაუწესა რწმენა. ამ რწმენამდე ავგუსტინე მივიდა მკაცრი ცხოვრებისეული ბრძოლის შემდეგ. გარკვეული დროის განმავლობაში იგი მიმდევარი იყო იმ მოძღვრებისა, რომელსაც უწოდებენ მანიქველობას, მანის აღმოსავლურ მოძღვრებას. ეს მოძღვრება უკვე დავახასიათე გარკვეული კუთხით. მე ვთქვი: იმ ძველი ეპოქებიდან როგორცაა: ინდური, სპარსული და ეგვიპტურ-ქალდეური, კვლავ და კვლავ ამოტივტივდებიან შეხედულებები, როგორც რაღაც რეაქცია იმასთან დაკავშირებით, რაც ფორმირდება განვითარებიდან, ასე ვთქვათ, კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარებიდან. ერთ-ერთი ასეთი იყო მანიქველების მოძღვრება. ერთხელაც ხდება ისე, რომ მაშინ, უკვე იმ დროებში, როცა ავგუსტინე მანიქველური მოძღვრებით ცნობილი გახდა თავის აფრიკულ სამშობ-

ლოში, სინამდვილეში ასეთი შეხედულებები რამდენადმე საეჭვო სახით წარმოიშვა. თავიდან ავგუსტინე მთლიანად შეიპყრო მანიქეველების მოძღვრებამ, მაგრამ შემდეგში იგი დაუახლოვდა მანიქეველების ეპისკოპოსს *ფაუსტუსს** და იმ მეთოდმა, როგორადაც ეს ადამიანი მანიქეველების მოძღვრებას წარმოაჩენდა, ავგუსტინეში ზიზღი გამოიწვია. თუმცა, რაღაც არსობრივი მანიქეველების ამ მოძღვრებაში ჯერ კიდევ საჭიროა დავინახოთ გამჭოლად ბევრ რამეში, რაც გამოვლინდა ავგუსტინეს წინაშე – სრულიად გარკვევით წარმოჩნდა არა მხოლოდ ზედაპირული დიალექტიკა, არამედ, როგორც ცარიელი უშინაარსო ლაყბობა. ამ არსობრივს შინაგანად გაიგებ მხოლოდ მაშინ, როცა მანიქეველების მოძღვრებას გაარჩევ თვალსაზრისით, რომელსაც აქ ამ განხილვის დროს დასკვნის სახით გადმოვცემთ.

ახალი დროის კაცობრიობას ამგვარ მოძღვრებათა ჭეშმარიტი დოკუმენტებისგან, არსებითად, ცოტა რამ შემორჩა; შემონახულია მხოლოდ ის, რასაც პირველი საუკუნის ქრისტიანი მასწავლებლები ციტირებდნენ და რომელსაც შემდგომში თავად ებრძოდნენ. ამდენად, ყველაზე მნიშვნელოვანმა, უძველესი დროებიდან, უფრო გვიანდელ შთამომავლებამდე, არსებითად, მოაღწია მხოლოდ მოწინააღმდეგეთა ციტატების მეშვეობით. შესაძლოა მან, ვინც მთელი გრძნობით ჩასწვდება ასეთ მოვლენებს, სწორედ მანიქეველების მოძღვრებისადმი ავგუსტინეს განსაკუთრებული დამოკიდებულებიდან შეიგრძნოს ასევე რაღაც არსებითი თავად მოძღვრების არსიდან. ავგუსტინე განუდგა მანიქეველების მოძღვრებას იმ მიზეზით, რომ იგი, როგორც თავად ამბობს, ეძებდა ჭეშმარიტებას მზეში, ვარსკვლავებში, ღრუბლებში, მდინარეებში, წყაროებში, მთებში, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროში, მოკლედ ყველაფერში, რაც შეიძლებოდა მის წინაშე გამოვლენილიყო, როგორც აშკარა, ხილული. იქ მან ეს ვერ იპოვა, რამდენადაც ეს ყველაფერი მას მხოლოდ გარეგნულ მატერიალურს სთავაზობდა, მაგრამ იგი ეძებდა სულიერს. ამრიგად, ავგუსტინე მანიქეველობიდან მიბრუნდა ნეოპლატონიზმისკენ, რომელიც გარკვეული კუთხით უკვე დავახასიათეთ. ნეოპლატონიზმი უარს ამბობს გარეგნულ გრძნობად სამყაროზე. იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მას და სურს, საკუთარი შინაგანით სა-

ყოველთაოს შეუერთდეს რაღაც მისტიკურ აბსტრაქციაში. სწორედ ამან მიიპყრო უფრო გვიანდელ ასაკში ავგუსტინეს ყურადღება და მის მიერ მანიქეველების წინააღმდეგ წამოწეულ თემებში უკვე ძვეს ის, რაც საკუთარ თავში ჩანერგა ნეოპლატონიზმთან, არასაგნობრივთან, არამატერიალურთან, არაგრძნობად, აბსტრაქტულ სამყაროსთან თავისი შერწყმით. იმ სამყაროსთან მიმართებით, რომლის შიგნითაც მან დააყენა საკუთარი თავი ახლა, მანიქეიზმისგან შემოთავაზებული ეჩვენებოდა მხოლოდ რამდენადმე გარეგნული მატერიალური საგნების რეგისტრაციად, რომლებსაც შემდეგ აცხადებენ, როგორც ღვთაებრივს.

ვინც დღეს მიეახლება სულისმეცნიერებას, იგი თავიდან სწავლობს ამ მოვლენების სწორად დანახვას. დღევანდელი სულისმეცნიერების თვალსაზრისით განვიხილოთ, არსებითად, რა არის აქ შემოთავაზებული. მე უკვე დავახასიათე: როცა იმაგინაციურიდან მადღებები ინსპირაციული შემეცნებისკენ, თანდათანობით ეცნობი ადამიანის შინაგან ორგანობებს, თანაც კონკრეტულად და ეს არ არის ის ბუნდოვანი სამყარო, რომელზეც ასე ბევრს ოცნებობენ ცრუ მისტიკოსები, არამედ ეს არის ადამიანის შინაგანი ორგანიკის ობიექტური განხილვა. სწორედ იმ დროს, როცა აღვიქვამთ ადამიანის ამ შინაგან ორგანიკას, როგორც სულის შედეგს და სულიერად განვიხილავთ, მაშინ მას შევიცნობთ, როგორც მატერიალურს. ამის ნათელსაყოფად მსურს, მოვიყვანო ერთი მაგალითი. ვთქვათ, აბსტრაქტულად მოაზროვნე ეცნობა ე. წ. იპოქონდრიკს და მასზე მარტივად იტყვის: „ფიზიკურად ხომ მას, არსებითად, არაფერი ჭირს, უბრალოდ მშვინვიერად არის ავადმყოფი. ის მუდმივად ძალიან ძლიერად ღრმავდება საკუთარ სამშვინველში, განსაზღვრული სახით მთლიანად ცხოვრობს თვითობებაში და შედეგად არასწორად მსჯელობს გარე სამყაროს მოვლენებზე, ხშირად მსჯელობს ისე, თითქოს ისინი მას სდევნიდნენ ან ამის მსგავსი. ამის გამო მას ყოველთვის არასწორი დამოკიდებულება აქვს გარე სამყაროსთან“. ამდენად, აბსტრაქტულად მოაზროვნე ადამიანი იოლად მიდის იქამდე, რომ თქვას: „იპოქონდრიკს ხომ ფიზიკურად არც არაფერი ჭირს, ის მხოლოდ მშვინვიერად არის ავადმყოფი“. ასეთი აბსტრაქცია წარმოიქმნება მხოლოდ იმის წყალობით, რომ საკუთრივ ადამიანის ორგანიზაციის შინაგან მოწყობას ვერ ხე-

დავენ. ეს მოწეობა კი ისეთია, რომ ადამიანი წარმოადგენს სამწვევრა არსებას. აქ ჩვენ გვაქვს თავის ორგანიზაცია, რომელიც ამავე დროს განფენილია, როგორც უკვე ვთქვით, მთელ ორგანიზმზე, მაგრამ მისი ყოფნის მთავარი ადგილი არის თავში და ამიტომაც უწოდებენ მას ასე; აქ ჩვენ გვაქვს მკერდის ორგანოთა რიტმული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სუნთქვასა და სისხლის მიმოქცევას, ის მოიცავს ყველაფერს, რაც არსებობს ნივთიერებათა ცვლის სისტემასა და მასთან დაკავშირებულ კიდურების ორგანიზაციაში.

საქმე ის არის, რომ თავის ორგანიზაციაში ცალკეული ორგანოები მიმართულია გარე სამყაროსკენ და ამის წყალობით წარმოადგენენ გარეგნული გრძნობის ორგანოებს. ადამიანის ორგანიზმის დანარჩენ წევრებშიც ასევე ვხედავთ, რომ ორგანოები იმასთან ერთად, რომ ასრულებენ საჭმლის მონელების ფუნქციას, ამავედროულად გარკვეული მიმართებით წარმოადგენენ გრძნობის ორგანოებსაც და აქ ვპოულობთ რაღაც სახის კორესპონდენციებს, პოლარობებს თავისა და ნივთიერებათა ცვლის ორგანოებს შორის. ეს უკანასკნელნი ასევე არიან გრძნობის ორგანოები, ოღონდ ისეთი გრძნობის ორგანოები, რომლებიც გარეთ კი არ არის მიმართული, არამედ ადამიანის კანქვეშა პროცესებისკენ. მაგალითად, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანს ყნოსვის ორგანოები გააჩნია საკუთარი თავის ორგანიზაციაში, რომელიც მიმართულია გარეთ; მისი დახმარებით გრძნობს იგი თავის გარემოცვაში გარეთ არსებულ სუნს. ყნოსვის ამ ორგანოს საჭმლის მონელების ორგანოებს შორის შეესაბამება კანი, რომელიც გარკვეული ფორმით იყნოსავს იმას, რაც არსებობს მის გარშემო ადამიანის შინაგანში. ღიახ, ამ მოვლენებზე აუცილებელია, ვისაუბროთ სრულიად ობიექტურად, თუ საერთოდ ვსურს, მიაღწიო შემეცნებას.

ახლა დააკვირდით: თქვენ ყურადღება უნდა მიაპყროთ იმას, რომ კანის კავშირი ადამიანის შიგნით მიმდინარე პროცესებთან გარკვეულწილად შეესაბამება ყნოსვის ორგანოების მიმართებას გარე სამყაროსთან. ასე რომ, იპოქონდრიკის კანი არასდროს არის მოწესრიგებული, როგორც, თუ გნებავთ, უბრალოდ მოუწესრიგებელია ფიზიკური ორგანო. სულისმეცნიერებაში სწორედ იმას ვხვდებით, რომ მან არა მარტო შეიყვანოს სულის ბუნდოვან სფეროში, არამედ თავისი მეთოდების

გამოყენებით შეიმეცნოს მატერიალური მის არსში, რათა აქედან გამოძინარე, შეეძლოს მატერიალურის მოქმედებაში, ფუნქციონირებაში ჩახედვა. იმის შედეგად, რომ კანის დაავადებები ჩვეულებრივ დაკავშირებულია უმნიშვნელო ტანჯვებთან, ეს უკვე აღარ ვლინდება, როგორც ჭეშმარიტი ფიზიკური დაავადება, არამედ თავს იჩენს, როცა კანი არაა წესრიგში და აქედან გამოძინარე არასწორი ყნოსვა შიგნით, სწორედ, როგორც მშვინვიერი განცდა. ვინც მოვლენების არსს ნამდვილად ხედავს, მისთვის იპოქონდრიკი არის ის, ვისი კანიც არ არის წესრიგში და ამიტომაც თავისი სწეული კანით ნორმალურად კი არ ყნოსავს შიგნით იმას, რასაც ის იოლად აღიქვამს, როგორც უსიამოვნო სუნის მქონეს, არამედ ძალიან მძაფრად. იგი მუდმივად ყნოსავს საკუთარ თავს თავის შინაგანში და ეს ყნოსვა არის ის, რაც არსებითად, ძვეს იპოქონდრიული მშვინვიერი მდგომარეობის საფუძველში. თქვენ ხედავთ, რომ შეუძლებელია სულისმეცნიერება დაახასიათო, როგორც ბუნდოვანი მისტიკა, ვინაიდან ის ჭეშმარიტად ობიექტური შემეცნებისკენ წარმართავს თვით მატერიალურს. მატერიალიზმი კი ამ მოვლენებს ვერ სწვდება, ვინაიდან მათ მუდმივად განიხილავს მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმებში. იმაგინაციური და ინსპირაციული შემეცნება ე. წ. ფსიქიკურ დაავადებებს, არსებითად, განმარტავს თითქმის ყოველთვის მათი ფიზიკური საფუძვლიდან. სულისმეცნიერული თვალსაზრისით გაცილებით მეტი მიზეზი გვაქვს, სულიერი პოზიციიდან ავსნათ ე. წ. ფიზიკური დაავადებები, ვიდრე ე. წ. ფსიქიკური დაავადებები, რომლებიც წარმოადგენს, როგორც წესი, საკუთრივ ფიზიკურს, ანუ მათი საფუძველი, ჩვეულებრივ, თავად ფიზიკური მიზეზებია. ამდენად, აუცილებელია გავერკვეთ, რომ ის, ვინც ჭვრეტს სამყაროს სულიერს, ასევე აღიარებს სულიერის ზემოქმედებას მატერიალურზე. იგი კანს არ განიხილავს მხოლოდ ისე, როგორც წარმოუდგენია ანატომს, არამედ – როგორც შინაგანად ფორმირებულ ორგანოს, რომელიც თავისი გარეგნული ფორმით განსხვავდება ყნოსვის ორგანოსაგან და მაინც ყნოსვის ამ ორგანოს მეტამორფოზაა. ამდენად, ის, რისი თქმაც სულისმეცნიერს შეუძლია მატერიალურ სამყაროზე, როცა ამ სამყაროს, მე ვიტყვოდი, აბრუნებს თავისი სულიერი მიზეზებისკენ, ხშირ შემთხვევაში განსხვავებული იქნება იმით, რომ ის ეყრდნობა სწორედ

მატერიალურის გამოცხადებებს, რამდენადაც მატერიალურის გამოცხადების მეშვეობით გაცილებით უკეთ შეიმეცნებ სულიერს, ვიდრე ყოველგვარი მისტიკური ზმანებებისა და შინაგანში ე. წ. მისტიკურ-ბუნდოვანი ჩაღრმავებების მეშვეობით. არსებითად რომ ვთქვათ, თქვენ ხომ უბრალოდ გაუბრუნდით ხართ გარკვეულ ანტიპათიებს – დაკავდეთ ჭეშმარიტი კვლევით და სამაგიეროდ წარმოშვათ შინაგანში ის, რაც ასევე წარმოიქმნება მარტოოდენ ფიზიკური ორგანოების განსაზღვრული მიდრეკილებისაგან. ბუნდოვანი მისტიკოსისთვის შეიძლება ნათელი იყოს ფიზიკური საფუძვლის მქონე ფსიქიკური დაავადების გარკვეული სახეც კი.

მიიქცით ყურადღება, რომ მატერიალურში სულიერის რაღაც ამდაგვარი ჭვრეტა გამოვლინდა ავგუსტინესთვის მანიქეველობაში. მაგრამ იგი უკვე ძალიან ძლიერად შეესისხლხორცა, – როგორც ცნობილია, მისი დედა იყო ბერძენი, – სწრაფვას, გასცდენოდა ფიზიკურს, რაც მას საშუალებას არ აძლევდა დარჩენილიყო მასთან. ამიტომაც მიუბრუნდა იგი ნეოპლატონიზმს და ამ შემოვლით გზაზე ნეოპლატონიზმის მეშვეობით იგი გადაიხარა რომის კათოლიციზმისკენ.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, IV ს-ში, რომელშიც მოხდა სწორედ ავგუსტინეს მომზადება, ფაქტობრივად როგორ აქცევენ ზურგს ადამიანები გარე სამყაროს სულიერ განხილვასა და ადამიანის შინაგან სამყაროს. ეს შემობრუნების მომენტი უნდა დამდგარიყო იმ უბრალო მიზეზით, რომ ადამიანი ვერასდროს შეძლებდა გათავისუფლებას, ვერ გახდებოდა თავისუფალი, თუ იგი თავს იგრძნობდა მხოლოდ და მხოლოდ გარე სამყაროს წევრად, როგორც ეს გუშინდელ ლექციაში დავახასიათე. გარკვეული სახით ის უნდა გამოსულიყო გარე სამყაროს ყოფიერებასთან ამგვარი მჭიდრო კავშირიდან. ოდესღაც იგი უნდა განდგომოდა გარე სამყაროს. განდგომის უმაღლეს წერტილს მე დავარქმევი იმ მომენტს, როცა ადამიანი სცილდება ცნობიერებას: შენ ხარ გარე სამყაროს წევრი, როგორც თითია შენი ორგანიზმის წევრი, – უმაღლესი წერტილი არსებობს ქრისტეშობის შემდგომ სწორედ IV ს-ში. ამ დრომდე დროის ნიშანი იყო კაცობრიობის ისეთი განვითარება, რომელიც ეყრდნობოდა, შეიძლება ითქვას, მთლიანად ადამიანის ორგანიზმს, მე ვიტყვდი, სისხლს. სამხრეთ ევროპის, ჩრდილო-აფრიკისა და წინა აზიის ტერიტორიებზე უკვე

მივიდნენ იმასთან, რომ გარკვეულწილად ყოფილიყვნენ საკუთარი ადამიანური არსების მიერ, – რამდენადაც ის არის ფიზიკური, ეთერული, – მიტოვებულნი და მიელწიათ რაღაც გაურკვეველისთვის, შეიძლება ითქვას, რაღაც სიცარიელისთვის, სადაც უკვე აღარაფერია დამოკიდებული სისხლზე, სადაც სასიცოცხლო პრინციპი უკვე არ წარმოიქმნება ადამიანის რასობრივი ვალდებულებისაგან და ადამიანები უნდა განვითარებულიყვნენ რაღაც ამდაგვარი სიცარიელისკენ, რათა ინტელექტუალობამდე მისულიყვნენ. ყველაფერს, რაც ცალკეულმა ხალხებმა განავითარეს ქრისტეს შემდგომ ამ IV საუკუნემდე ცხოვრებისეულ პრინციპებში, შემეცნებაში, მათ მიადწიეს თავიანთი სისხლის საშუალებით, მსგავსად იმისა, როგორც ვითარდებით ჩვენ კბილების ცვლამდე, რომელსაც ვქმნით, მართალია, არა ჩვენი ინტელექტისგან, არამედ საკუთარი ორგანული ნივთიერებისაგან, ან მსგავსად იმისა, როგორც ვყალიბდებით, ასევე ორგანიზმიდან გამომდინარე, სქესობრივ მომწიფებამდე, ამავდროულად, ვვითარდებით რა, ბოლოს და ბოლოს, განსჯის სიმწიფემდე. ამდენად, ყველაფერი, რაც ამ ხალხებმა შექმნეს თავის უძველეს ინსტინქტურ იმაგინაციებსა და ინსპირაციებში, ვითარდებოდა სისხლიდან გამომდინარე. ეს ყველგან ერთ რასობრივ წყაროს ეფუძნებოდა. ხოლო, როცა ორი რასა, ორი ხალხი სხვადასხვა სისხლისა სადმე შეერეოდა ერთმანეთს, მაშინ ეს ერთი ხალხი რჩებოდა ქვემოთ, მონებად, მეორე ნაწილი მოსახლეობისა მაღლდებოდა ზევით, წარმოქმნიდა ზედა ფენას. როგორც ეს სოციალური განსხვავება, ისე ცნობიერებაში, ადამიანთა სამშეინველებში მცხოვრებიც, აშკარად შედეგი იყო რასის, სისხლის. ახლა კი ხმელთაშუა ზღვის გარშემო განლაგებული სამხრეთის ეს ხალხები სისხლს შორდებოდნენ და ცდილობდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა სულიერში შეღწევას. რამდენადაც ინტელექტი წმინდა სულიერის სფეროში უნდა განვითარებულიყო.

ქრისტეშობის შემდგომი IV ს. შემდეგაც ადამიანი თუ განვითარდებოდა მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის ამ ხალხებიდან, იგი იარსებებდა, გარკვეულწილად, საყრდენის გარეშე. სისხლი უკვე აღარაფერს იძლეოდა. რასობრივი საფუძვლებიდან მშეინვეიერ უნარებში უკვე აღარაფერი ვითარდებოდა. ამ ტერიტორიების ადამიანი, გარკვეულ დონემდე, იძულებუ-

ლი იყო, – ხატოვნად რომ ვთქვათ, – უჰაერო სივრცეში განვითარებულიყო.

ხმელთაშუა ზღვის ამ რეგიონის ადამიანები ახლა შევიდნენ ზემოაღნიშნულ უჰაერო სივრცეში, ანუ რასობრივისგან თავისუფალი განვითარების სფეროში. ახლა მათთვის აუცილებელი იყო რაღაც სხვა, რასაც დაეყრდნობოდნენ. ის, რაც ადრე მათ ეძლეოდათ სისხლისგან, გარკვეული თვალსაზრისით, უნდა მიეღოთ გარედან. ისინი იღებდნენ კიდევ ამას იმ ანგარიშიანი ადამიანების წყალობით, რომლებმაც მაშინ სიბრძნის ძველი სწავლებიდან ჯერ კიდევ იცოდნენ, თუ როგორ არის სინამდვილეში საქმე; მათ რომის იმპერიის ძველი სახელმწიფოებრივი შეხედულებები გადაიტანეს რელიგიურ ძალაუფლებაზე და დააარსეს გარეგნული კათოლიკური ეკლესია. ის, რაც ადრე წარმოიშვა სხვადასხვა რასის სულიერი ცხოვრებით, რაც უძველესმა ეპოქებმა შემოინახეს, ეს ყოველივე ამ ეკლესიამ დააკონსერვა და დაამკვიდრა დოგმებში, რომლებიც უნდა გავრცელებულიყო. ადამიანისგან უკვე აღარაფერი მომდინარეობდა, მაგრამ აქ არსებული დამკვიდრდა დოგმებში. ამით შემოვიდა უსიცოცხლო ელემენტი, რომლისგანაც ადამიანს ნამდვილად შეეძლო აღექვა გარედან ის, რასაც ადრე იგი შიგნიდან აღიქვამდა. ანუ ლათინური ენა გავრცელდა, როგორც მკვდარი ენა და ცნობიერების სიცოცხლე ლათინურ ენაში იკარგებოდა.

ამდენად, არსებობდა ერთი სულიერი ნაკადი, რომლის არსი იყო ის, რომ განსაზღვრული სახით დანერგილი უძველესი სასიცოცხლო შეხედულება მთავრდებოდა მომაკვდინებელ ელემენტში. სხვა რომ არაფერი მოღწეულიყო, მაშინ ეს მომაკვდინებელი ელემენტი თანდათანობით უნდა ჩამკვდარიყო. ის, რასაც კულტურა ეწოდებოდა, უნდა მომკვდარიყო. მართალია, ჰქონდათ რაღაც უმაღლესი, თუმცა ის იყო უმაღლესი, რომელიც იმ დროს ცხოვრებაზე მაღლა იდგა. თავად კათოლიკურმა ეკლესიამ ბევრი რამ გადმოიღო გნოსტიციზმისგან, მანიქეველური ელემენტისგან, მხოლოდ მან უარი თქვა ტერმინოლოგიაზე. ის ავრცელებდა ძველ მსოფლმხედველობას. მან აღიქვა აგრეთვე ძველი საკულტო ფორმები, შეინარჩუნა ისინი და გაავრცელა მკვდარ ენაში. ის, რაც ამ ფორმით აგრძელებდა სიცოცხლეს, ზუსტად ისევე იყო უუნარო, წარმოეშვა რაიმე, რასაც ცივილიზაცია წინსვლისთვის

გამოიყენებდა, როგორც, მაგალითად, ქალს მარტოობაში არ შეუძლია გააჩინოს ბავშვი.

წინსვლისთვის აუცილებელი იყო არსებობის მხოლოდ ეს ერთი მხარე. მეორე მხარე მდგომარეობდა ახალ სისხლში, რომელიც ჰქონდათ გერმანულ და აღმოსავლეთ ევროპიდან აქ გადმოსახლებულ სხვა ხალხებს. მეორე მხრივ აქ იყო სისხლი. აქ განსაკუთრებული იყო ის, რომ ეს ხალხები თავიანთი განვითარებით, – თუ ამ სიტყვას ვიყენებთ არა შეფასებისთვის, არამედ წმინდა ობიექტური ტერმინოლოგიისთვის, – სამხრეთის ხალხებთან შედარებით ჩამორჩენილები იყვნენ. სამხრეთის ხალხები, შეიძლება ითქვას, მარშით მიდიოდნენ წინ უმაღლესი განათლებისკენ, რამაც მათ საშუალება მისცა ინტელექტი განევითარებინათ. ქრისტეშობის შემდგომ IV საუკუნეში ინტელექტი იყო თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე და ახლა ცხოვრება უნდა გაგრძელდებინა, როგორც მკვდარ ინტელექტს. ამდენად, ჩვენ გვაქვს ამ მკვდარი ინტელექტის განგრძობადი სიცოცხლე და მის შესახვედრად მოძრავი გერმანული სისხლის სხვა ხალხების გაჩენა, რომლებიც იქ წარმოიქმნენ.

გარეგნული ისტორიული პროცესების შესწავლისას, რაღაც უაღრესად საინტერესოს ვუახლოვდებით. ახლა შეგვიძლია საკუთარ თავს ვუთხრათ, რომ დროის განსაზღვრულ პერიოდში ადგილი აქვს დასავლეთ ევროპული ცხოვრების სრულ გარდაქმნას, მეტამორფოზას. უმთავრესად ჩვენ ვხედავთ, როგორ კვდება ევროპის ვრცელ რეგიონებში ფაქტობრივად ე. წ. ხალხთა გადასახლების წყალობით ძველი კულტურა და ჩნდება გლეხური კულტურის რაღაც სახე. კვდება ის, რაც ადრე ძველი რომის იმპერიის ზედა ფენას ჰქონდა, როგორც თავისი კულტურა. რჩება ის, რაც გააჩნდა ფართო, ბინადარ მოსახლეობას და მათ საპირწონედ გერმანულმა ტომებმა მოიტანეს რაღაც მსგავსი, ოღონდ სხვა სახის. ამ ქრისტიანული არსებობის შიგნით, სადაც ადამიანები, არსებითად, ცხოვრობდნენ სოფლის პატარა თემებში და იქ ყვებოდნენ სრულიად სხვა მოვლენებს, ვიდრე ის, რასაც მათ უქადაგებდნენ კათოლიკე მღვდლები, ამ რეგიონების შიგნით, სადაც არსებობდნენ სასოფლო თემები, ახლა გარეგნული ძალაუფლების წყალობით ვრცელდებოდა კათოლიკური რელიგია.

ეს იყო ერთი ნაკადი, რომელიც მოქმედებდა სწორედ ლათინურ ენაში. ადამიანებმა, რომლებიც ხედავდნენ, როგორ შენდებოდა მათი ეკლესიები, როგორ ვრცელდებოდა სიბრძნე ლათინურ ენაზე და რომ, უშუალოდ მათზე იყო ეს ყოველივე დამოკიდებული სოფლებში, მაინც რა იცოდნენ იმ ყველაფერზე, რაც იქ ხდებოდა? ის, რაც მათ იცოდნენ, იყო ისტორიები, რომლებსაც ისინი სადამოლობით, შესრულებული სამუშაოს შემდეგ ყვებოდნენ, მეტწილად ოცნებებით განმსჭვალული მოთხრობები, როგორსაც მათ გავეცანით ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტელებთან და ამის მსგავსნი.

ეს იყო მსოფლმხედველობა, რომელიც ვრცელდებოდა IV-ს-დან X-ს-მდე სასოფლო თემების მეშვეობით და რომლებსაც სამხრეთის ტერიტორიებზე დიდი ხნის წინ წერტილი დაესვა, ყოველ შემთხვევაში, მაღალ ფენებში. მოსახლეობის ზედა ფენებში ამ საფუძვლებიდან ძველთაგანვე ჩამოყალიბდა ნატიფი კულტურა. ახლა კი IX-XIII სს, ჩვენ ვხედავთ, – უფრო დეტალურად მე ეს აღვწერე ამას წინათ *დორნახში** და აქ მოკლედ გავიმეორებ, – თანდათანობით მარტოოდენ სასოფლო თემებიდან როგორ გამოკრისტალდა ქალაქები. იწყება ქალაქური კულტურა, ხდება ისე, თითქოს ადამიანები მოწყვიტეს გარეგნულ ბუნებას და მათ ერთად მოუყარეს თავი ქალაქებში. აქ მოემართება ქალაქის ეს კულტურა, რომელსაც შეგვიძლია თვალი მივაღვენოთ ბრეტანიიდან ღრმად რუსეთის სამეფომდე, თვით ნოვგოროდამდე, ზევიდან ქვევით ესპანეთამდე, იტალიამდე და ეს გასაოცარი მოძრაობაა ყველგან ქალაქების მიმართულებით.

ჩვენ თუ დავაკვირდებით, არსებითად, რა ხდებოდა ქალაქებისკენ ამ გადასვლის დროს, მაშინ იმისთვის, ვისაც შეუძლია ისტორიის შინაგანად შესწავლა, ეს ძალიან ემსგავსება იმას, რაც მოხდა, როცა ტროას ომის შემდეგ საბერძნეთში ქალაქები უფრო მეტად გაგრცვლდა გლეხური კულტურიდან. მაშინ, ქრისტეშობამდე 1200 წელს მომხდარი ახლა, მოგვიანებით განმეორდა დაახლოებით 950 წელს ქრისტეშობის შემდეგ ან რაღაც ამდგავარი, – ყველა ეს ციფრი დაახლოებითია, – და უფრო მეტად 1200 და 950 წლების ჩაქრობის შემდეგ, ეს ადამიანები, რომლებიც აქ გადმოვიდნენ აღმოსავლეთიდან, როგორც გერმანული სისხლის ხალხები, სინამდვილეში განვითარების უფრო დაბალ დონეზე იმყოფებოდნენ, ვიდ-

რე ისინი, რომელთა რეგიონებშიც მათ ახლა შეაღწიეს. თქვენ თუ დააჯამებთ ამ რიცხვებს, ქრისტემდე და ქრისტეს შემდგომს, მიიღებთ 2150 ან 2160 წელს და დაახლოებით ეს წლები ძვეს ერთმანეთის მომდევნო ორ კულტურას შორის. ამის წაკითხვა ისტორიაში შეიძლება, თუ ნამდვილად გსურს ისტორიის შესწავლა. თუ იკითხავთ: რამდენად იყვნენ ეს გერმანული ხალხები ჩამორჩენილები? – სწორედ ასეთი ხანგრძლივობა აქვს ერთ კულტურულ ეპოქას. ასე შეიძლება გამოვთვალოთ ჩამორჩენილი ხალხების ჩამორჩენის პერიოდი სიმწიფის დონით.

ახლა ჩვენ ასევე შეგვიძლია, მივიღოთ ამოსავალი წერტილი იმის გაგებისთვის, რატომ იწყება მეოთხე კულტურული ეპოქა, რომელიც საკუთრივ ინტელექტს ავითარებდა, დაახლოებით ქრისტემდე 747 წელს და მთავრდება 1413 წელს. აქ ვიღებთ 2160 წელს. ეს არის ერთი ასეთი ეპოქის ხანგრძლივობა. ცხადია, თუ კიდევ უფრო უკან წავაღოთ წარსულში, მაშინ ეს ციფრები რამდენადმე ერთმანეთში ირევა. მაგრამ ეს ბუნებრივია, ვინაიდან ისტორიული განვითარების დახასიათება ზუსტი მათემატიკური ციფრებით, ცხადია, შეუძლებელია. ამ ხალხებს თავის სისხლით სხვებისთვის, სამხრეთის მოსახლეობისთვის მიჰქონდათ რაღაც, რაც, შეიძლება ითქვას, იყო უფრო ადრეული პერიოდის. ეს იყო სხვა ნაკადი.

ახლა კი ხდება მსოფლიო-ისტორიული შეერთება იმას, რაც აქ გადავიდა ლათინურ ენაში და იმას შორის, რამაც საკუთარი ძალებით გამოაღწია ზედაპირზე ხალხურ ენებში, ძალიან ჩამორჩენილ ხალხურ ენებში. ამ ორი ელემენტიდან უნდა წარმოშობილიყო ის, რომელსაც ახლა შეეძლო განვითარებულიყო. შემდეგ XV ს. ამან გამოიწვია ცნობიერი სამშინველის განვითარება, როგორც ეს უკვე არაერთხელ ვთქვი.

ძველი კულტურა მთლიანად გაქრებოდა, თუ მის ადგილას არ დავაყენებდით ახალს, რომელიც თავის მხრივ მთლიანად მოიცვა ამ სამხრეთულმა. ჩამორჩენილმა და ძალზე წინ წასულმა ერთმანეთი გააწონასწორეს და მხოლოდ ინტელექტუალური კულტურის ადგილი დაიკავა ცნობიერების კულტურამ.

ამ კულტურაში გონი, ინტელექტი მარტოოდენ ჩრდილად იქცა. მასში უკვე სიცოცხლესაც აღარ აგრძელებენ, როგორც რაღაც მკვდარში, არამედ ის იქცა ჩრდილოვან ნაწარმად, ისეთ რამედ, რაც მხოლოდ შინაგანი აქტივობით ცოცხლობს.

ამით კი ადამიანი, გარკვეულწილად, შინაგანად გათავისუფლდა გონებით შეპყრობისაგან. ახლა კი მას შეეძლო ინტელექტის გამოყენება შინაგან აქტიულობაში და გადასვლა ბუნების გარეგნულ განხილვაზე, როგორც გადავიდნენ – გალილეი, კოპერნიკი და *კეპლერი**. ამისთვის კი გონი უნდა გათავისუფლებულიყო. თქვენ თუ დააკვირდებით იმ ყველაფერს, რაც გამოვლინდა თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციაში XV ს. დასაწყისიდან, მაშინ ყველგან დაინახავთ, რომ ეს აიხსნება სწორედ გერმანული ელემენტის შეჭრით ძველ ლათინურ-რომაულ ელემენტში. ამის დანახვა თვით ცალკეულ პიროვნებებზეც შეიძლება.

ამრიგად, სამხრეთში განვითარებული ადამიანი, გარკვეული სახით, შევიდა სიცარიელეში. მაგრამ მოწინავე სულები ღრმად აღნობიერებდნენ ინტელექტის განვითარებით ადამიანის შესვლას რაღაც სიცარიელეში. ზოგიერთ პიროვნებას არ სურდა წასვლა ახლისკენ. ისტორიის ჰიპოთეზური განვითარების განხილვისას მე შემიძლია, დაახლოებით გამოვხატო ის, რისი თქმაც შეეძლოთ იმ პერიოდში, რომელიც მოჰყვა ქრისტიანობის შემდგომ IV ს. კერძოდ, შეეძლოთ ეთქვათ: ჩვენ ვაღიარებთ ინტელექტის თავისუფლებას, ვაძლევთ მას განვითარების საშუალებას და მაშინ ხდება ასეთი რამ. მაშინ, როცა ადრე ადამიანისგან ამოიზიდებოდა ის, რაც მას შიგნით მსჭვალავდა სულიერ-მშვიინვიერით, ახლა ამან მიაღწია უმაღლეს წერტილამდე, სადაც მისი განვითარება გახდა თავისუფალი, ასე რომ, მას უკვე სიცარიელეშიც შეუძლია განვითარდეს. ახლა ის უკვე აღარაა მიჯაჭვული საკუთარ სხეულს და შემდგომი განვითარება უნდა მიიყვანოს იქამდე, რომ ადამიანი გარედან შეიჭრას სულიერ სამყაროში. ეს იყო ერთი რამ, რისი თქმაც საკუთარი თავისთვის შეეძლოთ. მათ შეეძლოთ ასევე ეთქვათ: ჩვენც ვაგრძელებთ ძველი კანონების კრებულის შენახვას, ჩვენ მათ დავაკონსერვებთ. შემდეგ უკვე შეგვიძლია ადამიანებს ვუთხრათ: IV ს-მდე, როცა საკუთარი ინტელექტით მიაღწიე განვითარებას ამაღლებით, შენ ახლა იმყოფები მიჯნაზე. აქ შენ აღარ შეგიძლია წინსვლა. შენ მიხვედი სიცარიელემდე. ახლა გაიხედე უკან და არა შენ წინ. ნუ შეაბიჯებ სიცარიელეში, რომ ასეთ შემთხვევაში იპოვო ახალი სულიერება. იმ მიზნით, რომ ამ ინსტინქტით განემსჭვალათ და შეენახათ სიძველე, შეენარჩუნებინათ ინტელექტი,

869 წელს მოიწვიეს *მსოფლიოს მერვე საეკლესიო კრება კონსტანტინოპოლში**, რომელმაც დაადგინა კათოლიკური დოგმა, გამოსატყული შემდეგი სიტყვებით: ადამიანს აქვს „*unam animam rationalem et intellectualem*“ – სამშვინველი, რომელიც არის მოაზროვნე და სულიერი. მაგრამ ამ სამშვინველს იქით მას არაფერი გააჩნია, მეტი არაფერი სულიერი, ვინაიდან თუ მას მიაწერდნენ რაიმე სულიერს, მაშინ მას გაუხსნიდნენ გზას განვითარებისთვის რაღაც ახალი სულიერებისკენ. ამიტომაც, სამწვერა ადამიანთან დაკავშირებით, – სხეული, სამშვინველი და სული, – სული უარყვეს და მის სამშვინველს მიაწერეს სულის მხოლოდ ცალკეული თვისებები. მას აქვს არა სხეული, სამშვინველი და სული, არამედ სხეული და სამშვინველი, სული კი სამშვინველს აქვს მოაზროვნე და სულიერი თვისებებით, არის რა რაციონალური და ინტელექტუალური. ამაზე უარესი აღარ შეიძლება. ახლა ეს დოგმად იქცა. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა კონსტატაცია იმისა, რაც, არსებითად, ეხებოდა ძველის შენარჩუნებასა და შენახვას, მის რაციონალურ გადამშვავებას და ამავდროულად ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ სულიერი განვითარების გზაზე შემდგომი წინსვლისთვის. უნდა ჩაეხშოთ ის, რაც უნდა წარმოშობილიყო ორივე, ერთმანეთთან შეერთებული ნაკადით.

ხდება ის, რაც XV საუკუნიდან მოქმედებდა თვით ჩვენს დრომდე. ერთი მხრივ, ადამიანი ინსტინქტურად მომწიფდა, რომ თანდათანობით შინაგანი აქტივობით ხელი მოეკიდა გონისთვის, რომლის სრულფულებიანი ბატონიც ის უკვე იყო. მეორე მხრივ, მას აღარ ხელეწიფებოდა ეს აქტიური, მაგრამ ჩრდილოვანი გონი შეენარჩუნებინა საკუთარ სულიერად ცარიელ სამშვინველში, სადაც ის ვერაფერში იქნება აქტიური, გარდა საკუთარი ბუნდოვანებისა. ასე ამოტივტივდება ბოლოს და ბოლოს კანტიანელობა, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ ფორმები და კატეგორიები აქვს, რომლის სიტყვაც ეპოქის სხვა ფილოსოფიების მსგავსად უსუსურად ბუტბუტებს მარტოოდენ ამ ჩრდილოვანში.

აშკარაა, რომ მხოლოდ ჩრდილოვანი ინტელექტით ვერაფერს მიაღწევ; მისი შევსება საჭიროა სხვა რამით და ეს შეიძლება იყოს მხოლოდ გარე სამყარო, გარე ბუნება. ეს სულაც არაა იმ საფუძველზე, რომ ადამიანი ადრე იყო დაახლოებით, როგორც ბავშვი, ახლა კი თანდათანობით წინ წაი-

წია ბუნების შემეცნებისკენ, არამედ იმიტომ, რომ მას სჭირდება საკუთარი განვითარება. ეს უნდა შესრულდეს. ამ შესრულების განცდა ჩვენ გვაქვს წარსულის მეოთხე-მეხუთე ასწლეულებში. ჩრდილოვანი გონი დაეუფლა ბუნებას. ამან მიიყვანა რაღაც უმაღლეს წერტილამდე. სწორედ XIX ს. შუა პერიოდში გონი იქცა მთლიანად ჩრდილოვან გონად.

სანამ გონი თავად არის საკუთარ თავში ყველაზე ჩრდილოვანი, მას საერთოდ ვერ ამჩნევენ, ვინაიდან ის გახდა ჩრდილი. ამავე დროს მიიღეს სრულყოფილი, გაგრცელებული ბუნებისმეტყველება. გონი აივსო იმით, რაც მისცა გარედან ბუნებამ, მაგრამ სულ უფრო მცირდებოდა მშვენიერი ხედვის შესაძლებლობა, რამდენადაც გარე სამყაროსკენ ყურადღების მიპყრობით, არსებითად, კჰონდათ მხოლოდ ჩრდილოვანი გონი. აქედან გამომდინარე ფსიქოლოგია, XIX საუკუნის მოძღვრება სამშვენიველზე, ხდება, მე ვიტყვდი, ნომინალისტური, სიტყვებით წმინდა ლაქლაქი. არც ისე სასიამოვნოა წაიკითხო XIX ს. ფსიქოლოგიაში, როგორ საუბრობენ ადამიანები გრძნობაზე, ნებელობასა და აზროვნებაზე და სინამდვილეში აქვთ მხოლოდ ცარიელი სიტყვები; ამ აზრს აღრმავენ *ფრიც მაუტნერი** და აკეთებს უდიდეს აღმოჩენას, რომ მთელი ცოდნა სიტყვებშია და ადამიანები, რომლებიც სიტყვებს მიღმა რაღაცას ეძებდნენ, ყოველთვის ცდებოდნენ.

ეს დამახასიათებელია XIX საუკუნისთვის, არა კაცობრიობისთვის, არამედ სწორედ XIX საუკუნისთვის. ამ შემთხვევაში მაუტნერის აღმოჩენა არც ისე ცუდია; XIX საუკუნე, განსაკუთრებით მშვენიერზე საუბრისას, მოქმედებდა მხოლოდ სიტყვებით, სანამ ადამიანებს არ მობეზრდათ სიტყვებით ქსოვა, ეს მუდმივი ჟონგლიორობა აზროვნებით, გრძნობებითა და ნებელობით, აპერცეფციითა თუ პერცეფციით და ამის მსგავსით, იმით, რაც შემდეგ გამოვლინდა ინგლისურ ფსიქოლოგიაში, *იუმიდან** და განსაკუთრებით XIX საუკუნეში *ჯონ სტიუარტ მილიდან** დაწყებული და ეს იყო ფუჭი სიტყვებით ნამდვილი ჟონგლიორობა. მათ თქვეს: ვინაიდან, ბუნებისმეტყველებაში ექსპერიმენტებით მივიღეთ ასეთი მშვენიერი რამ, ამიტომაც დავიწყებთ ექსპერიმენტებს სამშვენიველზე. შექმნეს აპარატები, რომელთაც შეეძლოთ სიგნალების გადაცემა, როცა ადამიანი აღქმის პროცესში იმყოფებოდა. შემდეგ გაიგეს, როდის ხდება აღქმა გაცნობიერებული, თუ ამ აღქმის შედე-

გად ადამიანი საკუთარ ხელს ამოდრავებს; მოკლედ, შეეძლოთ სასიამოვნოდ ექსპერიმენტირება. ჩვენს დრომდე ეს ხორციელდება ისე, რომ ბავშვების უნარებზე მსჯელობა არ სურთ, ბავშვის სამშინველის ადგილზე საკუთარი თავის დაყენებით, ამ ბავშვის სამშინველისადმი გარკვეული ერთგულების მეშვეობით, არამედ ისწრაფვიან, ხელსაწყოების დახმარებით გამოსცადონ მახსოვრობა, აზროვნება და ყველა სხვა, როგორც ამას ჰყვებიან რუსულ სკოლებზე, სადაც გამოცდებს უკვე აღარ ეკიდებიან ძველ სტილში, ხოლო უნარებს ადგენენ გარედან ხელსაწყოების დახმარებით. ცხადია, ამ ბოლშევიკურმა შეხედულებამ ჩვენს რეგიონებშიც შემოაღწია. ანთროპოსოფიის ზოგიერთი მოწინააღმდეგე მოწადინებული იყო ასეთი გარეგნული მეთოდებით დაედგინა, ეყრდნობა თუ არა ანთროპოსოფია რომელიმე ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს შეესაბამება მხოლოდ ბოლშევიკურ ცრურწმენას. ეს ყველაფერი, საბოლოოდ, დაიბადა სულის გაუთვალისწინებლობიდან და ამან ადამიანების ყურადღება თანდათან გადაიტანა იმაზე, რომ ჩრდილოვანი გონი მიეპყროთ ბუნებაზე და სწორედ ამის წყალობით შეექმნათ შესანიშნავი ბუნებისმეტყველება, მაგრამ, მეორე მხრივ, მივიდნენ მშინვეიერის გაუთვალისწინებლობასთან. ახლა ეს მშინვეიერი კვლავ ხდება ღირებული, გამომდინარე ადამიანის არსების სიღრმიდან და სურს იყოს გამოკვლეული. ამისთვის აუცილებელია გზის ხელახლა უკან გაველა, რათა ის გავისხენოთ.

მართალია, ახალ მეცნიერებას სჯერა, რომ ის დამოუკიდებელია, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ იმყოფება საეკლესიო დოგმების გავლენის ქვეშ, რომელშიც საუბარია, რომ ადამიანი შედგება სხეულისა და სამშინველისგან და არ გააჩნია სული. ჩვენ კვლავ უნდა მივიდეთ სულთან. არსებითად, სულისმეცნიერება სწორედ მხოლოდ სულისკენ ისწრაფვის და მზად არის ადამიანის სამშინველის ანუ თავად ადამიანის გამოსაკვლევედ. აქ გაივლი ბევრისთვის არასასიამოვნო ელემენტს, ანუ ადამიანის ორგანიზაციას. სწორედ ამის წყალობით პოულობ ადამიანში ჭეშმარიტად სულიერს; ეს ნიშნავს, რომ სული კვლავ უნდა შეიყვანონ კაცობრიობის შეხედულებებში. თუმცა, დღეს არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერი, საშინელი ბარიერი, რაზეც საუბრის, შეიძლება ითქვას, ეშინიათ იმიტომ, რომ ამით აბიჯებენ თხელ ყინულს, მაგრამ ოდესმე უდავოდ საჭირო იქნება სწორედ დროის მთელი სიგნატურის

გამოკვლევა. ადამიანებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, არსებითად, როგორ არის იმპულსი ჩადებული ჩვენს დროში. აქ მე უნდა გამოვეყო შემდეგი მოვლენა.

XV ს. მეორე ნახევრიდან ადამიანი მთლიანად დამოკიდებული იყო გარე ბუნებაზე, რამდენადაც ის ცხოვრობდა ჩრდილოვან გონში და სინამდვილეში მთელ თავის მშვინივიერ ყოფიერებას განიცდიდა, როგორც ჩრდილოვანს. ამდენად, ის თანდათან მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ექსპერიმენტულად გამოეკვლია ბუნების გარეგნული მოვლენები არა ისე, როგორც იკვლევდა მათ გოეთე, რომელიც ამავე დროს გამშვინივიერებული იყო ანტიკური სულით, არამედ ისე, რომ ფენომენებს მიღმა გამოეკვლია რაღაც ისეთი, რომელიც ასევე არის მხოლოდ რაღაც სახის ფენომენი, მაგრამ რისი წარმოდგენაც აქ არ შეიძლება. ადამიანი ახლოს მივიდა ატომისტიკასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ გრძნობადი სამყაროს მიღმა იაზრებს კიდევ სხვა რამეს, უხილავ გრძნობად სამყაროს, პატარა არსებებს, დემონურ არსებებს, ატომებს. სულიერ სამყაროში გადასვლის ნაცვლად იგი გადადის გრძნობადი სამყაროს დუბლიკატისკენ, კვლავ და კვლავ გრძნობადისკენ, მაგრამ ფიქტიური სამყაროსკენ და შედეგად მისი შემეცნებითი შესაძლებლობა იყინება გარე გრძნობათა სამყაროსთვის. XIX ს. მსგელელობის დროს ეს ყველაფერი სულ უფრო მეტად წარმოშობდა უკვე მუდმივად არსებულს, მაგრამ შემეცნებითი შესაძლებლობის ამ საბოლოოდ გაყინვის წყალობით ის გარე სამყაროსთვის გამოვლინდა სწორედ სრული რადიკალიზმით, – და ეს იყო ენერჯის შენახვის, ძალის შენახვის კანონის გამოგონება. ამბობდნენ: სამყაროში არ წარმოიქმნება ახალი ძალები, არამედ გარდაიქმნება მხოლოდ ძველი ძალები; ძალთა ჯამი მუდმივი რჩება. ჩვენ თუ ვუყურებთ რომელიმე მომენტს, გარკვეულწილად ამოვგლეჯთ მას სამყაროს აღსრულებიდან, მაშინ ამ მომენტამდე არსებობდა ენერჯის განსაზღვრული ჯამი; მომდევნო მომენტში ეს ენერჯიები რამდენადმე სხვაგვარად შეჯგუფდნენ, ისინი უწესრიგოდ მოძრაობდნენ, წარმოადგენდნენ რა ადრინდელის მსგავს ენერჯიებს; ისინი მხოლოდ შეიცვალა. კოსმოსის ენერჯიაც იგივე დარჩა. უკვე ვეღარ ასხვავედნენ ერთმანეთისგან ორ მოვლენას. საბოლოოდ მიიღეს უფლება ესაუბრათ იმაზე,

რომ ზომა, რიცხვი და წონა ენერგიებში იგივე რჩებოდა. მაგრამ ეს ერევათ თავად ენერგიებთან.

რამდენადაც დღეს ენერგიის ეს თეორია, ენერგიის მუდმივობის ეს კანონი მთელს ბუნებისმეტყველებაშია გაბატონებული, ამიტომ სწორად ჩავთვლიდით, რომ ასეთ შემთხვევაში არაა არანაირი თავისუფლება, რომ თავისუფლების ნებისმიერი იდეა ცარიელი ილუზიაა. უბრალოდ წარმოიდგინეთ, როგორ ხსნიან თავისუფლებას, რომელსაც ასე თუ ისე გრძნობენ ისეთი ადამიანები, როგორცაა მაგალითად ვუნდტი. ჩვენ ვამბობთ, თუ მე ვარ ცნობილი *ბურიდანის** ვირი და ვიმყოფები მარჯვნივ და მარცხნივ არსებული თივის ორ კონას შორის, რომლებიც თანაბარი ზომისაა და ერთნაირად გემრიელი, მაშინ ჩემი თავისუფლების შემთხვევაში, მე შიმშილისგან უნდა მოვმკვდარიყავი, ანუ მე ვერ შევძლებდი გადაწყვეტილების მიღებას თუკი არ ვიქნებოდი ერთ ან მეორე მხარეს მიწეული. თუ არ შემიძლია გადავწყვიტო პრობლემა არა მარტო ორ ასეთ მოვლენასთან, არამედ სხვებთან დაკავშირებითაც, მაშინ ჩემი ფსიქოლოგია ისეთია, რომ მე მაინც მაიძულებენ, მაგრამ რამდენადაც არსებობს ძალიან ბევრი ცნება, რომლებიც ეჯახება ერთმანეთს, – რაც მაქცევს კიდევ შეპრობილად სამშინველის სიდრემში და რაც იქ უწევსრიგოდ მოქმედებს, – მაშინ მე, ბოლოს და ბოლოს გადავწყვეტ და მივიღებ თავისუფლების გრძნობას, რადგან არ შემიძლია მიმოვიხილო, არსებითად, რა არის ჩემთვის აუცილებელი. ცხადია, ეს არაა სასაცილო, ეს ნამდვილად არ არის საბაზი სიცილისთვის, ვინაიდან ის, რაც ახლა გითხარით, – საერთოდ არც ველოდებოდი, რომ გაიცინებდნენ, – ჩადებულია მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომაში, როგორც ბუნებისმეტყველებისგან წარმოშობილი თანამედროვე აზროვნების უდიდესი მიღწევა; შესაბამისად, მეცნიერებასთან დაკავშირებით ნამდვილად უხამსობაა სიცილი რაღაც ამდაგვარის გამო. როგორც ხედავთ, თავისუფლება სწორედაც შეუძლებელი იქნებოდა, თუ ენერგიის შენახვის კანონი აღმოჩნდებოდა სწორი. ვინაიდან მაშინ რომელიმე მომენტში მე ვიქნებოდი განპირობებული მთელი წარსულით, ამ შემთხვევაში გარდაიქმნებოდა მხოლოდ ენერგიები და თავისუფლება წმინდა ილუზია უნდა ყოფილიყო. XIX საუკუნეში ენერგიის მუდმივობაზე დადგენილი კანონის წყალობით ჩვენ, კაცობრიობის განვითარებიდან

გამომდინარე, ვიქნებთ რაღაც შეხედულებას ბუნებაზე, რომელიც გამორიცხავს თავისუფლებას, როგორც რაღაც იდეას, ხდის მას შეუძლებელს და ადამიანს უდავოდ აქცევს აუცილებელი ბუნებრივი წესრიგის პროდუქტად. საგნები უკვე მომზადებული იყო და, მე ვიტყვოდი, ასწლებულების განმავლობაში მათ უკვე ასე განიცდიდნენ. მაინც როგორ უნდა მივუდგეთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა მორალური პასუხისმგებლობა, ეთიკა, რელიგიური რწმენა, რომლებიც, არსებითად, შეიძლება სულაც არ არსებობდეს, თუ არის მხოლოდ ბუნების წესრიგი? XIX საუკუნის მატერიალისტები, გარკვეულწილად ნამდვილად იყვნენ პატიოსნები, ამიტომ ისინი უარყოფდნენ ძველი დროის ამ ეთიკურ ილუზიებს და ნამდვილად განმარტავდნენ ადამიანს, როგორც ბუნების რაღაც აუცილებელ პროდუქტს. ამაში მონაწილეობის მიღება სხვებს არ შეეძლოთ, მაგრამ სრულებითაც არა იმის გამო, რომ ისინი არ იყვნენ ისეთი გაბედულები, როგორც *დავიდ ფრიდრიხ შტრაუზი** ან *ვოლტერ**, არც იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ შემოსავლიანი თანამდებობები და ამიტომაც უნდა ესაუბრათ თავისუფლებაზე, ეთიკაზე, რელიგიაზე. აქ არ შეიძლება დავეთანხმოთ ასეთ მოვლენებს. საქმე საეჭვო იყო ძალიან დიდი ხნის განმავლობაში და ამიტომაც მოხდა ისე, რომ საკუთარ თავს უთხრეს: დიახ, აუცილებლობასთან დაკავშირებით მხოლოდ მეცნიერებაში შეიძლება რაიმეს განხორციელება. მეცნიერება ამტკიცებს, რომ სამყარო წარმოიქმნა პირველადი ნისლოვანებიდან და ყოველი მომდევნო მდგომარეობა უწყვეტად, აუცილებლობით ვითარდებოდა წინამორბედისაგან ისე, რომ ძალთა ჯამი, ამავე დროს, რჩებოდა მუდმივი და ა. შ. ასეთ შემთხვევაში ამ მეცნიერებაში არ შეიძლება საუბარი ეთიკაზე, რელიგიასა და ამის მსგავსებთან დაკავშირებით. შესაბამისად გათავისუფლდეს ამ მეცნიერებისაგან. არავითარი მეცნიერება, მხოლოდ რწმენა! საჭიროა გქონდეს ორმაგი ბუღალტერია: ერთი მხრივ, გარე სამყაროსთვის, ბუნების სამყაროსთვის – მეცნიერება; მეორე მხრივ – რწმენა, რომელიც ახლა ადგენს ეთიკას და ამტკიცებს კიდევ ღვთის ყოფიერებას. ამდენად, ჩვენ გადავრჩებით სრულიად სხვა სფეროთი, ვიდრე მეცნიერების სფეროთი.

ამ თავისებური მდგომარეობის შედეგს კი თქვენ ხედავთ ყველგან ახალი სულისმეცნიერების წარმოქმნით. აი ისინი,

ვინც ესწრაფვის ამ რწმენის გადარჩენას – ლაუნი*, ნიბერგალი*, გოვარტენი*, ბრიუნი*, ლესეი* და მე შემეძლო ასევე ჩამომეთვალა უამრავი ადამიანი, რომლებიც თვლიან, რომ საჭიროა რწმენის სფეროს გადარჩენა; როდესაც აქ იჭრება მეცნიერება, საქმე სულ უფრო ცუდადაა. ამდენად, მეცნიერება არის ის, რასაც ყველა აღიარებს, მასთან შეხება კი ყველას მოსწონს, მაგრამ იმას, რაც გვსურს, ვარქმევთ სხვა სახელს: რწმენა. მაშასადამე, როგორც უკვე ითქვა, არსებობს ენერჯის შენახვის კანონი, რომელიც არის მხოლოდ დოგმატური, საბუნებისმეტყველო – დოგმატური ცრურწმენა. და მაინც, ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს ეს? ხედავთ? ნებისმიერს შეუძლია ჩაატაროს ექსპერიმენტი და თქვას: დიახ, მე დავბანაკდები ბანკის შენობის წინ და დავაკვირდები, რამდენი ფული შეაქვთ იქ და აქედან შევიქმნი ჩემთვის სტატისტიკას; შემდეგ დავაკვირდები, რამდენი ფული გამოაქვთ და ამისგანაც შევიქმნი სტატისტიკას და მე დავინახავ, რომ გამოაქვთ იგივე რაოდენობის ფული, რაც შეაქვთ. ახლა ისიც უნდა წარმოვიდგინო, რომ იქ მუშაობენ ადამიანები! ის, რასაც ვიღებ, ეს ხომ მხოლოდ გარდაქმნილი ფულია. ეს ხომ პირდაპირ ფულადი სიდიდის მუდმივობის კანონია. მაშ ასე, ჩატარდა მშვენიერი ექსპერიმენტი, რომელიც, როგორც ჩანს, გავრცელდა სტუდენტებზე. გამოთვალეს საკვების სითბური ენერგია კალორიებში, იანგარიშეს, რა გააკეთეს ამ ადამიანებმა და შედეგად მიიღეს: რასაც მიირთმევენ, იმასვე გამოყოფენ – ენერჯის შენახვის კანონი! ენერჯის შენახვის ეს კანონი ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი ცრურწმენების ჯამს. ენერჯის შენახვის ამ კანონის იქით თუ არ განვითარდებიან, მაშინ შემდგომში ეს კანონი სულიერს ჩაახშობს, ვინაიდან ის არის ინტელექტის იმაგინაცია გარეგნულ ბუნებაზე და უარის თქმა მშვინვიერზე.

მშვინვიერით ჩვენ შემდგომშიც შევძლებთ წვდომას, თუ კვლავ განვიმსჭვალებით სულიერით, ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ჭეშმარიტ წვდომას იმისა, რამაც ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისში მსოფლიო განვითარებაში შეაღწია სრულიად ახალი იმპულსის, ქრისტეს იმპულსის სახით. მე უკვე ვახსენე, რომ ის გაიგეს ისე, როგორც შეეძლო მისი გაგება სწორედ ერთ ან მეორე სულიერ ნაკადს. დღეს კი კვლავ ვდგავართ მისი ხელახლა გაგების აუცილებ-

ღობის წინაშე. გარკვეული პერიოდი ის ესმოდათ ისე, რომ თავიდან არ აღიარებდნენ, სიცარიელეში მოქმედი ინტელექტი კვლავ რომ მივიდოდა ახალ სულიერებასთან. მე უკვე გითხარით, რომ ნეოპლატონიზმმა ქრისტე მოათავსა ადამიანის სამშენიველში, რაც ჩვენს დრომდე ჩვევის სახით შემორჩა. გარემოში შეღწევით ქრისტე უნდა გავიაზროთ, როგორც დაკავშირებული გარე სამყაროსთან, ანუ იგი უნდა ჩავრთოთ გარე სამყაროს ევოლუციაში. სწორედ ამისთვის იბრძვის ანთროპოსოფია განსაკუთრებით. – ყველგან არ იყოს საუბარი ქრისტეზე მხოლოდ ფუჭი სიტყვებით, არამედ კვლავ დაინახონ იგი სამყაროს მთელ განვითარებასთან კავშირში. როცა საუბარი ეხება იმას, რომ ეს ნამდვილად წარმოადგენს კოსმიურ მოვლენას, რომ აქ ნამდვილად კოსმიური არსება ჩამოვიდა ადამიანურ სხეულში, ქრისტეში, რომ ასევე, ბოლოს და ბოლოს, მზის სხივი დედამიწის სფეროში ყოველდღიურად ერწყმის დედამიწას, როცა მას მსჭვალავს რაღაც კოსმიური, რომ სულიერ სფეროშიც მიედინება ასეთივე მოვლენები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ესმით, განსაკუთრებით თანამედროვე მეცნიერებს. აუცილებელია, რომ ინტელექტი, რომელიც იქცა ჩრდილად, მაგრამ სწორედ თავისუფალი ადამიანური უნარის წყალობით გახდა გამოყენებადი გარე სამყაროში, სადაც მისი დახმარებით ბევრი რამ მოიპოვეს ბუნებისმეტყველების სფეროში, ეს ინტელექტი ასევე გამოყენებადი გახდეს შინაგან სამყაროშიც. აქედან იწყება იმაგინაციისკენ, ინსპირაციისკენ წინსვლა, აქედან უნდა დაიწყოს ჭეშმარიტი სულიერი შემეცნებისკენ წინსვლაც.

ბუნებისმეტყველების აუცილებლობა მომდინარეობს კაცობრიობის ისტორიული განვითარებიდან, ხოლო ბუნებისმეტყველების არსებობიდან – სულისმეცნიერებისკენ წინსვლის აუცილებლობა. ეს არ არის ახირება, – ჩაუღრმავდე სულისმეცნიერებას ანთროპოსოფიული თვალსაზრისით, არამედ თავად ეს წარმოადგენს განვითარების ისტორიულ ფაქტს. მხოლოდ აუცილებელია, როგორც ითქვა, დააბიჯო თხელ ყინულს, რომ ყურადღება მიაქციო, სადაა დაბრკოლებები. ერთი მხრივ, დაბრკოლებებია მაშინ, როცა გაქვს მაგალითად ენერჯის შენახვის კანონი. არსებობს ორი კანონი, რომლითაც მოისურვეს, XIX საუკუნეში ორგვარად შეეზღუდათ ადამიანური ინტელექტი, გამოყენებინათ მხოლოდ ის,

რაც ცხოვრობს მიწიერ-გრძნობადში, მატერიალურში. ერთი გამოსცა უნივერსიტეტის თანამშრომელთა საერთო საბუნებისმეტყველო მეცნიერულმა კრებამ, ეს იყო ენერჯის შენახვის კანონი. თუ ეს კანონი სწორია, მაშინ ადამიანური შემეცნება სულისა და თავისუფლების შემეცნებისკენ ვერ განვითარდება, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა შევჩერდეთ მარტოოდენ ავტომატურ აუცილებლობაზე და დავრჩეთ მხოლოდ მშვინვიერში, რომელიც თანდათან ხდება ჩრდილივით. გარდა ამისა, უნდა გავიდეთ იმის ფარგლებს მიღმა, რაც უკვე დაადგინა 869 წელს კონსტანტინოპოლში მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებამ.

ჩვენ წინაშეა ორი კრება: ერთი, გამომდინარე საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდიდან. მეორე – სრულიად საპირისპიროა პირველის, რომელმაც 1870 წელს განმარტა პაპის ტახტის უცოდველობა, როცა ის საუბრობს ავტორიტეტულად (*ex cathedra*). შემეცნების მისაღწევად უკვე აღარ მიმართავ სულიერს, არამედ რომის პაპს – ეს არის ის, ვინც ავტორიტეტულად წყვეტს რა უნდა იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, როგორც სანიმუშო კათოლიკური სიკეთე. აქ, სულიერი სიმაღლეებიდან დედამიწაზე, მატერიალურში, ჩამოაქვთ გადაწყვეტილება ჭეშმარიტებასა და ცდუნებაზე. როგორც ჩვენი შემეცნება ჩაეფლო ენერჯის შენახვის კანონის მეშვეობით მატერიალიზმში, ასევე უცოდველობის შესახებ დოგმის მეშვეობით სულიერში ადამიანის ცოცხალი განვითარება ჩაეფლო მატერიალიზმში. ორივე ერთი მთლიანობაა, ორივე დგას, როგორც ჩრდილოეთი და სამხრეთ პოლუსი.

თუმცა კაცობრიობის განვითარების დროს გეჭირდება თავისუფალი სულიერება. მეუფე უნდა იყოს თავად სულიერი და ადამიანმა უნდა იპოვოს საკუთარი გზა სულიერში. ამიტომ გეჭირდება აღმასვლა სულიერისკენ, რათა, ერთი მხრივ, განვთავისუფლდეთ იმ მარცხისგან, რომელიც განიცადა სულმა იმის გამო, რომ დადგინდა ენერჯის შენახვის კანონი და ასევე მეორე მარცხისგან, რომელიც მან განიცადა იმის შედეგად, რომ მთელი რელიგიურობა მატერიალისტური გახდა, როცა რომმა დედამიწაზე გაავრცელა დადგენილება ჭეშმარიტებასა და სიცრუეზე. ის, რომ დღეს სულისკენ გზის გაკვალვა არც ისე იოლია, გასაგებია, ვინაიდან სამყარო მთლიანად განმსჭვალულია ქარაფშუტობით და თავისი ქა-

რაფშუტობით საკუთარ თავზე მაღალი აზრისაა. იგი საქმეებს წყვეტს ავტორიტეტების მეშვეობით, მაგრამ ავტორიტეტები ამას ზოგჯერ საკმაოდ თავისებურად აკეთებენ. აქ, ცოტა ხნის წინ წავიკითხე სტატია, რომელიც დაწერა მეზობელ ქალაქში მცხოვრებმა პროფესორ-მასწავლებელმა*, რამდენადაც ადგილობრივმა გახეთმა მას სთხოვა, ავტორიტეტული აზრი გამოეთქვა ანთროპოსოფიაზე. ამ სტატიაში პროფესორმა ბევრი რამ დაწერა. გარდა ამისა, მასში არის ერთი გასაოცარი წინადადება. საუბარია იმაზე, რომ სულიერი სამყაროს აღწერისას მე ვამტკიცებ, რომ ამ სულიერ სამყაროში შეიძლება დაინახო, როგორ გადაადგილდებიან სულიერი არსებები ისევე თავისუფლად, როგორც სკამები და მაგიდები ფიზიკურ სივრცეში. რას იზამ, ეს არის ტრაუბეს ლოგიკა! მაგიდებისა და სკამების ფიზიკურ სივრცეში მოძრაობის დანახვას მე იმაზე მეტად არ ვისურვებდი, როგორც ავტორის სულიერი მდგომარეობის გამოკვლევას იმ მომენტში, როცა ის წერდა ასეთ წინადადებას! თუმცა დღეს ჟურნალისტები სწორედ ასეთი სულიერი წყობის ადამიანებს მიმართავენ, როცა სურთ სულისმეცნიერებაზე საკითხის ავტორიტეტულად გადაწყვეტა. და მაინც, ზოგჯერ ადამიანები ძალზე უცნაურები არიან. მაგალითად, ერთის სახელია ლაუნი. რამდენადაც მე ხვალაც უნდა წავიკითხო მოხსენება, ამიტომ გუშინ უკვე წავიკითხე ლაუნის ეს წიგნი. მე საკუთარ თავს დავუსვი კითხვა: „მაინც რატომ ამბობს ლაუნი ასეთ სისულელეს?“. მე ვთვლიდი საკუთარ თავს არასწორად იმის გამო, რომ საერთოდ არ ვუსმენდი ადამიანების არანაირ საუბრებს; ეს იყო რაღაც სრულიად ამაო. ცხადია, ერთხელაც წავიკითხე ძალზე უცნაური წინადადება, რომელიც *დაახლოებით ასე ელერდა**, – აქ არ მაქვს ზუსტი ტექსტი: – ცხადია, ეს სწორია, რომ კათოლიკე, როცა მან უნდა იმსჯელოს ანთროპოსოფიაზე, გამოიყურება, როგორც ადამიანი, რომელმაც შეუძლებელია რაიმე იცოდეს ანთროპოსოფიაზე. ეს სიტყვასიტყვით ასე წერია. შეიძლება, ნამდვილად ირწმუნო კიდევ ლაუნის კანონიკა, ვინაიდან მაშინ იგი საუბრობს აბსოლუტურად სწორად: დიახ, ეს ხომ თავისთავად ცხადია, რომ კათოლიკემ შეუძლებელია, რაიმე იცოდეს ანთროპოსოფიაზე, რამდენადაც 1919 წლის 18 ივლისიდან ქრისტიანებს აკრძალათ წიგნების კითხვა. მათ არ ეკრძალებათ საწინააღმდეგო აზ-

რის წერა გაზეთის მეშვეობით, მაგრამ ეკრძალებათ სწორედ წიგნების კითხვა! – ასე ხომ შეიძლება საერთოდ არაფერი იცოდეთ. მართლაც, არსებობენ უცნაური ადამიანები.

ეს სწორედ მეორე პოლუსია, არსებობაა იმისა, რაც მივიდა საკუთარი თავის რაღაც სრულიად პასიურ მიძღვანაძე ოღონდ არა სულიერის, არამედ რაღაც ძალზე საეროსი, რაც მთლიანად მატერიალურ სამყაროში არსებობს. ამდენად, შეიძლებოდა ბევრი რამის მოყოლა. თუ მოისურვებ, ოდნავ მაინც ასახო ჩვენი დროის კულტურულ-ისტორიული ზნეობრიობა, მაშინ იპოვი უამრავ სანდო დოკუმენტს. მაგრამ მე მსურს მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანა. აქ ერთ საგაზეთო სტატიაში* გიოტინგენიდან განხილულია საშიში ყაღბი სწავლება – თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორია ის. მაგრამ აშკარად იმის იმედი აქვთ, რომ ამის მკითხველს საერთოდ არაფერი წაუკითხავს, არსებითად კი რაიმე ჭეშმარიტიც კი არ წაუკითხავს იმაზე, რაც იქ არის განხილული. ამიტომ ადგენენ მინაწერებს თოთხმეტი სტროფისგან და ამ თოთხმეტი სტროფში განხილავენ – ანთროპოსოფიას და სამწვერიანობას. მე თავს არ შეგაწყენთ ანთროპოსოფიის განხილვით და წაგიკითხავთ მხოლოდ ბოლო წინადადებას იქიდან, სადაც საუბარია სამწვერიანობაზე: „მოძრაობა ისწრაფვის კაცობრიობის შესაძლო უფრო მაღალი განვითარებისკენ. მან ასევე განსაზღვრა საკუთარი წარმოდგენები სახელმწიფოს მოწყობასთან დაკავშირებით. მას სურს რაღაც დაყოფა სამეურნეო, ფინანსურ და კულტურულ სახელმწიფოდ!“. აქ თქვენ გაქვთ სამწვერიანობა: სამეურნეო, ფინანსურ და კულტურულ სახელმწიფოში! ამდენად, თქვენ ხედავთ, რომ ასე ცდილობენ იმათ ინფორმირებას, რომლებსაც შემდეგ მიმართავენ ასეთი კრიტიკით და ამ სახით შეუძლიათ მათი ინფორმირება. წერენ ასეთ სტატიას და ამავე დროს მას ურთავენ შენიშვნებს, რომლის წყალობითაც აღმოჩნდები ესოდენ ინფორმირებული! ეს კი უკვე დამაბრკოლებელია: ის, რაც ერთი მხრივ, სათანადო იმპულსის სახით მომდინარეობს მსოფლიო-ისტორიული განვითარებიდან და რაც, მეორე მხრივ, მომდინარეობს საკუთრივ აზროვნების საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდებიდან, რომელიც, შეიძლება ითქვას, მთლიანად გარდაიქმნა მის საპირისპიროში, ენერჯის ანუ ძალის მუდმივობის კანონში, – აქ უკვე ნამდვილად აუცილებელია, ვისწრაფოთ სულიე-

რი სამყაროს შემეცნებისკენ. ბევრი რამ აღუდგება წინ ამ სამუშაოს, რომელიც ისწრაფვის სულიერი სამყაროს ცნობიერად დაუფლებისკენ. ამ სამუშაოს გაწევა აუცილებელია, მაშინაც, თუ მოწინააღმდეგემ გარკვეული დროით მიიღო ძალაუფლება გათელის იგი, საჭიროა მისი კვლავ აღორძინება, ვინაიდან უნდა ვისწავლოთ ისტორიიდან, რამდენადაც ამ ისტორიიდან უნდა ვისწავლოთ არა მარტო საუბარი, არამედ ასევე ვისწავლოთ, გავამხნევოთ საკუთარი ნებელობა, გავათბოთ საკუთარი გულები! თუ ისტორია ჩვენზე ასე იმოქმედებს, მაშინ ის გვაჩვენებს, რითი უნდა შევავსოთ ჩვენი საქმეები, რა უნდა შეიჭრას სულიერში, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ და სამეურნეოში, როგორც სულიერება.

აი, ყველაფერი ის, რაც მსურდა, დამატებით დასკვნის სახით მეთქვა. უპირველეს ყოვლისა, მინდოდა თქვენთვის ობიექტურად წარმომედგინა, როგორ ამოიზრდება კაცობრიობის განვითარების მსგელობიდან ბუნებისმეტყველება, რომ სწორედ ამის წყალობით მსურს, დასასრულს დამატების სახით მოგაწოდოთ, რომ გაიცნობიეროთ ჭეშმარიტი ისტორიის და არა რაღაც აგნოსტიკური ისტორიის, რომელიც ჩვენ განვიცადეთ XIX საუკუნეში, სწავლება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ჩვენ ვართ ადამიანები, ჩვენ უნდა ვისწრაფოთ სულიერი შემეცნებისკენ!

ლექციების მოცემული ციკლი გოეთეანუმში წაკითხულ იქნა სამების დღესასწაულთან დაკავშირებულ კონფერენციაზე. წამოწყებას ბიძგი მისცა ინგლისურ ენაზე ბარონ არილდ როხენკრანცის მოხსენებამ თემაზე – „თანამედროვე მხატვარი და გოეთეანუმი“. რუდოლფ შტაინერის გამოსვლებს მოჰყვა რომან ბოოსისა (ტომიზმზე) და ალბერტ შტეფენის მოხსენებები. სადამოლობით ტარდებოდა მხატვრული წარმოდგენები (რეციტაცია, ევვრითიმია, მუსიკალური გამოსვლები).

შტუტგარტში ოთხი ლექცია წაკითხული იყო „თავისუფალი ანთროპოსოფიული უმაღლესი სკოლის“ კურსის ფარგლებში; უმაღლესი სკოლის კურსი, – ასეთია განცხადება 1921 წლის 2 სექტემბრისთვის, – ემსახურებოდა იმას, რომ „საზოგადოებისა და სტუდენტებისთვის წარმოდგენილი იქნეს ანთროპოსოფიულად ორიენტირებული სამეცნიერო მუშაობის შედეგები“. პირველ სემესტრში, 1920/1921 წლის ზამთარში, ჩაეწერა 282 მსმენელი, მათ შორის 90 სტუდენტი. როგორც მითითებულია შემდგომ უწყებებში, „განხილული იყო თემები: მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ფსიქოლოგიის, ასევე სოციალური და ეკონომიკური, ისტორიული, მხატვრული, ლიტერატურული, ფილოსოფიური და ანთროპოსოფიური – ყოველკვირეულად დაახლოებით 22 საათი“.

მოცემულ ტომში შემოთავაზებულ მოხსენებებს, რომლებიც რუდოლფ შტაინერმა წაკითხა 1921 წლის მაისში, ლაიტმოტივის სახით საფუძვლად უდევს აზრი, რომ უძველესი დროიდან ადამიანებისა და ხალხების მშენიერი განწყობის ზუსტი ცოდნის გარეშე შეუძლებელია, მივალწიოთ თანამედროვე ბუნებისმეტყველების განვითარების ყოვლისმომცველ გაგებას. იხ. ასევე იურგენ ფონ გრონის უწყება შტუტგარტის მოხსენებებზე ყოველკვირეულ ჟურნალში „სოციალური ორგანიზმის სამწვერვიანობა“. № 49, 1921 წლის 7 ივნისი.

დორნახის ორივე ლექცია ჩაწერილია პროფესიონალი სტენოგრაფისტის კელენ ფინკის მიერ. შტუტგარტის მოხსენებების სტენოგრაფისტი უცნობია. 21 და 22 მაისის მოხსენებები რედაქტირებულია რუდოლფ შტაინერის მიერ.

თარგმანი შესრულებულია 1989 წლის გამოცემის მიხედვით. რუდოლფ შტაინერის შრომები შესულია კატალოგში (GA), შესაბამისად მითითებულია ბიბლიოგრაფიის ნომერი.

გვ. . .

8. *კოეთანუმში* – აქ იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, ორივე ანთროპოსოფიული „კურსი უმაღლესი სკოლისთვის“: 1920 წლის შემოდგომაზე და 1921 წლის აპრილში. პირველი კურსიდან რუდოლფ შტაინერის მოხსენება შესულია ტომში „ბუნების შემეცნების საზღვრები“, GA 322, მეორე კურსის მოხსენებები – ტომში „ანთროპოსოფიის გამანაყოფიერებელი ზემოქმედება სოციალურ მეცნიერებებზე“, GA 76.

ლეოპოლდ ფონ რანკე – 1795-1886, ისტორიკოსი და ფილოლოგი. რანკემ, პირველწყაროსადმი მის მიერ განვითარებული კრიტიკული მიდგომით, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვანი საფუძვლები შექმნა. მისი შრომებია: „გერმანული ისტორია რეფორმაციის ეპოქაში“ (1839/47); „რომის პაპები, მათი ეკლესია და სახელმწიფო XVI და XVII სს.“ (1834/1839) და „პრუსიის ისტორიის თორმეტი ტომი“ (1874).

11. *სენ-სიმონი* – სენ სიმონ კლოდ ანრი, გრაფი, 1760-1825; სოციალური რეფორმატორი; არაერთხელ მიაკუთვნეს სოციალ-უტოპისტებს.

17. *დე მეესტრი* – ჟოზეფ მარი დე მეესტრი, გრაფი, 1754-1821; საჯარო ფილოსოფოსი და ეკლესიის აბსოლუტიზმის ინიციატორი. დაწერა „პაპებზე“, მიუნხენი 1923 წელი და სხვ.

ჟონ ლოკი – 1632-1704, ლორდ ემლი კუპერის აღმზრდელი და სამედიცინო კონსულტანტი, მოგვიანებით გრაფი შაფტესბერის თანამედროვე ემპირიზმის მთავარი წარმომადგენელი.

19. *აუგუსტე კომტე* – 1798-1857, ფრანგი ფილოსოფოსი, პოზიტივიზმისა და სოციოლოგიის ფუძემდებელი.

20. *ქუეცლი* – ლამბერტ ქუეცლი, 1769-1874, ბელგიელი ასტრონომი და სტატისტიკოსი; მეცნიერული სტატისტიკის დამაარსებელი.

21. *პერბერტ სპენსერი* – 1820-1903, ინგლისელი ფილოსოფოსი; *ნიცშე* – ფრიდრიხ, 1844-1900, ფილოსოფოსი, „ხედავამიანის“ პრობლემაზე იხ. მისი ნაწარმოები: „ასე ამბობდა ზარატუსტრა“. იხ. ასევე რუდოლფ შტაინერის „ფრიდრიხ ნიცშე,

საკუთარი ეპოქის წინააღმდეგ მებრძოლი“, GA 5, და „ფილოსოფიის გამოცანები“, GA 13.

21. *კარლ მარქსი* – 1818-1883; მეცნიერული სოციალიზმის დამაარსებელი.

22. *ბაკლე* – 1821-1862; პენრი ტომას ბაკლი, ინგლისელი, კულტურის ისტორიკოსი.

23. *ფიხტე*, – იოჰან გოტლიბ ფიხტე, 1762-1814; ფილოსოფოსი. იხ. რუდოლფ შტაინერი „ფილოსოფიის გამოცანები“, GA 18.

შელინგი, – ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ შელინგი, 1775-1854; ნატურფილოსოფოსი და რელიგიის ფილოსოფოსი.

ჰეგელი, – გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, 1770-1831, გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალიზმის წარმომადგენელი.

ბენჯამინ კიდი, – 1894 წელს გამოცემული მისი „სოციალური ევოლუცია“, ცდილობს, ბიოლოგია მიუსადაგოს სოციოლოგიას და ასხნას გონი, როგორც ეგოისტური ელემენტი, რელიგია კი, თავისი არსით, როგორც ირაციონალური, უანგარო და პროგრესული ელემენტი ადამიანთა საზოგადოებაში. იხ. „პოლიტიკისა და კულტურის ანალები“ (1492-1899), კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 1901.

ჰეკსლი, – თომას ჰენრი ჰეკსლი, 1825-1895; ბრიტანელი ზოოლოგი და ფილოსოფოსი.

რასელი, – ჯონ რასელი, 1792-1878; ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე.

უოლესი, – ალფრედ უოლესი. 1823-1913; ბრიტანელი ბუნებისმეტყველი.

29. *გალილეი* – გალილეო, 1564-1642; იტალიელი ფიზიკოსი.

კოპერნიკი – ნიკოლაი, 1473-1543; ასტრონომი, კანონიკოსი.

ნიკოლაი კუზანელი, 1401-1464; ფილოსოფოსი, კარდინალი.

30. *კონსტანტინე* – ფლავიუს ვალერიუს კონსტანტინე დიდი, დაიბადა ნაისუსში (დღევანდელი ნიში, სერბეთი) დაახ. 288 წ., გარდაიცვალა 337 წ. ქრისტეშობის შემდგომ, რომის იმპერატორი.

იულიანე აპოსტასი (განდვომილი) – 332-363 წწ.; კონსტანტინე დიდის ძმისწული, 361-363 წწ. რომის იმპერატორი.

32. *ავგუსტინე* – ავრელიუსი, 354-430 წწ.; ეკლესიის მამა. აბროსიუსის მეშვეობით მოექცა ქრისტიანად, 387 წლის აღდგომა დღეს. ასწავლიდა, რომ ადამიანს არ ჰქონდა სიკეთის

უნარი (თანდაყოლილი ცოდვა), ასევე წინასწარ განსაზღვრულობას.

33. *მანუ* – (Manes), აღმოსავლური წყაროების მიხედვით დაიბადა დაახ. 215/216 წ. მარდინიეში (ბაბილონი), ბარამ I-ის დროს ჯვარს აცვეს დაახ. 273 წ. გონდიშაპურში. I საუკუნის ბერძნული წყაროების მიხედვით „Acta Archela“-ში (დაუმოწმებელია).

36. *ვულფილა* – ულფილასი, 310-383; გოთელი ეპისკოპოსი.

48. *არიანული* – არიუსი (Arius), გარდაიცვალა 336. ნიკეის კრებამ 325 წელს მისი მოძღვრება უარყო.

51. *არისტოტელე*, 384-322 წწ. ქრისტეშობამდე.

იერონიმუსი – (Hieronymus), დაახ. 347-420, ეკლესიის მამა. წერდა და ამუშავებდა ვულგატას (Vulgata) ლათინურად თარგმნილ ბიბლიას.

52. *დონატისტები*: – ქრისტიანული გამთიშავი სექტა, სახელი ეწოდა დონატუს დე გრ., კართაგენელი (313 წელი ქრისტეშობის შემდგომ) ეპისკოპოსის სახელის მიხედვით. მოძრაობა შეერწა პუნირების (Punier) სოციალურ-რეგოლუციურ აჯანყებას ჩრდილო აფრიკულ პროვინციაში, 345 წლამდე. 414 და 415 წლებში დონატისტები ერეტიკოსებად შერაცხეს, თუმცა აფრიკაში VII საუკუნემდე შენარჩუნდნენ.

52. *პელაგიანელები*: – თეოლოგიური მიმართულება, რომელიც რომის კათოლიკურმა ეკლესიამ IV საუკუნეში გაასამართლა, როგორც ერეტიკული; სახელი ეწოდა ბრიტანელი მონარქის პელაგიუსის (Pelagius) მიხედვით, რომელიც დაახ. 400 წელს ცხოვრობდა რომში და მიიღო პელაგიანიზმი: ნებისმიერს შეუძლია ხსნა საკუთარი ძალით. თანდაყოლილი ცოდვის უარყოფა.

54. *ბონიფაციუს* – (ვინფრიდი), ანგლოსაქსი, დაიბადა დაახ. 673 წ. ვესექსში (Wessex), გარდაიცვალა 754 წ. ფრიზების ქვეყანაში. ფრიზების მისიონერი, ტიურინგიაში, ჰესენში. ეპისკოპოსი.

56. *კარლ დიდი* – 742-814, მეფობდა 768 წლიდან. როგორც ფრანდონიის მეფემ, 800 წელს აღადგინა რომის საიმპერატორო ძალაუფლება.

„*პელიანდი*“ – (სახელწოდება შმელერის მიხედვით, 1830), ძველი საქსონური პოემა ქრისტეს ცხოვრებაზე, IX საუკუნე.

57. *დანტე*, – ალიგიერი, 1265-1321. მისი მასწავლებელი ბრუნეტო ლატინი დაიბადა 1210-1230 წლებს შორის, გარდაიცვალა 1294 წ.

59. *იაკობ ბიომე*, – 1575-1624, მისტიკოსი.

პარაცელსი, – თეოფრასტოს ფონ ჰოპენჰაიმი, 1493-1541, ექიმი და ბუნებისმეტყველი. სამკურნალო საშუალებებზე ახალი სწავლების დამაარსებელი.

იუსტინიანე I, – აღმოსავლეთ რომის იმპერატორი 527-565 წლებში, 529 წელს ათენში დახურა ფილოსოფიური სკოლა.

ორიგენი, – 185-254, ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანი თეოლოგი.

გონდიშაპურთ: – ქალაქი და აკადემია სასანიდების სპარსეთში, რომელიც იყო ბერძენი ფილოსოფოსების თავშესაფარი, დასავლეთიდან მათი განდევნის შემდეგ, 529 წ. მანამდე, შაპურ I-ის (242-273) დროს, მანის თავშესაფარი, ბრახმე I-ის (274-277) დროს კი, მისი სიკვდილის ადგილი და ბოლოს, მანიქეელებისა და მათი მოძღვრების ამოწყვეტის ცენტრი 303 წლიდან თითქმის 640 წლამდე, სპარსეთში არაბების ბატონობამდე.

60. *არაბიზმი*: – ისლამისა და არაბული კულტურის გავრცელება აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში 630 და 711 წლებს შორის ქრისტეშობის შემდეგ. ამასთან ერთად შემოდის ევროპაში არისტოტელეს ფილოსოფია.

61. *ბოჰემიის საძმო*, – ქრისტიანული სექტა, საძმო ცდილობდა, განეახლებინა ცხოვრების წესი მოციქულების მაგალითზე.

ჰონ ვიკლიფი, – 1328-1384, ინგლისში 1378 წელს დაიწყო წინარე რეფორმატორული მოძრაობა, რომელიც იქ ჩაახშვეს, თუმცა გადმოიღეს ბოჰემიაში მეშვეობით.

იან პუსი, (1369-1415)

62. *ალბერტ მაგნუსი*, (დიდი) გრაფი ფონ ბოლშტედტი, 1193-1280, ფილოსოფოსი, თეოლოგი, ბუნებისმეტყველი, დომინიკანელი, თომას აქვინელის მასწავლებელი, არისტოტელეს შრომების კომენტატორი.

თომას აქვინელი, 1225-1274; დომინიკანელი, ეკლესიის მამა, იხ. რუდოლფ შტაინერის „თომას აქვინელის ფილოსოფია“, GA 74.

64. „ვისაც ბუნება...“, გოთე, „მაქსიმები და რეფლექსიები“, თავი „ხელოვნება“.

„მშენიერება...“, იქვე.

„მან დაწერა ასეთი სიტყვები...“ „ხელოვნების ეს დიდებული ნაწარმოებები ადამიანებმა შექმნეს ჭეშმარიტ და ბუნების კანონებთან შესაბამისობაში, ამავდროულად, როგორც ბუნების უღიადესი ქმნილებები: ყოველივე თავისუფალი, წარმოსახვითი ერთმანეთს ემთხვევა. აქ არის აუცილებლობა, აქ არის ღმერთი“. იტალიური მოგზაურობა (2), რომი, 1787 წლის 6 სექტემბერი.

65. *ემილ დუ ბოის-რეიმონდი*, 1818-1896. ცნობილი ციტატა: „Ugnorabimus et Ugnorabimus“. ამაზე საუბარი ორ მოხსენებაში: „ბუნების შემეცნების საზღვრებზე“, 1872; და „სამყაროს შვიდი გამოცანა“, 1880.

66. *რიხარდ ვაგნერი*, 1813-1883, გერმანელი კომპოზიტორი.

69. *წინა ლექციებში*, – ასე მაგალითად, 1921 წლის 26 იანვარი, მოხსენებაში „ადამიანის პასუხისმგებლობა კაცობრიობის განვითარებისთვის“, GA 203. ფილოსოფიაზე 76 თანამედროვე ისტორია, რომელიც გამოიცა დიდ წიგნად: „ფილოსოფიის საყოველთაო ისტორიები“, შესულია კრებულში: თანამედროვეობის კულტურა. გამოცემული ლაიპციგსა და ბერლინში, 1913 წ.

72. *ვილჰელმ გუნდტი*, 1832-1920; ექიმი, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი.

74. *ჰერმან გრიმი*, 1828-1901; ხელოვნებათმცოდნე და ლიტერატორი, ვილჰელმ გრიმის შვილი.

პერიკლე, დაახ. 500-429 წწ. ქრისტეშობამდე, ათენელი სახელმწიფო მოღვაწე.

ალკიბიადე, დაახ. 450-404 წწ. ქრისტეშობამდე, ათენელი სახელმწიფო მოღვაწე.

სოკრატე, დაახ. 469-399 წწ. ქრისტეშობამდე, ბერძენი ფილოსოფოსი.

პლატონი, 427-347 წწ. ქრისტეშობამდე, ბერძენი ფილოსოფოსი.

ესქილე, 525-456 წწ. ქრისტეშობამდე, ბერძენი დრამატურგი.

სოფოკლე, 496-406 წწ. ქრისტეშობამდე, ბერძენი დრამატურგი და პოეტი.

76. *საგნობრივი ცნობიერება*, იხ. რუდოლფ შტაინერი, „თავისუფლების ფილოსოფია“, (1894), GA 4, და „გოეთეს მსოფლმხედველობის შემეცნების თეორიის ძირითადი მიმართულებები“, (1886), GA 2.

ჩემს წიგნებში, – იხ. რუდოლფ შტაინერი: „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“ (1904/05), GA 10 და „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“ (1910) GA 13.

80. *ჰერდერი*, – იოჰან გოტფრიდი, 1744-1803. სპინოზას მიმართ თავისი პატივისცემა, სადაც მან საკუთარი თავი იგრძნო გოეთესთან ერთიანობაში, მან გამოხატა საუბრებში, რომელიც გამოაქვეყნა 1787 წელს სათაურით „ღმერთი“.

სპინოზა, – ბენედიქტ (ბარუხ), 1632-1677. რუდოლფ შტაინერი აქ გულისხმობს განსაკუთრებით სპინოზას „ეთიკას“, რომელიც დამატებით გამოქვეყნდა 1677 წ.წ.

81. *გოეთე ღრმად გრძნობდა*: – იხ. „პოეზია და ჭეშმარიტება“.

82. *„მე ვფიქრობ...“* – „მე ვფიქრობ, რომ ისინი მოქმედებდნენ იმავე კანონებით, რომლითაც მოქმედებს ბუნება და რომლის კვალსაც მე მივაგენი“ – იტალიური მოგზაურობა, რომი. 1787 წლის 28 იანვარი.

84. *სამყაროს საიდუმლოებს*: – გოეთეს ჰიმნი პროზაში „ბუნება“ (ავტორისტული), დაახ. 1780 წ. გოეთე „ბუნების მეცნიერება I. თხზულებები“, ტ. 2, გამოიცა რუდოლფ შტაინერის რედაქციით.

103. *დღეს ჩვენ როგორადაც ვსაუბრობთ სამწვერა ადამიანზე*: – იხ. რუდოლფ შტაინერი „სამშვინგელის გამოცანებზე“ (1917), GA 21.

104. *ძველსპარსული კულტურა*, – ატლანტიდის შემდგომი მეორე კულტურული პერიოდი. იხ. რუდოლფ შტაინერის „იდუმალთმეტყველების ნარკვევი“, GA 13. თავი: „სამყაროსა და ადამიანის განვითარება“.

107. ... *ვლინდება ავესტაში*, – ზარატუსტრას ლიტერატურა ირანულ ენაზე, შეკრებილი სასანიდების მეფობის დროს ქრისტეს შემდგომ 200 წლის შემდეგ. მომდინარეობს ირანიდან და უბრუნდება უძველეს ათასწლოვან ტრადიციებს.

108. ... *პირამიდების მშენებლობა*: – ყველაზე ძველი პირამიდა – მეფე დიოსერის (Dioser) საფლავზე დადგმული ძეგლი, დაახ. 2650 წ. ქრისტემდე, საქარაში (Sakkara).

108. *მენესის დრომდე*. – მენესი, ეგვიპტის ყველაზე ძველი, ისტორიულად ცნობილი მეფე, 2850 წ. ქრისტემდე. ის აერთიანებს ქვედა და ზედა ეგვიპტეს. 1 და 2 დინასტიები ითვლება 2850-2650 წწ. ქრისტემდე.

110. *ჰამურაბი* – 1728-1686 წწ. ქრისტემდე. ბაბილონის მეფე.

111. *ჰომეროსი* – ქრისტემდე IX საუკუნის ბერძენი პოეტი, „ილიადა“ და ოდისეას“ ავტორი.

112. *აქილეუსი* – პელეუსისა და ფეტისის ძე, საბერძნეთის უდიდესი გმირი ტროასთვის ბრძოლაში.

ჰექტორი – პრიამოსისა და ჰეკაბეს ძე, დაიღუპა აქილეუსთან მეორე ბრძოლაში.

ესქილე – 525-456 წწ. ქრისტემდე, ბერძნული ტრაგედიის კლასიკოსი.

113. *კეისარი*, – გაიუს იულიუსი, 102-44 ქრისტეშობამდე, რომაელი მთავარსარდალი და პოლიტიკოსი.

114. *ოსვალდ შპენგლერი*, – 1880-1936, ისტორიისა და კულტურის ფილოსოფოსი „დასავლეთის დაისი“, ორი ტომი (1918/1922).

115. ... *ოთხი საუკუნე* – მოსხენების კონსპექტის გადახედვისას რუდოლფ შტაინერმა ეს ფრაგმენტი გადახაზა.

119. *გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომების მესამე ტომი*: – გამოქვეყნდა 1890 წ. კიურშნერის გამომცემლობაში, „Deutsche National-Literatur“. სრული სტერეოტიპული გამოცემა, დორნახი 1975, GA Ia-e. რუდოლფ შტაინერის სრულ გამოცემაში იხ. ცალკე ტომი: „გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომების შესავალი“, GA I.

121. *გუნდტი*, – იხ. შენიშ. 52.

122. *ალფრედ იერემიასი*, – 1864-1935, ევანგელისტი თეოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე. მიუთითებს ბაბილონის გავლენას ანტიკური ხანის აზროვნებაზე.

123. *თაღესი*, – დაახ. 640-547 წწ. ქრისტეშობამდე, ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი.

პერაკლიტე, – დაახ. 500 წწ. ქრისტეშობამდე, ბერძენი ფილოსოფოსი ეფესოდან.

ანაქსიმენი, – 588-524 წწ. ქრისტეშობამდე, ბერძენი ფილოსოფოსი.

ანაქსაგორა, – 500-428 წწ. ბერძენი ფილოსოფოსი კლაზომენადან, მცირე აზიაში. ცხოვრობდა ათენში.

123. *ფრიდრიხ ნიცშე*, – ნიცშეს „საბერძნეთის ტრაგიკული ეპოქის ფილოსოფია“ მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ბოლო რედაქცია 1876 წ.

პიპოკრატი, – 460-377 წწ. ქრისტეშობამდე. ბერძნული მედიცინის დამაარსებელი, პლატონის თანამედროვე.

126. *ქრისტიანიაში, ხალხთა სამშინველის შესახებ მოხსენებების დახურულ ციკლში*: – „ცალკეულ ხალხთა სამშინველების მისია ჩრდილო-გერმანულ მითოლოგიასთან კავშირში“, GA 121.

127. *ცეცხლმოკიდებული ეკლის ბუნქის ხილვა მოსეს მიერ*: – მოსეს II წიგნი, მე-3 თავი.

პლოტინი, – 205-270 წწ. ბერძენი ფილოსოფოსი, ამონიუს საკასის მოწაფე. ნეოპლატონიკოსი.

იამბლიხუსი, – გარდაიცვალა დაახ. 330 წ. ქრისტეშობის შემდგომ. ნეოპლატონიკოსი.

ამონიუს საკასი, – დაახ. 175-242 წწ. ქრისტეშობის შემდგომ – ნეოპლატონიკოსი.

128. *დემოკრიტე*, – დაახ. 460-370 წწ. ქრისტეშობამდე. ბერძენი ფილოსოფოსი.

ვიღონ ალექსანდრიელი, – დაახ. 25 წ. ქრისტემდე, 50 წ. ქრისტეს შემდგომ. იუდეველი ფილოსოფოსი, ლოგოსზე სწავლება დააკავშირა იუდეველურ თეოლოგიასთან.

131. *ტერტულიანე*, – ქვინტუს სეპტიმუს ფლორენსი, დაიბ. დაახ. 160 წ. კართაგენში, გარდ. დაახ. 222 წელს ქრისტეშობის შემდგომ. უხუცესი მწერალი-ღვთისმეტყველი. შექმნა ლათინური საეკლესიო ენა, გავლენას ახდენდა ძველ დოგმატიკაზე. იყო იურისტი, ქრისტიანად მოექცა 190 წელს. აპოლოგეტური, ეთიკური და თეოლოგიური თხზულებების ავტორი.

დიოკლეტიანე, – 243-313 წწ. ქრისტეშობის შემდგომ. 284-305 წწ. რომის იმპერატორი. 286 წ. იმპერიის დაყოფა: დასავლეთ რომი, აღმოსავლეთ რომი.

132. *პალადიუმი*: – ათენა პალადის ხის ქანდაკება „რომლის დაუფლებასაც უკავშირებდნენ ტროას წარმატებასა და ძალაუფლებას“, ოდისევსისა და დიომედეს წყალობით ხელში ჩაიგდეს ტროას ომში და საბოლოოდ ჩაიტანეს რომში.

134. *რეალიზმი და ნომინალიზმი*: – იხ. რუდოლფ შტაინერი „ფილოსოფიის გამოცანები“ და ვინსენტ კნაუერის „ძირითადი მიმართულება არისტოტელე-სომისტიკის ფსიქოლოგიაში“.

136. *ფრანც ბრენტანო*, – 1838-1917, ფილოსოფოსი.

137. *თხზულება არისტოტელეზე* – „არისტოტელეს ფსიქოლოგია“, მაინცი 1867.

ფრანც ბრენტანომ წაიკითხა...: – 1889 წლის 23 იანვარს წაიკითხა მოხსენება ვენის იურისტთა საზოგადოებაში „ჭეშმარიტისა და ზნეობრივისთვის ბუნებრივ მოწონებაზე“, რომელიც გამოიცა სათაურით „ზნეობრივი შემეცნების წყაროზე“, ლაიპციგი, 1889.

139. *პომპეუსი*, – 106-48 წწ. ქრისტემდე, რომის სახელმწიფო მოღვაწე და მთავარსარდალი.

140. *მაქსენტიუსი*, – მ. ავრელიუსი, 306-312 წწ. რომის იმპერატორი, 312 წლის 28 ოქტომბერს მისმა თანაკეისარმა (Milkaiser) კონსტანტინემ დაამარცხა მილვიშის ხიდთან, გაქცევისას დაიხრჩო ტიბრში.

მონტე კასინო: სააბატო. მთა ქალაქ კასინოსთან. ბენედიქტელების სააბატო, დაარსდა 529 წ. მთელი დასავლეთის კათოლიკური სააბატო.

142. *ფაუსტუსი*, – (Faustinus), მანიქეელი ეპისკოპოსი, აგუსტინეს მოწინააღმდეგე, დაიბ. დაახ. 350 წ. ქრისტეშობის შემდგომ მილვეში, ჩრდილოეთ აფრიკა.

150. *დაწერილებით გადმოვეცი დორნახში...:* – რუდოლფ შტაინერი ეყრდნობა 15 და 16 მაისის მოხსენებებს – ამ ტომის პირველ ორ მოხსენებას.

152. *იოჰან კეპლერი*, – 1571-1630, პლანეტათა მოძრაობის კანონების პირველადმოძიენი.

153. *მსოფლიოს მერვე საეკლესიო კრება კონსტანტინოპოლში*, – მოწვეულ იქნა 869 წელს პაპის, ადრიანე II დროს. კრების მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც მოჰყავს რუდოლფ შტაინერს, მიმართულია ფოტიუსის (Photius) შეხედულებების წინააღმდეგ.

154. *ფრიც მაუტნერი*, – 1849-1923, თეატრალური კრიტიკოსი და სატირიკოსი. მწერალი.

დავიდ იუმი, – 1711-1776, ინგლისელი ფილოსოფოსი.

ჯონ სტიუარტ მილი, 1806-1873, ფილოსოფოსი, ეკონომისტი.

157. *ბურიდანი*, – ჟან, (დაახ. 1300-1358), ფრანგი ფილოსოფოსი, სქოლასტიკოსი, ნომინალიზმის წარმომადგენელი.

158. *დავიდ ფრიდრიხ შტრაუსი*, – 1808-1874, მწერალი ფილოსოფიისა და თეოლოგიის სფეროში, 1872 წელს გადაიხარა მატერიალიზმისკენ.

კარლ ფოგტი (Vogt), – 1817-1895, ზოოლოგი და გეოლოგი, პროფესორი გისენში, ბერნში, ჟენევაში. წერდა მატერიალიზმზე და დარვინიზმზე.

159. *ლაუნი*, – კანონიკი.

ფრიდრიხ ნიბერგალი, – 1887-1932, ევანგელისტური პასტორი, პრივატ-დოცენტი ჰაიდელბერგსა და მალბურგში.

ფრიდრიხ გოგარტენი, – 1887-1932, ევანგელისტური პასტორი, პრივატ-დოცენტი იენაში. ღუთერზე დაყრდნობით ხაზს უსვამდა რელიგიასა და მეცნიერებას შორის წინააღმდეგობას.

ვილჰელმ ბრიუნი, – თეოლოგიის დოქტორი, ლიცენციატი, „თეოსოფიისა და ანთროპოსოფიის“ გამომცემელი.

კურტ ლესეი, – თეოლოგიის ლიცენციატი, პასტორი, „თანამედროვე თეოსოფია“, 1920.

162. *პროფესორ-მასწავლებელმა*, – გამოვიდა „Schwabisschen Merkur“-ის დამატებაში 1921 წლის 30 აპრილს (№ 196). გამომცემელი ფრიდრიხ ტრაუბი, რომელსაც ეკუთვნის სტატია „რუდოლფ შტაინერი როგორც ფილოსოფოსი და თეოსოფი“, ტიუბინგენი, 1919.

დაახლოებით ასე უღერდა..., – ფრაუ ლაუნა როტენბურგის სტატიიდან „თანამედროვე თეოსოფია და კათოლიკური ქრისტიანობა“, 1920.

163. *ერთ სავაზეთო სტატიაში გიოტინგენიდან . . .* : – პროფესორ ჰუგო ფუქსის სტატია „Göttinger Tagblatt“-ში, 1920 წ. 26 და 27 მაისი. რუდოლფ შტაინერის პასუხი ამ სტატიაზე გამოქვეყნდა ყოველკვირეულ ჟურნალში „სოციალური ორგანიზმის სამწვერიანობა“, № 5, 1920 წლის 5 აგვისტო, იხ. GA 24.

ასოციაცია „კომბიტო“ გამოსაცემად ამზადებს:

რულოლუ შტაინერი

„მსოფლიო ისტორიაში ბუნებისმეტყველების წარმოქმნის
მომენტი და მისი დღემდე არსებული განვითარება“

GA 326

რულოლუ შტაინერი

„აკაშა-ქრონიკიდან“

GA 13

რულოლუ შტაინერი

„ანთროპოსოფია. ფრაგმენტი 1910წ.“

GA 45

ამ დაუმთავრებელი თხზულებით რულოლუ შტაინერს გან-
ზრახული ჰქონდა ანთროპოსოფიული კვლევის შედეგების სა-
ფუძველზე წარმოედგინა სწავლება ადამიანის გრძნობებზე.

რულოლუ შტაინერი

„შესაქმის ბიბლიური ისტორიის

საიდუმლოებანი“

GA 122

დაბეჭდილია:

„კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას
რომ საჭიროებენ“ – სტამბაში.

ძმები უბილაეების 8



მისწავლეს ჯანსიანი

ISBN 978-9941-0-9092-9



9 789941 090929